

114
1977/2

ბუნების



6

1977



ენათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე

№ 6

036000, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოკალის აბაზიძე — ლექსები	3
ნოდარ გუგუშვილი — ლექსები	5
ბაბკატ შინკაძე — უკანასკნელი უბანი, რომანი. ვაგრძელება თარგმ. თა- მარ ჩიქავაძემ	10
ოთარ ზელიძე — ლექსები	53
გორის გურგულია — ლექსები აფხაზერიდან თარგმ. ვურამ ვოგიაშვილმა	59
ოთარ ქუკავა — სიკრიაჩოშის ტუის სიზმარი, რომანი. ვაგრძელება	64
მირიან მირიანი — ლექსები	119
გიორგი ჯავთარაძე — ლექსები	123
გიორგი ვიგარანი — ლექსები	125
არსილ გურასვალი — შირაქული ჩანახატი	128

პრიტიკა და კუბლიცისტიკა

რომან მიმინოშვილი — შემოკმეობის სათავე	136
ივანე მიკოძე — რამაჟ კოვიძე — ქართული საბჭოთა მწერლობა და უცხოელი პრიტიკოსები. დიასკურა	142
შოთა რუგოშვილი — დიდი სტუმარი	151
ვასილ კიკნაძე — ქართული თეატრის რომანტიკოსი	159
ვანო პერიჭიაშვილი — გაბა-შუაველას ჯოგითი კოვკავალი თხზუ- ლების თავისებურებანი	163
ანკათ თვარაშვილი — ქართული პრესის წარსულიდან	175
თენგიზ კახველაძე — თეირანის ლიტერატურული შუაგეგმილებანი	183

წიგნების მიმოხილვა

ილია ანთელაძე — ნაურეგი ქართულ დიპლომატიკაში	190
--	-----

ქ. შარქის სხ. ს. კ.
სახელმწიფო სკოლა
ბიბლიოთეკა

13706

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ავაშელი (პ/მგ მღვიანო), ხ. ბერულავა, თ. ვიზინიშვილი, ვ. ლეხანიძე,
ლ. მგელაშვილი, ა. სულაბაძე, ბ. ქუთათელი, ს. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი,
ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, თ. ბილაძე, ზ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიხლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებანი

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.

პ/მგ მღვიანის — 98-55-18, განყოფილებე-

ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 26/IV-77 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 20/VI-77 წ., ასაწყობის ზომა
7¹/₄×12, ქაღალდის ფორმატი 70×108/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
თაბაბი 16,58.

უე 00026. ტირაჟი 13.900. შეკვ. 1498.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ციკლიდან „მონოლოგი აჩრდილებთან“

დავდივარ, რობორც...

დავდივარ, როგორც
პოეტური მემკვიდრეობა —

წლები, რიტმები
თაობები,
გზები, იშვები...

ახლა ერთი ხსნა,
ერთი შვება,
ერთი დღეობა:

სიზმრები,
სიზმრები,
სიზმრები.

ის სახეები,
ის ნიღბები,
ის ბინდ-ბუნდები;

ის ალაზნები,
ის ჩარგლები,
ის ხახმატები...

ის დაკარგული
შორი ხმების
ოქროს ფონდები,
ის სხივამჭრალი
შორეული ჩანახატები.

ის სხვა ფერები,
ის სხვა ცდები,
ის სხვა ხილვები;

ის, ის სხვაგვარად
აფეთქება
ქართულ ბუნების;

ის კულისები,
ის სცენები,
ის ძახილები,
ის ხელჩართული დარბაზები,
ის ტრიბუნები.

ის კოლხიდები,
ის პესები,
ის სამგორები,
ის სხვა საზღვრები,
სხვა ზრახვები,
ის სხვა სამნები;

ის ქუხილები, ქვემეხები,
ის ვაგონები;
ის მოზღოკები,
ის ქერჩები,
ის ბაქსანები.

იმ დიდ ქარების,
იმ დიდ ცრემლის
მედგრად გაძლება;
იმ დიდ ხვევებით,
იმ დიდ ძმობით
უხვად დათრობა...

დღეს იმ ნისლებში
მხოლოდ ლანდად
გადანაცვლება,
დღეს წერილ ლექსებში,
დღეს წერილ ზმნებში
თავის გართობა.

დავდივარ, როგორც
პოეტური მემკვიდრეობა —
წლები, რიტმები,
თაობები,
გზები, იშვები...

ერთი ზეიმი,
ერთი შვება,
ერთი დღეობა:
სიზმრები,
სიზმრები,
სიზმრები.



აპრილის და მაისის...

გზიბლავს, მაგრამ გეშინია,
გათრობს, მაგრამ გეშინია,
გაზაფხულის გეშინია,
თებურვლის და მარტისა —
იქნებ სწორედ ეს ეშინია,
იქნებ სწორედ ეს ღზინია
ბოლო შენი ფრენისა და ნატვრისა.

გზიბლავს, მაგრამ გეშინია,
გათრობს, მაგრამ გეშინია,
გაზაფხულის გეშინია
მარტისა და აპრილის —
იქნებ სწორედ ეს ცვეცხლია,
იქნებ სწორედ ეს ჟინია
ბოლო შენი ლტოლვის — წყალში ჩაყრის.

გზიბლავს, მაგრამ გეშინია,
გათრობს მაგრამ გეშინია,

გაზაფხულის გეშინია
აპრილის და მაისის —
გულს სიმღერა ცაში მიაქვს,
გულს სიმღერა მზეში მიაქვს,
მაგრამ გულმა რა იცის!

გზიბლავს, მაგრამ გეშინია,
გათრობს, მაგრამ გეშინია,
გაზაფხულის გეშინია
მაისის და ივნისის;
გაზაფხულდა, გული მღერის,
გული ეშხით შეშლილია;
გაზაფხულდა...
გაზაფხულდა?
ვინ იცის?!

სიზმარში ნახელ...

სიზმარში წუხელ
კვლავ ტიციანი —
ის ზამთრის კეკა,
პალტო რეგლანი...
სიზმარი,
როგორც ფერთა ციალი
ნაბიჯით შემკრთალ ტელე-კრანის.

სიზმარში წუხელ
კვლავ ტიციანი —
კვლავ არ თმობს,
არ გმობს,
არ ეთანხმება;

თითებში ლექსი,
როგორც ცხრიანი,
ხითხითში მკერდის ათახთახება.

სიზმარში წუხელ
კვლავ ტიციანი —
კვლავ გეტებს,
თითქოს
სადღაც შეაკლდი;
თქერის ბაღი...
მარტი მზიანი...
პამსუნის წიგნი...
და დარშიაიკი...



ღ ე ღ ა

ცის ლაჭვარდები მზერას იტაცებს,
ზღვა-ყვავილები, ორკესტრი, ტაში.

ეს —
კოსმონავტი დაჯდა მიწაზე,
ეს —
კოსმონავტი დაბრუნდა სასლში.

მან შეასრულა თავისი ვალი —
კოსმოსში გასჭრა დიდი სარკმელი,
სიკვდილს მრავალჯერ უსწორა თვალი
და თქვა
კაცური მისი სათქმელი.

უბრძანონ —
იგი კვლავ გაფრინდება,
კვლავაც გაჰყვება მზისკენ რაკეტას,
ახლა —
ორკესტრი, ტაში, დიდება,
აღიარება გმირულ საქმეთა.

ბედნიერებით უზომოდ მთვრალი,
მიწაც ხალისით თითქოს გაბრუნდა...
ცრემლებს იმშრალებს მოხუცი ქალი:
— მთავარი არის, რომ ის დაბრუნდა
— მთავარი არის, რომ ის დაბრუნდა!

• • •

ჩუ, მთაწმინდიდან უბერავს ქარი,
ეს ალბათ მათი სუნთქვა თუ არი —

ვინაც გვანდო და ვინც ჩაგვაბარა
ჩვენი ზეცა და ჩვენი მთაბარი.

ჩუ, მთაწმინდიდან უბერავს ქარი,
ეს იქნებ მათი ჩურჩული არი —

მამულისათვის ვინაც იბრძოლა
და მიწას ჯავრი ვინც ჩაიყოლა.

ჩუ, მთაწმინდიდან უბერავს ქარი.
ეს იქნებ მათი ძახილი არი —

კაცური ვალი ვინც გადისადა,
სამშობლო ხატად ვინც გაიხადა.

...ჩუ, მთაწმინდიდან უბერავს ქარი...

ტელეფონის ბოძები

ტელეფონის ბოძებს
უამრავი სიმძიმე აწევთ,
დღედაღამ დგანან
მოთმინებით და მარტოდ მარტო,

მაშინაც, როცა დიდ მავთულებს
ქარწვიმა არწევს,
მაშინაც, როცა
ციდან ცხელი სხივები ათოვს.

მავთულში ისმის —
 ექიმს ვიღაც სასწრაფოდ ეძებს,
 დაღუპულია მისი საქმე
 თუ ვერ მოძებნის,
 შესძლებს მოძებნას იმ ექიმის
 თუ ვეღარ შესძლებს...
 — შესძლებს?
 — ვერ შესძლებს?
 განძრეველად დგანან ბოძები.

— აგერ, ვიღაცას უხარია
 ბავშვის შეძენა,
 — აგერ, ვიღაცას ავადმყოფთან
 დააგვიანდა...
 — ვიღაცის ცრემლი
 ტელეფონის ყურმილს ეცემა,
 — სურს ადამიანს საუბარი
 ადამიანთან.

ო, ახსოვთ, ბოძებს
 ერთად იდგნენ დიდ უღრან ტყვში...
 ვერ ამინებდათ ხეებს
 დარი ქარიშხლიანი.
 მართლაც სხვა იყო
 იმ სიცოცხლის სიტკბო და ეშხი.
 და შეფოთლილი
 ცადაწვედილი ტანის შრიალი...

ახლა შორიშორ,
 მარტოდმარტო ჩანან ბოძები,
 სულ იქნებიან ასე
 მუხლი გაუძლებთ ვიდრე,
 ასეთი ხვედრი
 ბედისაგან აქვთ ნაბოძები
 მწვანე ტყეების
 და შრიალა ტვერების მკვიდრებს,

რტობდაჭრილნი,
 ტანშიშველნი და გაძარცვულნი,
 ადამიანთა ლხინისა და
 სევდის მოწმენი —
 სოფლის ტრიალზე
 მარადიულ ფიქრში წასულნი,
 დარაჯუბივით,
 მუღამ ფეხზე დგანან ბოძები.

...მავთულში გადის
 ნურვიული წკრიალი ზარის,
 მავთულში ისმის
 განწირულის
 კვნესაც, იმედიც...
 მავთულში უსტვენს
 ჩრდილოეთის მსუსხავი ქარი,
 მავთულში ბრწყინავს
 სამხრეთის მზის ცხელი სხივებიც.
 ტელეფონის ბოძებს
 უამრავი სიმძიმე აწევთ...

დავით აღმაშენებლის საფლავი

ნუ შეეხებით,
 ნუ შეეხებით,
 დარუბანდიდან მოტანილ კარებს
 იგი გმირმა და გოლიათმა ჩამოიტანა
 შთამომავალთა განსაცვიფრებლად.
 იგი აზიდა იმ ხელებმა
 მძლავრმა ხელებმა,
 რომელმაც ზღვარი სამშობლოსი ხმლით შემოაჯა,
 და ერთი ზღვიდან განაფინა მეორე ზღვამდე.

წლებდა მოსეულ არაბთა ჯილაგს,
 რისხვად დაატყდა თურქსა თუ ხელჯუკს,
 და ძეგლად თვისი დიდებისა
 დადგა დიდგორი.

და თუმცა თვითონ მოისურვა დადლილმა ბრძოლით, —
 ნუ შევესრულებთ ჩვენ ამ ანდერშს,
 ნუ შევესრულებთ —
 და ფართო მკერდზე ნუ გადაგვევლით..

ნუ შეეხებით,
 ნუ შეეხებით
 დარუბანდიდან მოტანილ კარებს...
 ტაძარში ისმის გალობანი სინანულისა
 და აერიალებს მაღალ გუმბათს

კრიმანჭული

ამოერიდან აქ დაესახლდები
 ჩემი ქვეყანა არის გურია...

ირაკლი აბაშიძე

— თუ არ გინახავს ძამა, გურია,
 ზალისს შენს გულში არ გაუვლია —
 მითხრა გურულმა,
 და ჰა, მუასუდ
 ვესტუმრე უკვე საჭამიასერს.

მრავალ ქვეყნის და კუთხის მნახველი
 მაინც ვერ გავძლებ მე უგურიოდ,
 თუ არ მიყვარდეთ,
 ჩემი სახელი
 თქვენს ახლომანლო არ გუ უ რ ი თ.

ალბათ იქ ჰქონდათ ბუდე ფირალებს
 ტყე რომ ჩანს, ნისლით გადაბურული,
 ნასაკირალზე დროშა ფრიალებს
 და სმენას მიტკბობს კილო გურული.

ვიცი, რომ ცინცხალ სიტყვას გალესავთ,
 თქვენს კვიმატობას ვერ გადგურჩები,
 ახია ჩემზე, მასვით „ადესა“,
 შემადებინეთ წითლად ტურები.

ღმერთმა-მზატვარმა აქ მოაფრქვია
 უუნაზესი ფერი აკვარლის,
 აბა რა არის, მამ სხვა რა ჰქვია
 ამ მთებს უნაზესს და უსაყვარლესს.

აბა, ჰე, კიდევ ერთხელ, მზისფერი
 დააჭიკჭიკეთ ვე კრიმანჭული...
 ჩემი კაცობით,
 ჩემი სიმღერით
 სიცოცხლით თქვენზე ვარ მიჯაჭვული.

ჯანყი გურიაში

მზე სხივთა აღერას არ მაცილებს,
 მთებს ღრუბლის რიდეს აცლის,
 ჩაის ბუჩქების პლანტაციებს
 ნიაფი დალალს ვარცხნის.

საყვარლად გადადელილია
 ეს დალოცვილი მიწა,
 ზიდან მტყვენები მილიმიანი
 როგორც გურული ციცა.

დილამ სინაზე შეიფერა,
 ნეტარ სიამით მავსებს,
 ჩამოკიდულა „კაიფერა“, —
 ოქროს გიდელი ცაზე.

დარმა სიმინდი გადარია,
 შიგ ცხენოსანიც არ ჩანს,
 მართლაც რომ ნატურის სადარია
 მიწის ელვარე ფარჩა.

აქ, ამირანმა მიჯაჭვულმა
ბორკილი დაცალეწა,
აქ, მოჭიკტიკე კრიმანჭული
მზის პიშნად გადამეჭვა.
გული აქეთკენ მოიწვედა,
გიცან, გურიავ, გიცან,

ოცნების ჩიტებს რომ მისევდა
ის ცაა, სწორედ ის ცა!

გაჩაღდა ცეცხლი მინავლული,
მკერდს ჭრუანტელი უვლის
და მღერის, მღერის სიყვარულით
აჯანყებული გული.

შ უ ა დ ლ ე

შუადღე ისე შემომებარა
ვერ მოვასწარი ცისკრით დათრობა,
და თავზე უხვად გადმომაყარა
მისი სიმართლეც, უსამართლობაც.

მაინც არა ვხრი თავს მის წინაშე,
არ მსურს ქედმოხრა და არც დათმობა,
ვერც მის გვალგაში, ვერც მის წვიმაში
ვერ შეველევი ახალგაზრდობას.

ისევ მიტაცებს ლურჯი ცისკარი
და ძმაკაცებთან სუფრის გაფენა,
ლამაზთან ისევ ისე ვიჩქარი, —
კვლავ ძველებური მინდა გაფრენა.

კვლავ ძველებურად მინდა გავანდო
ჯვარს და ზედაზენს ჩემი გულისთქმა

ვით სატრფო, ვკოცნო მიწა სავარდო,
და ვთქვა სიმღერა სიყვარულისა.

კვლავ გავიხარო, კვლავ გავიოცო
აპრილში ატმის აფოფინება,
კვლავაც სამშობლოს მზეზე ვილოცო,
კვლავაც ხვალ ვჭვრეტლდე კმაყოფილებას

მოდო შუადღევ, და დამაცხუნე
შენი ცის მზე და ცხელი თაკარა,
გულზე სინათლის ცვარი მასხურე,
აახშიანე შენი ნალარა...

მონხელ და ისე შემომებარი
ვერ მოვასწარი ცისკრით დათრობა
და თავზე უხვად გადმომაყარე
ვგ სიმართლეც და უსამართლობაც.

• • •

„კართაგენი უნდა დაინგრეს“ —
და პა, ჩემს თვალწინ დანგრეული ძეგს კართაგენი.
ვაი, იმ საათს, და ვაი იმ დღეს
თუ ამეტყველდნენ კვლავ მდუმარი მკედართა ბაგენი.

თუ ისევ აღსდგნენ ლეგიონები,
თუ ამოხეთქა უდაბნოთა ცხელმა გრიგალმა,
თუ კვლავ აუშვეს შლეგი ლომები,
მახვილი იძრეს პამილკარმა და ჰანიბალმა.

თუ ხმა კატონის მოსეულთა ხმებმა დაფარეს,
თუ აჩოქოლდა ხმელთაშუაზღვის ცივი ტალღები,
რომის ზეცაზე თუ ღრუბელი გადმოაფარეს,
ხმლის ჩახაჩუხით და ყიჟინით ყურისწამლებით...



ყურესთან დგანან ხომალდები მოზადრაგენი
წამოუქროლებს შუალამის სველი ზღვაური,
დანგრეული და გაძარცვული ძეგს კართაგენი
პრეისტორიის უსიზმრება შორი ხმაური.

შორი დიდება, დანაცრული შორი დიდება
და გაძარცვული ის სიმდიდრე აურაცხელი...
ნამსხვრევი ახლა სუვენირად რომ იყიდება
მასაც წარმატულ აღზევების ჰქვია სახელი?!...

აფრიკის ცაზე მიბიჯებს მზე ფეხშიშველი,
ტურისტებს სიციხის თაკარა და წყურვილი აღწობს,
ირგვლივ დაძრწიან მათხოვრები და დერფიშები
და შორით მოჩანს ბედუინთა საწყალი რანჩო.

ტუნისი-თბილისი

• • •

უპატიებელს ვამჩნევ საყვედურს
მაგ შენს სვედიან გამოხედვაში.
— რა იქნებოდა, ნეტავ, მე და შენ
სიცოცხლის ჰიმნი გვეთქვა მცხეთაში.

რად მივატოვეთ ის სილამაზე,
რად არ ავანთეთ ცისკრით არმაზი,
ექვნის ჟღარუნით რად არ ავაგეთ
არაგვისპირის დიდი დარბაზი.

გიჟურ სრბოლაში, თავაწყვეტაში,
მზედარში, ციურ ცვართა წვეთაში,
რა იქნებოდა ნეტავ, მე და შენ
ვერცხლის ფიალით გვესვა ზედაშე.

— სხვიით ნაქსოვი თეთრი სამოსი
მზით დაცვეთაში, მზით დაცვეთაში!...
ო, რა გულსაკლავს ვამჩნევ საყვედურს
მაგ შენს სვედიან გამოხედვაში.

• • •

აჰა, დაიწყო ფოთოლთაცვენა,
სალამი სვედავ, წვიმიანი დღეების
სვედავ,
დაცხრა, წავიდა ის აღმაფრენა
ჩემს უღრუბლო და მზით ავსებულ
დღეებს რომ სდევდა.

მოფარფატებენ ხიდან ფოთლები,
ნაადრევე სუსხით ჩამომტყნარი
და დაზაფრული,
შეგყურებ ზეცას
იქვენულად და შემფოთებით
...ვაი, რა შორს არის გაზაფხული.



გაზრატ შინაუბა

უკანასკნელი უბიხი

რომანი

უკან, უბიხების ქვეყნისაკენ

რუსეთის კონსული ტრაბიზონში იმყოფებოდა. გვარად მოშინი გახლდა. ვიცოდი, რომ ამ კაცმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა უბიხების თურქეთში გადმოსახლებისათვის. მოშინისა და მისთანანის ვარაუდი მარტივი იყო: შეიარაღებულ მთიელებს თავიანთი ცის ქვეშ შეუწყული მიწიდან თუ აღკრადნენ გულა-ნაბადს, მაშინ კავკასიის სისხლისდაუღვრელად დამორჩილება აცხადდებოდა. ამ ოდითგან შფოთიან მიწაზე ფეხის მოკიდება კი თეთრი მეფის დიდი ხნის ოცნება იყო. როდესაც მეფის ნაცვალის და მისი დაახლოებული პირები მაჰაჯირების გადასაყვანი გემების სიმცირემ გააოგნა, ისევე მოხერხებული და გაბედული მოშინი მოელაპარაკა პორტის ხელისუფალთ დამატებითი იალქნიანი გემების მოცემასზე. მოშინი ცდილობდა სხვის მიერ მოწოდებული ცნობებით არ ესარგებლა, პირადად დარწმუნებულიყო იმ მოვლენათა უტყუარობაში, რაც აინტერესებდა. მაჰაჯირების სილუბჭირის ამბავი რომ გაიგო, რამდენიმე ხელქვეითის თანხლებით ფეხით გაუყვა ზღვის სანაპიროს. საკუთარი თვალთ ნანახმა დაადარდიანა და სინდისმა ქენჯნა დაუწყო. გარდა ამი-

სა, როგორც გინდა თქვი და მაჰაჯირები მაინც რუსეთის იმპერიიდან იყვნენ. და აი მოშინმა, ღმერთმა აყურთხოს მისი სახელი, მიღება თხოვა გუბერნატორ ომერ-ფაშას. მან უკმაყოფილება გამოთქვა თურქ ხელისუფალთა მიერ სულთანის მფარველობაში გადმოსული ათასობით კავკასიელის მიმართ არა აღამიანური დამოკიდებულების გამო.

— ისინი ავადმყოფობისა და შიმშილისაგან იღუპებიან, თქვენი მდიდარი თანამემამულენი კი ჩალისფასად ყიდულობენ მათ შვილებს, განსაკუთრებით ლამაზ ვოგონებს, — უთხრა მან ომერ-ფაშას. — თქვენ სტუმართმოყვარე მასპინძლობას პირდებით უბიხ წინამძღოლებს. სულთანის სიტყვა თქვენს ქვეყანაში კანონივითაა, გულმორწყალება კი განგებამ მოგახიჯათ...

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო კონსულო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ დღეს არა მაქვს საკმარისი დრო, საფუძვლიანად რომ ვისაუბროთ მაჰაჯირებზე; — ბრაზი დაიოჯა და ისე უპასუხა ომერ-ფაშამ, — მე შევხვდი მაჰაჯირებს, თქვენო ბრწყინვალეზავ, უმადური და ჭიუტი ხალხია. იმ ქვეყნის კანონებსაც კი არ სცემენ პატივს, რომელნაც ისი-

* გარძელება. იხ. „მნათობი“, № 5.

ნი შეიფარა... თვითნებობენ, უარს ამბობენ შეიღების ქარში გაწვევაზე, ყაჩაღობენ... ახლა მათ უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნების უსაზღვრო სურვილი გაუჩნდა. არ ვიცი, როგორ შეხვედბა ამას თქვენი მთავრობა? — ომერ-ფაშამ გამარჯვებულად გაიღიმა.

მოშინის შეხვედრამ გუბერნატორთან არაფრით შეცვალა მაჰაჩირების ხვედრი. სხვათაგანად არც შეიძლებოდა მომხდარიყო ჩემო ძვირფასო შარახ. ამბობენ თვითონ ომერ-ფაშას ჰყავდა ორმოცდაათამდე იაფად ნაყიდი მთიელი ქალწულიო. ზოგი მსახურად ჰყავდა და ზოგი ხარჭად. და მაინც რუსეთის კონსულის ჩვენდამი თანაგრძნობა ცოტას როდი ნიშნავდა, სამშობლოში დაბრუნების მცირე იმედს მაინც გვაძლევდა. მზაუჩ აბხუბა სამჯერ იყო ტრაბიზონში მოშინთან შესახვედრად იმ უბიხების დავალებით, სამშობლოში დაბრუნება რომ სურდათ. მახსოვს, უკანასკნელად რომ დაბრუნდა ტრაბიზონიდან, ყველა შევიკრიბეთ. შეკრებას უბიხების გარდა სხვა ხალხის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. იცი, შარახ, სიბერეში უფრო შორისმჭკრეტელი ხდება კაცი. ღმერთო ჩემო, რამდენი წელი გავიდა და თითქოს ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს, ისე ცოცხალივით მიდგას თვალიწინ მზაუჩ აბხუბა. — მხარბეჰიანი, შეუღლავებიანი. მისი სახლი და ყანა ვაგარის ციხე-სიმაგრის ახლოს დარჩა. ისიც ჩვენსავით ნანობდა თურქეთში საბედისწერო გადმოსახლებას და ერთადერთი იმედიდა ასულდგმულეებდა — სამშობლოში დაბრუნება. ნაურიში ბარაკაის ძე მზად იყო თუ საჭირო იქნებოდა, იარაღისთვის მოეკიდა ხელი, მზაუჩი კი ორივე ქვეყნის ხელმწიფესთან მშვიდობიანი მოლაპარაკების მომხრე იყო. შეკრებილთ გვიმტკიცებდა, რუსეთის კონსულის გავლენიანი და კეთილშობილი იგნატიევის დახმარებით უნდა ვიმოქმედოთო.

— მას თვით მეფე უწევს ანგარიშს. ეს თურქებსაც კარგად მოეხსენებათ. მოდი მისი იმპერატორობით: უდიდე

ბუღესობის სახელზე არზე დავწვროთ და მოვახსენოთ, რა უბედურებას დავატყდა თავს. არზას თქვენი ამორჩეული საში კაცი წაიღებს სტამბოლში რუსეთის კონსულთან. ასე გვირჩია კონსულმა მოშინმა. ღმერთმა აღდგარქვოს, თავისი პირადი წერილიც გადმომცა, რომელიც ჩვენს თხოვნას უნდა დაერთოს, რათა საკონსულოში მიიღონ... ნულარ დავკარგავთ ძვირფას დროს...

წუთით სინუშე ჩამოვარდა და მერმე ომახიანი ხმა გაისმა:

— ნებას თუ მომცემთ, გაგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გუშინ თქვენ თვითონ უღობავდით გზას რუს ქარისკაცებს და გაიძახოდით: „სიკვდილი გაიურებს!“ — წარმოსთქვა საზმა თავადა, უბიხების ყოფილი მეჭლისის წევრმა უახსით რიღბამ. მისი წვრილი ვერცხლისფერი წვერი ფერდობიდან დაქანებულ ნაკადულს ჰგავდა, ხმელხმელი რიღბაც უფრო მაღალი ჩანდა. მის კეთილშობილურ წარმომობაზე მისივე გარეგნობა მეტყველებდა. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ თავადი სამშობლოში დაბრუნების მსურველებს არ ეთანხმებოდა, იმასაც ამტკიცებდნენ, იმათ წინამძღოლობს, ვისაც სამშობლოში დაბრუნება არ უნდათო.

— ჩვენ თვითონ ვარჩიეთ თურქეთი კავკასიის ველებს. ხან მეფეს ვაქცევთ ზურგს და ხან სულთანს. აბა ვინდა გვეცმს პატივს? რომ დავებრუნდეთ კიდევ, რაღა დავგხედება სამშობლოში? ჩემს მამულში თურმე კახაკები დასახლებულან... იქნებ გინდათ, რომ წკებლით ხელში კახაკების პატეხი ემწყემსოთ? წვრილი თითები მოკლე წვერზე ჩამოსევა და თავადმა ამაყად მოავლო თვალი შეკრებილთ.

თავადის ზურგს უკან ბოროტი ხითხითი გაისმა.

— ერთი ამ სულთანის წყალობათა ერთგულ კაცს დამიხედეთ. დიდად პატივცემულო უახსით, შენ რაღა მიიღე ამ ალაპის კურთხეულ ქვეყნიდან, სამოთხის მიწა? მშვიდობა?

— დიახ, მშვიდობა. უკან თუ დავ-

ბრუნდებით, კვლავ იარაღის ხელში აღება მოგეწყევს. ომი კი მაშინაა კარგი სერიოზით თუ უყურებ შორიდან. აქ ტყვიების ზუზუნი მაინც არ გვესმის. — უპასუხა რიღბამ.

— მოიცა, მოიცა, თავადო, ვინ გითხრა აქ ტყვიები არ ზუზუნებსო, ხმა არ ისმის, თორემ დღეში ორას კაცს მაინც ახალშებენ სიცოცხლეს. ცოცხლებს იმის ძალა აღარ შესწევთ, მკვდრები რომ დამარხოს. ეს ომზე უარესია, ეს მკვლელობაა... — ნაურის სუღარასავით გაითვრებოდა სახე. დაახველა. მზაუჩმა ისარგებლა ამით და შეახსენა, რომ კონსულმა მოშინმა თხოვნის დაწერა ურჩიათ და ჭკვიანური იქნებოდა, სჯამეს თუ შეუდგებოდნენ.

— ეჰ, ნაურის, სადაა შენი თავადი-შვილური თავმოყვარეობა, ვინც გუშინ ცხვრებს მწყემსავდა, დღეს მოლაპარაკებას აწარმოებს, ნეტავ ხვალ რაღა იქნება? — დაცინვით იკითხა თავადმა.

თითქოს მათრახი გადაუჭირესო, ისე შეერთა მზაუჩი, მაგრამ თავი შეიკავა.

მოულოდნელად ქალების ჯგუფს მოხუცი ჰამიდა გამოეყო, მგლოვიარე იყო და თავიდან ფეხებამდე ძაძა ემოსა. ნაღვლიანი თვალები ამოშავებოდა. შავი თავსაფარი მოიგლიჯა, თავი მალა ასწია, ჰალარა თმა მხრებზე ჩამოუცივდა და დაიძახა:

— რა დაგემართათ? ყველანი მკვდრები ხართ თუ გვარიშვილობასა და დაკარგულ სიმდიდრეზე სალაპარაკოდ გცალიათ? საფლავები მაინც დაითვალეთ სანაპიროზე. გვაპატიონ თავადებმა, მაგრამ ეს საფლავები მათს სინდისზეა. სად ჰქონდათ ჭკუა ჩვენს გაზრდილებსა და წინამძღოლებს? სად ჰქონდათ მეთქი, გეკითხებით. ოქვენ უნდა აგოთ პასუხი კეთილშობილო თავადებო! ისევ ყოყოობთ და დაკარგულ მამულებზე ზრუნავთ. ბატების მწყემსვა არ გინდათ, ჩვენთვის კი ეს უცხო არ არის. ნეტავ ჩემს შვილიშვილებს ემწყემსათ ბატები, ოღონდ სამშობლოში ყოფილიყვნენ. ოთხიდან

ერთიღა დამრჩა. სამი შვილიშვილი მომიყვდა. — ჰამიდას ხმა ჩაუწყდა. — მაგრამ ყელში მიწოლილი ბურთი ვადაყლაბა და განავარძო, — უკანასკნელი შვილიშვილის, სანუკვარი ტაპირის გულისთვის ვებლაუჭები სიცოცხლეს. რას არ ვიზამდი, იმას მაინც რომ ეღირსებოდეს სამშობლოში დაბრუნება — ისევე გაუმკაცრდა ხმა ჰამიდას. — მე მთიელ ვაყაყებს ვეღარ ვცნობ, თითქოს თავსაფრები დაგებუროთ. იქნებ მე მოვიხადო თავსაფარი და სამშობლოსკენ წაგიძღვეთ? გეყოფათ ლაპარაკი, საქმეს მოჰკიდეთ ხელი. არზა თუ უნდა დაიწეროს, დაწერეთ! მე პირველი მოვაწერ ხელს. თხოვნა საჭირო? ვითხოვთ. მე პირველი დავუჩოქებ მეფეს. ახლა დიდგულობისა და ყოყოობის დრო არა გვაქვს. ახლა მხოლოდ ერთ-საზრუნავი გვაქვს — სამშობლოში დაბრუნება.

ჰამიდას შემდეგ არავის აღარ უნდოდა ლაპარაკი. ჩამოწოლილი დუმილი სითმა დაარღვია:

— ძვირფასო მზაუჩ, მწერალი ტიფმა მოგვიკლა და წერილს ვინდა დაგვიწერს? განსვენებულმა რუსული წერა-კითხვა იცოდა, მეორე ვინაა ჩვენში ასეთი. არც აქ დაგვინდო ბედმა.

— არის ასეთი კაცი! — უპასუხა მზაუჩმა და ვიდაცას ანიშნა.

ხალხს ქალაქურ ტანსაცმელში გამოწყობილი შეუხედავი მოხუცი გამოეყო. ცხვირზე უნაგირივით ედგა სათვალე. უკან გადავარცხნილი ჰალარა თმა მხრებამდე სცემდა. გულის ჭიბიდან ოქროს საათის ძეწკვი მოუჩანდა.

ეს პატივცემული ბატონი წარმოშობით ბერძენია. თავის დროზე თარჯიმნად იყო და მთელი რუსეთი აქვს შემოვლილი ვაჭრებთან ერთად. ამჟამად მთარგმნელად მუშაობს რუსეთის საკონსულოში. ჩვენ თურქულად ვუთხრათ ყველაფერი, რაც გვაწუხებს და ის რუსული სიტყვებით ჩაწერს. — ასე წარმოგვიდგინა მოხუცი მზაუჩმა. მოხუცმა გაქქილი ტყავის ჩანთიდან ქალაღლი, კალმისტარი და მელანი ამო-

ილო. და ღმერთმა უწყის საიდან გაჩენილ მაგიდაზე დააწყო. სათვალე ცხვირსახოცის კილით გაწმინდა, მაგიდის წინ დაიჩოქა და ისე შეხვდა მზაუნს, თითქოს ეუბნებოდა — „მე მზად ვარო!“
თავადმა უახსით რიბბამ გაიცინა:
— ჩვენს მუსულმანურ სადარღებელზე რა უნდა დაჩხაპნოს ქრისტიანულმა ხელმა?

ეს საქმე ხეირს ვერ მოგვეტანს.
— რას დაგვიჩხავი, თავადო! — მოუჭრა ჰამიდამ.

მოხუცი კაცები და ხნიერი ქალები გასწმენილხდნენ მწერალს. ახალგაზრდები კი ოდნავ მოშორებით ვიდექით. აზრის პირველი სიტყვები ზითმა წარმოსთქვა. ზოგმა რაღაც დაუმატა. ზოგმა რაღაც მოაკლო და რაც გამოვიდა, მზაუნმა თურქულად თარგმნა. ბერძენმა კალამი ჩაბლუჭა და რუსულად დაწერა. რაკი ბერძენი წერდა, ისეთი სიხუმე ჩამოეარდა, რომ კალამის წრიბინიც ისმოდა. მერე მეორე მითიელმა უთხრა თავისი მოსაზრება მითიელს. ამ მოსაზრებაზეც იმსჯელეს, თარგმნეს და ჩაწერეს. ასე გამეორდა რამდენჯერმე. როგორც ნაკადულები. უერთდებთან ერთმანეთს, ისე შეერთდნენ ჩვენი ფიქრები ერთ იმედად და არზის სტრუქონებად ჩამოწიკვიდნენ. აიღებდა თუ არა ბერძენი ხელში კალამს, ხალხი სუნთქვასაც კი აჩერებდა, კისრებს იმაგრავდნენ და მზით გაჩახჩახებულ ფურცელს ჩასტკეროდნენ. ამ ფურცელზე ეკიდა ახლა იმათი ბელი.

„შავი ზღვა რომ მელნად გადაიქცეს, მისი ორივე სანაპიროს ხეები კალამებად და მთელი დედამიწა ქალაღლის გრაგნილად, მაინც არ გვეყოფოდა არც მელანი, არც კალამები და არც ქალაღლი მაჰაჭირების უბედურების აღსაწერად — ჩაუჭერებოდი არზას და ისე ეფიქრობდი. — მაგრამ რატომ არ უნდა გვეჯროდეს სასწაულის — ვინუგეშებდი თავს, — განა ცოტა სასწაული მომხდარა ქვეყანაზე? ვინ იცის იქნებ ეს ქალაღლი თეთრი მტრედით თუფრინდეს ხელისგულიდან ელჩს,

გადალახოს ზღვები, რუსეთის ველები და ტყეები და მეფის სასახლეში მიაღწიოს პეტერბურგში. რატომ არ შეიძლება სასწაული მოხდეს, რატომ? ბევრი ფანჯარა აქვს თეთრი ქვით ნაგებ სასახლეს, მაგრამ ფრთათეთრა მტრედად გადაქცეული ფურცელი საჭირო სარკმელს ამოარჩევს და ზუსტად იმპერატორის მაგიდაზე დაეშვება. ვინ იცის, იქნებ ნახევარი მსოფლიოს მპრძანებელმა იმ დილით ხალხით, სიკეთითა და სულგრძელობით აღვსილმა გაიღვიძოს, ხელში აიღოს ჩაჭიკვიკებული ხელით ნაწერი ჩვენი თხოვნა, ადიუტანტი გამოიძახოს და ჰკითხოს:

— რა არის ეს?

— უბიხების არზაა, თქვენო უდიდებულესობავ, — ღიმილით უპასუხებს ოფიცერი, მასაც სხვებივით რომ გადასდებია მეფის შესანიშნავი გუნება და ბასიათი.

„აჰ, უბიხები? მამაცი ხალხია, მამაცი“ გაიხსენებს იმპერატორი და პატივისცემით წარმოსთქვამს: ისინი ხომ შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ და კავკასიაში მეფის ნაცვალის მოხსენების მიხედვით ქედუხარული იყვნენ. „სწორია, თქვენო აღმატებულება!“ — ჭუსლს ჭუსლზე მიართყვამს ადიუტანტი. „გმირულად გვებრძოდნენ, ჩვენგან შეთავაზებული პირობები არ მიიღეს და თურქეთში გადასახლდნენ. ღირსეული მოწინააღმდეგენი იყვნენ, ღირსეული. რას იტყვით გენერალო, პატივისცემის ღირსია თუ არა ასეთი მოწინააღმდეგე?“ „უსათუოდ, თქვენო აღმატებულება!“ უპასუხებს ადიუტანტი, მედალი რომ უმშვენებს მკერდს, „ოჰ უბედურები!“ — თანაგრძნობას არ მალავს მეფე, — „ვერც კი წარმოვიდგენდი ასეთ გასაჭირში თუ ჩაეარდებოდნენ. მაჰაჭირებში ხომ ბევრი მოხუცი, ქალი და ბავშვია. მართალია, დამნაშავენი კი არიან, მაგრამ ჩემს მოწყალებას მაინც ვერ მოეკლებ. „თეთრი ხელით კალამს აიღებს მეფე და ჩვენს არზას ორად ორ სიტყვას წა-

წერს — „თხოვნა დაკმაყოფილდეს“. ჰოდა, სამართალი იზივინებს. გემები მოგვაციოთხავენ და ჩვენც სამშობლოში დავბრუნდებით, უბიხების მიწაზე.

გაიღება ჩვენი მიტოვებული სახლების კარები. ისევ გავა მინდვრად მხენელი და მთესველი, სიხარული და მზიარულება გამეფდება ირგვლივ, ისევ გაჩაღდება ქორწილები, ისევ გაჩნდებიან ბავშვები.

ჰო, მაგრამ ყველაფერი პირიქით რომ მოხდეს? მეფე ცუდ ხასიათზე გაიღვიძებს, მოქუშული და გაბრაზებული იქნება. უბიხებზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, აღიუტანტიც ცუდ რჩევას მისცემს მეფეს: „ამ ყაჩაღების დანდობა გონივრული საქციელი არ იქნება, თქვენო უმაღლესობავ, გარდა ამისა, ჩვენ თურქეთთან ვართ შეთანხმებული“. თვითმპყრობელი თეთრი ხელით კალამს აიღებს და არზას ასე წააწერს: „საკითხი გადაჭრილია, გადახედვას არ საქირებებს“. დავიღუპებით უბიხები, დედაბუციანად ამოვწყდებით. ჩვენი ბედი ღმერთის კალმის წვერზე ჰკიდია, მთელი ხალხის სიცოცხლე თუ სიკვდილი ალა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, მეფის ხასიათზე, ერთი ხელის განკარგულებაშია, მეფური კალამი რომ აქვს ჩაბღუჯული.

სანამ უბიხების თხოვნასა და მის ქვეშ დასმულ მეფის ბელმონერაზე ვფიქრობდი, მწერალმა და თარჯიმანმა — მოხუცმა ბერძენმა მოამთავრა კიდევ თავისი საქმე.

მას მერე მგონი საუკუნე გავიდა, შარახ, მე კი დღემდე სიტყვა-სიტყვით მახსოვს მეფესთან გაგზავნილი ჩვენი თხოვნის შინაარსი. თითქოს ჩემი მეხსიერება სამარის ქვა იყოს, არზის სიტყვები კი ზედ ამოკვეთილი სულის სახსენებელი. არზაში ჩვენი ვასაქირი იყო აღწერილი. ნათქვამი იყო, რომ თურქეთის მთავრობამ არცერთი დაპირება არ შეასრულა. ვიმყოფებით რა გარდუვალი დაღუპვის პირას, გულწრფელად ვინანიებთ და ვაღიარებთ ჩვენს მიერ ჩადენილ შეცდომებს. ყველა უბიხი,

ვინც კი ცოცხალი დავრჩენილვართ: ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, თავს ვხრით თქვენი იმპერატორობის უდიდებულესობის წინაშე და ცრემლის ფრქვევით გვედრებით, ნება დავგვრთოთ დაგუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს დაობლებულ კერებს. ფიცსა ვდებთ, რომ თუ სამშობლოში დაბრუნების ნებას გვიწყალობებთ, არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი შთამომავალიც სამარადისოდ დაიხსომებენ თქვენს მეფურ წყალობას და რწმენითა და სიმაართლით ემსახურებიან რუსეთის სახელმწიფოს. მუხლზე დაჩოქილი ვეაჯებით თქვენს უდიდებულესობას: ნუ დაუშვებთ უბიხების აღგვას პირისაგან მიწისა. აი, ეს სიტყვები იყო დაღ იმ თხოვნაში. თხოვნის ტექსტი რომ წაიკითხეს, მზაღ აბზუბამ ყველანი ხელის მოსაწერად მიიწვია. პირველად თვითონ მოაწერა ხელი. მოხუცმა ჰამიდამ ერთი ასოც კი არ იცოდა და მელანში დასველებული ცერი დააჭირა ქაღალდს. მოხუცი ჰამიდა კი არა და ჩვენი პატივცემული ქურუმი საულაჯაც წერაკითხვის უცოდინარი იყო. ჰოდა, მანაც ჰამიდას მიბაძა. უნდა გითხრა, დად, რომ ძალიან ცოტანი იყვნენ ვისაც ხელის მოწერა შეეძლო, ალბათ ერთი-ორი კაცი, ეგ არის და ეგ ყველა, ვინც ხელი მოაწერა ქაღალდს თუ თითის-ანაბეჭდი დაუსვა, კარგ ხასიათზე დადგა, თითქოს უკვე სასიხარულო ამბავი გაიგესო. მამაჩემის — ჰამირზას ჭერმაც მოაღწია, ის კი მერყეობდა.

— ჰამირზა, შენ რაღა გაყოყმანებს? — გაუკვირდა სიტს.

— რაც ხალხის თანხმობით გადაწყდა, ჩემთვისაც კანონია, მაგრამ აქ ჩემი გაზრდილი და ბატონი შარდინი, ალოუს ძე არ ესწრება, მის გარეშე კი ანაბეჭდს ვერ დავუსვამ ქაღალდს.

მე და მამამ ერთმანეთს გადავხედეთ და ორივენი ერთად მივედით მავიდასთან.

— მამაჩემის ნაცვლად ჩვენ მოვაწერთ ხელს.

როგორც უფროსმა ჭერ მე და მერმე

მატამ ცერის ანაბეჭდები დავსვით ქალღელზე.

— შენ რაღას ელოდები ნაურის, თუ რიღბას მხარესა ხარ? — ჰკითხა მზაურმა.

ნაურისმა ჩაქინდრული თავი ასწია და ჩვეულებისამებრ მოკლე კვერთხის მიწაზე კაჭუნით დაიწყო:

— სულ პატარა იმედი მაინც რომ მქონდეს, აქედან რაიმე გამოდნება, დამიჯერე, ათჯერ მაინც მოვეწერდი ხელს, მაგრამ ეს წამოწყება არც რაიმე სარგებლობის მომტანია და არც ზიანის. გვეყოფა ღრუბლებით ციხე-კოშკების აშენება! აი ხეალ საულაში დაგვლოცავს წმინდა ბითხასთან და მაშინ მეცოდინება რა უნდა გვაკეთო, დღეს კი რაკი თქვენი სურვილია... — და ნაურისმა ბარაკაის ძემ თავისი გვარიც მიაწერა ჩვენი თითების ანაბეჭდების გვერდით.

სიმართლე რომ გითხრა, თავად უახსით რიღბას მომხრეები საკმაო აღმოჩნდა. ისინი ცალკე იდგნენ, მაგრამ ყრილობის დატოვებასაც ვერ ბედავდნენ. ეს უკვე ჩვენი უმრავლესობის გამოწვევა იქნებოდა. მეფის ელჩის იგნატიევისთვის თხოვნის გადაცემა სამ კაცს დაავალეს მზაურ აბხუბას მეთაურობით. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყვნენ სტამბოლს.

სალოცავი ადგილი ჩვენი წმინდა ბითხასთვის თურქეთში ვერ მოვიძიეთ. ხალხი წუხდა, რომ ის ქურუმის დატაკურ ბინაში იყო შენახული, თითქოს ერთი უბრალო სურა თუ თითისტარი ყოფილიყოს. ქოლერა რომ გაჩნდა, ზოგიერთი შიშმა აიტანა გამწყარალი ბითხა აღარ გემფარველობსო. ხალხი რომ სულიერად არ დაცემულიყო, ქურუმი საულაში ბითხით ხელში მიდიოდა ყველასთან, ვინც კი ამ საშინელ სენს წაეჭვია და მათ გამოჯანსაღებისათვის ლოცულობდა. ხალხს სწამდა ბითხას სასწაულომკმედი ძალა და ბევრი სძლევდა კიდევ ამ საშინელ დაავადებას. ადამიანებს რაღაცის უნდა სწამდეთ, შარახ...

ყველა, მაპაჯირი ავადყოფნებს ვარდა, ზღვის ნაპირთან შეგროვდა. მართო ხესთან, სადაც ცოტა ხნის წინათ საეუტი იჭდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ დღევანდელი ლოცვა საგანგებო იყო. თვით ბითხას უნდა ეკურთხებინა ისინი, ვინც ნაურისის, ბარაკაის ძის წინამძღოლობით სამშობლოში მიემგზავრებოდნენ, უბიხების მიწაზე. თეთრებში შემოსილმა საულაშმა ლოცვა მოათავა, ტყავის შალითიდან ბითხა ამოიღო და ხის ძირზე მიაყუდა. ყველამ დაეჩოქეთ.

— ო, ყოვლის შემძლე და ყოვლად ძლიერო ბითხა! გვაკურთხე!

ქურუმის ლოცვა სითბოს ასხივებდა და ჩვენს გულებში იჭრებოდა. თითქოს ჩვენი მიტოვებული კერების ტყბილი კვამლი იყნოსეს ნესტოვებმა. სანატრელი ჩვენებები დაგვიდგა თვალწინ. ვიხსენებდით სამშობლოს, ვიხსენებდით ჩვენგან საუკუნოდ წასულებს, და მამაკაცებსაც კი გვისველებდა ცრემლი ლაწევებს. საულაშს ხელები ცისკენ აღეპყრო და განაგრძობდა:

— ო, ყოვლად მოწყალეო ბითხა! ახლა ბევრი ჩვენგანი სამშობლოში მიემგზავრება. ამორე მათ ცუდი გზა, ხიდები გაუღე უფსკრულზე, ზურგის ქარი ამოუყვანე ზღვაზე. დაიფარე ისინი, მწედ ეყავ, გამხნევე სულიერად.

— ამინ, ამინ! — შევძახეთ დანოქილებმა.

ლოცვის შემდეგ ხალხი საოცრად გამხნევებული იყო. მამაკაცებმა ხანჯლები შეიბეს, ნაგანები და შაშხანები აიღეს ხელში, ლოცვის დროს გვერდით რომ მოეწყოთ.

— აბა, ღვთით კურთხეულნო, კეთილი მგზავრობა გექნოდეს, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე. — დაიძახა ნაურისმა, ბარაკაის ძემ.

ხალხს წინასწარ დაეჭირა თადარიგი: თან წამოეღოთ ბოხჩები, ჯიბის ფული და ღოჭები. კაცები და ქალები გუნდად გაყვნენ ნაურისს უკან. მოხუც ჰამიდას პატარა შვილიშვილისთვის ტაპირისთვის ჩაველო ხელი, ისე მიდიოდა უკან

არც იხედებოდა. ლტოლვილები ტრაბი-
ზონის მხარეს გაემართნენ, იმედი ჰქო-
ნდათ, რომ გემს იშოვიდნენ და სოხუმ-
კალს მიმართულებით გაემგზავრებოდ-
ნენ. თუ არა და, მაშინ ფეხით უნდა მი-
სულაყვნენ საზღვრამდე. ღმერთის,
იარაღისა და ბედის წყალობით ფიქრო-
ბდნენ უბიძგების ქვეყნამდე მიღწევას.
მთელი ჩვენი ოჯახი სანაპიროზე იყო
გამოფენილი. გამოვემშვიდობებთ მატას.
მისი ბარგი-ბარხანა ავიცილდე და კარგა-
ხანს მივეყვებოდი გვერდით. მერე ერთ-
ხელ კიდევ გადავხევიეთ ერთმანეთს და
ბრამის პირას გაჩერებული დიდხანს
გავცქეროდი საშობლოსაკენ მიმავ-
ლებს დეიძლი მშის შური რა საკადრი-
სია, მაგრამ მატასი მშურდა. რა ბედ-
ნიერია, საშობლოში მიღის, მე კი...
ღმერთია მოწმე, გავიქცეოდი და დავე-
წეოდი კიდევ იმათ, დედა, მამა და დე-
ბი რომ არა. და განა მარტო ისინი?
თვალწინ იდუმალი კუნძული როდოსი
დამიდგა. ამ კუნძულზე იყო ჩემი საყ-
ვარელი ფელდში. ნაკუწ-ნაკუწ შეფ-
ლითებოდა გული დარდისაგან.

* * *

შრომას შეჩვეული კაცისთვის იძუ-
ლებითი უსაქმობა სენივითაა. აბა რა
უნდა ექნა ჩვენს ოჯახს? მიწის ნასახი
არ გაგვიჩნდა, სულ პატარა ბოსტანი
მიიწი რომ გაგვეკეთებინა. ძროხა კი
არა და, ერთი ქეციანი თხაც არ გვყავ-
და, რომ მოგვეწყვსა. რისთვის უნდა
მოგვეკიდა ხელი? მადლობა ღმერთს,
რომ მამანემმა ბადე წამოიღო თან ში-
ნიდან. მთელი დღეები ზღვაზე იყო და-
კარგული. თევზილა იყო ჩვენი ერთად-
ერთი საკმელი. მე ხომ პირველ ხანებ-
ში პირდაპირ მკლავდა უსაქმობა. შემ-
დეგ კი სოფლებსა და ქალაქებში ხე-
ტიალს შევეჩვიე. რას არ ვაკეთებდი,
ერთი გოგონა პური რომ მიმიტანა შინ:
ტვირთს ვეზიდებოდი პორტში, ხან შე-
შას ვუჩეხავდი რომელიმე მდიდარ
თურქს, ხან კიდევ ბოსელს ვუსუფთა-
ვებდი. არაფერს არ ვთავილობდი, მაგ-
რამ რა უნდა მეშოვნა, როცა ასე გაუ-

ფასურებელი იყო მუშახელი? შენ აღ-
ბათ არ იცი, ჩემო შარახ, რა არის
შიშვობა. როცა მარტო შენგ გაქვს კა-
რიელი მუცელი, ეს ნახევარი უბედუ-
რებაა, მაგრამ როცა მთელი შენი ოჯახი
შიშვობის, ეს უკვე უბედურებაა.
მაშინ, ვინდა თუ არა, ყველაფერს ჩა-
იდენ კაცი. ვინდა დამსაჯე და ვინდა
შემიწყალებ, მაგრამ იცოდე, მეც ვიტვირ-
თე ცოდვა ჩემს უნებურად. როცა ორ-
მოცდაათამდე შეიარაღებული ჯაბუკი
„სანადიროდ“ წავიდა, მეც გავყვი-
როვორც უკვე გითხარი, მაპაჭირებზე
ცული ხმები დადიოდა მთელ თურქეთ-
ში. ჩოხიან კაცს რომ დაინახავდნენ,
ცხვირწინ მიუეკრავდნენ ხოლმე კა-
რებს. ბევრჯერ შეეჯახნენ ერთმანეთს
პოლიცია და შეიარაღებული მთიელები.
ის კი არადა, თუ პოლიცია ევრაფერს
გახდებოდა, ჯარი იყო მზად. ეცილო-
ბდით შორს, უგზო-უცვლო ადგილებში
გვემოქმედა, სადაც ჯერ არ ჰყავდათ
შენიშნული ჩვენი თანამომენი. გლე-
ხებს არაფერს ვუშავებდით, ან რას წა-
ვიღებდით მათგან, ისინიც ჩვენსავით
ლატაკები იყვნენ. ჩამოსულ ვაჭრებსა
და ნოქრებს კი ეატყავებდით გვარი-
ნად. პირწმინდად ვართმევდით ფულს,
ქსოვილებსა და ფეხსაცმელებს. ცხე-
ნებსაც მივრეკავდით ხოლმე. შენ თვი-
თონ წარმოიდგინე, უცხენოდ როგორ
გავიღოდით იოლად. რა დასამალია
და პოლიციასთან შეტაკების დროს
ორივე მხარეს იყო მსხვერპლი. ცოცხ-
ლად თუ ვინმეს ჩავიდებდა პოლიცია
ხელში, საშინლად აწამებდნენ.

ამ გულად ბიჭებს სწორედ მაშინ
შევეურთდი, მატას რომ ვაცილებდი.
ყველა თარეში როდი იყო იღბლიანი.
ერთხელ პოლიციელებმა გადაწყვიტეს
ალყა შემოერტყათ ჩვენთვის. ბევრნი
იყვნენ ის წყეულები. ორორმა და სამ-
სამმა ძლივს დავალწიეთ თავი მათ ხა-
ფანგს, დამლაშობით ჩრდილებივით
მივძვრებოდით უღრან ტყეებში, კლდე-
ლრებზე მივბლოტილებდით და სანა-
პიროსაკენ ვეშვებოდით. ჩვენი არყო-
ფნის დროს სამსუნის ახლოს დაბინავ-

ბულ მამაჩირებთან შარდინი დაბრუნდა, ალოუს ძე. ბევრი ელოდებოდა შარდინს, ალოუს ძეს სულმოუთქმელად, მათ შორის მამაჩემიც. ჩვენი ბატონი მზიარულად აციმციმებდა თვალებს, ნადველის პაწია ღრუბელიც კი არ უჩრდილავდა შუბლს. ჩოხის ნაცვლად თურქული ტანსაცმელი ემოსა. თავზე შეფოჩიანი წითელი ფესი ეხურა. ქარვის კრაილოსანს მარცვლავდა. შარდინის სიარულსა და ხმას ჭედმალლობა და თვითკმაყოფილება შეეძინა, მოძრაობას — კი სიზანტე. იკითხა: როგორ ცხოვრობდით უჩემოდო, რა ამბები იყო და ხალხმა, ძველი ჩვეულებისამებრ, უსაყვედუროდ უამბო რა საშინელი ბედი არგუნათ განგებათ.

— ომში არ გაწყვეტილა ამდენი ხალხი, ნახევარ წელიწადში რომ იმსხვერპლა უცხო ქვეყანამ.

ამ ცნობას არც მაინცა და მაინც დაუნადვლებია ჩვენი ძუძუმტე. იმან უფრო ვაუფუტა ხასიათი, რომ გაიგო თხოვნა გავუგზავნეთ მეფესო. არც ის მოეწონა, ნაურბის, ბარაკის ძეს რომ გაჰყვა ბევრი ჩვენგანი.

— სადაა თქვენი გამძლეობა? — იძახდა შარდინი — წარღვნა დაიწყო თუ მიწისძვრა? ეჰ, თქვე უგუნურებო! თითქოს პატარა ბაღლები იყოთ, ერთი წუთითაც არ შეიძლება თქვენი უმეტველურად მიტოვება. ვინ ოხერმა ჩაგაგონათ მეფესთან თხოვნის დაწერა? თუ დაგავიწყდათ, როგორ გიშენდნენ რუსები ტყვიებს? გაატურების მონობა მოგეანატრათ? ვაი სირცხვილო! ერთი რამ გახსოვდეთ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ მუსულმანები ვართ და მართლმორწმუნეთა მიწაზე ვიმყოფებით! თვით ალაჰის მოციქული უკეთილშობილესი სულთანი ამ ქვეყნის პირველი ქვეშევრდომია. როცა ასეთ პატივზე ფიქრობ, გულს შევარდენივით მალა აჭრა სურს სიამაყისაგან. არ დაგიძალავთ და მე დიდი სულთანის აბდულაზიზის დედასთან წარმადგინეს. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ის ადიღელა. მისი და ჩემი წინაპრები ნათესა-

ვები იყვნენ. ერთი სისხლი გვიღვას ძორღვებში სულთანის დედამ ჩემი ბედი და, მაშასადამე, თქვენიც. ისეთი კაცს მინდო, ვინც ქვეყნის მმართველის მარჯვენა ხელად ითვლება. ახლა ტყეებით, მინდვრებითა და წყლით მდიდარ ნაყოფიერ მიწებს ვგაძლევენ. იქ ეს გადატანილი უბედურება აღარც გაგახსენდებათ, გასამგზავრებლად მოემზადეთ, სანამ აცივდება, იქ უნდა ვიყოთ.

შარდინის, ალოუს ძის დაბრუნებას სხვისი ნაამბობის მიხედვით გიყვები, დად. მე ხომ ამ დროს ეჭვადაც კი არაფერი ვიციოდი. უიღბლო თარეშის შემდეგ სანაპიროსაკენ ვიკვლევდით გზას. გზის უმეტესი ნაწილი გავლილი გვქონდა, აღმოსავლეთიდან ჩვენსკენ მომავალი მამაჩირების ჯგუფი რომ შევნიშნეთ. ფეხებს ძლივს მოათრევდნენ, უკან კი შაშხანიანი ჯარისკაცები მოყვებოდნენ. ხომ წარმოგიდგენია, შარახ, რა დაგვემართებოდა, თვალნათლივ რომ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ეს გატანჯული, არაქათგამოცილი ფეხშიშველი უბიხები იმათი მცირე ნაწილი იყო, ვინც სამშობლოსაკენ გაემგზავრა.

— მატა, — შეშლილივით ვიყვირე და ხალხში გადავეშვი.

მატა მოხრილი მოდიოდა, ჯოხს ეყრდნობოდა და მკერდზე პატარა ბიჭს იყრავდა. ბიჭი ხელად ვიციანი, შამიდას შვილიშვილი იყო — ტაპირი. ჯარისკაცების ყვირილისათვის ყური არ გვითხოვებია. საჭმლის მსგავსი თუ რაიმე გვებადა, ხურჩინებიდან ამოვფერთხეთ და შიმშილისაგან ღონეგამოცილ და სულიერად დაცემულ ხალხს გავუნაწილეთ. ჩვენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ვიყავით და ჯარისკაცებს კარგა გვარიანად შეეშინდათ. ამიტომაც მისცეს დაფერხების ნება მამაჩირებს. შესვენების შემდეგ დაჭრილი და ილაჯგაწყვეტილი ლტოლვილები ცხენებზე შევსვით და ჩვენც მათ შევერიეთ.

მატა და ტაპირი ჩემს ცხენზე შევსვი. მატამ მიამბო, როგორ მიადწიეს ტრაბიზონამდე. რომელიღაც გემის პა-

ტრონი დაპირებული იყო კარგა მოზრდილი თანხით კავკასიის სანაპიროზე გადაყვანას, მაგრამ ბოლოს შეშინდა და ისე გავიდა ზღვაში, კაციშვილი არ წაუყვანია. მაშინ, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდათ, ფხებით გაემართნენ საზღვრებისაკენ. მდინარე ჩურუკ-სუზე თურქმა მესაზღვრეებმა ხიშტები შეაგებეს. ორი კვირა ეძებდნენ მთიელები ფონს მეორე ნაპირზე გადასასვლელად, მაგრამ ამოდ: საზღვარს ფხიზლად იცავდნენ. თავზეხელაღებულიებმა გადაწყვიტეს ბრძოლით გაეკათათ გზა. დაიწყეს სროლა. პირველი ნაურიზი დაეცა, ბარაკის ძე, გული გაუხვრიტა ტყვიამ.

— მშურს მისი, — ჩაიჩურჩულა მატამ, — ეჰ, რატომ იმ ბიჭებში არა ვარ, იქ რომ დაეცნენ სამშობლოდან ნახევარი ვერსის დაშორებით! — მატამ საბერველივით ამოიქშინა და დაუმატა — უბედური ჰამიდა კი მდინარეში გადავარდა, თავისი პატარა შვილიშვილიც არ შეიბრალა. ჯერ კიდევ გზაში მიშვილა ჰამიდამ და ბიჭის ბედიც ჩამაბარა. ტაპირი ახლა ჩემი და შენი ძმაა, ზაურყან. მე თუ რაიმე შემემთხვა, შენ უნდა იზრუნო მასზე.

კარგ ამბავს ყველა გვიან გებულობს ხოლმე, ცული კი ჭარხაც გაასწრებს და ჭვეყანას მოედება. სამსუნის მიდამოებში დარჩენილმა უბიძებმა, დეერთმა უწყის საიდან და უკვე იცოდნენ, რომ ნაურიზთან ერთად წასულმა თანამემამულეებმა საზღვარი ვერ გადალახეს და ბევრი მათგანი დაიღუპა. მოჩვენების მსგავსი მაჰჯირების ჯგუფი რომ დაბრუნდა, ნაპირზე გულისგამგირავი წივილ-კივილი ატყდა. ერთმა დაბრუნებულეებში ძმა ველარ დაინახა, მეორემ — შვილი და მესამემ — ახლო ნათესავი. სწორედ ამის ბრალი იყო ალბათ, მზაუჩ აბხუბა იმედგაცრუებული რომ დაბრუნდა ტრაბიზონიდან, მხოლოდ მწუხარე დუმილით შეხვდა ხალხი. პასუხი უმკაცრესი იყო: ჩვენს თხოვნაზე მეფეს თავისი ხელით წაეწერა: „უბიძების საკითხი გადაჭრილია, გადასინჯვას არ საჭიროებს“.

— ხომ გეუბნებოდით, ასე იქნება მეთქი, — მხიარული წინწინსმთაცებით იძახდა შარდინი, ალოუს შქა შეჭმის გადაწყვეტილება რომ გაიგო. მან იცოდა, რომ უნდოდათ თუ არა, ახლა ხალხი მის ნება-სურვილს დაემორჩილებოდა. ერთადერთი რაც ჩვენს წინაძილოს ხასიათს უწამლადა, ჰაჭი კერანტიზი იყო, — ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! — თავი ველარ შეიკავა შარდინმა. „მე ვარ უბიძების ერთადერთი მთავარი მგზავრი“ — ეს გამოსქვივოდა მისი სიტყვებიდან.

მალე მოადგნენ ნაპირს გემები. იმ კურთხეულ მიწაზე რომ გადავეყვანეთ, შარდინი, ალოუს ძე რომ გვეუბნებოდა. ორი დღის შემდეგ სამსუნის მიდამოებში არცერთი უბიძი აღარ დარჩენილა, იმათ გარდა, ვინც მიწაში იწვა უკვე.

ორი გრძნობა შეეჭახა ჩემს სულში ერთმანეთს. ერთი მათგანი ნაღვლიანი იყო — ჩვენ ხომ კიდევ უფრო ვშორდებოდით უბიძების მიწას. მეორე კი ნათელი გრძნობა იყო — ჩვენი გემები ხომ კუნძულ როდოსს მიადგებოდნენ და ღვთის წყალობით იქნებ ფელდიშისათვის მომეკრა თვალი. გეიბანზე ვიდექი და სანაპიროს გავცქეროდი, სადაც ერთადერთი ხე მოჩანდა მხოლოდ. ხის წინ საკუტის სამარის თეთრი ქვა ლაპლაპებდა. სამარის თავზე კი ხის ტოტზე გამობმული აფხიარცა ქანაობდა, სულ ცოტა ხნის წინ გულეებს რომ გვითრთოლებდა ხოლმე. უცბად მომეჩვენა, თითქოს აფხიარცის სიმებმა გაიწკრიბა და ბრმა მომღერლის უკანასკნელი სიმღერის სიტყვებიც მომესმა:

კეი, ძებუო სად მყავს ცხენი,
ჩემი ფიცხი ბეღაური?
გულმოკლული ცხენზე მქდარი
ვიშვიშებდა მეთაური.

ოვალზე ცრემლი შევიწურე,
ცხენს ლეგამი ამოვდგო.
გაი, ჩემო სამშობლო,
დაკარგული სამოთხეო.

გემებს კურსი სტამბოლისაკენ ჰქონდათ აღებული. მესამე დღეს სტამბოლის რეიდზე ჩაუშვეს ლუზები, მაგრამ ნაპირზე არაფერი გადაუშვეს, რადგან პორტის ხელისუფალთ ეშინოდათ ტიფი ან ქოლერა არ შეგვეტანა ქალაქში. გემებთან მდულარესავით კვარჩხალებდა წყალი, ტალღებიც გამწარებული ეხეთქებოდნენ გემბანს. თურქმა მეზღვაურმა ათუხთუხებულ წყალს გადახედა და თქვა:

— შითან აქინთასი!

ცრუმორწმუნეებს ეს ცუდად ენიშნათ. სტამბოლიდან გემებმა იზმილისაკენ გასწიეს, მაგრამ არც იქ დაგვრთეს ნაპირზე გადასვლის ნება. ერთადერთი, ვისაც ეს არ ეკრძალებოდა, შარდინი იყო ალოუს ძე. მან კარგა ხანს დაჰყო ქალაქში და რომ დაბრუნდა ღიმილით წაიტრიაბა:

— პატიეცემულებო, აქ ჩემი მეგობარი, თქვენი მხსნელი სელიმ-ფაშა ცხოვრობს, სანამ მისი მფარველობის ქვეშა ვართ, ნურაფრის შიში გექნებათ.

გემებმა ბანდირმის მხარეს გაუხვიეს. გემები გემსაბმელებით მიაბეს თუ არა, ჩამოვდით და ფეხით გავუყვეით გზას ოსმან კოისაკენ. უკან მიუყვებოდით ფორანს, რომელზეც შარდინის ჯალაბობა იყო მოთავსებული.

შემდგეში ადგილობრივი მცხოვრებლები გვიამბობდნენ, თქვენს ჩამოსვლამდე კარგა ხნით ადრე ერთი უბიხი ჩამოვიდა, სახელად ოსმანი ერქვაო. დადიოდა, აქაურობას ათვალეირებდა და რაღაცას ინიშნავდაო. მერე კი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდაო. შეიძლება ეს უბრალოდ მოგონილი ამბავია და მეტი არაფერი, ან ვინ იცის, იქნებ ის ოსმანი შარდინი იყო, ალოუს ძე?

ოსმან კოი

სალამო ხანი იყო, მხარზე სიძინდით სავსე ტომარა ვადებული რომ შევედი ეზოში. მოციხფრო კვამლი მსუბუქად იჩეჩებოდა ალიზის ქოხის თავზე. ჩვე-

ნი წითელფლორაჯებიანი თეთრი ძაღლი გამოიქცა და ფეხებში დაშიწყო. ლაქქცი. აკრიახებული ქათმები ქანდარახე შეფერენას აპირებდნენ. დედაჩემი ნასი ტაპირს ტუქსავდა, კედზე ნუ ეპორწილები ხბოსო. მისი ალერსიანი და თბილი ხმა მალამოდ მომედო გულზე მამაჩემი პატარა სკამზე ჩამომჯდარიყო და ჩვენს ურქო ძროხას წველიდა. მოგუდული ჩხრალოთ ჩადიოდა რამე ხის დერგში. კუნას მწვანე ხახვის კონა ჩაებლუჯა და ბოსტინიდან მოიქჩაროდა, ეშინოდა ღომისთვის დადგმული წყალი არ გადმოსულიყო ქვაბიდან. უმცროსი და ჯუნა კი გამზეურებულ ლეიბებს ბერტყავდა. «ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, — გავიფიქრე მე, — იქნებ შენი წყალობით ისევე წინანდელივით აეწყოს ჩვენი ცხოვრება».

ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ვახშმად რომ დავჯექით, მატაც მოვიდა, რაღაც ვერ იყო ხასიათზე.

— ხომ არაფერი მომხდარა, შეილო? — ჰკითხა მამამ ნავახშმევეს.

— ბატონის მამულში აღარ წავალ. — უბასუხა მამამ და სუფრიდან ადგა. — იქიდან რომ მოვიდიოდი, ჩემს თავს სიტყვა მივეცი: მორჩა, აქ მომსვლელი აღარ ვარ-მეთქი.

— აჩქარებულხარ, დად, — ამშვიდებდა მამა.

— საკუთარი ყანა ვერ გავვითონხიადროზე. რა ხანია დავავციანეთ, სარეველამ სიძინდი გამოაღრჩო. აქეთ კიდევ თამბაქო გვიღებება, მარტო დები ვერ აუღიან კრეფას.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ რას ვიზამთ. ეს ჩვენი კი არა, ჩვენი წინაპრების დადგენილია — თვითოეული ოჯახიდან ერთმა კაცმა თავადის მამულში უნდა იმუშაოს ორ დღეს. გარდა ამისა, შარდინი, ალოუს ძე ჩვენი ყველაზე უფრო ძვირფასი და ახლო ნათესავია.

მამამ სანთელი აანთო და ქალამების ამოსასხმელად დაჭდა.

— მარტო მე კი არა, ვინც იქ დღეს

მუშაობდა, ყველამ დაიფიცა ხელ არ მოვალთო. — წარმოიძახა მატამ.

— ყველამ ასე თუ გადაწყვიტა, მაშინ ალბათ მართალი ხართ, — ეთქვი მე.

— როგორც ვხედავ, შენ ცეცხლზე ნავთის დასხმა გეხერხება. მაგას ტვინი ისედაც შექანებული აქვს — მამამ მატასავე გაიქნია თავი — და კიდევ შენი ბიძგი უნდა? თუ დაგავიწყდათ, რომ შარდინი ჩემი ძმუძმეტა? სინდისი უნდა გქონდეთ, სინდისი! მართო ჩვენ კი არა და ოსმან ქოეში დასახლებული ყველა უბიხი მადლობელი უნდა იყოს იმ სიკეთისათვის, რაც შარდინმა გავციკეთა. იქნებ დაგავიწყდათ რა დღეში ვიყავით სამსუნის ახლო-მახლო? ასეთი უმადურობა ცოდვია იცოდეთ!

— როგორ გგონია შენი ძმუძმეტე თავის კეთილდღეობაზე არ ფიქრობდა, აქ რომ გადმოვყავდით? ასე რომ არ მოქცეულიყო, ვინ იმუშაებდა მის მამულში? თანაც უგლეხებო თავადიშვილი ვერაფერიშვილი თავადია ახლა კი არ ხეინად ცხოვრობს. გუშინ საღამოდან სელიმ-ფაშა ჰყავს სტუმრად... გუშინდელი ნაქეიფრები ამ დილას მზის ამოსვლის მერე აღგნენ და მაშინვე ნარდს მიუსხდნენ. ფულის გროვა წააგო შარდინმა, ალოუს ძემ. თვალებს არ ეუჯერებდით, ლირებს რომ ითვლიდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ვიშოვი იმდენს. ჩვენ მარილის საყიდელი ვახერხებელი კაპიციანი არ გავაჩნია და ეს უქნარა კი ჩვენი ოფლით მოგებულ ფულს უბრალო ქალაქადივით აბნევს აქეთ-იქეთ. ჩემი ყურით გავიგონე რა სიტყვებით ლაბარაკობდა თავის ძმაკაცთან ქალბატონთან მოსაკითხით მოსულ გოგოებზე.

— შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, შვილო და არავინ გეკითხება, ვის რისი უფლება აქვს. ერთნი იმიტომ გაჩენილან, რომ სხვებს უბრძანონ, მეორენი კი იმიტომ, — რომ დაემორჩილონ. ეს კაცის სურვილი კი არაა, ალაპის ნებაა. და ორივემ დაიმახსოვრეთ: — მამა თითოთ დაგვემუქრა, — ჩვენ უცხო

მხარეში ვართ და ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რაიმე რომ გავვიჭირდეს, შარდინის, ალოუს ძის (გარსი) მატრონი არა გყავს, ისაა ჩვენი მფარველი.

მამამ საყვარელი გვერდზე გადადო, სანთელს სული შეუბერა და დაუმატა:

— ზეგ პარასკევია, მეჩეთში წასვლა არ დაგავიწყდეთ.

— უჩვენოთაც იოლად წავლენ, — თავი ვერ შევიკავე მე.

— ალაპმა შევიწინდოს, — ჩაიჩურჩულა შეშინებულმა დედამ.

დაღლილები ვიყავით და ადრე დაეწყეთ, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. თვალგებავილილი ვიწექი და მამაჩემისა და მატას საუბარზე ვფიქრობდი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მართლა მივიღეთ მიწის პატარა ნაკვეთი და ბინაც ავიშენეთ, რიგიანად მაინც ვერ ვცხოვრობდით; გვიჭირდა. თუ უბიხების მიწაზე ერთი ბატონი გყავდა და მართო მას ვუხდიდით ვადასახადს, აქ ორი ბატონისათვის უნდა გადაგვხადა. ერთი შარდინი იყო, ალოუს ძე, მეორე კი მიწის მფლობელი სელიმ-ფაშა. ჩვენ მხოლოდ მოსავლის მესამედლია გვრჩებოდა. მერედა ჯანა ისეთი ყანა გვექონდა, როგორც უბიხეთში? აქაურ მიწის ნაკვეთს ხარის ტყავი გადაწვდებოდა. აბა მიდი და მთელი ოჯახი ამ მესამედით არჩინე. არც სახელმწიფო გადასახადისაგან ვიყავით თავისუფალი. იმ ღამეს გვიან დამეძინა და ცული სიზმარიც ვნახე.

მეორე დღეს შუადღისას დედა სადლისათვის რომ შლიდა სუფრას, გაცეცხლებულმა შარდინმა ეზოში არაბული ბედაური შემოაგელვა. ცხენი გაქაფული იყო. ეტყობა, მხედარი დაუზოგავად მოაჭენებდა. ცხენი ლავამს დრდნიდა, ცერად იხედებოდა და ოფლით შენამულ წვრილ ფეხებზე ტრიალებდა.

მხედარი არც ჩამოქვეითებულა და არც მოგვსალმებია, გაბრაზებულმა დაიღრიალა:

— ეი, ჰამირზა, გამაგებინე, რატომ ამომიძულე ასე?

— რა მოხდა, ჩემო ძვირფასო ძმაო? — შეშინდა მამაჩემი.

— იქნებ არ იცი, რომ შენი დიდგულა ბიჭი — შარდინმა ხელში ჩაბლუჭული მათრახი მატასაყენ გაიშვირა — ბუნტს მიწყობს? მაგის მიბაძვით დღეს კაციშვილი არ მოვიდა ჩემს ყანაში სამუშაოდ. აი, შენი გაზრდილი შვილი, ჰამირზა. — შარდინმა მათრახი აიჭნია და ცხენი გაფითრებულ მატასაყენ დაძრა.

— არ გაბედო! — გზა გადავუქერი და ცხენს აღვირში ვტაცე ხელი.

გაცივებულ შარდინს, ალოუს ძეს უნდოდა ჩემთვის გადაეწნა მათრახი, მაგრამ როგორც ჩანს ჩემმა გამოხედვამ შეაჩერა, მათრახი ხელზე ჩამოეკიდა. ორივენი ვკოშინებდით.

— მომისმინე შარდინ, ალოუს ძეე, — სული რომ მოვიტყვი, პირველმა ამოვიღე ხმა, — სამგზის ნათესავიც რომ იყო, მაინც არა ვაქვს ჩვენზე მათრახის აღმართვის უფლება. ფრთხილად იყავი! — ცხენს აღვირში ჩავკიდე ხელი და ჭიშკრისაყენ წავეყვანე, — შშვიდობით, შარდინ, ალოუს ძეე!

— ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ ამას, — ამოიხრიალა მან, ცხენი გაახურა და გააქვინა.

— ეს რა ჩაიდინე, — აცახცახებულნი ტუჩებით ბუტბუტებდა მამაჩემი, — როგორ გაბედე იმ კაცის ეზოდან გაგდება, ვინც ბებიაშენის რძითაა გაზრდილი?

ერთ საღამოს სამჭედლოსკენ გავეშურე, გასალესად მიბარებული თოხები მქონდა წამოსადები. თანაც ჩემს შეგობართან, მჭედლის შვილთან დურსუნთან მინდოდა წასაუბრება. სამჭედლო ახლოს იყო ჩვენთან, რაღაც ერთი ვერსით თუ იქნებოდა დაშორებული. წვიმდა და ბევრს ვადახე ადრე დაემთავრებინა სამუშაო. რამდენიმე გლეხს სამჭედლოს წინ ფარდულისთვის შევეფარებინა თავი. მიეთ-მოეთობდნენ, ახალ ამბობს უყვებოდნენ ერთმანეთს, ზოგი თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა, ზოგი ვილაყას ქირადადა. დმერთმა უწყის რა

გზით მოდის ხოლმე ხალხამდე ახალ ამბავი. არ ვიცი საიდან და უფელს ვაყვავო ჩვენი შარდინთან წაქინკლაგებნისამბავი, შევრსაც მოჭფონებოდა გულზე:

— გამარჯობა, ზაურყან, — შემომეგება კეთილი ომარი, — მარჯვედ დახვედრიხარ იმ თქვენ ნათესავს.

— ახია იმაზე, — ამოიღრინა მოხუცმა რაშიდმა, ტარს რომ უგებდა თოხს. ცეცხლზე ნავთის დასხმა აღარ მინდოდა და სხვა რამე ვიკითხე.

— დურსუნი არ გამოჩენილა?

მჭედელი დავითი წარმოშობით ქართველი იყო. მისი წინაპრებისთვის ოდესღაც იძულებით მიუღებანებიათ მუსულმანობა და რაკი საქართველოს სამხრეთი ნაწილი თურქებს დაუპყრიათ, აქეთ გადმოუსახლებიათ. დავითი თურქეთში დაბადებულა. ცოლი ადრე მოკვდომია და ერთი ვაჟიშვილი დაუტოვებია ქმრისთვის — დურსუნი. ბიჭი გაიზარდა და მამას ამოუდგა მხარში. ორივენი გულისხმიერი და მშრომელი აღამიანები იყვნენ. ვინ მოთელის თსმან-ქოეში ჩამოსულ რამდენ მაჰაჯირს გაუწია დახმარება მამაშვილმა. უფასოდ უქვდადნენ თოხებსა და ნაჯახებს, პურს უწილადებდნენ, ავადმყოფი ბავშვებისთვის კი რძე მოჰქონდათ. არ ვიცი როგორ და, მჭედელი და ჩვენი ოჯახი საგანგებოდ დავმეგობრდით ერთმანეთთან. რით აღარ გვეხმარებოდნენ. ვადასახადის გასასტუმრებელი ფული რომ არ ჰქონდა, დავითი დაუზარებლად აძლევდა ხოლმე მამას სესხს. მე და დურსუნი კი ვანუყრელი ძმაკაცები ვავხდით. ერთი დღე რაა, ერთი დღეც არ გაივლიდა, ერთმანეთს რომ არ შეეხვედროდით. დურსუნის მამას მოსწონდა ჩვენი შეგობრობა.

— თქვენ ორივენი იმ ხალხის ნაშვირები ხართ, ჩოხას რომ ატარებდნენ, გვითხრა მან ერთხელ, — ამიტომ ისე განუყოფელი უნდა იყოთ, როგორც ერთი ხანჯლის ორივე პირი.

დურსუნი მოხერხებული ბიჭი იყო. ასეთებისთვის ცეცხლიდან თავის დაღწევაც არაფერია. მიუხედავად სიყმა-

წვილისა და ვითის ბიჭს მთელი თურქეთი ჰქონდა მოვლილი. „მარტო ეშმაკის რქებზე არ ვყოფილვარო“, უყვარდა ხოლმე თქმა. ერთხელ გულლია საუბრის დროს ფელდიშზე ეუბამებ. მითანაგრძნო და ჩემი იმედის პაწია გემზე აფრაც აღმართა.

— კუნძულ როდოსზე წაიყვანესო, ამბობ? — მან ხელი ზღვისკენ გაიშვირა, — ეს აქედან არც ისე შორსაა, ნუ დარდობ, მოვიფიქრებთ რამეს... „იციოდე, დღეიდან შენი ერთგული თანამონაწილე ვარ“. — ამას ნიშნავდა მისი სიტყვები მეგობრობის ენაზე.

ბინდდებოდა, წვიმამ იკლო. სამკედლოს წინ ჩამომსხდარი, ლაპარაკით გულმოჭერებული გლეხები უკვე სახლებისკენ აპირებდნენ წასვლას, წვიმით გალუქებული ქანტიმირი რომ მოვიდა ქალაქიდან.

— აბა რა ამბები მოგვიტანე, ბერიკაცო! — ჰკითხა ომარმა.

— ცუდი. სულთან ბალკანეთის ომში ჩაება. დღეს თუ არა, ხეალ სოფლის თავები სახლებში დაიწყებენ წაწმალს და ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, ჭარში გაიწვევენ.

გაგონილმა შემფოთებული დემილი ჩამოაგდო გლეხებში. ფარდულის სახურავიდან ჩამოვარდნილი წვეთების წკარუნიც კი ისმოდა.

— ჩვენი შვილები თუ წაიყვანეს, ყველაფერი დაგვეღუბება, — თქვა მწუხარედ ჩაფიქრებულმა საატმა.

— ისე ხომ ცოტა რამ გადავიტანეთ და ეგლა გვაკლდა!

— ხელმწიფეები მიწას იყოფენ ერთმანეთში და სხვისმა შვილებმა სიცოცხლე უნდა გასწირონ ამისათვის.

აფორიაქებული იყვნენ მეზობლები. ამ ამბავმა მეც ადგილზე გამაშეშა, თითქოს ურო დამარტყესო ზურგში. ჩემი პირველი ფიქრი ისევ ფელდიშს მისწვდა. „ჭარში თუ წაიყვანეს, გათავდა, ფელდიშს ველარასოდეს ვნახავ“. მეგობარი ჭირში უფრო საჭიროა, ვინემ ლხინში. ერთად იმსჯელებთ, ასწონ-დასწონით საქმეს და გამოსავალ-

საც იპოვი კაცი. სწორედ იმ ღამეს დურსუნი შინ არ დაბრუნდა.

უძირო ცაზე საესე მთვარე ეკიდო. ციაგობდნენ მომწვანო ვარსკვლავები. ნიავის წამოქროლებაზე შრიალებდნენ ფოთლები. ჩემმა აფორიაქებულმა სულმა და დაუმცხრალმა სიყვარულმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ გამხელა მრცხვენოდა და, ნიაქარს დაეუწყე ლაპარაკი: „სიკეთე მიყავ, ქარო და კუნძულ როდოსისკენ გაიქროლე. მოძებნე იმ კუნძულზე ჩემი სატრფო და ისე მიელამუნე, რომ არ გაადვიდო. თუ ცხელა, მხურვალე შუბლი გაუგრილე, ხოლო დაწვები ცრემლით თუ აქვს დანამული. შეუმშრალე. სიკეთე მიყავ ქარო, კუნძულ როდოსისკენ გაიქროლე! როცა ცისკარზე ჩემი თვალისჩინი გაიღვიძებს და წაბლისფერი აბრეშუმის თმის დაწვენას დაიწყებს, ყურში ჩასჩურჩულე: „იმედს ნუ გადაიწყვეტ, ზაურყანის შენსკენ მოდის და ვერც მთა და ვერც ზღვა ვერ დაუდგება წინ. ელოდე...“

აწრიალებული დავებეტებოდი აქეთ-იქეთ, თავზე კი ისევ დამნათოდა მცხრალი მთვარე, რამდენჯერ მივედი ჩვენი ეზოს ჭიშკართან, მაგრამ ვერ იქნა და ზღურბლს ვერ გადავაბიჯე. ძილი მაინც მომბრეოდა, ლოგინში ჩავეწვებოდი, მაგრამ იმ ღამეს ძილიც გამიბროდა.

მაღე მამაჩემი შარდინთან, ალოუს ძესთან გაემართა, ისე რომ ჩვენთვის არაფერი გაუმხელია. დამნაშავესავით ჩაუვარდა იგი ფეხებში თავის ძუძუმტეს:

— გვედრები, დად, აბატიე ჩემს უგუნურ ბიჭებს. მართალია გაწყენინეს, მაგრამ სამაგიერო მიიღეს ჩემგან. იყავი მოწყალე, ნუ გაგვირისხდები, ჯერ იმათ ქარი უქრით თავში.

— ისინი პატიების ღირსი არ არიან, პამირზა, მაგრამ შენდამი პატივისცემის გამო ვეცდები დავიფიქრო მათი დანაშაული. — უპასუხა შარდინმა, ალოუსძემ.

— ჩემი ბიჭები ნამდვილი უბიხები არიან, ბრძოლის ველი სახნავ-სათესი

მინდორივით მიაჩნიათ. ზაურყანმა საქმით დაამტკიცა ეს. არც მათაა მხდალი... ხმები დადის მალე ახალგაზრდა უბიძებს ჯარში გაიწვევენ...

— ასეთი მამაცი ბიჭების ადგილი სწორედ იქაა...

— ეგ მართალია, მაგრამ მე აღარ შემიძლია, დავუძღვლოდი, ცოლიც ავადმყოფობს. ამ უცხო მიწაზე ბიჭები თუ არ მიეყოლა გვერდში, უსაკვებოთ დარჩენილი ბებერი ცხენებით დაეხმარებოდნენ. დედამისის ხსოვნას გაფიცებთ რომელი ერთი ძუძუთი რომ გავუზარდა, დამეხმარე, ერთი შეილი მინც დამიტოვონ.

— მე რა, ჯადოსანი ხომ არ გგონივარ? შენ ადვილი გგონია, ჰამირზე რეკრუტის დახსნა გაწვევისაგან?

— ჭანა არ ვიცი ძნელი რომაა, მაგრამ შენ...

— გარდა ამისა. ჩემი ძუძუმტის შეილები ასეთ მფარველობას არ იმსახურებენ.

— ცეცხლს ნათით ვერ ჩააქრობ, წყენას რისხვით ვერ გააქარწყლებ, დაღ.

— გეყოფა ჰკუის სწავლება. ნათესაობა მინც ნათესაობაა. მის პატივსაცემად მოვიფიქრებ რამეს, შენ თავხედ ბიჭებს ომში თუ გაიწვევენ.

მამაჩემი ცუდ დახვედრას ელოდა, შარდინი, ალოუს ძე კი პირიქით, თავაზიანად და სტუმართმოყვარულად შეხვდა. გაუმასპინძლდა, ნარდი ეთამაშა და ბოხობიც კი აჩუქა. გამომშვიდობებისას მამაჩემმა ვითომ შეუმთხვევით უთხრა:

— შენი ბიჭები ჩემს მამულში მუშაობისგან გამითავისუფლებია, თავის კარმიდამოს მიხედონ. სამაგიეროდ შენ იარე, ძმაო, ჩემთან უფრო ხშირად და მოსამსახურეებს ადევნე თვალი. ჩემიანი ხარ და ვიცი, ჩემი ერთგულიცა ხარ. ჰო, მართლა, კინალამ დამაეიწყა, ქალბატონმა ვთხოვა, კვირაში ორჯერ რიგრიგობით გამოუშვას ჩემთან ქალიშვილები. თავისი ოთახის დალაგება და თეთრეულის რეცხვა ახლობლებს უნდა ჩააბაროს.

— აბა, ასეთ სიკეთეზე უარს როგორ ვტყუოდა მამაჩემი? თითქოს ვახალგაზრდადებული დაბრუნდა შინ. ეგონა მთელი ოჯახი გააბედნიერა. რა იცოდა საბრალომ, რომ შარდინის, ალოუს ძის მოჩვენებით გულკეთილობაში შეაბნეული ვერაგობა იმალებოდა.

ამ დღიდან მოყოლებული ჩემი დედა და კუნა კვირაში ორჯერ, რიგრიგობით, დადიოდნენ თავადის სახლში და დღიდან საღამომდე ქალბატონს ემსახურებოდნენ. ახლა მამაჩემიც ბატონების მამულში ატარებდა დროს უმეტესს. თავადის თვითიული სიტყვა კანონი იყო მისთვის.

კუნა და ჯუნა კარგი გოგონები იყვნენ, გულდიები და გულკეთილები. კუნა თეთრი იყო, ოქროსფერი ნაწნავები ჰქონდა. დიდი ნაცრისფერი თვალები დღენიადავ ჩაფიქრებული ჰქონდა, დინჯად და ნაღვლიანად იცქირებოდა. იშვიათად თუ გაიცინებდა ხოლმე. ჩუმი და საბრალო იყო, ყველაფერი გულთან მიჰქონდა, სულ პატარა საწყენიც კი ცრემლებს ჰგვრიდა. მტრედივით დაგოგმანებდა. ჯუნა კი პირიქით, შავგვრემანი იყო, ყორნისფერი ხევეული თმა ჰქონდა, თანაც ისეთი სქელი, რომ წვიმაც ვერ გაატანდა შიგ. აგალები მაყვალისგან შევი ჰქონდა. მხიარული გოგო იყო, სულ კისკისებდა და ცეკვავდა. საიდუმლოს შენახვა არ ეხერხებოდა და თუ რაიმეზე წყდებოდა გული, მამაჩემი იტყოდა. ორივე და წარმოსადევობითა და სიძალით გამოარჩეოდა. თუ არ იცნობდი, ვერ იტყოდი დედა არიანო. ჩვენი ოჯახის მთელი სიხარული ეს გოგონები იყო.

ერთხელ ჯუნა დათქმულ დროზე არ დაბრუნდა ბატონის სახლიდან. გვიანობამდე სხვა დროსაც რჩებოდა ხოლმე, მაგრამ დამეს ყოველთვის შინ ათევდა. მთელი დამე თვალი არ მოგვიხუჭავს. მოგესხენება, მდიდრების სახლი დიდი პატიოსნებით არ გამოიჩინევა. ქალიშვილი კი, როგორც აფხაზებს გიყვართ ხოლმე თქმა, ჭიქასა ჰკავს, ხელიდან თუ გაგვიარდა, მორჩა...

ის-ის იყო ჯუნას ამბის საკითხავად წასვლა გადავწყვიტე, რომ ჩვენს ქიშკარს წითელი ფაეტონი მოადგა ევენების ქლარუნით. შიგ სამი ჩაღისფერი ცხენი იყო შებმული. „ნეტა ვინ არიან, იქნებ გზა აებნათ და საკითხავად მოვიდნენ?“ — გაიკვირვა დედამ. და აი საშინელებაც, ფაეტონიდან ჯუნა გადმოვიდა...

— რა ამბავია, შეილო? — შესძახა დედამ და შესახვედრად გაიქცა.

— არაფერი, რა ამბავი უნდა იყოს. შარდინს, ალოუს ძეს ძალზე პატივაცემი სტუმრები ეწვივნენ და მთელი დამე ქეიფობდნენ. მომსახურება ხომ უნდოდათ სტუმრებს და მე დამტოვეს. ძალიან დავიღალე და ქალბატონმა სტუმრების ფაეტონით გამომიშვა.

სალამოს, ვახშმად რომ დავსხედით, შევნიშნეთ, რომ ჯუნა მოწყენილი იყო და ხმას არ იღებდა. იქნებ მართლა ფეხზე ძლივს დგას დაღლილობისაგან? — გავიფიქრეთ ყველამ ერთნაირად.

მეორე დღეს, გაგანია შუადღისას, სადილად რომ ვაპირებდით დასხდომას, ეზოში არაბული ცხენი შემოიყვანა შარდინმა ნეაზრ-ნეაზრდით და აღქპარებლად ჩამოქვეითდა. რაც ეს საჩინო მხედარი მივაბრძანე ჩვენი ეზოდან, ფეხი აღარ გადმოუბიჭებია ჩვენი ზღურბლისთვის. ახლა კი ისე იტყეოდა, ვითომ არც ახსოვდა ის წყენა, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს. შარდინი, ალოუს ძე გულდიად იღიმებოდა, ყველანი გადაგვიოცნა, მეგობრულად დამკრა ხელი მხარზე და — აფერუმ, აფერუმო, — თქვა.

„უცნაურია, — გავიფიქრე მე, — რითი დავიმსახურეთ ასეთი ყურადღება? არც ის გამომპარავია, რომ ჯუნა, როგორც კი სახელოვანი სტუმარი გვეწვია, შინ შეიყუტა. „არა, აქ რაღაც ვერაა საქმე კარგად“, — ყურები ვიჭებოდა მე.

— ალას მადლობა შესწირე, ჰამირზა, ალას მადლობა შესწირე! — ნაძალადევი სიხარულით თქვა შარდინმა,

ალოუს ძემ დედაჩემის მირამიულ ტყავის ბალიშზე რომ ჯდებოდა...

— მადლობის თქმა ძნელი საქმეა, მაგრამ გამაგებინე, რისთვის?

— შენ გოგოს ჯუნას ისეთი ბედი ეწვია, რომ მთელი მისი ცხოვრება ოქროს სხივებით იქნება ნაფერები, ის კი არა და, თქვენც, ჩვენც — მისი ნათესავენბი და იქნებ მთელი უბნებიც ბედნიერი იყოს.

— კეთილი სტუმრისაგან კეთილ ამბებს ელოდებოდა მხოლოდ.

— მაშ მომიხსინეთ. სამი დღე იყო ჩემთან სტუმრად პატივცემული ვალი სელიმ ფაშა, აი, ვინც ეს მიწა გვიწყობდა. ის რომ არა, გაფიქრებაც მიჭირს, რა დღეში ვიქნებოდით ახლა. სულთანით შევხვდი. დაინახა თუ არა, ვალი სელიმ ფაშამ ჩვენი ჯუნა, თავბრუ დაეხვა, შეიყვარა და ინდომა...

დედაჩემი გაფითრდა, შარდენი, ალოუს ძე კი ისე განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს დიდი სამამულო საქმე გაეკეთებინოს.

— აბა დაფიქრდით, თვით სულთანის მეგობარმა, აურაცხელი სიმდიდრის პატრონმა ჭკუა დაკარგა ჩვენი ჯუნასთვის. ლამის დახოქილი შევედრებოდა, გადმომეცა შენთვის, ჰამირზა, რომ შენი შუეთუნახავი ჯუნას ცოლად შეთვა სწადია. დაე, სასახლის ყველა ქალი მისი მორჩილი იყოს, მთელი ჩემი განძეულობის საღაროს გასაღები მაგას ეპყრას ხელთ, ოღონდ ჩემი სიცოცხლის დაისი გამიცისკროვნოსო. არც თქვენ დავიწყებინებართ. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხართ, იზმიდში გადმოვიდნენ საცხოვრებლადო. თუ ურჩევნიათ, სადაც არიან იქ დარჩენენ, დღეიდან მაგათზე ზრუნვა ჩემი ვალიაო.

შარდინის ალოუს ძის გარდა არავის შეტყობია სიხარული.

— რას განუმებულხარ, ჰამირზა, სიხარულმა წაგართვა ენა?

მამაჩემს გადავხედე, სახე მოქუფროდა, ტუჩები ჩათეთქვოდა. ხმისთვის არ

აუწევია, ისე თქვა ნაღვლიანად და მტკიცედ:

— არა ჩემო ერთადერთო, შენ რჩევას ვერ მივიღებ, სიმართლე ვითხრა და გავფიქრებაც მიჭირს — რამ მოგასაზრა საკუთარი ძმისშვილის გაყიდვა ბებერი თურქის პარამხანაში? არა, ამისთვის არ გავვიზრდია ჩვენი შვილი. ის სასახლეცა და განძეულობაც მისი იყოს, ნურც თავის ცოლებს გაშორდება. ჩვენი შვილი კი ჩვენს ღარიბულ ქოხში დარჩება.

შარდინი, ალოუს ძე ნერვიულად იწიწკნიდა უღვაშს. სხვა დროს აფეთქდებოდა, მაგრამ ახლა თავს იკავებდა.

— შენი ნებაა, ჰამირზა, მეგონა გავახარებდი და გაწყენინე, მაგრამ ამბის მომტანს პასუხს არ აგებინებენ. ერთი კი გახსოვდეს — ქალმა თუ ვინმე შეიყვარა, დილეგშიც რომ გამოაშფუყდო, მაინც ვერ დააკავებ. ასე თუ მოხდა, ჩემი ბრალი არ იყოს.

ესა თქვა შარდინმა, ალოუს ძემ, ცხენზე შეჭდა და წავიდა.

მეორე დღეს მარტო დედაჩემი იყო შინ. ჭიშკარს ისევ მოადგა ის დასაწყავი წითელი ფაეტონი. ორმა კაცმა მძიმე სკივრი და მდიდრული ზარღახმა ჩამოიტანა ფაეტონიდან, დედას დაუდგეს წინ, თავიანი სცეს და უთხრეს:

— ეს სელიმ ფაშამ მოგართვათ.

დედამ უარი თქვა სიახუქარზე, მოითხოვა უკან წაედოთ ყველაფერი, მაგრამ მათ ისევ თავიანი სცეს, ჩასხდნენ იმ წყველ ფაეტონში და თვალს მიეთარნენ.

პატარა ტაპირი თოხარკით მოეარდა ყანაში:

— ბებომ დამბარა, ყველანი ახლავე წამოდითო შინ, — ძლივს ამოიქოშინა ტაპირმა.

ცუდად გვენიშნა ეს. მოვეარდით შინ. დედა თავზე დადგომოდა სკივრსა და ზარღახს და ცრემლებს იწმენდა. გახსენით სკივრი და მდიდარი დუქანივით რაღა არ ვნახეთ შიგ: მალული ვინდა, ხავერდი თუ ფარშევანგით მოხატული აბრეშუმი. სკივრის

ძირას კი თეთრი ქურჭი იყო ჭუნასთვის. ყუთშიც ჩაიხედეთ — და ომერთო ვეიხსენი, უამრავი ძვირფასეულობა იყო: მაჯალო ოქროს ბეჭედი და სამაჯურები, მარგალიტის საყურეები, მეშხეთის თირუზის ყელსაბამი. ეს რომ ჭუნამ დინახა, ჯერ გაშეშდა, მერე კი იყვირა: „მომეცით, ჩემიაო.“ — ყუთს ხელი დასტაცა და თავის ოთახში შეიმალა. ჭუნას საქციელმა ყველა გავგაოცა. მალე ჩვენი მეზობელი უაზამატი შემოვიდა, საკუთარ ყურებს არ დევუჭერეთ, რაც იმან ვეითხრა:

— ჭუნა მორცხვი გოგოა, როგორც ყველა უბიბი ქალი. გაბედულება არ ყოფნის დედასა და მამას თავისი ხეშიალი რომ გაუმხილოს, — სელიმ-ფაშას უნდა ცოლად გაჰყვეს. ჰოდა, აი მე ამომირჩია შუამავლად რომ შეგატყობინოთ — არა — ვინ აიძულებს სელიმ-ფაშას ცოლობას, ეს თავისი სურვილია და ხვალ ნიშნობაც იქნება.

ფეხები მომეკვეცა.

— რა ნახა ამ ავხორც ბებერში, იმდენი თითიც კი რომ არა აქვს ხელგზზე, რამდენიც ცოლი ჰყავს? — ვიკითხე ნაღვლიანად.

— ეპ, სიყვარულისას რას ვაიგებ, — თითქოს მამშვიდებო ისე შენიშნა უაზამატმა, — ჩემი ბებრუხანა რომ შემიყვარდა, ამხანაგები დამცინოდნენ, თვალები სადა გაქვს, სულელოო. მაგას ზედაც არ შეგხედავთო, მაგრამ ჩემი თვალები რომ მეთხოვებინა მათთვის, გეფიცები, მეტოქეებად გადამეტყეოდა ყველა. შენ შენი მინარეთიდან ნუ იყურები. სელიმ-ფაშა, მართალია, ხანდაზმულია, მაგრამ ჯერ ისევ მხნედაა. ისე კაცმა რომ თქვას, არც ფულია ცხოვრებაში ზედმეტი რამ. სადაც მდიდარს ცოტა გაუჭირდება იქ ღარიბი სულს დაღვეს. ჭუნას კი ნუ უსაყვედურებთ, ვინ იცის, იქნებ მარტო თავის თავზეც არ ფიქრობდა, ქორწინებას რომ დათანხმდა.

გაშეშებული ვისხედით და ხმას არ

ვიღებდით. ერთმანეთს თვალს ვარიდებდით, დედა თავს აქნევდა, სლუკუნებდა და შავი თავსაფრის წვერით ცრემლებს იშშრალებდა.

— ძალა აღმართს ხნავს. თვითონ გადაწყვეტა და გადათქმევინება უკვე გვიანაა. — წამოდგა მამა, ცელი აიღო და მინდერისაკენ წალასლასდა.

„იქნებ ბატონების სახლში სიმდიდრით მოხიბლეს? ან მოსაფერებელი სიტყვებით აუბნიეს თავგზა? ერთი პირისპირ და გულლიად უნდა ველაპარაკო,“ — გავიფიქრე და დისკენ გავემართე. კარი გამოვადე და რას ვხედავ: ჭუნას მორთმეული კაბა აცვია, სარკის წინ ზის და ბრწყვიალა საყურეებს ისინჯავს. თითებზე ოქროს ბეჭდები უბრწყინავს. ისე გაბანგულა თავისი საქმიანობით, რომ კარის წრიალზეც არ მოუხედავს. საქციელ-წამხდარს ერთი სიტყვაც არ მითქვამს დისთვის, ისე გავცილდი იქაურობას.

შარდინი, ალოუს ძე სწორი იყო. მეორე დღეს მზის ჩასვლისას ფაეტონები და ღია ეტლები მოგრიალდა ჩვენს სახლთან მხედრიონის თანხლებით უაზამატი სახლში შემოვიდა, ჭუნა უკვე ელოდებოდა. გამოპრანჭული და მომღიმარე გაჰყვა იგი უაზამატს ქუჩაში, ჩაჯდა წითელ ფაეტონში და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა მტერის კორიანტელში.

ღრმად დამწუხრებულებმა თავები ჩავექინდრეთ. თითქოს აიშას ჩრდილი შემოდგა ზღურბლზე...

მალე ნათესავები, ყონალები და მეზობლები შემოლაგდნენ მოსალოცად. მათი მხიარული შეჭახილები ისე უადვილოდ მეჩვენებოდა, როგორც სიცოლია ხოლმე სასაფლაოზე.

— გვიხარია, ძალიან გვიხარია!

— ყოჩაღ, ჭუნა! კარგად გათხოვდა, კარგად!

— ისე იცხოვრებს, როგორც სამოთხეში. მდიდარი და სახელგანთქმულია სელიმ-ფაშა.

— ბედნიერი!

„ღმერთო ჩემო, — მიკვირდა მე, — ჩემი და ერთი ბებერი ავბარცის ხარკვა გახდა და ესენი კიდევ გვილოცავენ, ბევრს ალბათ შურს კიდევ ჩვენი“. რატომღაც ძველი აფხაზური სიმღერის სტრიქონები ამეკვიატა:

ძერამ თუ ყვაილი წილო ცაში,
ჩალა გაახარებს იმ უვაილს შაშინ.

სწორედ იმ დროს გამოჩნდა მოულოდნელად ოსმან-ქოეში საპატქერი. უკვე დიდიხანია უგზო-უყელოდ დაკარგულად ვთვლიდით, გვეგონა უტხო მხარეში დაიღუპა და ალაჰს მიიბარა სული. ის კი უტბად არ აღსდგა მთელი თავის ჯალაბით?! თანაც მაწანწალასავით ჩამოძენძილი კი არ გამოცხადდა თავის თანამემამულეებს, მოხეტიალე დევრიშად კი არ მოგვევლინა, მდიდარი ჰაჯის სამოსი ეცვა და თავიც ჭათქათა ჩაღმით ჰქონდა შემკული.

— მექას მოვილოცე, პატივცემულნო, ქააბის შავი ქვის წინ დავიჩოქე და თქვენს გადასარჩენად ლოცვა აღვაველინე. როგორც ჩანს მისმინა უზენაესმა და მშვიდობიანი ცხოვრება მოგივლინათ ამ სამოთხის კუთხეში, იდიდოს მისმა სახელმა. არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა, მაჰმადია მისი წინასწარმეტყველი!

მალე ოსმან-ქოეში ახალი მეჩეთი გაიხსნა და მთავარ მოლად საპატქერი მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ ზელფასს ხაზინა უხდიდა, მან თვითნებურად დააკისრა თვითეულ ოჯახს „მეჩეთის“ ბევარა. ძნელადღა იცნობდა ვინმე მთავარ მოლაში ძველ საპატქერის. გაიბღინდა, გაყოყონდა და გადიდგულდა. ხალხი გულლიად კი არა და, საერთოდ აღარ ელაპარაკებოდა.

* * *

საპატქერის დაბრუნებას ორთაბრძოლის მსგავსი ამბები მოჰყვა. ახლად მოველნილ იმამსა და ქურუმ სა-

ულას შორის სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახება მოხდა. თვითუფლები მათგანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მეტოქეს აღემატებოდა. საქმე იქამდე მივიდა, ძვირფასო შარახ, რომ ორივენი ნაგანებით შეიარაღდნენ ჩუმად. თვითუფლის ოცნება იყო, სადმე, მოწმის გარეშე გაეხვირტა ტყვიით შუბლი მეტოქისათვის. იარაღის ტარება კი, როგორც მოგვხსენება, სასულიერო პირისათვის მიუღებელია, მაგრამ ორივე ფიქრობდა წმინდანად გახდომას იმ ქვეყანაშიც მოვესწრებით. განჯეთქილება უფრო და უფრო იზრდებოდა, ფარულიდან სააშკარაოზე გამოვიდა და ნებით თუ უნებლიედ ოსმან-ქოეში დასახლებული თითქმის ყველა უბიბი ჩაითრია.

როცა სამსუნის მიდამოებიდან ოსმან-ქოეში გადმოვსახლდით, გვეგონა, როგორც იქნა, ღმერთმა კეთილი თვალთვალად მოგვხედა-თქო, საკუთარ თავზე კი ვფიქრობდით, მაგრამ არც წმიდათაწმიდა ბიბია დაგვიწყენია. მუწანე ბორცვი შევარჩიეთ მისთვის, გვირგვინით რომ ედგა თავზე ტოტებგამოლოლი რცხილა. თხა შევწირეთ და სახეიმოლოცვად აღვაგლინეთ. სალოცავი მიტოვებულ სამშობლოზე მოგონებებით ვგაერთიანებდა, გვაკავშირებდა თანამემამულეებს, ამქვეყნიურ საზრუნავს გვაიწყებდა. უბიხეთში ბიბიას წინ სალოცავად დაიოქილებს გვეცხადებოდა ხოლმე.

საპატქერის, ალაჰის ქვეყანაში, ალაჰის გარდა რაიმესადმი თაყვანისცემა დიდ ცოდვად მიაჩნდა. მან მეჩეთში მიიწვია ქურუმი საულაჰი და უბოდიშოდ მოახსენა:

— რას სჩადიხარ თუ იცი, თხაწვერაჲ, კერბთაყვანისმცემლობისაკენ მიგყავს ხალხი?

— ქეშმარიტებას ღალადებ, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, — შეაწყვეტინა იმამმა, — მიწაში ჩამარხე ეგ შენი ქორის მავარი ქვა — შენი ბიბია

და იმ ბორცვზე აღმართული ხეც მოკერი.

ქურუმი შეძრწუნდა:

— აბა რას ამბობ, საპატქერი, წმიდათაწმიდას მიწაში ჩამარხვა როგორ შეიძლება, როცა წინაპრებმა გვიანდერქეს, საკუთარ სიცოცხლეზე უფრო ზეტად გაუფრთხილდითო მას. იცოდე მისი რისხვა არ აცდებია!

— ნუ მაშინებ!

— რამ გათქმევინა: სალოცავი მიწაში ჩამარხეო, — არ ცხრებოდა საულაჰი, — საკუთარ გულს უფრო ადვილად ამოგლეჯენ უბიხები, ვიდრე ბიბიას მიბარებენ მიწას.

— დიდი უგუნური ვინმე კი ხარ მოხუცო, — არ უთმობდა იმამი, — წინაპრების ძეგლები ზღვის იქით დარჩა, სხვა მიწაში, აქ კი ყველასთვის ერთი კანონი არსებობს — მუსულმანური კანონი და მას უნდა მორჩილებდე ყველა.

— შენი განზრახვა რომ ჩვენმა თანამემამულეებმა გაიგონ, იცოდე კარგი დღე არ დაგადგება.

— ეგ არა და, ალაჰის ნაცვალის დიდი სულთანის ყურამდე თუ მიაღწია ხმამ, რომ უბიხები მეჩეთზე უფრო რალაც ქვას სცემენო პატქეს, ცუდად წავივით საქმე, საულაჰ!

სწორედ ამ დღიდან დაიწყო მათ შორის ბრძოლა.

იმამი საპატქერი არაფრის წინ არ იხედა, ოღონდ უბიხების ერთადერთი სულიერი წინამძღვარი გამხდარიყო. რამდენჯერ გამგზავრა იზმიდს სელიმ-ფაშასთან და აშუბები ითუტანა თანამემამულეებზე. მრავალი ღირსეული მთიელის სახელი მოხვდა მისი აზრით საშიშ პირთა შვ სიაში. პირველ რიგში რა თქმა უნდა, ქურუმი იყო მოხსენებული.

როცა უბიხებმა შარდინს ალოუს ძეს მოახსენეს საპატქერი მეჩეთის გადასახლად უკანონოდ გვახდევინებსო, მან ერთ ყურში შეუშვა ეს და მეორედან გაუშვა.

მაგრამ არც ქურუმ საულას ეძინა: არ დაუმალა ხალხს, რომ იმამმა წმიდა ბითხას მიწაში ჩამარხვა და სალოცავზე აღმართული ერთადერთი ხის მოჭრა მოითხოვა. თითქოს თოვის წამლის საწყობის ახლოს ხმელ თივაში ნაპერწყალი ჩააგდო ქურუმმა უბიხების სულში კვლავ აგიზგიზდა ქედუხროლობის ცეცხლი:

— მაგათი წყალობით სამშობლო დაჯარგეთ, ათასობით კაცი სახადისაგან დაიღუპა და ახლა ჩვენი მფარველი და მოწყალე წმიდა ბითხა მკვდარივით უნდა ჩავმარხოთ მიწაში? ამას არ დავუშვებთ.

— სალოცავის შენებას თუ ვაბედვენ, მეჩეთს გადავწვავთ!

ასე გაიძახოდნენ უბიხი ჭაბუკები, რომელთა თანდაყოლილმა სიძაძაყემ და მეომარმა სულმა სიფრთხილე არ იცოდა. ვინც ისე გასწირავდა თავს, რომ შედეგზე არც დაფიქრდებოდა. „მეჩეთის გადაწვა ადვილი საქმეა, მაგრამ მერე იცით რა მოჰყვება ამას?“ — აფრთხილებდნენ ახალგაზრდებს ამ საბედისწერო ამბავით ჩაფიქრებულნი საღად მოაზროვნე ადამიანები.

საპატქერი რომ სულიან-ხორციანად თურქებმა მოისყიდეს, ეს ჩემთვის დღესაც ნათელი იყო. მე სხვა რამე მოცუბდა: როგორ ბედავდა იგი უბიხების თავმოყვარეობის შელახვას? ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ზომ უბიხი იყო? რატომ გვიბიძგებდა იმ განწირული ნაბიჯისაკენ, რომელიც მუსულმანთა ქვეყანაში ბევრ ჩვენ თანამემამულეს დაღუპავდა? და მე სურვილი გამიჩნდა, პირისპირ შეეყროდი იმამს.

* * *

მეჩეთის კარებს ღვთისმსახურების დასასრულს მივადექი. დაველოდე სანამ უქანასკნელი მლოცველიც არ წავიდა და როცა დავრწმუნდი, რომ საპატქერის გარდა არავინ იყო, ჩუმიად, მალულად შევიპარე მეჩეთში.

საპატქერი ორ ანთებულ სანთელს შორის იდგა და ფულს ითვლიდა. უცბად ჩგრძნო, ვიღაც რომ უსახლოვდებოდა, ფული ჯიბეში ჩაიტენა და ყურანზე დაიხარა. მე პირდაპირ ზედ მივადექი და თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს.

— დაიგვიანე, მსახურება დამთავრებულია, — მითხრა მან ნაძალადევი საყვედურით, სანთლების მოფარფარე შექმე კი დამფრთხალი თვალები დააცეცა. — ხანჯალი რატომ გარტყია წელზეთუ არ იცი, რომ ალაპის სავენეში იარალით შესვლა აკრძალულია? — მკაცრად მკითხა საპატქერიმ, თვალები კისევ აქეთ-იქით გაურბოდა შიშისგან.

— მე კი შეიარაღებული ვაპირებ სამოთხეში გამგზავრებას, ისე, ყოველ შემთხვევისათვის, — ავღებულად ვუთხარი და კიდევ უფრო ახლოს მივიწიე მისკენ.

— რა გინდა ჩემგან?

— აი, რა მინდა! — ქარქაშიდან ხანჯალი დავაძრე და გულზე მივაბჯინე იმამს.

— ქუთაზე არ ხარ? ყაჩაღი! ეი, ვინა ხართ მინდ, მიშველეთ! — ამოიყნავლა მკვდარივით გაფითრებულმა.

— ნუ ღრიალებ, კაციშვილი არ არის აქ, ყოვლის შემძლე კი ძალზე შორსაა და ვერ გაიგონებს. — მე ოდნავ მივაწიე ხანჯალს.

საპატქერიმ უკან დაიხია და რაღაც დაუნაწევრებელი ამოიზმუვლა.

— შორჩი ზმუილს, შენ არც ალაპი გწამს და არც შაითანი, ძაღლი! თანამემამულეებს ჰყიდი, არა? მოლაღბევე!

იმამი უკან უკან იწევედა და გაიძახოდა:

— გონს მოდი! რა გინდა ჩემგან მიშველეთ, ხალხნო!

— რატომ უნდა გიშველონ, რომ მოატყუილო? აქ გადმოსახლებას რომ ურჩევდი? სად არის ის მუსულმანური გიულისტანი, სადაც არც მტრობა, არც გაჭირვება, არც სიციხე, არც სიცივე, არც სიღარიბე და არც შიშშილია?

სად არის-მეტქი, გეკითხები. სამსუნის მანაპიროზე რომ გადმოვსხედით, სად დაივარდა, სად წახვედი, საკუთარი ტყავის ვადასარჩენად არა? — ხანჯლის წვერი კიდევ უფრო მიეზღინა მკერდზე.

— რისთვის მკლავ, მე ხომ მამაშენის მეგობარი ვარ, — კბილების კაწკაწითა და ბლუკუნით მკითხა: მოლამის თითო ნაბიჯით იხვედა უკან, მე კი თითო ნაბიჯით მივიწვედი წინ.

მაღე კედელს მიაწვა ზურგით, ხანჯალმა ცანსაკმელს გაატანა და წვერი მარცხენა ძუძუს ქვეშ მიეპირა.

საპატქერის ფეხები მოეცელა.

— გამოტყდი, — ვუბრძანე მე, — იცოდე, შენი აღსასრული მოვიდა, ბებრო მატყუარა, გამოტყდი, სად და უსთანაა შენი შავი სია, — ცოტა კიდევ მივაწეჭი იმამის მკერდზე მიბჭენილ ზანჯალს.

შისისა და ტკივილისაგან გაფითრებული საპატქერიმ ძლივს ამოიბლუჯუნა:

— სია სელიმ ფაშასა აქვს. მე მიბრძანეს და... მე თვითონ... მე არაფერ შუაში ვარ. ერთიც იცოდე, მე თუ მომკლავს სხვას დანიშნავენ.

გულწრფელობისთვის შევიწყნარე და ზანჯალი ქარქაშში ჩავაგე. საპატქერის ფეხები მოეცეცა და ჩაჭდა. ყურანი მივუბრძანე.

— მისმინე იმამო, რა გითხრა: დღეს წმიდა ბითხასთან თავს მოვიყრიით და იმედი გვაქვს, შენც მოხვალ.

— სხვა რაღა დამრჩენია, — ჯერ შისს არ გაველო და ისევ კანკალით მიპასუხა იმამმა.

— მოხვალ და მოინანიებ. რაც იყო, იყო, რაღაც გაუგებრობა მოხდა, თორემ მეცა და თქვენც ერთი სისხლისანი ვართ, თქვენც უბიბები ხართ და მეცათქო. არავითარ მოთხოვნებს აღარ წამოგიყენებთ, როცა გინდათ მაშინ ილოცეთ თქვენს ბიბიხაზე, დაე, მწედ გეყოთ-თქო იგი!

— როგორც შენ იტყვი, ზაურყან, — დამეთანხმა იგი.

— სამწუხაროა, რომ შენი შავი სია

სელიმ ფაშას ჩაუვარდა ზელთ და გელარაფრით დაიბრუნებ.

— სამწუხაროა, — კვერი დამიკრა მან, — ველარ დაიბრუნებ.

— ყურანზე დაიფიცე, რომ რასაც დამპირდი, შეისრულებ.

— გვედრები, ზაურყან, ყურანზე ნუ დამაფიცებ, — ფეხზე წამოდგა მოხუცი, დაწვებზე ღვარად მოსდიოდა ცრემლი.

— მშვიდობით, საპატქერი, ენახო, როგორ შეისრულებ სიტყვას! მინდა მჯეროდეს, რომ შენში ისევ ჩქეფს უბიხური სისხლი. ესეც დაიხსომე: მე მეჩეთში არ ვყოფილვარ და არც არაფერი მომხდარა.

ხელი ზანჯლის ტარს დავადე და მოლა მარტოლ-მარტო მივატოვე.

მაღე საპატქერიმ ავადმყოფობა მომიხეზა, იმამის მოვალეობა მოიხსნა და იზმიდს გადასახლდა. მას ქერე აღარ შევხვედრივარ და არც არაფერი გამიგონია მასზე.

მესამე დღე იყო, რაც ქალაქ იზმიდიდან ჩამოსული ოფიცერი ახლო-მახლო სოფლებში დადიოდა და მოედნებზე შეგროვილ ხალხს ომანიანი ხმით უკითხავდა სულთანის ირიდეს. ოფიცერს ზეპირად პქონდა დამახსოვრებული ბრძანების სიტყვები, მაგრამ მაინც მედიდურად ატრიალებდა აქეთ-იქით ქალაქს და მაინესავით გაიძახოდა:

— „ალაპის ნაცვალს დედამიწაზე, დიდ სულთანს მიზნადა აქვს დასახული დაიცვას მუსულმანების წმინდა უფლებები მთელ ქვეყანაზე! გიაურების ვერაგობის გამო ის იძულებულია, ჭიხაღუშში გაიწვიოს მართლმორწმუნენი. სულთანის ყველა ქვეშევრდომი, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, ალაპის წინაშე ვალდებულია, თავისი წმინდა ვალი მოიხადოს — აღსდგეს ისლამის დასაცავად და გაანადგუროს მისი მტრები!... — ოფიცერს ხახა გაშრობოდა და ზრინწიანი ხმით ლაპარაკობდა. ბრძანების მიხედვით ყველა იქ მოხსენიებული

1 ბრძანებულება (თურქულად).

პირი დილით მოცდაზე უნდა გამოცხადებულიყო შესაფერისი ტანსაცმლითა და საგზლით ომში გაწვევულების ოჯახებს მთავრობა დახმარებასა და სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლებას ჰპირდებოდა. იუწყებოდა, რომ ვინც სამხედრო სამსახურზე უარს იტყოდა, საკვდილით დაისჯებოდა, ჩამოაღრჩობდნენ. დიდება ალაჰს, ქვეყნის მეუფეს!

დადგა მეორე დღე. ცვარმა კი არა და დედების ცრემლმა დანამა მიწა. იმ დღეს ბევრი სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის ახლობელს, ბრძანებაში არც ჩემი და არც მატას სახელი არ ყოფილა მოხსენებული.

სინდისი შექნენიდა ომში მიმავალთა წინაშე, მაგრამ ამავე დროს ისეთმა საოცარმა სიხარულმა ამიტანა, როგორც დედინანია აღარ განმეცადა. თვალწინ კუნძული როდოსი მედგა. ჩემი ერთგული დურსუნე ემზადებოდა ამ კუნძულზე გასაყოლად; მაგრამ აი, დავგაშორეს ერთმანეთს. აფრიანი ნაეის პატრონთან გავეშურე, დურსუნმა რომ გამაცნო. მე-თვეზემ საკუთარი ზუთი თითივით იცოდა გზა აღთქმული კუნძულიკენ, ჩვენ ბელი მიეცეთ ერთმანეთს.

სწორედ იმ წელიწადს ღვთის წყალობით. კარგი თამბაქო გვქონდა. უღანაკარგოდ თუ ავიღებთ, — ვფიქრობდი მე, — გადასახადებსაც გადავიხდით და იმდენი კიდევ დამრჩება, რომ მენავე გავისტუმრო. დავიწყე დიდი ხნის ნანატრ მგზავრობისთვის მზადეჭა. აბა იფიქრე, ოთხი წელი გავიდა, რაც სხვადასხვა მხარეს გაგვრიყა ბედმა მე და ჩემი საყვარელი ფელდიში და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი სურვილი მასულდგმულებდა, მხოლოდ ერთი რამ მქონდა ოცნებად გადაქცეული — ფელდისთან შეხვედრა. ნათელიც ბნელი იყო ჩემთვის უიმისოდ.

მთიელი ძალის გედი

სამი თვე გავიდა ჯუნის წასვლიდან. წავიდა და წავიდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ეს იყო, რომ ხანდახან შარდინი,

ალოუს ძე გადმოგვეცმდა ზოლზე მის მოკითხვას, რასაც სელიმ ფაშა გვიტვლიდა ვითომ შარდინთან გაგზავნილ მეგობრულ წერილებში. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ფოსტალიონმა წერილი მოგვიტანა. ჩვენ გვარში წერა არცინ იცოდა და მაშინვე მივხვდით, ეს ჯუნას წერილი იქნებოდა. არც ჯუნამ იცოდა წერა, მაგრამ ვიფიქრეთ ალბათ ვისმეს დააწერინა-თქო. კითხველ არ ვიცოდით, მითუმეტეს რომ თურქულად იყო ნაწერი. ნასწავლ მოხუცს მზაუჩ აბზუბას მივმართეთ დასახმარებლად. ჯუნა გვტყობინებდა: ჯანმრთელადა ვარ და ბედის კმაყოფილი ვარო. ოღონდ ესაა ყველა ძლიერ მენატრებით და განსაკუთრებით კი ჩემი საყვარელი კუნა. „რა კარგი იქნებოდა, რომ კუნა ჩამოსულიყო იზმიდში? — არ ფარავდა სურვილს ჩემი და, — ერთი ორი კვირა დარჩებოდა, თვითონაც გაერთობოდა და მეც გამახარებდა“. წერილი ზაფხულის დამესავით მოკლე იყო, მაგრამ ჩვენ კი დიდი სიხარული მოგვიტანა და დაგვამშვიდა.

მაღე ჭიშკარს მდიდრულად მოართული ეტლი მოაღდა. შიგ ორი შაოსანი მანდილოსანი იჭდა. სახეზე ჩადრი ეფარათ. შინ შემოვიდნენ და მოგვესალმენ: — მშვიდობა თქვენს სახლს!

შემდეგ კი თავიანთი თავი წარმოგვიდგინეს:

— ჩვენ თქვენი ქალიშვილის ჯუნას მსახურნი გახლავართ. ჩვენი კეთილსმყოფელი ხანუმი სიყვარულით მოგიკითხავთ და სიკეთეს გისურვებთ. ალაჰის წყალობით ქალბატონი განცხრომაშა და მისი სილამაზე, თქვენდა საბედნიეროდ, მთელ სასახლეს ასხივოსნებს. ერთი რამ ადარდებს მხოლოდ, თქვენთან განშორება! თუ არ გინდათ, რომ მისი რისხვის მსხვერპლნი გავხდეთ, გვედრებით, კუნა მაინც გაგვატანეთ მის მოსახლებულად. ჩვენი მშვენიერი ქალბატონი ნამდვილადაა ასეთი სიხარულის ღირსი.

ესა თქვეს და მეეტლემაც შემოიტანა მოზრდილი ყუთი.

— ეს კი ქალბატონის მორთმეული საჩუქრებია.

ჯუნას შინამოსამსახურეების მოულოდნელმა გამოჩენამ და მათმა ნათქვამმა ძალზე გაგვახარა, კუნამ კი თვითონ დაგვიწყო ხეყნა: ჯუნასთან წასვლის ნება დამრთეთო.

დღეა და მამა გულის კანკალით დათანხმდნენ და გამოპრანჭული კუნა, ჯუნას შინამოსამსახურეების თანხლებით გამგზავრა. რას ვიფიქრებდით, რომ ეს გამგზავრება საბედისწერო იქნებოდა.

გადიოდა დღეები, კვირები. კუნა კი არა და არ ჩანდა. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ღმერთო ჩემო, ვინ იცის რა უბედურება გვქირს თქვენ კი სამ მამაკაცს გულზელი დაგვიკრეფიათ და ზიხართ. ანჩალობდა დედაჩემი.

შეშფოთებული მამაჩემი შარდინს ვცა, ალოუს ძეს. მან კი საყვედურებით აავსო:

— ატეხე რა ალიაქოთი, ბებერო მამალო! თითქოს ზღვაში იღრჩობოდნენ შენი ქალიშვილები, ან უღრან ტყეში აბნეოდნენ გზა. ისინი კი თეთრ მარშარტოლს სასახლეში ატარებენ დროს. მხიარული არიან და ბედნიერნი, რა გინდა ინატრონ და არ აუსრულონ. შენ კი არიქა, მიშველეთო — იძახი. თორემ ნუ იტყვი და რა მომხდარა — კუნას რამდენიმე დღე დაუგვიანია, დიდი ამბავი! როგორ არ დაიგვიანებდა, როცა დები ისე ერთობიან, რომ გაათენებასა და დაღამებას ვეღარ ვებულობენ. იცი რა გითხრა? ეგ კი არა და, ყოველ ცისკარზე ილოცე და ალაჰს მადლი შესწიბრე, სელიმ ფაშა რომ მოგვივილინა. აბა შეხედე რა საჩუქრები გამოუგზავნა ამასწინათ ჩემს ცოლს: აი, ის ხალიჩა ზედ რომ ზიხარ, მისი მოძღვნილია. აი ის ლარნაკი თავისი ოქროს ლანგარით ფასდაუღებელი რამ არის. ახლა კი დამშვიდებული დაბრუნდი შინ. ამ დღეებში სტუმრად ვეწვევი ჩვენს ნათესავ სელიმ ფაშას და ჩემი ბელით ჩაგაბარებ შენს სასუკვარ კუნას. შენი ბიჭები კი ნუ დაივიწყებენ, რომ სელიმ ფაშას და-

ხმარებით გავანათავისუფლე ისინი ჯარიდან. პო, წადი, წადი!

საქონეში
გინდობით

• • •

შარდინი, ალოუს ძე ყოველნიარად ცდილობდა ხაზი გავსვა სელიმ ფაშასთან ახლობლობაზე. ეს ხელს აძლევდა, რადგან ზოგიერთები პირფერობით ეძებდნენ უბიხების ბელადის მფარველობას, ზოგიერთებს კი უბრალოდ ეშინოდათ მისი და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ასეთ კაცს ვერც ეურჩები და ვერც უჩივლებ სადმე.

თვითონ შარდინს კი, ალოუს ძეს მიუწვდომელი სურვილი ჰქონდა, თვით სელიმფაშაზე მადლა აქრილიყო. მას შემდეგ, რაც ჰაჯი კერანტიხი თითქოს ჩრდილში მოექცა, უბიხების სახელით სიტყვა ყოველთვის შარდინს, ალოუს ძეს ეძლეოდა ხოლმე. მდიდარი იყო შარდინი, ალოუს ძე, მაგრამ აბა რას წარმოადგენდა მისი ქონება სელიმ ფაშას აურაცხელ განძეულობასთან? ვერც მისი ძალაუფლება მივიდოდა იზმიდის გუბერნატორის ძალაუფლებასთან.

და აი, დიდგვაროვანმა მამაჩემმა ფრთხილად დაიწყო დიდების მწვერვალისკენ მიმავალი შორი, მაგრამ საიმედო გზის ძებნა. გადასახლების პირველსავე წელს მოახერხა მან სულთანის დედის სასუფეველში შეღწევა. მე უკვე გითხარი, შარახ, რომ სულთანის დედა ადილედი იყო. რაც მართალი მართალია, და შარდინმა მოახერხა ამ ქალის კეთილგანწყობა ჩვენსკენ: მისი მშვეობით მივიღეთ უბიხებმა მიწა ოსმანქოში. შარდინს, ალოუს ძეს უტყუარი ყნოსვა ჰქონდა, მყისვე უღებდა ადლოს სასახლის კარზე ყოველგვარ აღზევებასა და დაცემას და ექოსავით სწრაფად ეპასუხებოდა ხოლმე. სულთანის დაახლოვებული პირებივით ანგარებასა და ხრიკებს მიმართავდა და შურით აღავსებდა მათ. თვალსაც არ დაახამხამებდა, ისე დააგირავებდა ყველა მამაჩემს, ოღონდ თვითონ თუნდაც ერთი საფეხურით მადლა მიინც აეწია.

სელიმ ფაშამ კარგად იცოდა თავისი

კავკასიელი ყონადის პატივმოყვარობა, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, რომ შარდინი, ალოუს ძე თავს არ დაიზოგავდა, ოღონდ სელიმ ფაშასთვის გაესწრო დიდებაში. შარდინმა უფრო და უფრო მოუბშირა სტამბოლში საბრძოლველს. ზანდაზან თვეობით რჩებოდა თურქეთის დედაქალაქში და ადიღელ სულთანშას მონახულებას ახერხებდა. ის სმენას უტყობობდა წარჩინებულ მანდილოსანს, ვისი სილამაზეც დრო-ქამსაც კი ვერ წარებოცა. შარდინმა, ალოუს ძემ თავისი ცოლი და შანდა წარუდგინა სულთანშას. დაწყებაა ძნელი თორემ... იმ დღიდან მოყოლებული არცერთი მიღება არ ყოფილა სასახლეში ქალბატონსა და მის მულს მოსაწვევი ბარათი რომ არ მოსვლოდეს. პირველად რომ ნახა შანდა, სულთანმა ქალწულის საოცარმა სახიერებამ მოხიბლა, უსაყვედურა შარდინს, ალოუს ძეს:

— რაო, პატივცემულო, ვანა ასე უნდა დაგემალა ჩვენთვის შენი დის მშვენიერება?

მოგვხსენება: ერთი ქალი ხმაბლდა თუ აფასებს მეორის მშვენიერებას, თუნდაც ის ასაკით უმცროსი იყოს, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

თურქეთის მბრძანებლის დედა ზივსალმა შანდას, მოეფერა, თავისი ბეჭედი აჩუქა და „კავკასიის ალმასი“ შეარქვა მოწონების ნიშნად. შანდა მართლაც ციური სილამაზით როდი ბრწყინავდა, მიწიერ ჩვევებსაც შესანიშნავად ფლობდა. არ შეეშლებოდა სად და როდის უნდა გამოემქლავებინა თავმდაბლობა, თვინიერება და ღვთის მოსაგობა. ახლა შარდინის და სასახლის ზმირი სტუმარი შეიქმნა. თან ახლდა ბოლშე სულთანშას სეირნობის დროს, გულდასმით უსმენდა მის საუბარს ქარგვაზე, უმღეროდა უბიხურ სიმღერებს.

ავიდა თუ არა ტახტზე აბდულ — აზიზი, ადიღლად დაამარცხა შეთქმული მოწინააღმდეგენი — „ახალი ოსმანები“ და ომის მიუხედავად ისე ცხოვრობდა, როგორც ესამოვნებოდა. განსვენებულ მამისგან განსხვავებით, ქვეყნის

ახალ მმართველს დაახლოვებულ პირებთან საქვეყნო ამბებზე ქაქანი არ უყვარდა, წიგნებში ჩახედვას უპირიფოთ ეზარებოდა და მრჩევლების ზედმეტი ლაპარაკი ღლიდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველა სახელმწიფო საქმეს მინისტრებს გადააბარებდა და თვითონ მამლების ჩხუბითა და ცხენოსნობით გაერთობოდა, ინადირებდა და ქალებთან ყოფნით ინეტარებდა.

შანდა ღირსეულად შეაფასა სულთანმა და მალე მესამე ცოლადაც შეირთო. შარდინს სიზმარში ეგონა თავი. თვით თურქეთის სულთანის ცოლის ძმა რომ გახდა, ისეთ მიყრუებულ ადგილას ცხოვრება როგორც ნამანქოე იყო, იუკადრისა. ბედის თებური მთელი ჭალაბითა და ერთგული ხალხით სტამბოლს გადავიდა საცხოვრებლად. რკინა მანამ უნდა გამოიკვეროს, სანამ ცხელია.

აბდულ-აზიზი ახალ ცოლთან სიამტებილობდა და ნეტარებდა. ცნობილია, რომ ქმრები არასოდეს არ არიან ისეთი დამთმობნი, დამჭერნი და გულუხვნი, როგორც თავლობის თვეს. ჰოდა, შანდასაც არ გასჭირვებია, ოფიცრის წოდება და მაღალი ხელფასი რომ ებოძებინათ მისი ძმისთვის. სიზმრის მსგავსი სინამდვილე გრძელდებოდა. დიდმა ვეზირმა თვითონ წაიკითხა უმაღლესი ბრძანებულება შარდინისათვის, ალოუს ძისთვის ოფიცრის ჩინის ბოძების შესახებ. რაც ჰქონდა, იმას როგორ დაუკარგავ მამაჩემის ძუძუმტეს: მონერხებული იყო, ეშმაკი და ბაქია. მან ცალი ხელი შუბლზე მიიღო, მეორე გულზე და მადლობა მოახსენა ალაჰის ნაცვალს დედამიწაზე და იქვე, ყველას გასაგონად გამოთქვა საომრად წასვლის სურვილი.

— საქებარი და მისაბაძი საქციელია, — მიესალმა მის გადაწყვეტილებას დიდი ვეზირი.

შარდინს, ალოუს ძეს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ შანდას მომხიბვლველობით შორს ვერ წავიდოდა, მითუმეტეს, რომ აბდულ — აზიზი მარადიული

სიყვარულით არ გამოირჩეოდა. გარდა ამისა შურინი კარისკაცები ენას კბილს დაჰქერდნენ და აღარ ილაპარაკებდნენ — შარდინის წარმატება შანდას მოპოვებულია საქორწინო სარეცელზეო. სისხლის დაღვრა ან სულთანისთვის თავის განწირვა კარგი კოზირი იყო ამ დიდ თამაშში და შარდინიც არმიაში წავიდა, მაგრამ ბედი არ გინდა? სწორედ ბრძოლის წინაღუდს მოხვდა წინა ხაზზე და სწორედ ამ ბრძოლაში დაიფრინეს რუსებმა წითელთავე თურქები დიდი ქალაქიდან.

შტაბის ხელმძღვანელები თავს იმტერებდნენ, როგორ ეცნობებინათ სტამბოლში ეს უსიამოვნო ამბავი. ბრძოლაში იატაკვანიტ გადამწვება უფრო ადვილია, ვიდრე სულთანთან ცუდი ამბის მიტანა. ამას მხოლოდ ისე, სიტყვის მასალად ამბობენ ხოლმე: ცუდი ამბავის მაინც პასუხს არ აგებსო. შავი ამბავის მიმტანი შეიძლება ცოცხალი არ გამოსულიყო სასახლიდან. სწორედ ამ დროს ვიღაცამ შარდინი, ალოუს ძე ახლრა, მოფიქრებაც ამას ჰქვია: შარდინი ხომ თვით სულთანის ცოლის ძმას! შარდინმა, ალოუს ძემ თავის დაძვრენა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რას იზამ, ფრონტია, უარს იტყვი და გადაგზიან, საკუთარი დანით გამოიჭრი ყელს. „რაც იყოს, იყოს!“ გაიფიქრა შან და სტამბოლისაკენ გააქუნა ცხენი.

სტამბოლში ჩასული შარდინი მაშინვე როდი გამოცხადდა სასახლეში. თავისი ყონბლის — კაფეს პატრონის სახლში დაინძალა და მისივე მეშვეობით შანდა დაიბარა. ქალი შეპირდა, რომ მოძებნიდა სამსხვერპლოს, ვინც შარდინს დაასწრებდა სასახლეში ბალკანეთზე მომხდარი უბედურების ამბავის მიტანას. სისხლით მოსვრილმა ცრუ მაცნემ ძლივს გამოათრია ფეხები სასახლიდან. შარდინმა კი, ალოუს ძემ რბილი ხალიჩა გაიარა და მანუფეშებლად მოველინა სულთანს, მალამო წასცხო მის ჭრილობას, ბევრ კარისკაცს ეგონა, რომ სასახლიდან თავმოკვეთილ უბიხს გამოათრევდნენ, მაგრამ იმე-

დი გაუცრუვდათ. აღაპის ნაცვლი ნალვლიანი, მაგრამ ნათელ გულადრულე, სახით მოველინა დარბაზს. „ხენლქ“ სახმ-რძოლო აბჯრით შემოსილი ცოლისძმისთვის ჩაეკიდა. წელში მოხრილ დიდებულებს მიუბრუნდა და წარმოთქვა:

— რაკი დიდებული შარდინი, ალოუს ძე მძიმე ბრძოლის შემდეგ ცოცხალი და უვნებელი გადარჩა, გმირობის ნიშნით ვაჯილდოებ.

სულ ცოტა ხნის წინათ კარისკაცები მეტიჩარას, მაწანწალასა და გადამთიელს უწოდებდნენ შარდინს, ახლა ზურგსუქანაც კი ეწინოდათ მისი უდიერად ხსენების. მიუთმეტეს, რომ პოლიციის მინისტრმა თავის ადიუტანტად დანიშნა. ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა თუ არა, ვერ გეტყვი, დაღ შარახ, იმას ვიყვები, რაც გამოგონია შარდინზე, ალოუს ძეზე, მოკლედ, როგორც მომყიდეს, ისე მოგვიდე.

ოსმან-ქოეში დარჩენილი უბიხები სხვადასხვანაირად მსჯელობდნენ შარდინის სულთანთან სიახლოვეზე. ერთნი ამბობდნენ, უბიხებისთვის ეს პატარა ამბავი არ არისო:

— თუ რაიმე გავვიჭირდება, შეიძლება პირდაპირ შარდინს მიემართოთ, ალოუს ძეს. ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებს. — ამბობდნენ ისინი.

— შეარქვეს რაღა ქორს არწივი. მან საკუთარი დედამა მიატოვა და სხვისთვის აიტყივებს აუტყივარ თავს? ჯობია ვილოცოთ და ღმერთს ვევედროთ, რომ შარდინის გულისთვის სუყველა არ დავიღუპოთ, — ფრთხილობდნენ სხვები.

მამაჩემი ნალვლობდა თავის ძემძემტეზე, ენატრებოდა იგი. მე კი მიხაროდა, სტამბოლს რომ გადავიდა საცხოვრებლად — ნეტა ჩემს სიცოცხლეში არ მენახა.



დილდობლით მოხუცის დახმარებით უბიხურ ენას ვსწავლობდი, ნაშუადღევს კი მის ნაამბობს ვწერდი. დასაწყისში ასე აეწყო ჩემი მუშაობა, მაგ-

რამ მალე დაირღვა ეს წესრიგი. ზაურ-
ყან ზოლაკი ისე გაიტაცა თავისავე
თხრობამ, რომ ზოგჯერ დილიდანვე
ამბებენ მოყოლას იწყებდა.

სანთლით რომ მეძებნა, ზაურყან
ზოლაკისაირ მასწავლებელს მაინც ვერ
ვიპოვიდი, მაგრამ რაც არ უნდა საინ-
ტერესო ყოფილიყო მისი ნაამბობი, მა-
ინც ვნახულობდი დროს ჩემი უბიხური
ლექსიკონის შესავსებად, რომლის შე-
დგენაც ჩამოსვლის პირველი დღეები-
დანვე დაიწყო. გუშინ დაგუშინწინ ნა-
თესაობის აღმნიშვნელი სახელები ჩავი-
წერე, დღეს კი — საოჯახო ჭურჭლისა
და იარაღების სახელები, რაც გაცილე-
ბით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ადრე მე-
გონა. აღმოვაჩინე უბიხური და ჩრდი-
ლო — დასავლეთ კავკასიის სხვა ენე-
ბის სიტყვათა საერთო ფუძეები.

დღეს დილიდანვე ცუდ ხასიათზეა
ზაურყანი, რაღაცით აღელვებულია და
გაუთავებლად ეწევა. დილას, შუა სა-
უზმის დროს ტყუილ-უბრალოდ გა-
მოლანძღა ბირამი და ჭამასაც თავი ში-
ანება. არც მოსასვენებლად დაწვა შუა-
დღისას, წინ და უკან დადის ეზოში. გა-
ვიფიქრე თუ არა: „დღეს ამის შეწუხე-
ბა არა ღირს,“—მეთქი უცებ დაჯდა
და მეც მიმიხმო.

გვერდით მიუეჭვები და ჩასაწერად
მოვემზადე. ზაურყანმა დიდხანს ვერ
დაიწყო თხრობა. ხელისგულით ისრე-
სდა ნაოქებით დასერილ შუბლს, თით-
ქოს მესხიერებაში ყველაფრისთვის ერ-
თად უნდა მოეყარა თავი.

თხრობის დროსაც უღალატა ჩვე-
ულებას — ერთი ამბავიდან მეორეზე
ხტებოდა. რაღაც შინაგანად აწუხებდა,
შფოთავდა, ამიტომაც მოხვდა ბირამს
ტყუილ-უბრალოდ.

დღესაც მოვახერხე რაღაცეების ჩა-
წერა. ზაურყანმა მიამბო, როცა იმამი
საპატქერის ოსმან — ქოუდან წავიდა,
მის ნაცვლად ახალი მოლა გამოგვიგ-
ზავნესო. სახელად ორხანი ერქვა, თუ-
რქი იყო. პირველხანებში ორხანმა თით-
ქოს გამოიხატა საერთო ენა ხალხთან,
იმასაც ამბობდნენ ეს ალაპის ქეშმარი-

ტი მსახურიო. მაგრამ თანდათანობით
ფრთხილად და ეშმაკურად დაიწყო თი-
ვისი ხანის გატარება. ქარწილი და
ტირილი ისე კი აღარ უნდა გადაეხა-
დათ, როგორც უსსოვარი დროიდან იყ-
ვნენ შეჩვეული უბიხები, არამედ მუ-
სულმანური მკაცრი წესების მიხედვით.
მოლა უფრო და უფრო ხშირად იწყე-
და ხალხს მეჩეთში და ასწავლიდა რო-
გორ უნდა შეესრულებინათ აზიკრი,
რომელიც ღალადებდა: „ალაპს ესმის
ხმა, ვინც მას აღიდებს.“ ბავშვი რომ
დაიბადებოდა, ორხანის ნებართვის გა-
რეშე სახელს ვერ დაარქმევდნენ. ქა-
ლებს მკაცრად აკრძალათ უჩადროდ
სიარული. ერთხელაც რომ არ წასული-
ყო ვინმე მეჩეთში, ჯარიმა უნდა გადა-
ეხადა. მეჩეთში შესვლამდე მთიელებს
გარეთ უნდა ჩამოეკიდათ თავიანთი
იარაღი.

საპატქერის სახელს რომ ახსენებდა,
ზაურყანს ცახცახი იტანდა ხოლმე ზი-
ზღისაგან. სხვა მოლებს ავლებულად და
გულგრილად უყურებდა. მუსულმანურ
ზნე-რეულებებზე ცოტას ლაპარაკობდა
და ეტყობა ცუდად იცნობდა მათ.

— არავისი არ მჭერა, ვინც ალაპის
სახელით უღარდელად ცხოვრობს და
წვეთი რა არის, წვეთ თფლსაც არ
ღერის, ეპ. საყვარელო შარახ, ლოც-
ვებს რომ მართლა რაიმე მოქმედებს
ხალხისთვის, ყველაზე ადრე მაამაჩემი
გამდიდრდებოდა. თუ ლოცულობდა,
ის ლოცულობდა, მაგრამ იმაზე უბედუ-
რი კაციშველი არ იყო დედამიწის
ზურგზე.

იმამ რომ გაიხსენა, მოხუცმა თავი
ჩაქინდრა, დიდხანს სდუმდა. მერე კი
უცბად ალაპარაკდა იმ სიძნელეებზე,
ახალ, შეუმჩნეველ ადგილებში რომ
წააწყდნენ უბიხები. მისი სიტყვით, მი-
წა ბევრად უფრო პატარა ჰქონდათ,
ვიდრე სამშობლოში, გადასახადები კი
ბევრად უფრო მეტი. ჩიოდა: აქ ზაფ-
ხულობით მავარი სიტყვები იცის, ზამ-
თარში კი ისე ცივა, რომ უბიხებმაც
სხვა გლეხებივით თიხითა და ნაცვლით
შეთითხნეს სახლები. ეს კი სამშობლო-
ში თავისმოკრა იყო.

ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ თურმე აქ ვახის გახარება შეიძლებოდა, მოჰკიდეს კიდევ ამას ხელი უბიხებმა, მაგრამ ყურანი მხოლოდ ჭიშმინის მოშვადების ნებას აძლევდათ, ღვინო კი სასტიკად იკრძალებოდა. ვინმესთვის ღვინო რომ აღმოეჩინათ ოჯახში, სოფლიდან გააძევებდნენ.

— აბა წინათ უბიხი და უღვინოდ ვის გაეგონა? აბა ვინ გადაიხდიდა ძეობას უღვინოდ? ის კი არა და, კაცი რომ მოკვდებოდა, მშვინაც ღვინით სავსე შიჭებს ავწვევდით და ისე მივაცილებდით უკანასკნელ გზაზე. თუ დამიჭერებ, საყვარელო შარახ, ახლა ღვინით სავსე ჩიხვის ყანწი რომ მომაწოდო, სადღეგრძელოსაც ვერ ვიტყვო, სადღეგრძელოც ისევე დამავიწყდა, როგორც ღვინის გემო.

ღღეს ამით დაამთავრა ზაურყანმა და დილაძე დაემორღობა ერთმანეთს.

* * *

... პარასკევი იყო. ჩვენ კაცებს იარაღი მეჩეთის წინ ჩამოეკიდათ და ნამაზს ასრულებდნენ. ახალი მოლა ორხანი ღალადებდა:

— არა არს ღმერთი თენიერ ალაპისა! შეგვიწყალო, უფალო! გვატარე სწორი გზით! ნუ აგვალბე ხელს!

— ამინ, ამინ! — ეხმარებოდნენ მლოცველები.

— ჭეშმარიტ მართლმორწმუნეს უზენაესის იმედი უნდა ჰქონდეს! ვისაც სწამს, საკმარისია თქვას „იყავნი“ და წმინდა საქმე აღსრულდება.

— ამინ, ამინ!

მეჩეთის ღია კარებიდან ზღურბლთან ვილაც ფაფაბიანი ახალგაზრდა შევნიშნე. „რაკი მეჩეთში არ შემოვიდა, აქაური არ უნდა იყოს,“ — გავიფიქრე მე. სახე კი მეცნაურა. ლოცვა დამთავრდა, ხანჯალს ვირტყამდი წელზე ხმა რომ შემომესმა:

— გამარჯობა ზაურყანი!

სუფთა ადილეური იყო. მოვიხედე და...

— მაჰმად! საიდან სადაო?

ჩემს წინ ბებიანების ერთ-ერთი ძმიშვილი იდგა. მე ხომ ვითხარხარ ბებიაჩემი აღიღელი იყო-მეთქი, რაკ მაჰმადი ჩირობაში მოვხვდი, მე და მაჰმადს ერთმანეთი არ გვენახა. ყური კი მქონდა მოკრული, სადღაც იზმიდის ახლოს დასახლდაო. მამა და მატაც მოვიდნენ, გაუხარდათ მაჰმადის ნახვა, გადაეხვივნენ, გადაეკონცენ.

— რას გაეჩერებულვართ, აბა სახლისაკენ, ჩქარა! — აფუსფუსდა მამაჩემი.

— არა მცალია, ამაღამე უნდა გავბრუნდე... იქნებ ჯობია კიდევ მარტონი რომ ვართ. ჩემ ნათქვამს მამაკაცები თუ გაუძლებენ...

მივხვდით, რომ მაჰმადს ავის მათეწივებელი მაცნეს ზვედრი რგებოდა.

— გეხვეწებით, გამარდით!

— რა მოხდა? — ჩაიჩურჩულა მამაჩემმა ჩატეტკვილი ტუჩებით.

— კუნა სელიმ ფაშამ შეირთო ცოლად.

ჩვენ განზე გავხტით, თითქოს წინ ეუმბარა გამსკლარიყო. მაჰმადი კი დამწუხრებული განაგრძობდა:

— მე იმ დაწყველი ფაშას სასახლის დარაჯი ვარ. ერთხელ დებმა ჩემად დამიძახეს და ცრემლების ყლაპვით მითხრეს: „თავის განწირვაც რომ დაგჭირდეს, ჩვენო ძვირფასო ნათესავო, როგორმე ჩვენს ძმებს უნდა შეატყობინო, რომ ვილუპებით. უთხარით, არ დაიჯერონ რომ ბედნიერად ვცხოვრობთ. მოგვატყუებს, ნამუსი აგვახდეს. თუ ჩვენი გამოხსნა არ შეუძლიათ ამ ცოდვილი სასახლიდან, გამოგვეშვიდობონ მაინც.“

„ალაპი თუ არსებობს, ასეთი საშინელება როგორ დაუშვა,“ — გავიფიქრე გაცეცხლებულმა და მეჩეთს შევხედე.

— ჩემი იმედი გქონდეთ!

მაჰმადმა აგვიხსნა, როგორ უნდა მოგვეძებნა იზმიდში და წაივინა. თვალეზში სისხლი ჩამიდგა. ო, როგორ მინდოდა ელვის სისწრაფით ვადამეწევა

მეჩეთი, რაკი ჩემთვის ალაბი უკვე აღარ არსებობდა.

შინ დაბრუნებულბმა ნათესაეები მოვიწვიეთ და ყველაფერი გავანდეთ, რაკ ვიცოდით. ჩვენ დარდასა და წუხილს ნათესაეებიც იზიარებდნენ, დედაჩემმა კი შვილების კაბები საწოლზე გაშალა და მწარედ მოთქვამდა. მე და მატამ ასე გადავწყვიტეთ: „სიკვდილი გვიჯობს თავსლაფის დასხმას, ხალხში ვერ გამოვჩნდებით ჩვენს შემარცხვენელზე შური თუ არ ვიძიეთ.“

მამაჩემმა ისევ შარდინთან, ალოუს ძესთან და შანდასთან გადაწყვიტა ნუ-ჯუშის ძებნა. მაგრამ ტყუილად კი არაა ნათქვამი — უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო. პირში ჩალაგამოვლე-ბული დაბრუნდა მამაჩემი შარდინის სახლიდან. მისი ძუძუძუტე სწორედ მა-შინ იმყოფებოდა ბალკანეთის ფრონ-ტზე. ცოლი და ვაიშვილი კი საფრან-გეთში მოგზაურობდნენ. სულთანმა შა-ნდა თვეში იღგა და არავის ეჩვენებოდა. მამაჩემს ყველა იმედი გადაუწყდა. ერ-თადერთი გზაა გვრჩებოდა: ჩვენ თვი-თონ უნდა მოგვევლო ჩვენი საქმისთვის. რაც მთავარია, გულხელდაკრფილი დგომის დრო არ იყო. მე და მატა გზას გავეუდგეით. ინათა თუ არა, სახლიდან გავედით. მოსახვევამდე სულ უკან ვი-ხედებოდით, ერთხელ კიდეც რომ მოგ-ვეკრა თვალი დედაჩემისა და მამაჩემი-სთვის. დედაჩემი შავ თაშალოში იყო გახვეული და კვერთხს ეყრდნობოდა. დანის პირივით იყო საწყალი გათხლე-ბული. მამაჩემს გულხელი დაეკრიფა და ქიშკარის მიყრდნობოდა, ფეხზე ვე-ლარ იდგა უბედური. ნალველი მიწიწ-კნიდა გულს: „ნუთუ, ვეღარასოდეს ენახავ ამათ?“ სახურავის თავზე კვამ-ლის ბოლქვი ერთ ადგილას გაყინული-ყო, თითქოს გრძნობდა, რომ ჩვენი კე-რა სამუდამოდ ჩაქრებოდა მალე. ჩექ-მები, ტანსაცმელი და სახეები ერთნაი-რად გვექონდა გადათეთრებული ჩვენი ნაბიჯებით ამდგარი მტერის ბუღისაგან. „ეპ, — სინანულით გავიხსენე ჩემი ფი-ცხი ბზოუ. — აი, ცხენი ის იყო! ნახე-

რად ველური სამი წლის კვიცა, მერე რა გახედნილი ქარივით მივაქროლებდა ახლა იზმილამდე. ერთს დაივსტვენდი და ელვასავით გადაეცლებოდა სელიმ ფაშას ბაღის ზღუდეს.

იმ ნეტარ დროში სამშობლოში რომ ვცხოვრობდით, უკანასკნელი ლატაიც კი არ დაადგებოდა გზას ფეხით. ლხინი იყო თუ ჭირი, ან ცხენზე ამხედრებუ-ლები მოდიოდნენ, ან კიდეც ოთხთვა-ლებით. პატარძლები ფაიტონებით მო-ჰყავდათ, ექვსი ერთნაირი ჯიშის ცხენი რომ იყო შიგ შემბული. ბიჭი დაიბადე-ბოდა თუ არა, მის სახელზე კვიცს ზრდიდნენ ოჯახში, მხედარი რომ გამო-სულიყო ბავშვი. გარდაცვლილი მთიე-ლის წინ მის ცხენს გააჩერებდნენ, ზედ მისსავე იარაღს გადაჰკიდებდნენ და ისე მოსთქვამდნენ. ტყუილა კი არ ამ-ბობენ, ძვირფასო შარახ, ჩვენი წინა-პრები ცხენის ძარღვებში ადამიანის სი-სხლი ჩქეფსო. ასეც მღეროდნენ:

ცხენი და კაცი დასაბამიდან;
არ ვარგებულა უერთმანეთოდ.

უცხო ქვეყანაში კი უცხენებოდ და-ვრჩით. ცხენის ადგელი ვირმა დაიკავა. ვისაც ვირი ჰყავდა, მდიდარიც ის იყო.

• • •

იზმილის გარეუბანში, ბაზრის მახ-ლობლად უკვე მთელი კვირა ვცხოვ-რობდით ადილეელი მაჰმადის სახლში. ყოველ დღე წყვეული სელიმ ფაშას სა-სახლის ახლოს ვწრიალებდით, მაგრამ ვერ იქნა და დებს ხმა ვერ მივაწვდინეთ. სწორედ ჩვენი ჩამოსვლის წინა დღეე-ბში ჰარამხანა გაუთარცევათ, ამიტომ დაცვა გაძლიერებული იყო და ქალებს სეირნობა ეკრძალებოდათ. შეწუხებუ-ლმა მატამ მითხრა:

— მივიდეთ ფაშასთან და ვთხოვოთ თავისი ნებით დაგვიბრუნოს დები.

— რა ჰქვიათი ხარ! — ნალვლიანად გაიცინა მაჰმადმა, — კუზიანს სამარეც ვერ გაასწორებს! ნახა რა, ვის მოთხო-ვოს სამართალი!

მე კი ერთი რამე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის — ყელი როგორ არ

გამოვლადრე შარდინს, ალოუს ძეს, სანამ აქ, ოსმან-ქოეში იყო. ვერა-რა მტერი ვერ გვიზამდა იმას, რაც ჩვენმა ნათესავემა გვიქნა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენი დები რაღაც სამსახურის საფასურად მიჰყიდა შარდინმა სელიმ ფაშას. აბა, ამას გაბედავდა უბიძეთში? იქნებ სამშობლოს დამკარგავი ხალხი თანდაყოლილ ღირსებებსაც ჰკარგავს? მთელი სამყარო სიცრუესა და ორპირობაში ჩაფლულიყო, სისხლი არეულიყო და გულმოწყალებისათვის აღარავის ეცალა.

უმოქმედობა გეტანჯავდა. დღეები გადიოდა, ჩვენ კი ჯერ მისხლის ოდენიც არაფერი გვქონდა გაცეთებული. და აი, მაჰმადმა დრო იხელთა და ჩემს დებს გააგებინა, რომ იზმიდში ვიყავით. დებმა კი შემოგვითვალეს, რომ ჯუნას არავითარი წერილი არ გამოუგზავნია ჩვენთვის და არც ის ქალები მოსულან მისი დავალებით, კუნა რომ წაიყვანეს.

ისიც გავიგეთ, რომ ჯუნა თავის თავს აბრალებდა კუნას უბედურებას და მინის ნატეხით ყელის გამოკრა უცდია.

მაჰმადმა შეგვატყობინა: ხვალ ხარკებს ბაღში გასეირნების ნება ღირთესო. საქმე ჩვენს სასარგებლოდ ეწყობოდა — მაჰმადი დილით დადგა დარაჯად. ისიც ვიცოდით, რომ შუადღისას სელიმ ფაშა შადრევნის ახლოს დაბრუნდებოდა სავარძელში მაგნოლიების ჩრდილში და ჰარამხანის მხეველები გაართობდნენ.

ასე გადაწყვიტეთ: მე შუადღისას ბაღში გადავძვრებოდი, მატა კი ეტლს დაიჭირავებდა და მახლობელ მოსახვევში დამელოდებოდა. მთავარი იყო ეზოდან გამომეყვანა დები, მერე ყველაფერს მოვახერხებდით. შეუშინველად თუ ვერ მოვახერხებდი მათ გაპარებას, მაშინ იარაღით ხელში გადაუდგებოდი მდევარს. მაჰმადიც იმათ უნდა გაჰყოლოდა. იზმიდში მისი დარჩენა უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ნაპირზე ერთი ყოფილი კონტრაბანდისტი გვიცდიდა ნავით. იზმიდიდან ერთ ათიორღ

ვერსს გავცურავდით და მთებში დავიშალებოდით. ასე გვქონდა განსახლებული. მე და მატა სისხლის შამიებლურად ვგავდით, ვისთვისაც შურისძიების საათს დაეკრა უკვე.

გაზაფხულის ბალი თითქოს პატარა პატარა ღრუბლის ქულებში იყო გახვეული. ყველაფერი ყვაოდა ირგვლივ. „ნეტა როგორ უნდა უხაროდეს გაზაფხულის მოსვლა ამ ბაღს, როცა იქ ცრემლად იღვრებიან ჩემი დები? ან ბულებული როგორ უნდა გალობდეს, ნუთუ ისე სმენადახშულია, რომ ჩემი დების კვნესა არ ესმის ან მეხმა რატომ არ დავიტანა ამდენხანს თვით სელიმ ფაშა?“ — ვჩიოდი ბუნების გულგრილობით შეძრწუნებული და თან ბაღის კედელს ვეპარებოდი.

მაჰმადმა რკინის ჰიშკარი განიღო და ბაღში შევეჭვრი.

— აი, ამ ბილიკისკენ წადი, — ჩურჩულით დამილოცა მან გზა.

მონადირესავით ფრთხილად მივაპყვებდი, თითქმის სუნთქვაც შეჩერებული მქონდა. აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს. ბაღის სიღრმეში სამსართულიანი შენობა ქათათებდა თეთრად. სასახლე დაცარიელებული მეჩვენა. არც ფანჯარიდან ისმოდა ხმები და არც კარებიდან გამოსულა ვინმე. უფრო ახლოს მივედი სასახლესთან და ბუჩქებს მოვეფარე. მარჯვნიდან წყლის ჩქაფუნი მისმოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ იქვე, ახლოს შადრევანი ჩქეფდა. უცბად განაპირა კარი გაიღო და ორი ხანდაზმული კაცი გამოვიდა. ტანსაცმლის მიხედვით ერთი ყიზლარ-ალა უნდა ყოფილიყო. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და აქეთ-იქით წავიდნენ. თვალს მიეფარნენ თუ არა, ქალიშვილებიც გამოჩნდნენ. თითო-თითო ან წყვილ-წყვილად ჩამოდიოდნენ მარმარილოს კიბეებზე და დაბურულ ბაღში უჩინარდებოდნენ. თქმა არ უნდა, რომ ისინი ფაშას ხარკები იყვნენ. ყველა ახალგაზრდა და ლამაზი იყო. ისე კი სახის ფერით მღვიმეში ამოსულ მცენარეს

მოგაგონებდნენ. ჩემ დებს ვერსად მოკარი თვალი. ორმა მათგანმა გვერდით ჩამიარა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ. უცბად მესამეც დაეინახე, მარტოდ-მარტო მოყვებოდა უკან. დავინახე და თვალთ დამიბნელდა, გულიც ვამეყინა და თითქოს უფსკრულში ჩამიჭაბდა. ფელდში იყო.

— ფელდში! — არაადამიანურად დავიყვირე მე.

ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ ისე გააოგნა, რომ სიტყვები ყელში გაჩხინრა, გაშეშებული და პირდაღებული მომჩერებოდა. ეს სულ ერთ წამს ვაგრძელდა, მერე კი თითქოს ჩემი გამოჩენა არც ვაპყვირებდით, უსიხარულოდ მკითხა:

— შენა ხარ ზაურყან?

— ნუ გეშინია, ფელდში, უსათუოდ დავიხსენი!

— აღარ გეშინია, ზაურყან, დიდი ხანია ყოველგვარ შიშს ვძლიე. შენ ალბათ დებს ეძებ, არა? ჭუნა ისევ სუსტადაა, მინის ნატეხი გამოისევა ყელში. კუნაც მასთანაა — მარტო არ დატოვა... ყველანი ერთი შაითნის მსხვერპლნი ვართ, ზაურყან!

— ო, ღმერთო ჩემო, აქ საიდან გაჩნდი?

— ოთხი წელია აქა ვარ. ზღვის გაღმა ნაყიდ ხეს იქ როდი რგავენ, სადაც თვითონ უნდა.

ხელები მხრებში ჩაეჭიდე, ახლოს მივიზიდე და სიმტკიცე დაბრუნებული ხმით ვუთხარი:

— ჩემი მოვალეობა შენი და ჩემი დების აქედან გაყვანაა.

— შენ დებს ვეტყვი, რომ გნახე. ჩემი გამოსხნა კი უკვე გვიანაა...

ფელდშიმა თავი ჩაჰკიდა და ტირილი დაიწყო.

— მე უკვე მკვდარი ვარ, ზაურყან... დაგაკვირებდა... ნუ მომეკარები, მე ახლა კეთროვანზე უარესი ვარ. მშვიდობით, ზაურყან!

სახეზე ხელები აიფარა, კიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია იქვე მოსეირნე ქალებისაკენ.

თითქოს მთელი ძვლები დამიკლდა და დამეშალა: თავგაბანჯეულ ტოტს ჩამოვეციდე. ნელ-ნელა მხედველობა დამეწმინდა და სასახლესა და შადრევანს შორის მორიალე მსახურები დავინახე. ხშირ ხეებში შევიმალე და ფერადი ქვებით მოკარწყებული აუზიდან ავარდნილი შადრევანიც დაეღწინდე, ამხედვებულ წყალზე ცისარტყელა მორკალულიყო. შადრევნის ახლოს ფოთლოვანი კარვის ქვეშ ხაოიანი ხალიჩა გაშალეს და ბალიშებით მოფინეს. შუაში რბალი სავარძელი დადგეს. შემდეგ სანოვაგით დახუნძლული დაბალა მაგიდები მოიტანეს. სუფრას ვერცხლის წერწეტა სურები ამშვენებდა.

მაღე თვით სელიმ ფაშაც მობრძანდა ორი მსახურის თანხლებით. შარდინის, ალოუს ძის მამულში მყავდა ერთხელ ნანახი და მაშინვე ვიცანი. მოკლე, კუნძივით კაცი იყო, მეჩხერი წვერი ჰქონდა. წარბები თითქმის არ აჩნდა და შესიებული ქუთუთოები კუეებს მახსენებდა. გოგრაასავით მოტვლებილ თავს წითელი ფესი უფარავდა. ხანდაზმული იყო, მაგრამ სხეული მაინც ძლიერი მოუჩანდა. ცქვიტად მიცუცულდა სავარძელთან და შიგ ჩაეშვა. ორი, ალბათ ყველაზე უფრო სანდო მსახური, აქეთ-იქით ამოუდგა. ერთ-ერთმა მათგანმა ქალადი გაშალა და რაღაცის კითხვა დაუწყო სავარძლის საზურგეზე მისვენებულ ფაშას. ცალი ხელი, ქარვის კრიალოსანი რომ ჰქონდა ჩაბლუჭული, გაბერილ მუცელზე ედო, მეორეთი კი მეჩხერ წვერს იწიწკნიდა.

რაც უფრო დიდხანს ვუყურებდი ფაშას, მით უფრო მერეოდა ზახდი.

მსახურმა ბოლომდე ჩაიკითხა ქალადი და დაიხარა. ფაშამ რაღაც სიტყვა მიუგლო და ხელი ჩაიჭნია. მსახურმა ქალადი დაახვია და სასახლისკენ გაემართა. მეორე მსახურმა სურა აიღო, სირჩა შეავსო და პატარა ლანგარით ფაშას მიართვა. ის კი სავარძელში გადაწოლილიყო და ტკბილად თვლებდა. მსახურმა სირჩა მაგიდაზე დადგა. უგუნურმა გაბედულებამ თითქოს მიბიძ-

გა და ისე მოულოდნელად ვაჩნდი ფაშას წინ, როგორც ქუხილია ხოლმე მოულოდნელი კარგ ამინდში. შეიარაღებული კაცის გამოჩენამ გააოგნა ფაშა და ზავარძელში აცქმეტდა. თვალები გადმოუკარკლა და გაფითრებული სახე თოვლით დაეცვარა.

— აქ გამოჩენა როგორ გაბედე, ყაჩაღო! — ცუდად დაფარული შიშით იყვირა ფაშამ.

— მე ყაჩაღი არ გახლავარ, მე შენგან ნამუსახილი ორი დის ძმა ვარ! სიკვდილი თუ არ გინდა, ახლავე გაანათვისსუფლე ჩემი დები!

ფაშა აჭეთ-იჭით აცეცებდა შიშით დამფრთხალ თვალებს. დაინახა ხელი ზანჯლის ტარს რომ ჩაეჭიდე და დაიღრიალა:

— მიშველეთ!

გვერდით მდგარმა მსახურმა, თითქოს თავში ჩაარტყესო, ისე წამოიყვირა რაღაც და კარებს ეცა.

მიგზვდი, ცოტაც და სასახლის მცველები მოცივდებოდნენ. ფაშა გვერდულად ჩამოხზნდა სავარძლიდან და კიშორჩხალასავით უკან-უკან გაფოფხდა აუზისკენ მე ყანყარატომში წავედლე ხელი ფაშას და შიგ გულში ტარამდე გავუყარე ჩემი კავკასიური ხანჯალი. მოხუცმა ამოიბრიალა, ხელი ვეარი და აუზში გადაუქმძახე, სადაც ოქროსფერი თევზები დასრიალებდნენ. წყლის ზედაპირი შეწამული ნაყშებით დაიფარა. და რატომღაც ზღვა, ვადასახლების შავ-ბნელი დღეები და ნაპირთან გარიყული მამაჯირების გვაშები გამახსენდა.

მსახურთა ყვირილი თანდათან ახლოვდებოდა.

ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. რაღაცნაირი გულგრილობა დამეფულა. ვასისხლიანებული ხანჯალი ხელიდან გამიყარდა, არც მიცდია აღება. იქნებ მომხებერებინა კიდევ მღვერებისაგან თავის დაღწევა და მამადის დახმარებით გაქცევა, მაგრამ მაშინ არც მომგონებია ეს. ჩაფრები შემომესიენ, მე კი წინააღმდეგობაც არ გამიწვია. ხელეზგაკოჟილმა და თოფის ლულე-

მოშვერილმა გადავაბიჯე ციხის ზღურბლს.

საქონის
გადასახლება

მესამე დღეა, რაც ჩემს ჩანაწერებს ვაწვსრვიებ. ზურყანი კი ისვენებს. თუმცა, მე მგონი დასვენების სურვილი არა აქვს. ის საერთოდ ძალზე დიდხანს დუმდა და თავისი ასწლიანი ცხოვრების ნახევარიც არა აქვს ნაამბობი. ორი კვირა ვარ მასთან და ხანდახან მეჩვენება, რომ თითქოს ეშინია, არ მოკვდეს და უთქმელი არ დარჩეს, რაც მის მეხსიერებას შემოუნახავს. როცა გუნებაში მის ნაამბობს ხან ერთ და ხან მეორე ისტორიულ თარიღს ვუღარებ, ვხვდები, რომ რაღაცას ურევს მოხუცი, ძველსა და ახალ ამბებს ადგილებს უცვლის, მაგრამ მეხსიერება მაინც ვასაოცარი აქვს, გონება ცოცხალი, ენებათა დეღვა კი ჭერაც არ ჩამჭრალა მის ასწლოვან ხახლახმულ, მაგრამ კვლავ ღონიერ სხეულში.

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მარტო ეს ორი კვირა კი არა, საოცრად დიდი ხანია ბირამის გარდა არავის ვადმოუბიჯებია მისი სახლის ზღურბლისთვის. ასე მარტოდ-მარტო რომ ცხოვრობს, შეიძლება იმიტომაც არ არსებობს მისთვის არც ახალი დრო და არც ახალი სიტყვები. თითქოს სასაფლაოზე ცხოვრობს და თავის წარსულში დააბიჯებს, ვიწრო ბილაკებით დადის საფლავებს შორის. ერთად-ერთი ცოცხალი ადამიანია ამდენ გარდაცვლილს შორის...

დაღლილობისგან ხელები მტეხავს. ვზივარ და დაბუცებულ თითებს ჰაერში ვამოძრავებ. ფიქრებით კი შორსა ვარ, შინ, აფხაზეთში. მისმა ნაამბობმა მთიელ ქალებზე მიიძულა განსაკუთრებული სიცხადით გამეხსენებინა ჩვენი უარდის სკოლა. ახლა თეთრი, ქვის სამსართულიანი შენობაა, მაშინ კი, პირველ კლასში რომ შევედი, პატარა, ორ ოთახიანი ხის სახლი იყო, ისეთივე პაწია, როგორებიც ჩვენ თვითონ ვიყავით ჩვენი სკოლის ოცდაათი გოგო და ბიჭი.

ახლა ამ სკოლაში ხელისი ბავშვი სწავლობს. მანსოვს სკოლის დირექტ-

ტორმა ქარბეი ბარჩანმა, ჩემთან ერთად რომ იჯდა პირველ კლასში, ამჟამად დამისახელა ეს რიცხვი. მაშინ სკოლის დამთავრების თხოუმეტი წლის აღსანიშნავად შევიკრიბეთ. ცხადია, ყველანი არა, მაგრამ მაინც საკმარისი ვიყავით. ორი აგრონომი, სამი მასწავლებელი, ერთი სამთო ოსტატი ტყვარჩელიდან, მე — ლინგვისტი და ჩვენი გამოშვების ყველაზე უფრო გამოჩენილი პიროვნება ნატაშა ლოუბა — მთელ აფხაზეთში პირველი მფრინავი ქალი. მფრინავი რომ გამხდარიყავი, რა თქმა უნდა, მტკიცე ხასიათი იყო საჭირო, მითუმეტეს, რომ ნატაშას მამა ისლამი, თითქოს ჭიბრზე, ჩვენი სოფლის სალოცავის — კიაჩის ყველაზე უფრო გულმოდგინე მლოცველი იყო. კიაჩი ჩვეთან ისევე სასწაულომკმედად ითვლებოდა, როგორც უბიხებში ბითხა. ისლამი ირწმუნებოდა: ჩემი თვალთ მაქვს ნანახი როგორ დაფრინავს ლამლამობით კიაჩი, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დღე-სასწაულების დროს და შემდეგ ისევ თავის ადგილს უბრუნდება. მაგრამ მფრინავი სალოცავი ერთია და მფრინავი ქალიშვილი — მეორე. მერე როგორი შვილი, ერთხელ კინაღამ რომ გამოაგდეს აერო-კლუბიდან, აქაო და, დღისით-მზისით სოფლის თავყრილობის დროს, იქვე, დიდ მინდორზე „უ-2“-თ დამეგება როგორ გაბედეთ. ბოროტი ენები კი დიდხანს ქორაობდნენ: ისლამს თავისი ქალიშვილი მორიგი გაფრენიდან დაბრუნებული წმიდა კიაჩი ეგონაო. რა თქმა უნდა, მოხუცს ცილს სწამებდნენ, მაგრამ უარდლებს ხომ ქილიკში ბაღალი არა ჰყავთ, მითუმეტეს ხუმრობა თვითონ რომ არ ჩერდება ენაზე. გამოჩნდებოდა თუ არა ცაში თვითმფრინავი, „არიჟა ჩქარა, ჩქარა, შეხედეთ, წმიდა სალოცავი მოფრინავსო“ — ეძახდნენ ისლამს. ნეტავ სად არის ახლა ნატაშა ლოუბა? აქედან ხმას ვერ მივაწვდენ, ძალზე შორს გადმომტყორცნა ბედმა უბიხური ენის ძეხნაში. ხანდახან გაოგნება მიპყრობს — ეს რამ სიშორეს ვარ...

უღახოს ყვითელი ზვით

გაქვეყნებული

ჩვენი ოცდაათ აქლემიანი დავაჯი-ოლ ცხენიანი ქარავანი უღახონში მიიზღაზნებოდა. ისმოდა ზანზალაქების განუწყვეტელი ჟღარუნი. ორმოცდაათამდე მექარავენე ვიყავით. მთელი თვე იყო გასული, რაც ხალხმრავალ და ხმაურიან ქაიროდან გამოვედით და გზას დავედექით.

ახლაც ვხედავ, დად შარახ, ყველაზე წინ შავ არაბულზე ამხედრებული თეთრ ყაბალახსა და მოსასხამში გამოწყობილი ქარავან ბაში — ისმილ საბახი მიდის. ხმელ-ხმელია, მჩატე და ამტანი. წარმომშობით ბედუნია და ბარქანებში ისე გრძნობს თავს, თითქოს შინ იყოს. ოღნავ მოშორებით, ორივე მხარეს მისი პირადი მცველები ირწევიან უნაგირებზე. მათ უსიტყვოდ ესმით ქარავან ბაშის, საკმარისია ანიშნოს „მოკვდიოთ“, და არც დაფიქრდებიან, ისე მოკვდებიან.

უღახონში ისმილ საბახი ჩვენთვის ღმერთიც არის და მეფეც. ყველას თავისი მბრძანებელი ჰყავს და ისმილ — საბახსაც ჰყავს ასეთი მბრძანებელი — ქერიმ-ფეჟენდი, ქაიროელი სახელოვანი ვაჟარი, ცნობილი მდიდარი კაცი. ვისთვისაც შავი საქმეების კეთება უცხო ხილი არ არის. პირველად რომ შევხვდი ისმილ საბახს, უკვე თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში იყო გადამდგარი. მალალი იყო შავგვრემანი, შავი მბზინავი ულვაშები ჰქონდა — და ვეფხვივით მწვანე თვალები. მწვანე თვალები ჰქონდა — მეთქი ვთქვი, მაგრამ მთლად სწორი არ არის რადგან მის თვალებს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა — დღეში რამდენჯერმე იცვლიდნენ ფერს. მე პირადად ქარავანის წინამძღოლის გულლია და უღარდელი სიცილი არ გამოვიდა. სიცილის დროს ყვითელ კბილებს აკრაქუნებდა და მხეცის ყმუილივით ხმას გამოსცემდა, სახეზე კი სიხარულის ნიშან-წყა-

ლიც არ ეხატებოდა. „მოთმინება თუ დაქარგე, სიკვდილს იპოვით“ — ნათქვამია, დაღ შარახ. ეტყობა, ჩემდა საუბედუროდ, განგებამ სარცარი მოთმინება მარგუნა, რაკი აქამდე ცოცხალი ვარ. მთებში დაბადებული და გაზრდილი ჭიბუკი. სადაც მწვანედ ბიბინებს ყველაფერი, კაჟის ნამტერევივით მისროლა განგებამ უნაყოფო უდაბნოში. ჩაწერას ვერ ასწრებ არა, ძვირფასო. მაშინ უფრო დინჯად მოგიყვები. ან იქნებ მოგებურდა კიდევ ჩემი ლაქლაქი? თუ არა და, მაშინ ისევ მომყვეს შენი ფანქარი...

კარაბურუნის კონცხის განაბირასქ ერთი ციხე იდგა, სადაც პირატებს ჰკიდებდნენ თოკზე. განაჩენი გამოტანილი მქონდა და ხუთ თვეს ველოდი მის სისრულეში მოყვანას. ეს კი იცი რას ნიშნავს? ყოველდღე კვდებოდი ამ ხუთი თვის განმავლობაში. „ოჰ, ნეტავი მალე დამთავრდებოდეს ყოველივე“ — იხვეწებოდა ჩემი გაწამებული სული. სელიმ-ფაშას მოკვლით გამოწვეულ სინანულს კი არ ვგრძნობდი. ეს არც დილეგში გამომწყვდეულს მიგრძენია და არც შემდეგ, მთელი ჩემი ხუნგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. ბორკილებგაყრილი და სასიკვდილოდ განწირული შავი კრილოსანივით ვმარცვლავდი ბოლო წლებში მომხდარ ამბებს და ღმერთზე კი არა, ჩემს დებზე, ფელდიშზე, ღელასა და მამაზე ეფიქრობდი. ნეტავ ცოცხლები არიან? მატასა და მამადის ზედაც მალეღებდა ნეტა რა დაემართათ? ციხის კედლები კი მუნჯი იყო და აბა რას მეტყოდნენ? ჩანდასან ზღვის ყრუ ხმაური მესმოდა ხოლმე. ტალღებისათვის მაინც მეკითხა რაიმე, მაგრამ იმათი ენა რომ არ გიცოდი?

და აი, ერთხელ შეღამისას, როცა სიზმრის ღრუბლებმა უბიხეთში გადამიყვანეს, ჭრალით გაიღო რკინის კარი. ზღურბლზე ციხის ზედახედველი იდგა და თან ვიღაცა უცნობი მეზღ-

ვური ახლდა. ორივეს მოპარპალე სახელები ეპირათ ხელში. *ერკინეული*
— აბა შეხედე, კაცი კი არაა! უამრავად კარგად რომ გააძლო, უღელშიც შეაბამს კაცი.

— აბა შემობრუნდი, ხელი მოხარე! კისერი მოდრიე! — მსინჯავდა მეზღვური. „მამოწმებენ გამიძლებს თუ არა მარყუჭი“. — გავიფიქრე და გული გამეყინა. საიდანღაც შეიარაღებული ჩაფარიც მოვიდა და მიბრძანა:

— გამოდი!

ბორკილების ჩხარუნით გამოვაბიჯე ციხიდან. კოკისპირულად წვიმდა. ზღვაზე შემოქართული ღრუბლები ბორგავდნენ.

ელვის შექმნე ჩახრამულ კლდოვან სანაპიროსთან აფრიანი ნავი შეენიშნე. მალე მის ტრიუმში აღმოვჩნდი კიდევაც. ის მეზღვური, საკანში რომ მსინჯავდა, კაპიტანი გამოდგა. მაშინვე მივხვდი, რომ ციხის ზედახედველმა ბორტყევივით მიიყიდა კაპიტანი. სიკვდილშისჯილის ჩამოწერას რა დიდი ამბავი უნდა: ვითომ თავი ჩამოიღო და გვამი ზღვაში გადააგდეს. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა... თითქოს უნდა გამხარებოდა ბედის ასე უცებ შემოტრიალება, მაგრამ წინ ხომ მონობა მელოდა?! მონა კი, მოგვხსენება, ადამიანი არ არის; როგორც მოგპრიანება, ისე ექცევა პატრონი. პატრონის სურვილი კანონია. სანამ ჩანი გაქვს და ხარით მუშაობ — პურს გაჭმევს, ღონე გამოგლევა და ტყვიით გაგიმასპინძლებდა. ვინაა განმკითხავი. სანდალმა ფრთხილად აიღო გეზი ქაიროსაკენ. კაპიტნისაგან ვაჭარმა ქერიმ-ეფენდომ მიყიდა. ქალაქგარეთ სახლის აივანზე იჯდა საეარძელში ქერიმ-ეფენდი. მოწყურული თვლებით შემათვალისწინა და თუჩქულად მითხრა:

— შენი წარსული დაწერილებით ვიცი. ვიცი რომ შენთვის სულერთია, გინდ კაცი მოგიკლავს და გინდ მამლისათვის წაგიკვებინებია თავი. ოტომაანის ფაშა ეტყობა პირველი არ არის შე-

ნთვის. რამდენი გყავს გამგზავრებული იმ ქვეყანაში არ გეკითხები. ეგ შენს სინდისზე იყოს. შენ მგონი კავკასიელი ხარ, არა?

მე პასუხად თავი დავუქნიე.

— ეგვიპტე იცნობს აფხაზებს. ოდეს-ღაც, ძველად თორმეტი აფხაზი ქალი გამხდარა სახელგანთქმული ქაიროელი ვაჟეიკების ცოლი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი განაგებდნენ ეგვიპტეს. მათმა შთამომავლობამ აბაზის გვარი მიიღო. ამ გვარის ხალხი ახლაცაა ეგვიპტეში. — ვაჭარმა ცბიერად გაიღიმა, — თუკი აფხაზ ქალებს სახელმწიფო საქმეების გონივრული განსჯა შეეძლოთ, მათი თანამემამულე ალბათ კბილებით ამოიყუანს თევზს ზღვიდან. შენ ბედი გეწვია ქაბუკო, თავი უნდა მოეკეთათ, ის კი ისევ ზედ გაზია; მე ვიყიდე, მაგრამ თუ არ დამემორჩილები... არ გამოგადგება, იცოდე, შენთვის ვამბობ.

ქერიმ-ეფენდომ ისმაილ საბახს ჩამაბარა. ასე გავხდი მექარავე. იმ დღიდან „აბაზა“ დამერქვა, რაც არაბულად აფხაზს ნიშნავს. პირველ ხანებში აქლემების დარწყულება და გამოკვება მევალებოდა, ტვირთვის აკიდება და ჩამოსნა. უბიძები ოდითგან ცხენებთან ვიყავით შეზრდილები, აქლემები კი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. რა უნდა მექნა, შევუდექი უჩვეულო მოვალეობის შესრულებას. ჯერ ზიზლით ვუყურებდი ამ კუზიან სიმახინჯეებს, მაგრამ ყველაფერს ეჩვევა კაცი და მეც შევეჩვიე. ის კი არა და პატივისცემითაც კი ვეპყრობოდი ამ თვინიერ, ქვიან და ამტან ცხოველებს. მათ არა ერთხელ ვუხსნივართ უდაბნოს გრიგალისაგან, ის კი არა და სიკვდილსაც გადაეურჩენივართ.

ღმერთო ჩემო, რა უმწეო, პატარა და სუსტია ადამიანი მდუმარე და უნაყოფო უდაბნოში, სადაც ქვიშის მეტს ვერაფერს იხილავს თვალი. ქარი სტვენს და ტალღებად გრაგნის ქვიშას, ბასრია ხმალივით რომ გისერავენ სხეულს. ვინ მოთვლის, რვა წლის განმავლობაში რამდენჯერ გადამივლია უდაბნო. სადაც უთვალავი ადამიანია ჩამარხული. დამა-

რსავენ კაცს და ერთ საათში საფლავის ბორცვიც აღარა ჩანს; ერთიანად გასწორებულია. აღმოსავლეთი დილოდანეც დააფრენს ცეცხლოვან ხახას და დაღამებამდე ისეთი პაპანაქებაა, რომ ამის ვამომცდელ კაცს ჯოჯოხეთის აღარ შეეშინდება. ხარის ტყავის ტიკებში ჩასხმული წყლის თვითეული წვეთი აღრიცხულია. ღამე კი ისე აკივდება, ძვალსა და რბილში ატანს. კოცონს კი ვერ გააჩაღებ. რისგან უნდა დაანთო?

უსიკოცხლო დაბლობი, სადაც მახრჩობელა გველები იცვლიან პერანგს, თავისი ხუთი თითივით იცოდა ისმაილ საბახმა. მას არა ერთხელ გადაუყვეთავს ქვიშის ოქროს ურდოები ქაიროდან აფრიკის სხვადასხვა კუთხეებისაკენ. შენ გაინტერესებს, რა საქონელი გადაგეჭონდა ბარდანებით? ზემოდან სხვის დასახავად, აბრეშუმი, ჭურჭლეულობა და ხალიჩები გვეწყო ნამაზის შესასრულებლად. მთავარი ტვირთი კი ფუთებსა და ზურჯინებში იყო დამალული. ეს ოპიუმი და თოფის წამალი გახლდა. ასეთი საქონლით ვაჭრობას კანონი კრძალავდა, მაგრამ ქერიმ-ეფენდისა და ისმაილ საბახისთვის ეს დაბრკოლება არაფერს ნიშნავდა. თუ ვინმე წაასწრებდათ, თავის გამოხსნაც შეეძლოთ. ერთხელ უკვე გითხარი, შარახ, რომ ქარაგან ბაშის თვალები დღეში რამდენჯერმე იცვლიდა-მეთქი ფერს. ეს კიდევ არაფერი, მთავარი ის იყო რომ თვითონ ისმაილ საბახიც რამდენჯერმე იცვლებოდა დღეში, ხან მოლულუნე მტრედს ჰგავდა, ისე რომ უბეში ჩაისვამდი კაცი, ხან კი ვაფთრებულ ჯიქს. მზად იყო საკუთარ ტყავში გამძვარიყო, ოღონდ იაფად ეყიდა ძვირფასი აღმასი, ოქრო და ამბრა. უფრო თავაზიანი მყიდველი ალბათ მთელ აფრიკაში არეგულეებოდათ.

— კარგ ფასს გაძლევ, ჩემო ბატონო, კარგ ფასს. შენი სატკივარი შემეყაროს, რაც ღირს იმაზე ნაკლებს თუ გაძლევდე! — იყოლიებდა ის გაჯიუტებულ გამყიდველს.

როცა ხელსაყრელ ფასად შეიძენდა ძვირფასეულობას, ისეთ ბედნიერებას

განიცდიდა, რასაც ალბათ მისი გარდაცვლილი ახლობლების გაცოცხლებაც ვერ მიაწვებდა. მაგრამ თუ გაბრაზდებოდა, მტრისას, მხეცზე უარესი იყო, მითუმეტეს მისი რისხვის მიზეზი ვინმე დაბალი წარმოშობის კაცი თუ იყო.

ერთხელ ყავის მოსადუღებელი სპილენძის თუნგიანი ტყავის ჩანთა დაიკარგა. ისმაილმა ერთ მექარავნზე მიიტანა ეჭვი:

- სად არის ჩანთა?
- არ ვიცი, მბრძანებელო!
- გაყიდე, არა, ძალო!

ჩვენ ვეხვეწებოდით ქარავან-ბაშის, უდანაშაულო კაცი რომ არ დაესაჯა. მუხლბეზე კი დავეჩოქეთ.

— ერთი ჭუჭყიანი ღორი ყველას დასერის, — დაიღრინა მან.

ქამრიდან თურქული დანა დააძრო და პირდაპირ გულში გაუყარა ბრალდებულს. საბრალო მონამ ერთი ამოიხრიალა და უსულოდ გაიშლართა თავის მბრძანებლის ფეხებთან. ის კი იქვე გაშლილ ქეჩაზე დაჯდა და ცხერის ბარჯალს დაუწყო ღრღნა. გემრიელად ჰამდა და პირს აწვლავუნებდა, ტუჩები უბზინავდა მოჭუტულ წითელ თვალუხს კი უკვე ყვითელი ფერი გადაჰკროდა.

ისმაილ საბაზმა აუჩქარებლად გამოლრუნა ძვალი, მერე ადგა მკერდიდან დანა ამოაძრო მოკლულს და აქლემების წამოყენება გვიბრძანა.

— აბა, გზას გავუდგეთ!

ცაზე მესაფლავე არწივები გამოჩნდნენ.

გინასავს როდისმე, ძვირფასო შარაბ, ნამდვილი სპილოს ძვალი? ის რომ მძიმე სენისაგან კურნავდეს კაცს, ზეატიანი უდაბნოს გადავლაც არ დაგეზარებოდა, მაგრამ სპილოს ეშვი მხოლოდ სამკაულია მდიდრებისათვის ის ასე მაგარია ტყვიითაც ვერ გახვრიტავ, ხერხსა და სალესავს კი ადვილად ემორჩილება.

სიმდიდრე ათასნაირ მოთხოვნილებებს ბადებს ხოლმე. ჰადრავის ფიგურები, სიყვარულით რომ გადაჰქონდა-გადმოჰქონდა სანდალის თეთრ და შავ უჭრებთან დაფაზე ქერიმ ეფენდს, სპილოს

ძვლისა იყო, მის ხელჯოხსაც სპილოს ძვლის ტარი ჰქონდა და თოფის კონდიხიც სპილოს ძვლით იყო მოქედნილი. ქერიმ-ეფენდომ იცოდა ძვირფასი ნივთების ფასი და ამიტომაც შეუყვება სპილოს ძვლის სავარძელი და სასტუმრო მავიდა. რატომაც არა? მდიდრის ოჯახში მამალიც კი კვერცხს დებს, გავონილი მქონდა, ქერიმ-ეფენდის კაბინეტში უზარმაზარი ეშვისაგან გამოთლილი შიშველი ქალი დგასო. ქერიმ-ეფენდი უყურებდა, უყურებდა ამ ქანდაკებას და ამოიხრებდა — ახალგაზრდობა ახსენდებოდა. ქალბატონსაც უნდოდა სპილოს ძვლის საპუდრე და ბრილიანტების შესანახი კოლოფი.

და აი, ჩვენ ციებ-ცხელებსაყვით ყვითელი უდაბნოდან, სიცხით, წყურვილითა და ქინქლებით გაწამებულნი გაუვალ ტყეებში შევდიოდით. სადაც პერი არ გვეოფნოდა და სული გვეხუთებოდა. ასე ვალწევდით ნიანგებით ვადავსებულ მდინარეების ნაპირებს, სადაც იაფად უნდა გვეყიდა შავკანიანებისაგან სპილოს თეთრი ძვალი.

ყველაზე უფრო ძვირად მიიწვალასი ფასობდა. სწორედ მისგან აყეთებენ ბრილიანტს, ოქროზე ძვირი რომ ღირს. ონღონდ აფრიცელებისაგან აღმასი ჩაეგდო ხელში ისმაილ საბაზს და მექარავნეებიცა და აქლემებიც თუნდაც პირს წავედეთ. არც თვითონ იზოგავდა თავს — ცხრა პირ ტყავს იძრობდა. ხარბი კაცის ყნოსვასთან ვერცერთი ძაღლის ყნოსვა ვერ მოვა. ცხრა მთის იქიდან მოაწყდნენ თეთრკანიანი გადამთიელები უდაბურ ადგილებს, რომლის სიღრმეებშიც აღმასები ინახებოდა. მოაწყდნენ ჯარით, არაყითა და საკუთარი მღვდელმსახურებით. ჩემი თვალით ვნახე, ძვირფასო შარაბ, როგორ მუშაობდნენ აღმასის საბადოებში მონებად ქცეული შავკანიანი ადგილობრივი მცხოვრებლები. უარეს კატორღას ვერც მოიფიქრებს კაცი. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ზედამხედველები ჩხრეკდნენ მონებს: ყურებს, ნესტოებსა და პირს უთვალიერებდნენ. ვინმე თუ გადაძალავდა

ძვირფას ქვას, მტერს უარესი, უბოვნი-
დნენ და სიკვდილი არ ასცდებოდა. ზო-
გჯერ შაგკანიანებს სული აუჯანყდებო-
დათ ხოლმე და მაშინ მშვილდისრებიით
შეიარაღებულნი შიშის ზარს სცემდნენ
დამმონებლებს, მიუხედავად იმისა, რომ
ისინი შაშხანებით იყვნენ შეიარაღებუ-
ლი. დამფრთხალ ბატონებს ყალყზე უდ-
გებოდათ ხოლმე კორპის ჩაფხუტები.

გახსოვს, რომ მოგიყევი დეიდა ჰამი-
დას შეილიშვილი ვიშვილეთ-მეთქი?
ჰამიდამ ხომ წყალში დაიღრჩო თავი. და
აი, შარდინმა ალოუს ძემ მოინდომა, რომ
ეს გონიერი ბიჭი მის მემკვიდრეს ხლე-
ბოდა სტამბოლში. ბიჭები წლის მოზი-
არენი იყვნენ. ჩემი აფრიკიდან დაბრუ-
ნების დროს ტაპირი სწავლას ამთავრე-
ბდა და ისევ სულთანის ცოლისძმის სა-
ხლში ცხოვრობდა. ბევრი საიდუმლო ამ-
ბებიც იცოდა. სწორედ მისგან გავიგე,
რომ როცა პოლიციის მინისტრმა დიდ
ვეზირს ვალი სელიმ-ფაშას სიკვდილი
მოახსენა, ბებერმა მელამ პირველად
თქვა ის რასაც ფიქრობდა..

— ამ უბიხმა ჭაბუკმა თავადაც არ
იცოდა ისე გაგვიჩინა სამსახური.

არც დაუხანებია, მყისვე აცნობა სუ-
ლთანს, იცოდა, რომ ეს მწარე ამბავი
გულს დაუამებდა. არც შემცდარა. სკე-
რი ადვილად იხსნებოდა. სელიმ-ფაშა
ახლოს იყო „ახალი ოსმანების“ შეთქ-
მულებასთან, ვისაც სულთანის შეცვლა
სურდათ. სულთანს საბუთი აქვდა, ლა-
ლატისათვის თავიდან რომ მოეშორები-
ნა იზმიდის გუბერნატორი. ნდობით კი
ველარ ენდობოდა და აი, სწორედ ამ
დროს გავუტარე გულში შერისხულ ფა-
შას კავკასიური ხანჯალი. შეიძლება ამი-
ტომაც აჟიანურებდა აბდულ-აზიზი სა-
სიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყ-
ვანას. ამით თითქოს აფრთხილებდა ყვე-
ლა თანამოაზრეს: „ვინც ჩემს წინააღ-
მდეგ წავა კანონგარეშედ ჩაითვლება,
ჩემი მოწინააღმდეგეების მკვლელებს კი
მე მკაცრად არ ვსჯი“.

ტაპირის აზრით შარდინს, ალუს ძეს
ციხის ზედამხედველისა და სანდალის
კაპიტნის საქმოსნობაში ერია ხელი. რა-

იმე მოგებას თუ ელოდა, არც ამ ამბავს
გაუშვებდა ხელიდან. ვითომ ისე შემ-
თხვევით გააგებინებდა მის უქაღვლესო-
ბას პორტის მბრძანებელს:

— ის უბიხი ყმაწვილი, ფაშა რომ მო-
კლა, ჩემი ძუძუსმტის შვილია. საცოდა-
ვმა შერცხვენილი დებისთვის იძია შუ-
რი.

შარდინს, ალუს ძეს ის არ უთქვამს
სულთანისათვის თავითონ რომ მიმართა-
ვდა ხელს, მაგრამ მის სიტყვებში არც
ეს იყო გამორჩეული.

* * *

ჩვენი ქარაგნის ზანზალაყების ხმა
მრავალტომოვანი აფრიკის რომელ კუ-
თხეს აღარ მისწვდა! ერთხელ, ძლივს
რომ გადავიარეთ ცოფიანი მგლის ხა-
ხასავით გავარვარებული უდაბნო, იმ-
ოზარების ტომის ხალხს წააწყდით.
კაცები მალღები, ბეჭებგანიერნი და
წვრილწელიანი იყვნენ. ქაპარზე ხან-
ჯლები ეკიდათ. ქალებს ზეთისხილის-
ფერი სახე და თვალის ლამაზი ქრილი
ქჭონდათ და გულითადად გვხვდებოდ-
ნენ, თუმცა ოდიფან მოსდგამდათ თა-
ვდაქერილობა და ააფშეკავება.

აზნადეს ხმა რომ გავიგონე, აფხიარ-
ცა გამახსენდა და კავკასია დამიღვა
თვალწინ მეომარი ვაჟკაცებით და უმ-
შვენიერესი ქალებით. ხალხი ხალხის-
გან განსხვავდება, მაგრამ ტირილი და
სიცილი ყველამ ერთნაირი იცის. ჩემი
გლესური გული მიღნებოდა, როცა
ვხედავდი, როგორ წველიდნენ ძრო-
ხებს მავრები თუ ბერბერები. რძე
ჩხრიალით ჩადიოდა უზარმაზარი გოგ-
რებისაგან გაკეთებულ ჯამებში. მე კი
ჩვენი უბიხური ხის დერგები მახსენ-
დებოდა. ოსშიფრიანი რძის ბოსლის
სუნიც მშობლიურ მხარეს მახსენებდა.
ძროხებიც ისე ზმუოდნენ, მამლებიც
ისე ყიოდნენ და თბაც ისე ეპოტინებო-
და ნეკერს, როგორც ჩვენში. საქორწი-
ლო თამბამების ხმა კი დოლის ბაგუნს
მაგონებდა. ზოგი ტომი ალაპისათვის
აღავლენდა ლოცვას, ზოგი — ქრისტე-

სათვის, წარმართები კი მზეს სცემდნენ თაყვანს.

ერთხელ საქარავნო გზის მახლობლად აღამიანების ძვლები შევნიშნე. ზოგიერთს ისევე ედო ზედ ჭაქვიანი ბორკილები. ალაგ-ალაგ შავკანიან მონების ძვლებიც ქათქათებდა. განა მე კი მონა არ ვიყავი? თეთრი მონა, რომელიც იგივე ისმაილ საბახს ძალღვივით შეეძლო მოეკლა. არც დამცველი მყოლებოდა და არც დამტირებელი სიკვდილის შემდეგ.

საპალნე ავიდებოდა აქლემების თანაბარ ნაბიჯსა და ზანზალაკების გულისგამაწვრილებელ ელარუნს ბოლო არ უჩანდა. ზოგჯერ საქარავნო გზები ჯვარედინდებოდა, ერთმანეთს ერწყმოდა ისევე ცალკეედებოდა. დღეები ხან ბარჯანებივით უშფოთველად გადიოდნენ, ხან კი უღაბნოს ყვირთვით ქარიშხალივით აღმუვლდებოდნენ.

მახსოვს, ერთხელ ღამის გასათევად გავჩერდით. აქლემებს ბარგი-ბარხანა ჩამოგხსენით, ღარიბულად ვივარდებოდა და დარაჯობის დრო გავინაწილეთ. ღმერთმა დაიფაროს და იოლი ცხოვრების მოყვარულები რომ დავგხსნოდნენ თავს. ამ დროს ჯუთის თოკებით ერთმანეთზე გადაბმული შავი მონების ქარავანიც გამოჩნდა. ჩვენგან ოდნავ მოშორებით გაჩერდნენ. ბადრაგის უფროსი ისმაილ საბახის ძველი ნაცნობი გამოდგა. უმთავროს ღამე იყო. კუპრით ჩამავებულნი ცა კარგს არას ვიქადავდა. ბადრაგის უფროსმა ჩვენს ქარავან ბაშს რამდენიმე კაცი თხოვა ბადრაგის გასაძლიერებლად, რადგან შავკანიანი მონების განთავისუფლებას ხშირად ცდილობდნენ ხოლმე თანამემამულენი. გასამრჯელოსაც დაჰპირდა. ფული რომ უხსენეს, ისმაილ საბახს ჭოჭმანი აღარ დაუწყია, პირიქით, დიდი სიამოვნებით გამოჰყო ექვსი კაცი, მათ შორის მეც. მცველები სამ ნაწილად გავიყავით. მე და ჩემი მეწყვილე მეორე ცვლას მოვხვდით. მესამე ცვლა ისმაილ საბახის ორ მუქთამჰამელს შეხვდა, წარამარა რომ მიჰქონდათ ხოლმე ამბები სხვა მექარავნებზე. შუალამეს

ჩვენი წყვილი დავედქით სადარაჯოზე. მხოლოდ ერთს ვოცნებობდით, მალე მთემთავებინა ჩემი საქმე და სულს ცოტახნით მაინც მომეტყუებინა თვალი. ცოტა ხნის შემდეგ ქარმა დაუბერა და ღრუბლებიდან სავსე მთვარემ ამოჰყო თავი. მთვარის შუქზე ქვეშაზე მიფენილი მონები უძველესი და იდუმალი ტაძრის კოლონების შავი მარმარილოს ნატეხებს ჰგავდნენ. უცბად ჩემი თვალები ერთერთი მათგანის თვალბს წააწყდა. პირველად ამ თვალბმა სიძულვილის ცეცხლი მესროლეს, შემდეგ კი ჭიჭურ მკითხეს:

„შენ დედა და მამა გყავს?“

„მყავს“. — თავი ვერ აარიდა პასუხს ჩემმა მზერამ.

„ძმა?“

„ძმაც მყავს“.

„სად არიან?“ — მკითხებოდნენ ნალვლისავე მოწყლიანებული თვალები.

„არ ვიცი, ბედმა დაგვაშორა ერთმანეთს.“ — მწუხარედ აღიარეს ჩემმა თვალებმა.

„იქნებ შენს ახლობლებსაც ჩვენსავით მონებად ერეკებიან და ჩემი ძმა კი დარაჯადა ჰყავთ?“ ჯიუტად ჩამაგონებდნენ მისი თვალები, როგორც შავი მაგიის ქურუმები. მე თვალებს ვხრდი, მაგრამ რალაც იდუმალი ძალა მაცოტუნებდა და ისევ მის სულში ჩამწყდომ, მოლაპარაკე თვალებს ვუსწორებდი მზერას.

— დამიჯერე, — იძახდნენ ეს თვალეები. — ჩემი ძმა შენ ახლობლებს თუ დარაჯობს, გაქცევაში დაეხმარება, იმიტომ რომ მან იცის თავისუფლების და სამშობლოს ფასი.

მე ვუძალიანდებოდი მის მზერას, მაგრამ ის გარდუვალი იყო, როგორც ბედისწერა და მიმზიდველი, როგორც თავისუფლება.

— ნუ მოხოვ! მეც შენსავით მონა ვარ და შენი დახმარება არ ძალმიძს! — დარცხვენილმა ვაქციე ზურგი, მაგრამ შევბრუნდი თუ არა მამაჩემის, დედაჩემის, ჩემი ძმისა და დების ხმები მომესმა: „უშველე მაგ ბიჭს, უშველე!“ ცისკიდურს სინათლე ეპარებოდა, მალე მესა-

მე ცვლა დაიკავებდა პოსტს და გავებდე — ბიჭის წინ, თოკით რომ იყო გადაბმული სხვა მონებთან, უხმაუროდ დაეცა თურქული დანა. მე და ჩემი მეწყვილე შეგვეცალეს. აქლემებთან მივბრუნდით და ქეჩახე მივეგდეთ. ამხანაგს მკვდარივით დაეძინა, მე კი ლოდინად ვიყავი გადაქცეული: „რა მოსდება?“ გამთენიისას სროლა და ზანგების საბრძოლო შეიახილები გაისმა, მონები ნაცრისფერმა ბურუსმა შთანთქა. ქეჩახე, სისხლის გუბეში სამი მკველე ეგდო: ორი ჩვენი მექარავენე და შესამე — მონებით მოვაჭრის დაქირავებული კაცი.

• • •

ეს არ მოსვლია, შეილო, რომ შეზღებდა ვიღაცას. ან გარემოს მოაულებს თვალს და გაცოდება, ისე ჰგავს რომელიღაც ნაცრობს, ან დეღამიწის იმ კუთხეს, გულს რომ ეფონება...

დიდი ჯვრის თანავარსკვლავედი ზედ თავზე გვადგა, როცა ღვითით შეჩვენებული საპარას უდაბნო უკან მოვიტოვეთ და სამხრეთისაკენ ვაქნევიანეთ პირი ქარავანს. მალე ჩვენს უკან მზემ ამოახათა და უცბად მის აკიაგებულ სხივებში მთები დავლანდ. სუნთქვა შემეკრა. მას შემდეგ რაც უბიხეთი დაეტოვეთ, ნამდვილი მთები აღარ მინახავს. ისე გაიზარდა, თითქოს ძვირფასი ნათესავი შემხვედროდეს. მთების ფერდობები ამწვანებულნიყო, ქელი კი თეთრი იყო. ღმერთო ჩემო, ნუთუ ყოველივე ეს ცხადია? მომეჩვენა, „ერთომ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ვიდრე და კავკასიის მთების ცქერით ვტკებობდი. ხელში წინ გაშვერილი თოფი მეჭირა და ჩაიჩილი ვეწაფებოდი წყაროს წყალს. მერე მაველის ბარდებით გადაბურულ სამართებელივით ვიწრო ბილიკს დავადექი. მივღივარ და ცისკენ მივიწვივ. გარშემო ყველაფერი ჩიტების გალობათაა გაყრუებული. მახვილი თვალი ჯიხვისა და გარეული თხის ნაკვალევსაც შეამჩნევს. ხავსმოდებულ ლოდზე ჩამოვჯექი და სმენად ვიქციე. ქარისავან ამრიალებულ ფოთლეთლიდან გავიჭვრი-

ტე და აი, ბედიც! მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალთან, კლდის მწვერულზე ჩიხვი გადმომდგარა.

ნეტავ ისმილ საბახისათვის მეთხოვა, მთებში ნადირობის ნება რომ დაერთო. მაგრამ აბა რას ვამბობ, წინასწარ ვიცი, არ გამომეებდა. ის კი არა და, თოფსაც ჩამომართმევდა. ჯერ ცვარი არ შეშრობოდა მიწას და მე კი რაც მოხდება მოხდეს-მეთქი და შაშანით ხელში უკვე ქვიდან ქვაზე ვსტებოდი და მთებისკენ მივიწვივდი. ცაში არწივები ბოინობდნენ. „ეჰ, იმათ სიმაღლეზე რომ ამიყვანა? — გავიფიქრე მე: — ქნებ უბიხეთის მწვერვალებისთვისაც მიმეწვიდონა მზერა, რომელთა ხატებაც დღემდე დამაქვს გულით“. შხუოდა მთის მდინარე და ნაწნავებივით ვრავნიდა ტალღებს. მდინარის მალალსა და ციკაბო ნაპირზე ორი არჩვი გადმოდგა. ქარი იმათ მხრიდან ქროდა და ხიფათი ეკრ იყნოსეს. მონადირულმა ეინმა ამატახება. ქვას ავეკარი, ცალ მუხლზე ჩავიჩოქე და დავუმიზნე. მთის ეჭომ სამგზის ვაიმეორა სროლის ხმა. მთები ისე შეკრთნენ, თითქოს ჩემამდე არავის გავსროლოს თოფი. დაქრილი არჩვი, შვერილის ქვებს ეხეთქებოდა და მდინარის ნაპირისკენ მოგორავდა მეორე არჩვი თოფის ქუხილმა რომ დააფრთხო, თითქოს ცაში გადნა. ქვევითკენ დავემვი ნადავლის გამოსაშვიგნაელ და უცბად შორიასლო მდგარა შეეცანიანი ჰაბუკი შევნიშნე, მშვილდი ძირს დავშვა. მეგობრულად მივესალმე, როგორც ჩანს ადგილობრივი მონადირე იყო და ჩემთან ერთად ამოდლო მიზანში არჩვი, მაგრამ ჩემმა ტყვიამ გაუსწრო მის ისარს. ნადირთა მეფისაგან გამოგზავნილი ნადავლის წინ ჩავცუცქდი და თავი მოვაჭერი. თუ ერთი კაცი ჩაციებით მიაჩერდება მეორეს, ის უსათუოდ მოუხედავს. მეც ასე მომივიდა: მოვიხედე და მოშტერებული აფრიკელი დავინახე.

— მოდი აქ, — დავუძახე და ხელი დავუქნიე.

სწრაფად მომიახლოვდა და თავის-

ენაზე რაღაც მეგობრულად მითხრა, რაც ალბათ ამას ნიშნავდა: „ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“ დანა იზიშვლა და გამო-შეგენაში დამეხმარა. მე კი წინაპართა მონადირული წესი დავიცავი და ნანადირევი შუაზე ვაყვავი.

— ეს შენი წილია, წაიღე — და ნახევარი წინ დავუღე. ის მიმიხვდა, საჩუქარი მიიღო, ქათქათა კბილები გამოაჩინა და მადლობა გადამიხადა. მერე დავუწრთული კისრიდან აქატის მძივები შეიხსნა და ჩამომაცვა.

— ნვუტი! ნვუტი! — ამბობდა და საჩვენებელ თითს მკერდზე იღებდა.

ახლა მე მივიღე თითი მკერდზე და ვთქვი:

— ზაურყან! ზაურყან!
შავკანიანმა ქაბუტმა მხიარულად დამიქნია თავი და გაიმეორა:

— ზაურყან!

ხელად მოიტანა ხმელი ფინჯი და თვალის დახამხამებაში ცეცხლი გააჩალა. თავისი წილიდან ორი ნაჭერი ხორცი ჩამოჭრა, ქამრიდან ტყავის ქისა ჩამოიხსნა, მარილი ამოიღო ორივე მხრიდან მოაყარა ხორცს, რომელიღაც სურსენლოვანი ხის ტოტი შამფურივით გამოთალა, ზედ ხორცი აავო და ცეცხლს მიუღვიცხა. როცა შეიწვა, ხორცის დიდი ნაჭერი მომაწოდა. გემრიელად გეახლებოდით. თან ერთმანეთს ვაქებდით და სიტყვებს ხელუმსაც ვაშველებდით. ნვუტი ჩემს თოფს არ აშორებდა თვალს. მივაწოდე. შემდეგ შიგ ვაზნა ჩავდე, საკეტი ჩავკვირე და გავისროლე. ნვუტიმ ალტაცებისაგან ცეკვა დაიწყო; ეტყობა, არასოდეს სჭეროდა ხელში ასეთი თოფი. ვატყობდი, მასაც უნდოდა ასეთი იარაღი ვინ იცის, იქნებ სანაღარო უნდოდა, ან თავის დასაცავად, ან იქნებ სულაც სამშობლოს დასაცავად? ჩემი დაბრუნების დროც მოვიდა. ნვუტიმ უმოკლესი გზით წამიყვანა, გამომშვიდობებისას შაშხანა მხრიდან მოვიხსენი და სავაზნესთან ერთად ნვუტის ვაჟუწოდე.

— სამშობლოდაკარგული მაძაჭირისგან გქონდეს სახსოვრად. სასიკეთო სამ-

სახური ვაგიწიოს ამ თოფმა! — ვუთხარი უბიხურად. ჩემი სიტყვები ვერ ვუთხარავო, მაგრამ აზრს, დარწმუნებულად ვუთხარავო მისწვდა. ერთმანეთს გადაეხევიეთ. ნახევარი ვერსი რომ გავიარე, უკან მოვახედე. ნაჩუქარ თოფს ლაპლაპი გაჰქონდა მზეზე, ნვუტის მალა აეწია იგი და მადლობას მიხდიდა.

შენ ალბათ ვიკვირს, არ, დად, ანე რომ მოვიტყევი. მთების ბრალი იყო, დად იმით ამიფორიაქეს ისედაც აჯანყებული სული, დამაიწყებინეს, რომ თვითონ მეც მონა ვიყავი.

• • •

ქარავნის ადგილ-სამყოფელთან რომ დავებრუნდი, და მხრიდან ჭერ ისევ თბილი ხორცი ჩამოვიღე, ამხანაგები სიხარულით ცას ეწიენ. აბა რას იზამდნენ, როცა მთელი ორი თვე მხოლოდ შაშხით, გამხმარი პურით და ბანაბების ჩირით ვაგვჭონდა თავი. ისმეილ საბაბს თვალები ჩაუსისხლიანდა, ეს კი ცუდს ნიშნავდა. თხელი ტურები ვაჭიმა და კბილები ვაახრქალა:

— შაშხანა და სავაზნე რა უყავი?
— ნადირობიდან რომ ვებრუნდებოდი, ყაჩაღები დამესხნენ თავს და წამართვეს. — მოუხერხებლად ვიცრუე მე.
— თოფი რატომ არ ისროლე?
— ისინი ბლომად იყვნენ, თანაც ყველას იარაღი ჰქონდა.
ბრიყვი ნუ გგონივარ შაშხანაცა და სავაზნეც სქელტურება ყაჩაღს მიჰყიდე ალბათ.

— გამჩბრიკე და ფულს თუ მიპოვნი, თავი მოშვირი.
— ფული უკვე გადამაღე ალბათ გაიძვირავ! ახლა ღმერთმა იცის, ის შენი შაშხანა რომელს გავგიხვებრიტავს გულს. — და მექარავენებს უბრძანა — გაათოკეთ.

ხელად დაივიწყეს ახალი ხორცი და ათი-თორმეტი ბედუინი მეცა, გამოთოკესოა ქარავან ბაშის ფეხებთან დამაგდეს, მიწაზე ვეგდე. და განძრევის თავიც არ მქონდა. ისმეილ საბაბმა კი ქეჩაზე მოიკეცა და მორთმეულ ყავას გეახლებო-

დათ. ნება-ნება სვამდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. ჭიქა გამოსცალა და უდაბნოს ვეფხვი ფეხზე წამოდგა. მათრახი აიღო და მომიახლოვდა.

— მათრახს ნუ დამკრავ, მირჩევნია მესროლო, — დავიკლავნე და შევევედრე მე. მაგრამ გაიშუთილა მათრახმა და დარტყმას დარტყმა მოჰყვა. ეჰ, უბიძგის მიწაზე რომ ვყოფილიყავ, სხვაგვარად წავიდოდა საქმე. მე კი არა და ჩემ ცხენს რომ შეხებოდა მისი მათრახი, საკუთარ ნაწლავებს დავათვლევივინებდი. პირველად მცემდნენ მათრახით, თანაც სხვების თვალწინ! სხეულის ტკივილს თითქოს აღარ ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი უშწყო სიბრახე იყო აუტანელი. ეს მიბურღავდა ტვინს და სუნთქვას მიკარგავდა.

— გეყოფა, თორემ ცოცხალი თუ გადავრჩი, იცოდე მოგკლავ! — ებრიალებდნენ მე და გველივით ვიკლავებოდი. ის მაილ საბახი გაყოფებული იყო და შემოლილივით მცემდა. შენ არ დაიჭერებ, დად და სწორედ მაშინ დავიძაგრე და თოკები დაეწვივრებ. ფეხზე დავდექი თუ არა, ჭიჭივით ვეცი ისმაილ საბახს, მათრახი გამოვტაცე, გადავუტეხე და თვითონაც არ ვიცი საით მოვისროლე. მეჭარავნეები რომ არა, ჩემი ხელით დავადრწობდი ისმაილ საბახს. რამდენიმე კაცი მეცა და ხელახლა გამთოკეს. ახლა უკვე ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის. ქარავან ბაშიც დაცხრა. ასე ხელფეხ შეკრული ვეგდე დილაღე, მაგრამ არც ისმაილ საბახი და არც სხვა ვინმე არ მომკარებია. დილით ვითომც და არაფერი მომხდარაო, ქარავანის წინამძღოლი ჩემკენ დაიხარა და ხორცში ჩამჭდარი თოკები შემაქრა.

— აღეჭი, საქმელი ჭამე და საქმეს მიჰხედე! — მეგობრულად მითხრა მან. იმ დღიდან მოყოლებული ისმაილ საბახი უფრო ყურადღებიანად მექცეოდა; ქუჩყიან საქმეს არ მავალბდა, ზოგჯერ რჩევასაც მეკითხებოდა, ხმის აუმაღლებლად იძლეოდა განკარგულებებს. მაგრამ კარგად ვიცოდი, როცა მოეპრიანე-

ბოდა, მაშინ გამიყრიდა სწორედ იმ დანას შიგ გულში, რომელიც ვეფხვივით ხელ-ფეხი გამინთავისუფლებდა.

• • •

ერთხელ ბირამმა დაიგვიანა, დათქმულ დროს არ მოიტანა სადილი. მზე უკვე დასაეღეთისაყენ იხრებოდა და ის კი არა და არ ჩანდა.

— რა დაემართა? ასეთი რამ ჯერ არ უქნია მე რა მიმავს, მაგრამ შენ ისედაც სტუმრისთვის შეუფერებელ საქმელს გაქმევთ და... — ბუზღუნებდა ზაურყანი და ვატყობდი, რომ მიუხედავად ჩემი დამშვიდებისა, უფრო და უფრო ლელავდა.

რამდენჯერმე მოკიდა ხელი კვერთხს და ბოლოს წამოდგა კიდეც:

— წავალ და გავიგებ, რა დაემართა. მაგრამ ჭიშკართან მივიდა თუ არა, ბირამიც გამოჩნდა ფუთით ხელში. მოხუცი მობრუნდა ხმისამოუღებლად დაჯდა და კვერთხს დაეყარნო.

ბირამი ჩემთან მოვიდა.

— მაპატიე, ძვირფასო შარახ, — მითხრა მან, — ცოლი ავად გახდა და დროზე ვერ მოამზადა სადილი.

— რა დაემართა? — ვკითხე მე.

— გუშინ თავის ტკივილი დაეწყო და მთელი ღამე გააწამა. დღეს ცოტა უკეთაა.

ზაურყანი ისმენდა საუბარს და დუმდა, თითქოს პირი წყლითა აქვსო სავსე. ნასადილევის ჭურჭელი რომ ააღაგა ბირამმა, მივედი და ვუთხარი:

— ცოტა კიდეც რომ დაგეგვიანა, ზაურყანი წამოვიდოდა შენთან, ძალიან სწუხდა.

— აფსუს! — თქვა ბირამმა, — ეგ რომ მცოდნოდა, ცოტას კიდეც დავიგვიანებდი განგებ.

— რატომ? — ვკითხე მე.

— ალბათ ათი წელი იქნება გასული, რაც მამა არ ყოფილა ჩვენთან. — კიდეც უფრო ზმადაბლა თქვა ბირამმა, რომ მისი სიტყვები მოხუცს არ გაეგონა.

— რატომ?

— არც მეზობლებთან დადის და არც ჩემთან. ალბათ იმიტომ რომ ჩემს ცოლზეა გაბრაზებული აკი გითხარი შეილი არ გვყავს-მეთქი. ჰოდა, მეუბნება „ვითომ ის არაფერია, მე რომ ვარ მარტოდმარტო, მაგის მიზეზით შენც ჩემსავით რომ დარჩეო“. არც კი ვიცი რა ვუბასუხო; ძალიან ძნელია მაგასთან ხასიათის შეწყობა, — ბირამმა ნაღვლიანად გადააქნია თავი და წავიდა.

მე და ზაურყანი კი ერთმანეთის პირისპირ დაგვექმით და უკვე შეჩვეულ სამუშაოს შევუდევით.

მზე ჩავიდა. ეზოში ჩამობნულდა. მე შინ შევედი და ქრაქი ავანთე. დავსხედით და ზაურყანმა საუბარი განაგრძო.

ის მიაბზობდა, რაც აფრიკაში მოგზაურობის დროს ვადაიტანა. ცდილობდა აღედგინა მეხსიერებაში, სად იყო და რომელ ხალხს შეხვედრია. ზოგჯერ იმ უცხო სიტყვებსაც იხსენებდა მოგზაურობის დროს რომ გავგონა. უფრო მეტად უდაბნოზე მიაბზობდა, მაგრამ ზოგჯერ აფრიკის უღრან ტყეებსა და წყალუხვ მდინარეებზეც მომითხრობდა, რომლებზეც გემები დადიოდნენ.

ხანდახან ყველაფერი აერეოდა ხოლმე და თავიდან იწყებდა. „მოიცა, არ ჩაიწერო, მგონი ასე არ იყო. — მაჩერებდა ხოლმე ზაურყანი, ეს ოხერი, ყველაფერი გაქრა ამ გოგრიდან?“ — შუბლზე ირტყამდა ხელს.

მაგრამ მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, მაინც მიხვდით, რომ ასე რვა-ცხრა წელიწადი დაჰყვებოდა ქარავანს აფრიკის თვალუწვდენელ უდაბნოებში...

ხუმრობაა? ცხრა წელიწადი ხომ მთელი სიცოცხლეა. დღეს რომ საწოვარას წოვს იმ ბიჭს ცხრა წლის შემდეგ რომ გამოუდგება ვერ დაეწვი!

• • •

საქონელი რომ გავყიდეთ და აქლემებს შეძენილი ავლადიდება ავყიდეთ, რაშიც ობიჟმიც იყო დამალული, ჩვენი ქარავანი ისევ ქაიროსკენ მიმავალ გზას დაადგა, უნდა გითხრა, დად შარახ,

რომ ზოგიერთი ჩვენთაგანი, ვისაც ეგვიპტეში სახლი და ოჯახი ჰქონდა, გახარებული იყო, მე კი რა უნდა გამხარებოდა, რა შელოდა? ცოდვილი შრომის საფასურად აღებული ფული. ეს იყო და ეს. ის კი არა და თავიც რომ გამომეყსიდა და თურქეთში ღვებრუნებულიყავი, სადაც ჩემი ახლობლები დავტოვე, ვიცი, სელიმ ფაშას მკვლელობისთვის გამოტანილი ვანაჩენის სისრულეში მოყვანა არ ამცდებოდა. ის-მეილ საბაზი ჩქარობდა. შესვენებები მოკლდებოდა და სავალი ვზეზი გრძელდებოდა... უკან მოვიტოვეთ ქალაქი სივა. უდაბნოს ვეფხვი ყურდაცქვეტილი იყო. წარამარა გვახსენებდა, რომ დღე-ღამე ფხიზლად ვყოფილიყავით და ოთხი თვლი გამოგვესხა. თვითონ კი თითქოს ჰაერს ყნოსავდა მეძებარეით.

— ამ გზაზე არა ერთხელ გაუძარცვავთ ყაჩაღებს ქარავნები, — გავგაფრთხილა მან და ყველას ორმაგი რაოდენობით დაგვირიგა ვაზნები. უმთვარო ღამე იყო. ერთი ჰის მახლობლად დავბანაკდით და მცველებს დაყენება ძლივს მოვასწარი, რომ მოულოდნელად, თითქოს უდაბნოში გრიგალი ამოვარდაო, უკუნი სიბნელიდან ცხენოსნები დაგვესხნენ თავს. სროლით შემოგვერტყნენ და ირგვლივ ტრუსის სუნი დააყენეს. წყვლიადი, ტყვიების სტვენა, დაჭრილი აქლემების ბლავილი, ცხენების ჰიხვინი და თავდამსხმელების ყიჟინა ერთმანეთში აირია. ერთი მხედარი ჩემკენ გამოქანდა, უნაგირიდან გადმოიწია და ხმალი ასწია, მაგრამ დავასწარი და ვესროლე... ქვიშაზე დაეხეთქა და სუფთა უბიხურ ენაზე ამოიგვინა:

— მომკლეს უთვისტომო და უჭირი-სუფლო!

თმა ყალყზე დამიდა. ყველაფერს მოველოდი. სიკვდილსაც კი, მაგრამ მშობლიური ენის გაგონება აქ, ბარქანებში, სადაც შიითანიც კი ვერ გაძლებდა, საოცრად დაუჭერებელი და მოულოდნელი იყო. გარდა ამისა, დაჭრილის

ხმა მკნო. თავდამსხმელები, კი, რაკი მარჯვედ დახვდნით, მიხვდნენ აქ ვერაფერს გამოვრჩებითო და ისევ ელვისებულად გაქრენ, როგორც გამოჩნდნენ. მე დაპირილთან მივირბინე. თავდებოდა კაცი თავზარი დამეცა... საიდი იყო, ჰაჭი კერანტიხის ძუძუმტე. თავზე ვტაცე ხელები და ბლანტი სისხლი შევიგრძენი.

— საიდ, ღმერთო ჩემო, საიდ, ნუთუ ეს შენა ხარ? — გაოგნებული ვბუტბუტებდი მე.

თვალეში უკვე სიკვდილი ჰქონდა ჩამდგარი. როგორც ჩანს მიცნო, რაღაც გაუგებრად ჩაიჩურჩულა და ქუთუთოები დაუშვა. გარშემო ამხანაგები შემომერტყენ, ხელში ანთებული მამხალეები ეჭირათ. ყველა გახარებული იყო, ცოცხლები რომ გადავრჩით და გაოგნებული მიცქეროდნენ მოკლულის გვამზე დამხობილი რომ ვქვითინებდი.

მე მთლად გადავირიე, სიკვდილი მინდოდა, სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა ჩემთვის და არც არაფრად მჭირდებოდა. თოფის ღულა მკერდზე მივიბჯინე და ის იყო ჩახმახისთვის ხელი უნდა გამომეკრა, რომ საიდანღაც გაჩენილმა ისმაილ საბახმა ფეხი გაპკრა თოფს და ხელიდან გამაგდებინა. მერე ქარქაშიდან დანაც ამოაძრო.

— გათოკეთ ეს გადარეული! — დაუყვირა მან მექარავენებს. მაგრამ სანამ ისინი მამხალეებს ქვიშაში ამავრებდნენ, დავუძვეერი და უკუნ ღამეში გადავეშვი. ისე გავბოდი, თითქოს ჩემი ხელით მოკლული საიდის სულის დაწევა და შეჩერება მინდოდა. ისე მიექროდი, საკუთარ ფეხებსაც კი ვეღარ ვგრძნობდი. მივბოდი, სანამ მთლად არ გამომელია ძალღონე და მიწაზე არ დავენარცხე.

საწყალი საიდი!.. სამსუნის ახლოს დავმორდიე ერთმანეთს. სამშობლოში დაბრუნებას ოცნებობდა და მეგონა საღდაც უბიხეთის მთებისკენ მიმავალ გზაზე დალია-მეთქი სული. საიდან

გაჩნდა აფრიკაში? რომელმა ბოროტმა ძალამ შეგვახვედრა ერთმანეთს? რომელ ბოროტ სულს ეწადა, ჩემი ხელით რომ მომეკლა თავისუფლების მოყვარე ჩემივე თანამემამულე?

ღილაძე მკვდარივით ვეგდე. ქვიშაში ამოგანგლული უცაცრიელ უდაბნოში. ღლით თითქოს საფლავიდან წამოვდექი, სახიდან მტვერი ჩამოვიფერთხე და მივიხედა-მოვიხედე. ათიოდნაბიჯის მოშორებით ორი ტურა ჩაცუცქულიყო. ბანცალ-ბანცალით პირდაპირ მათკენ წავედი. განზე გაბტნენ და წაცუნცულდნენ, თან წარამარა უკან იხედებოდნენ. ნეტავ ამ საზიზღარმა არსებებმა რატომ არ შემჭამეს მკვდარ-ცოცხალი, არაქათამოცლილი და უიარაღო? ვინ ოცის, იქნებ იმათაც ვეზიზღებოდი თანამომხმის მკვლელი? ფეხქვეშ უდაბნო მერწყოდა, როგორც გემის ბაქანი ზღვის ღელვის დროს. მთლად გამოფიტული ვიყავი, მზე კი უფრო და უფრო მაღლა იწვედა. მალე აქა-იქ ამოსული ხეები დავინახე. არა, ეს მირაფი არ იყო, თაზისს ვუახლოვდებოდი...

ამომხრალი კალაპოტები

რა უნდა მექნა? ავდექი და სხვა ქარავანს მივეყედლე. ქარავანი ქაიროში მიდიოდა. მექარავენებმა მასპინძლობა გამიწიეს: მასმევდნენ, მაქმევდნენ და მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ მფარველობდა, ვინმე მონებით მოვაქრისათვის მიყიდე და ფულის მოგება არ უფიქრით. არც ძველი ქარავან ბაშისთვის დაბრუნება მოსვლიათ აზრად. საქონელი, ქარავანით რომ მიჰქონდათ, სომეხ ვაჭარს ეკუთვნოდა. ვხაშივე გავიგე, რომ ტვირთი ქაიროდან ზღვით გადაიგზავნებოდა სტამბოლში. ქაირო დიდი ქალაქია, მაგრამ მე შშიერ-მწყურვალ მანანწალას ერთი ახლობელიც კი არ გამაჩნდა იქ. გული თურქეთისკენ მიმიწვედა, ნათესავებისა და თანამემამულეებისაკენ. ერთი დღე მაინც გამე-

ტარებინა ოჯახში, ერთ დღეს მაინც გამეგონა გულის დამაამებელი უბიხური ლაპარაკი და მერე თუნდაც ბლაგვი ნაჯახით დავეჩეხე, ვისაც უნდოდა. სომეხი ვაჭრის დაქირავებულ მტვირთავეებს ვეხმარებოდი საქონლის გემზე გადატანაში, რომელიც სტამბოლში მიდიოდა. კავკასიელიათ რომ გაიგო ვაჭრმა ჩამაცვა, დამახურა და ფულიც მომცა საქმელ-სასმელსათვის. ეს კაცი მდიდარიც იყო და გულუხვიც. მასთან შეხვედრამ დამარწმუნა, რომ სიმდიდრე გულუხვობას არ გამორიცხავს.

და აი, სომეხი ვაჭრის თანაგრძობი-სა და სიკეთის წყალობით სტამბოლში ჩამოვედი, ამ ქალაქზე ჯერ კიდევ ბავშვობაში მქონდა ბევრი რამ გაგონილი. უბიხებს ამაზე უფრო დიდებული და მდიდარი ქალაქი მთელს დუნიაზე არ ეგულებოდათ. როცა ვინმეზე იტყოდნენ: „სტამბოლში მიდისო“, გვეგონა ქვეყნის დასასრულს მიდის კაციო. მთიან სოფელში ძვირფას ხანჯალს ან ფაქიზად ნაკეთებ ქალის სამკაულს თუ ნახავდნენ, სტამბოლში გაკეთებული ეგონათ. ის კი არა და სიმდიდრეებში ლამაზი გოგოს თვალებს სტამბოლის ქარკას ადარებდნენ.

კონსტანტინეპოლმა, როგორც ზოგიერთები უწოდებდნენ თურქეთის დედაქალაქს, გამოაცა: მწვანეში ჩაფლული მარამლილოს სასახლეები თავზე ნახევარ მთვარის გვირგვინდადგმული მენეთები, და მათ შორის ყველაზე მეტად ვასათყარი აიასოფის ტაძარი — ზეცასავით ცისფერი. ყველა ქვეყნის გემების თავშესაყარი ოქროს რქის ყურე, აყაყანებული ბაზრები, სადაც რაღა არ იყიდებოდა ოქროს ძვირფასი სამკაულებიდან დაწყებული უბრალო სასტვენებამდე, ცხვრის ხორციდან დაწყებული ზღვას გარეული ნადავლით გათავებული გამყიდველების შიპატიეება, ყავახანების ამო სურნელი, მითხვრების მუდარა, ვაჭრების გინება, კონტრაბანდისტების ჩურჩული, ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და როცა ბა-

ზარს ომახიანი ხმა გადაუვლიდა თავზე: „აბა, უკან დაიწით, გზა მოგვეციოოოოოოოო“ იმას ნიშნავდა, რომ ბაზარში უნდა მდიდარი მყიდველი შემოვიდა, ვისი მსახურიც მაცნესავით გასძახოდა ხალხს: „გზა მოგვეციოო“.

საქიოს ყველანი თანასწორი ვართ, აქ კი მიწაზე ყველას თავისი ადგილი გვაქვს. მე პორტის კართან, გემების მისადგომთან დავბინადედი, მსოფლიოს რომელ ენას არ გაიგონებდი იქ. მაგრამ მტვირთავეებსა და მეზღვაურებს უთარჯიმნოდ ესმოდათ ერთმანეთის. აქ არავინ არ ეკითხებოდა არავის: სადაური იყო, რატომ ჩამოვიდა და დიდხანს აპირებდა თუ არა აქ დარჩენას. ზურგი მაგარი გამოშაღვა — გადაქმონდა ბარდნები, კასრები, ყუთები და ვინ იცის რა აღარ. მეზღვაურებისგან გაიგე, რომ ქალაქში ბევრი მთიელი გამოჩენილიყო.

რა ხალხია?

— აფხაზები არიან.

— დმერთო ჩემო, შემაქრეოლა მე, — ისევე დაიწყო მპაჯირობა? ნუთუ აფხაზებმაც დამლუბველი ნაბიჯი გადადგეს?“

გულმა ქალაქისკენ გამიწია. შხის ჩასვლის შემდეგ და პარასკეობით სტამბოლის ქუჩებში სახეტილოდ მივდიოდი, იქნებ წებულდელ აფხაზებს გადავეყარო-მეთქი, დედაჩემის ძმების თანასოფლელებს, ან ვინმე ნაცნობს. კვამლი უცეცხლოდ არ იქნებოდა და მართლაც მენეთის ეზოებში, კაფეებში და ბაზრის ალაყაფთან უფრო ხშირ-ხშირად ვხვდებოდი იარღლასხმულ ჩოხიან კაცებს. ისინი აფხაზურად ლაპარაკობდნენ. ვუსმენდი მათ და ტკბილ-მწარე გრძნობა მეუფლებოდა. ტკბილი იმიტომ რომ, სმენას ესალბუნებოდა ენა, რომელზეც ოდესღაც იავნანას მიმდეროდა დედა. მწარე კი იმიტომ, რომ ისევე მწუხარედ ლაპარაკობდნენ ახალი მპაჯირობი, როგორც უბიხები სამსუნის მიდამოებში.

სადამოვდებოდა; ბაზრის აბლოს მი-

ყრილ-მოყრილი ქვეები კი ისევ თბილი აყო. ერთერთ მათგანზე დაბეჭდილ ახალუხიანი მოხუცი იჯდა. დაგლეჯილი ჩექმებიდან ჭუჭყიანი თითები მოუჩანდა ჩაქინდრულ თავზე ხელები შემოკვდო და გაწეშებულიყო, მოკლედ, საფლავის ქვას ჩამოჰგავდა. გვერდით მიუჭყეკი და ვკითხე:

— რა დაგემართა, ძია კაცო?

მოხუცმა ვაოცებით შემომხედა, ეტყობა ვერ წარმოედგინა, რომ უჩოხო და უყვალაბო კაცი აფხაზურად დაილაპარაკებდა.

— ერთი ეს მოთხარი, დად, ვინა ხარ სადაური ხარ?

— მე ძველი მპაჭირი ვარ, უბიხი.

— ო, ო, — თანაგრძობით ამოიოხრა მან, — უბიხები თვითონა ხართ თქვენი უბედურების მიზეზი, დაუფიქრებლად რომ გადმოსახლდით აქ, ჩვენ კი ძალით გამოგვრეკეს.

— რუსეთის მეფემ?

— არა, თურქეთის ჯარებმა. ამათ ხომ აფხაზეთის წართმევა მოუნდომეს რუსეთს. სოფლები გადასწვეს, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდათ, თავს ჰკვეთდნენ. გაუკაცრიელდა აფხაზეთი, ძმაო, გაუკაცრიელდა და დანახშირდა. — ცრემლიანი ხმა უკანკალებდა მოხუცს.

— მოთხარი, ბიძაჩემო, ხომ არ იცი წებელდელებს რა მოუვიდათ? დედაჩემის ძმები ცხოვრობდნენ იქ.

— თქვენი უკუყო გადმოსახლების საში წლის თავზე, ისევე დაიწყო მპაჭი-

რობა, რამაც თურქეთის სანაპიროზე გარიყა ხალხი წებელდიდან, გუმიდან, აბაქუჯადან და მაჩარადან. ჩვენებურები კი, როგორც უკვე ვითხარი, იანიჩრებმა ძალით გარეკეს. წყველიმც იყვნენ. გაუკაცრიელდა აფსნი. მიწა დარჩა მხოლოდ, სული კი ზღვის იქით გააძევეს. დანახშირებულ ნასახლარებზე ძაღლები ყმუიან მე ამბუჯადან ვარ, გვარად რაცბა, თამიშების ტომისა ვარ მშვიდობით იყავი შვილო.

მოხუცთან ორი ახალგაზრდა მოვიდა, ეტყობა შვილები იყვნენ; ადგომამი შევეშველნენ და ისიც მათი დახმარებით სადღაც წაჩანჩაღდა.

თუ რაიმე არ ემღებოდა, მოხუცის ნათქვამის მიხედვით წებელდელები სწორედ იმ წელს გადასახლებულან თურქეთში, მე რომ ციხეში ამოვყავი თავი. დედაჩემს შეიდი ძმა ჰყავდა და ჩემი ვარაუდით ერთ ადგილს თუ არ დავიწყებდი ტყეზას, რომელიმე მათგანს მაინც გადავეყრებოდი სადმე.

იმ დამეს ისევ დამესიზმრა მთები, გაზაფხულის წყალიდობა ბზიფის ხეობაში; თითქოს ათას დაფდაფს უკრავენო, ისე გრგვინავდა მდინარე, მაგრამ მის გაცოფებულ დრიალსა და ქუბილში ჩემი ხელით მოკლული ცხენის ქიხინიც შესმოდა. იკლანებოდა ცეცხლი უბიხების თავგაცთა სახლის სახურავზე და გმირების სახეებს ამკლავებდა. ყველაზე ხშირად აჰმეთის სახე ისახებოდა, ბარაკის ძე გვევედრებოდა: სამშობლოს ნუ მიატოვებთო...



ოთარ ხელიძე

ომის მოღარანი

ომის მოღერნია: ფანტომები,
ტანკის ჯადოქრული ნახტომები,
ჯავაშანგადაცმული ატომები
და სხვა ათასგვარი სასწაული:
ყველა ჯარისკაცი განსწავლული
ისერის ინტეგრალურ განტოლებით,
როცა სიცოცხლე აკრძალული.

ომმა თაობები დააშინა,
ომმა დედამიწა დაამშია,
ომი ბავშვებისთვის თამაშია;
ომი დედებისთვის ვალაღია,
ომში გამარჯვება გვაგალია
და ვინც დამონების ღადარშია —
ომი — გადამრჩენი წამალია.

ომის მოღერნული გააზრებით
კგვანან ოლეანდრებს ამაზრუნენი
მწვანე საუნეიტო ზარბაზნები,
ტყვია — ტყვიამფრქვევის ხორბალია, —
სისხლით ტრამალეები მობანილია,
ნაღმი ჯგჯილდება განაზებით,
შესძრავ — ჯოჯოხეთის ბორბალია.

ომი მოღერნისტობს რაბანია:
ალარც შუბ-მახვილთა ჯახანია,
ალარც ყავლგასული ფარხმალაია,
ალარც რაინდული ჭიდილია,
ალარც ორთაბრძოლის იდილია.
ომში ყველაფერი ახალია,
ძველი — მარტოოდენ სიკვდილია.

როცა მიხარია სუნთქვა

როცა საქართველოს მთაველს
ტინის ბინულივით სუფთა
დილა დაამუქებს თვალებს,
როცა მიხარია სუნთქვა —
მინდა აორთქლება ნამად,
მთებზე გადაფრენა ნისლად,
ნარბენ ბილიკებზე გავლა
და შენს დედულეთში მისვლა,

სადაც ბროწვეულთა აღმი
იწვის ღობეები წნელის,
სადაც გაჩენილი ბავშვი
პირველ აღსარების წერის.
და რაც უსაშველო დაფრნი —
გადის მერამდენე წელი?
შენთვის დავიბადე მაშინ
და ჩემს დაბადებას ვწყველი.

ერთი აბრიალება



ჩემი ჯადოქრები მპირდებიან გამოჯანმრთელებას აპრილამდე, ეგებ დასასკდომი კვირტებიდან ერთი აფეთქებით ავბრიალდე. მაშინ დამიბურავს ელვისუმალ ქროლვა გარდუვალი მარადისის,

რადგან საწადელი შემისრულა ხიდან ყვაევილებად გადამისვრის. ცაში მიმოფანტულს, თავისუფალს დაე, ლაგვარდები გადამეფლოს, როცა ჰაერივით ჩამისუნთქავს, — გულში ჩავევარდე საქართველოს.

ტყის შიში

მიწაზე კარგახნის ჩამოცვენილ ნოტიო ფოთლების სურნელებას ხეების ხასხასა სამოსელის ცინცხალი სურნელი უნელდება.

მთელი ეს სიმწვანე აკვარულის სურათად პატარა წყაროშია.

და ჩვენი ზაფხულის ნაკვალევი წლებანდელ გაზაფხულს წაუშლია.

უღრან ტყეს ეკმევა საკმეველი და ჩემი დუმილი შეაღონებს, თითქოსდა ვანიშნებ საკვირველი ქალაქის საშინელ სიახლოვეს.

ნუ მითვლი

როდესაც ავდრიან-დარდიანზე წერილის მოწერა მოგწყურდება, გაკეცი დატოვე მაგიდაზე, ჩემამდე თავისით მოცურდება. ნუ მითვლი, თითქოსდა უსათუოდ მარტვილის საშველი სიკვდილშია, რომ არ ღირს სიცოცხლე უსასოოდ, რომ ცალკე დარჩენა სიგიჟეა; ნულარ მწერ, ხომ იცი — მარტოობა მიზიდავს მაგნიტურ არესავით, შორს გაჭრილ სიტყვაზე ნადირობა მხოტავს და არ მიშვებს აღარსაით. ჯადოსნურ წრეში ვარ მოქმეული, ვბრუნავ და ვწრიალებ ადგილზე და შენგან სიცოცხლე ბოძებული ათას ერთ ღამეში დაეიზღვევე. არ ვამბობ, თითქოს და სიახლეა ამდენ ხანს მარტოკა გამოკეტვა. პირიქით, შინ ჯვარცმა სიგლახეა, როდესაც ამინდი გამოკეთდა;

მაგრამ რა საშველი გამოქებნო, თუ არ შწამს სიძნელის გადადება, თუ ჩემი კერპია საოცნებო საქმეზე წინაპრის თავდადება. და ესეც რომ არა, დავიშლები უდღეურ მედროვის დანახვისას, რომ ლამობს ქოსური დაჟინებით ჩემს ალგვას, მიწიდან გადახიზუნას. თუ, რამე სიმართლე გესახება მის ჭორში, — თუ რამე სისწორეა, მაშინ შენც სიწმინდე გელახება, რამეთუ ერთ სულად გვიცხოვრია. წერილს ვწერ და ვიცი: ალაღებდად უბრალოდ აროდეს წრიალდები; გგონია — თავისით დალაგდება, დაწყება საწუთროს წერილმანები. ნუ მითვლი, თითქოს და უსათუოდ მარტვილის საშველი სიკვდილშია, რომ არ ღირს სიცოცხლე უსასოოდ. რომ მარტო დარჩენა სიგიჟეა.

სხელი კვირა

ეროვნული
ჩემი ვაჟის ვიოჩის

მზე ზის წყალში მოგიზგიზე,
დნება ხიდი — ზედადგარი
და თბილისის ხელის გულზე
დულს და ორთქლავს მზე და მტკვარი.
ბული ცაში ასდის ასფალტს,
ქუჩა ზანტად დაგადუგობს,
ძირს დავარდნილ ერთ ღერ ასანთს
შეუძლია გადამბუგოს.
ვიხარშები მთების ქვაბში;
ბოლოს — ხვატით დანათუთქი —

მკვდარი შველ ცხელ ოთახში,
სადაც თითო და სათუთი
სიცხეს უძლებს ჩემი ბავშვი;
სულს მოვითქვამ მისი სუნთქვით,
გავცოცხლდები და ხელგამლილ
საუკუნედ მიღირს წუთი...
ალარც მზე მწვავს მოგიზგიზე,
ალარც ცხელზე ცხელი კვირა,
ჩვილ თათებით როცა გულზე
საკუთარი მზე მომკვრია.

რიტმი და რითმა

როგორც ვფინება მთებზე
ფიფქი უჩუმესი თოვლის,
იმ ხმის აფლერებას შესძლებ
რიტმით, უპირველეს ყოვლის.
და რაც იბადება ქვეყნად —
ჯერ არ მონათლული სიტყვით,
ყველა გამოითქმის ერთად
მხოლოდ საკუთარი რიტმით.
თუ ხარ აყოლილი სხვის ხმას,
ყალბად გაგიღიმებს ბედი,
მერე დაგატყუავს რისხვას
ლექის უმოწყალო ღმერთი.
იოლ წარმატებით თუმცა
საწყალ მოშურნალებს შემლი,

მაგრამ აორთქლდება უცბად,
რაც არ ჩაქირულა შენში.
ოღონდ, მიგდებული რითმაც
რიტმის უძლეველი დროშით
მალე გაბრწყინდება, ვითარც
შოთა რუსთაველის დროში.
და მეც ერთმანეთის სწორი
მრავალასწლოვანი ძმანი
ძნელად მოსაგები ომის
თანამებრძოლებად ვცანი.
უკან დასახვევი არ მაქვს
და ვერ მივატოვებ იმ ორს,
როგორც აყვირებულ არაგვს,
როგორც აბღავლებულ რიონს.

აბასთუმანში

აბასთუმანში მწვანე ნაძვები
ჭლექის სიცხიან ჰამაკს არწევენ,
რძეს ღვინოსავით სვამენ კაცები
და მთვრალბივით დაბარბაცებენ.
აქ ყველა ჩემზე ბედნიერია, —
რა ხანჯლავთ, რა სწვავთ — უკეთ იციან.

ჩემი ტკივილი ბევრზე ბევრია,
ათასში ერთსაც ნუ გამიცვლიან.
არც ვუროგდები, მათ მაპატიონ,
ჩემი მე დამრჩევს განუკურნებელს.
ხმა როგორ უნდა გადავაწვდინო
ერთი ტკივილით საუკუნეებს?..

უღელგახილვა



მთებში ხეტიალის გაღმერთებით ვიდრე უღელტეხილს გადავივლი, ღვიის ქვეშაგებზე განვერთხმება უღვთო ნადირობით გადაღლილი. უცებ, ჩამოქცეულ ჩანჩქერთან ცეცხლის ბუმბერაში მოვარდება, ცხრაჯერ დაჭექებას დასჯერდება ჯაჭვებაწვეტილი მოლანდება. და ჯერ გვირაბებით გადაუჭრულ კლდეებს მიეჭრება ავდიანი, ელვას მათრასივით გადაუჭერს გამძვინვარებული ამირანი...

ღრუბლებს წვიმიანად ჩაისუნთქავს, ყურში უპასუხებს დაძახილით, ღმერთკაცს — უბორკილოს, თავისუფალს მინდა ავედევნო ამ ძაღლივით. სიზმარგაფანტული წამოვდგები, ოდეს დამიღმუვლებს ქარტყნით, ჩემსკენ გადმონთქილ წყაროებით ცის ჭერს მიბჯენილი მთაგრეხილი. ხვეთა სიღრმეთაგან აღმოხდება ექოს ამოთხვრა ჯავრიანი: კი არ მოგეჩვენა — ამბოხებად შენსავე სისხლშიათ ამირანი...

საბაზაფხულო წარმოცენა

ღრუბლის ფთილებიდან წვიმის ძაფებს მოლოდინი ართავს და ქსოვს ათასფერი მძივით, სცენის უზარმაზარ ფარდას. ყველა საორკესტრო ხვეი ღვართა მუსიკოსებს იკრებს, ჩუმად აკვირებენ ხენი მწვანედ წარმოდგენილ ფიქრებს. შავ ზღვას ამღერება უნდა, ბარსაც ემღერება, მთასაც, მთელი საქართველო უცბად იქცა თეატრალურ დასად. დიდი სცენისაკენ იძვრის ოდნავ აწვერილი მოლი,

დაბადებიდანვე იცის ყველამ საკუთარი როლი. ყველა შემყურეა ზეცის, ყველა საოცრებას ელის, ყველა მიზანსცენას შეცვლის ერთი გამოკრთომა ელვის. აჰა, მწვანეიანზე დასცემს მძაფრი დაჭექება ავდარს, სცენა ზარგრუსუნით-სწვეს ტრელი გაზაფხულის ფარდას და მეც მაყურებლებს მივდეგ ვიწვებ უთავბოლო ყიალს; რამდენს ველირსები კიდევ ასეთ წარმოდგენის ხილვას?

ღამის ბარინება

ღამე გარინდდა, კარს წაატანა მოშავო ხელი, ფართოდ გააღო, შუქიც აანთო, მერე გარედან შემოაფრინა ფთოთლი ხმელი — წერილი ძველი — უმისამართო. ნოემბრის ქარი არხვედა ხეებს სამოსჯაცვენილს, წივილკივილი გაჭონდათ ხეებს —

ვიში და ზარი. სირცხვილნაჰამნი იქნევდნენ ხელებს, არ ქონდათ ტანზე გამოსაცვლელი. იაგარქმნილი შევლას ელოდა ჩემგან ბუნება, ჩემგან ნუგეშს და ჩემთან შემოსვლას. დღეებდათვლილი ასე მოვლელი შენს დაბრუნებას, შენით შიშველი სულის შემოსვას.

წყურვილის სეზიალი



ვიყავი შენთან,
 თვალი შევავლე კედლებს მწუხარეს,
 თიხის ძველებურ ჯამებს, ჭურჭლებულს,
 შანდლებს — სარკესთან.
 ჯიხვის ყანწები, ძველი ბუხარი
 ჭამს მახსენებდა რაღაც უჩვეულს...
 თითქოს ოდესღაც
 მეცხოვროს სახლში, სადაც აროდეს
 არ ვარ ნამყოფი, არც შემიხედავს,
 იმ დროს როდესაც
 ვიცნობ ძველ ნაცნობ ფარდებს, თაროებს
 და სტუმრის ასე გულცივ მიღებას.
 ლურჯი შუქფარი
 ოთახს აფრქვევდა ცისფერ ნაკადებს,
 მრგვალ მაგიდასთან ორნი ისხედით,
 ორივე მდუმარედ,
 ჭკავდით ყინულის ნაჭანდაკარებს,
 მიტყერდით ცივი გამოსხივებით.
 უხმოდ გაგცილდით,

გარინდებული, დამორცხვებული
 ორთან ზედმეტი ვიყავ — მესამე.
 მეორე დილით
 რად შემხვდი აგრე გაოცებული?
 რად გაშრი, ოდეს ვერ მოგესალმე?
 და ქუჩის კუთხეც
 მოწმეა — წუხელ არსად ვყოფილვარ,
 გავთავდი წუხელ და სად გნახავდი?
 თავსაც ვერ ვუმხელ —
 შენთან არყოფნით ავადმყოფი ვარ,
 ვერ მომერგვა სხვა რამ სახადი.
 დღემიწურვილნი
 არ ვართ, ჟამთასვლას არ დაეუჯეროთ,
 რამეთუ ძილშიც დავალთ სტუმრებად.
 ჩვენი წყურვილი
 მიმოდის ღამით, ჩუმად, უჩვენოდ,
 სულ სხვა სიცოცხლის დადასტურებად.

ჩვენს შორის...

მტკვრის გადაღმა ჩაუქვრიათ
 შუქი სამივე სარკმლის,
 მწვანე ჩრდილი დაუღვრია
 აკვირებულ აპრილს.
 მიწის ყივილს მინდობილი
 სახლთან ვდგები მარტო,
 გამეშლება მინდორივით
 მოედანი ფართო.
 თმებს მიწეწვავს სისხამდილის
 ნიავეჭარი ჩუმად,
 ვგადავარ მარტივ სინამდვილის
 და სიზმრების შუა.
 გამოჩნდები ჩემსოფლებლი
 ჩემი ყრმობის ლეკუაი,
 ჩემი კარის მეზობელი
 და ბატკნების მწყემსი.
 ჩითისი კაბა არ გაცვია
 და არც ჭალამნები,

მაღალ შუბლზე არ გაცვივა
 შავი დალაღები.
 ჭრელ აბგაში არ გიწყვიტა
 ყველი, ჭადი ცივი,
 არც ჭინჭრებში დაგიწვია
 წყვილი სწორი წვივი,
 მაგრამ მაინც მეჩვენება
 მოედანი მინდვრად,
 წამით შენი შეჩერება
 სველ სათიბში მიინდა.
 ძელზე დაბმულ ძველ ბორანთან
 ყრმობას ვნახავთ წყალში
 და ბაღლობის მეგობართა
 ჩრდილებს, ჯერ არ წაშლილს.
 მაგრამ სულ სხვა დგას ჩვენს შორის,
 სულ სხვა ვიდაც, სულ სხვა,
 და ქუჩაში მაგდებს ცოდვილს
 სისხამ დილის სუსხვა.

ხელი ფოთოლი

ბაღადა




აფეთებს მარტი ქუჩებს მოთოვლილს
და ხეებს ძარცვავს ქარის თარეში;
უკანასკნელი ხმელი ფოთოლი
ხეს მოწყვეტილი დაქრის ჰაერში.
ერთდროს სარკმელთან მისი შრიალი
არა, არ იყო უშინაარსო,
შენ განიშნებდა: ისევ შინ არის,
უშენოდ სულ შინ, სულ შინ არისო,
ძირ-ძირს ვშვება და უხერხულად
ფანჯრის რაფაზე რჩება ცოტახნით,

ვევბ ჰგონია — გამოუხურა
ფოთოლს სარკმელი ჩემი ოთახის.
ვევბ ჰგონია — გადამავიწყდა —
ბოლომდე როგორ ება კენწეროს,
ვევბ ჰგონია — მტვრად გადაიქცა
და მისი ბუდი ყველას ეწეროს.
ვერ გაეუშვებდი ჩემგან ვერსაით,
ფოთოლს გავუღე უმალ სარკმელი,
რადგან საწუთროს შერჩა შენსავით
ნათესავთ შორის უკანასკნელი.

სიცოცხლის დაზღვევა

დააზღვევო შენი სიცოცხლე,
ყურში ჩამძახის ქურჩის რადიო,
ხელს გაგიმართავთ — გამოგიწოდებთ,
უცებ ლოგინად თუ ჩავარდიო.
დააზღვევო... პლაკატს მაჩვენებს
ყოველი ჩიხი და მოსახვევიც:

„თუ რამ შეგემთხვა, მოვალთ მაშინვე,
შინ მოგაკითხავთ გამოძახებით“.
გმადლობთ; მპატრონობს ბედინაცვალი,
თან უბის ჯიბით დამაქვს რვეული,
ჩემი სიცოცხლე ერთი საწყალი
ქართული ლექსით მაქვს დაზღვეული.





ბორის გურგულია
აფხაზი პოეტი

ქველი რვეულიდან

ლექსის დანერის წინ

რალაცა ძალა მიმაკრავს სკამზე,
ფრთები შემეხსმის მალა საფრენი,
თავს მოგვეცევი არწივის სამზერს
და აღარ მახსოვს
აღარაფერი...
გადავევლები მთებსა და მინდვრებს —
არ დამქსელავენ აბლაბუდები,

არ დავბრუნდები მიწაზე, ვიდრე
მკვიდრი გულისტქმით
არ დავბრუნდები.
და როცა სიტყვა ინატრებს ქალაღს,
სულის სიღრმიდან ამონათებით,
ერთბაშად ვიგრძნობ რალაცა მალაღს,
ქარიშხალივით
ამოვგარდები...



მე სიმღერით ვეგებები
გაზაფხულის ქარებს
და ხელს ვართმევ აღტაცებით
ქვეყნად მზიან დარებს.
სიხარული მინდა მხოლოდ
და გავურბი
სევდას.
მე სიმღერით ვეგებები
გაზაფხულის ქარებს.

მაგრამ, გულო, თუ კი ხედავ
ბოროტების წკვარამს,
არ გავექცეთ იმედთან
ბრძოლასა და ვარამს...
ამ გზას თუ არ ვიპოვიდით.
უწმინდური
გვძლევა!
მამ აენტე, შევეუტიოთ
ბოროტების წკვარამს!



ზოგიერთი სხვასაც სტანჯავს
და თვითონაც წვალობს.
თუ ხარ ქვეყნად, უნდა ჰგავდე
მთის ანკარა წყაროს —

სიყვარულით დაგვეწაფოს
დაქანცული
მგზავრი.
თუ ხარ ქვეყნად, უნდა ჰგავდე
მთის ანკარა წყაროს.

ტყვეს სთქორავდე ცივი ტალღით,
 აყვავებდე ველებს...
 ხენი გსვამდენ, შხამად ემცე
 ყვავებსა და ძერებს;

მაშინ ნულარ შეგამფოთებს
 აღსასრულის
 ჯავრი, —
 საუკუნოდ უხსომები
 ტყეებსა და ველებს.



• • •

მივყვებოდი მთაში ბილიკს
 მწვერვალისკენ ნელა...
 მახარებდა ხეთა ჩრდილი,
 ვვავილების მზერა, —
 რა კარგია, რა ძვირფასი
 როცა სული
 ხარობს...
 მწვერვალისკენ მივყვებოდი
 მთაში ბილიკს ნელა.

დამავიწყდა, კაცნი ქვეყნად
 თუ ოდესმე ვკვდებით,
 მზის ალერსი მაღაღებდა,
 ვგრძნობდი მესხა ფრთები.
 უცებ წყარო დავინახე,
 მთის ანკარა წყარო...
 ქვეყანაზე იქნებ მართლა
 ყველა არა ვკვდებით?

მე და მეუ

ერთად ვიღვიძებთ ყოველთვის,
 მე და მზე
 ერთად ვდგებით...
 ქვეყნადაც ერთად მოვედით
 ერთი სიცოცხლის ფრთებით.
 გავაღებ დასშულ დარაბებს,
 შემოიჭრება.
 დილა,
 სინათლის ჯარი დამარბევს,
 ტანში დაივლის ტკბილად,
 გულს ჩაფენილი ასკეცად
 ლექსი არ მომლის ბოგინს,
 მე
 კვლავ ჩემს ლოგინს ავკეცავ
 მზე —
 ცაზე გაშლილ ლოგინს.
 და როგორც ძველად ვხარობდით,

კვლავაც გავტყორცნით ისარს.
 ერთად ჩავირბენთ წყაროსთან,
 ერთად დავიბანთ პირსაც.
 შაირებს ვიტყვით ზედიზედ,
 განა უძღური გარჯით!
 მერე ბეჯითად
 მე და მზე
 ვასრულებთ დილის ვარჯიშს...
 ჩიასაც ერთად დავლევთ და
 საქმეზეც ერთად წავალთ,
 გული მზის ჯადოს დანებდა,
 უერთმანეთოდ რა ვართ!
 ერთად ვიღვიძებთ ყოველთვის,
 მე და მზე
 ერთად ვდგებით,
 ქვეყნადაც ერთად მოვედით
 ერთი სიცოცხლის ფრთებით.



• • •

ხან გულშიც იცის გვალვა
 დარდით მოღვარული როცა ვარ,
 ხან სულშიც იცის გვალვა
 და სპობს სიყვარულის მოსავალს.
 თავს გავატაცებინებ ქარაშოტს,
 სადმე დამკორტნიან

არწივები
 და არ დაგებრუნდები
 არასდროს,
 თუ გულში
 კვლავაც არ გაწვიმდები...

• • •

სალამობით, როცა გზადაგზა
 ტურფა ბაღნარის ახლოს ჩავივლით,
 უფერულდება ვარდი ანაზღად
 და ფერსა ქაარგავს
 ყველა ყვავილი.

გაბედავს ვარდი დაბინდულ სივრცეს
 კვლავ მუდართა და დარდიანად —
 იქნება სურს, რომ ყვავილად იქცე
 ან თვით გარდიქმნეს
 აღამიანად?...

• • •

ხესთან ბედურა წვალობს,
 დილიდან სად არ ეთრია...
 ხე არ ყოფილა მწვანე
 თუ ყველაფერი თეთრია?

თოვლს ტახტი უყვარს ჭარბი,
 ამაღამ უფრო იბევრებს.
 ბუნებაც დადის კაცივით
 და ნაფებურებს სტოვებს...

თოვლს ტახტი უყვარს ჭარბი —
 ამაღამ უფრო იბევრებს...
 გარეთ ბავშვობა დარბის,
 შინ მოკეცილა სიბერე.

ვუცქერი — როგორც ყმაწვილი —
 ქუჩაში მხცოვან პოეტს.
 ბუნებაც დადის კაცივით
 და ნაფებურებს სტოვებს.

• • •

მადლა
 ჩაფერვლილი დიდი ცაა,
 დაბლა —
 ფერთა ქანები:
 შემოდგომა კაცივით მიიცვალა
 და მიასვენებენ ჭარბები.

ქარებს არ უყვართ ფიქრების
 შემოჯარვა,
 განადა უამბოდ დაშვრებიან...
 ხეებზე ჩიტები შემომჯდარან
 თუ ცხედრის საბილველად
 ბავშვებია?..



დროის მდინარეს
ვერვ შევებით —
წითებს ვტაცებდით ოქროს სვავიდან,
მაგრამ გავიდა ტკბილი დღეები
და ზაფხულის მზეც მთებში ჩავიდა.

არ ვიცი, ფიქრით
რას ფიქრობს ესლა
და რა აღონებს, ჩუმად რომა ვართ,
მხოლოდ გარდასულს იკმარებს ქვეყნად
თუ უფრო ლამაზს მხატავს მომავალს?

წახვედი, დავრჩი სალი კლდის ქიმზე,
გადარჩენილი გრიგალს შემთხვევით,
თუმცა ვერ გხედავ და მაინც მიმწერ,
ვიცი, რომ სადმე გზაში შემხვდები.

მიიპარება ცხოვრება მთა-მთა,
გული შეკუმშა კაეშნის ნუჭრმა;
მოფრეოდი გრიგალს და ზამთარს,
თუ გამატანდი სიყვარულს ნუზლად.

მაგრამ მარტო ვარ კვლავ ჩვეულებრივ,
შენი სიტყვით კი ყველას გერჩივ,
ნუთუ ცელქობას დაჩვეულები
ასე უეცრივ გადავეჩვიეთ?

იქნება, მართლა არც მომხდარა რა
და მხოლოდ ტკბილი სიზმარი ვნახეთ?

იქნება გული იქცა არარად,
ველარ იგონებს გაცრეცილ სახეს?..

ან იქნებ ქვეყნად არც რა არსებობს
და ყველაფერი არის ბურანი?
მაშ, სად გაიჭრა იმედით სავსე
ჩემი ოცნების შმაგი ქურანი?

სად გადიკარგა ბავშვური ღებნა
ლამის უბეში დაღვრილი ეშხით?
სად არის ქარი ქვენა თუ ზენა,
რა მინდა სევდის დაბინდულ ესში?

წახვედი... დავრჩი ცხოვრების ქიმზე,
გადარჩენილი გრიგალს შემთხვევით,
კვლავ უხილავი თვალებით მიმწერ
და, ვიცი, ერთხელ კიდევ შემხვდები...

გულში
ფიქრების ჯარი შეყრილა,
გულს ფრთაგაშლილი სიტყვა მოედო,
როგორც ფრინველი ცხელი ქვეყნიდან
გადმოფრენილი საჩრდილოეთით.
მინდა აღმუვლდეს სულშიც გრიგალი,
ქვეყანას გასწვდეს ხმა გუზუნისა,
დარჩეს სიცოცხლე, როგორც იგავი
ცხოვრებისა და

საკუნისა...
მინდა ვარსებდე ფრთებს არწივივით,
სანამ ჩემივე მხრებით ვარსებდი,
სანამ მართალი ლექსის ტკივილი
გაფრინდებოდეს სადღაც სამხრეთით...
გულში
ფიქრების ჯარი შეყრილა,
გულს იდუმალი ძალა მოედო,
როგორც ფრინველი ცხელი ქვეყნიდან
გადმოფრენილი საჩრდილოეთით...



ქარი ხეებში გაივლის მაყრით,
 ქარი ყოველთვის ლამობს ანცობას
 და ყვითელ ფოთლებს სახეში მაყრის
 ცხოვრების აზრის ამოსაცნობად.

ჯერ კიდევ გუშინ ძუძუთა კვირტებს
 მწვანე სიცოცხლის ეშხით დაწყებას,
 აურაცხელი იმედის მტვირთველს,
 მოვიგონებ და გული დამწყდება...

• • •

• • •

ალარ მასვენებს გული გზადაგზა,
 ცალად დარჩენილ ჩიტის ჭივჭივით.
 მინდა შევასწრო თვალი ანაზდად
 და ვიყურები ირგვლივ გიჟივით...

მაგრამ გარშემო მხოლოდ ქარია,
 ჩამოვარდნილი ფოთლის შრიალი...
 და ლექსი თურმე გასაქანია
 ადამიანის.

• • •

დიდხანს ვხეტიალობთ შექენამდე
 ზოგს ვეძებთ და ზოგსაც ვემალეებით,
 ერთ დღეს კი უცნობმა მეძველმანემ
 უნდა წაიღოს ძველმანები:
 უკვე ცხოვრებაში შესარცხვენნი
 და ძმაკაცივით დარცხვენილი --
 ტკბილად გაცვეთილი ფეხსაცმელი,
 შენთან სიარულში გაცვეთილი,
 ქუდი, წარსულივით
 ფურწასული,
 და გახუნებული
 საწვიმარი...

გულში კი დარჩება სახსოვარი --
 ძველი პირველქმნილი დღეები;
 ძალიან ბევრი ხავსოვანი,
 იისფერ წყალში არეული,
 და ალარ ვიქნები მზეებრი,
 ვიქნები მხოლოდ
 მთვარეული.

და როცა ჩამოივლის მეძველმანე,
 მოხდება გულის დასაწველი:
 ძველმანებს მომთხოვს მეძველმანე
 და მიაქვს მართლ ტანსაცმელი.

თარგმნა ვუკამ ვოზიაშვილმა



ოთარ კუპრავა

სირიაჩქონის ტყის სიზმარი

რომანო

ვერიკო ქუთაისში რომ ჩაეიდა, პირველად შუშანიკა კუპრავილის ბინის ძებნას შეუდგა. ეტლი არ დაუქირავებია, ფულს გაუფრთხილდა და ფეხით იარა. კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნო. ხეხილის ბაღში იდგა ჩია სახლი. ვერიკომ შუშანიკა იკითხა და, თქვენ ვინ ბრძანდებითო, კითხვითვე უპასუხა აივნებიდან ახალგაზრდა ქალმა.

— მე ივლიტა ვარ გთხოვთ დაუძახოთ.

— ო, ვერიკო! მე კი დილით გელოდებოდი, — გაიხარა მასპინძელმა.

გოგონებმა ძველი ნაცნობებივით გადაჰკოცნეს ერთმანეთი და შინ შევიდნენ.

ორად-ორი დავალება ქონდა ვერიკოს აბაშის პარტიული ორგანიზაციისაგან: ფედია ფრანგიშვილის ნახვა უნდა მოეხერხებინა ციხეში, მიეწოდებინა მისთვის სათანადო ცნობები და, მეორე, პოლიტიკური ბროშურები წამოეღო აბაშაში.

ქუთაისის გუბერნიის ციხეში იმ დროისათვის რეასამდე პატიმარი გმინავდა. მათი უმრავლესობა პოლიტიკური დანაშაულისათვის იჯდა.

ნასადილევს შუშანიკამ ვერიკო თავისი ტანსაცმლით შორთო. საოცრად მოუხდა ვერიკოს ქალაქურ ყაიდაზე შეკერილი კაბა. ცოტა ნახმარი პალტოც გამონახა შუშანიკამ ვერიკოსთვის და ფეხსაცმელებიც...

ვერიკომ სარკეში თავისი თავი ვერიკო.

ცოტა გაიცინეს გოგონებმა.

ის დღე მიღებული იყო და მეორე დილით ციხის კარებთან იდგნენ. რამდენიმე საკმლიდან პატიმრები იყურებოდნენ.

აქედან ძნელი იყო მათი სახის გარჩევა, — ყველა ერთმანეთს ჰგავდა.

ვერიკო ამაოდ ეძებდა მათში ფედიას; ტურები უკანკალებდა; ციხე პირველად ნახა და შეჰზარა მისმა ნახვამ.

მოსაცდელ ოთახში ხორაგით დატვირთულ ხალხს მოეყარა თავი.

შამაკაცები აქვე აბოლებდნენ თამბაქოს თავიანთი პატიმრის ნახვის მოლოდინში და მოურადებლად აფურთხებდნენ ისედაც ჭუჭყიან იატაკზე. სულის შემზუთველი სუნით და ბოლით იყო გაქლენილი ვიწრო ოთახი. გაიღებოდა საქათმის კარის ოღენა სარკმელი და, ციხის მორიგე სახეს რომ გამოაჩენდა, ყველა ერთად აყაყანდებოდა, ყველა თავისიანის გვარს გაიძახოდა და მის ნახვას ითხოვდა.

შუშანიკამ ძლივს მოახერხა ეთქვა მორიგისათვის: ფედია ფრანგიშვილის და ჩამოსული სოფლიდან და, თქვენი ჭირიშე, როგორმე ნახვა მოგვიხერხეთ. მორიგეშე შესავსები ფურცელი ვადმოსცა შუშანიკას.

შეავსეს, ფედიას საყნის ნომერი შუშანიკამ იცოდა, — ორი დღის წინ ენახათ ფედია ქუთაისელ ამხანაგებს და გაუგიათ: ხელწერილით ვანთავისუფლებას და ბაქოში გადასახლებას უპირებენო...

ეს არ იყო, ცუდი, რადგანაც ოთხ კელელშუა მაინც არ იქნებოდა გამომწვევადელი კაცი.

მორიგის დაბრუნების მოლოდინში დრო ნელა გადიოდა.

ვერიკოს გული აუფანცქალდა; ეგონა სადაცა კარებს გაგვიღებენ, შევალთ და ფედიას ენახავთ.

რა ბედნიერი იქნება მაშინ ვერიკო! გადაეხვევა ფედიას და აკოცებს, ფედიაც აკოცებს ვერიკოს, თავზე ხელს გადაუსვამს...

ვერიკო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატირდეს, ეს სირცხვილი იქნება. ტირილი რა საჭიროა!..

... ფუჭი გამოდგა ვერიკოს წინასწარი ფიქრი.

მორიგეშე პასუხი მოიტანა: პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებისათვის — ფედია ფრანგიშვილისთვის ჩამოურთმევიათ ხელწერილი, რომ ის ამიერიდან იცხოვრებდა ბაქოში, და წინა დღით გამოუშვიათ.

ვერიკო და შუშანიკა ციხიდან დაბნეულნი და დაღწრემილნი გამობრუნდნენ.

ვერიკოს სულ მოეშხამა გუნება.

მაშ, გადაუსახლებიათ ფედია!

და ვერიკო მას ვერასოდეს ნახავს! სჯობდა, ისევ აქ ყოფილიყო, ციხეში, თავის სამშობლოს ცას მაინც შეხედავდა ვიწრო სარკმლიდან, მეგობრებთან ახლოს იქნებოდა!..

ციხის ზედა სართულის სარკმლიდან ისევ იცქირებოდნენ ტუსაღები, ვილაცა

ვილაცას ხელს უქნევდა, თითქმის ვლაპარაკებოდა...

ზოგნი, — ალბათ არც ელოდნენ მომკითხავს, არც რამის იმედი ჰქონდათ, — ორივე ხელით ჩასკიდებოდნენ რკინას, შუბლიც რკინაზე მიედოთ და ასე გასცქეროდნენ ციხის ვალაყანს მიღმა დარჩენილ თავისუფლებას; თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდნენ ქვეყნიერებას და სურდათ კარგად აღებეჭდათ მესხიერებაში...

ან, იქნებ, ფრინველს შესცქეროდნენ, ცაში მონაერდეს!..

ვერიკომ და შუშანიკამ ნაბიჯს აუჩქარეს.

და ვერიკოს არც გაუგია, ციხის ერთ-ერთი სარკმლიდან კოწია დალაქმა რომ შენიშნა იგი და იცნო.

— ვერიკო!.. ვერიკო!.. — იყვირა კოწიამ, მაგრამ ვერიკომღე ვერ შიალწია მისმა ხმამ.

კოწიამ ჭერ ხელი იქნია, მერე ცვირსახოცით რაღაც ამოიღო და თავგამეტებით ააფრიალა ვისოსებიდან.

ვერიკოს და შუშანიკას უკვე ზურგი შეექციათ ციხისთვის და მიდიოდნენ გულდამძიმებულნი.

— ეჭვებე!.. ვერიკო!.. — ყვიროდა კოწია, კი არ ყვიროდა, ღრიალებდა. „ოღონდ მომხედოს და დამიძახოს ბიძიაო!..“ — ფიქრობდა გამწარებული.

მერე ის რაღაც ცხვირსახოცის მაგვარი ტინჭი მოიცილა, ოთხი თითი ჩაიღო პირში და დაუსტვინა.

ვერიკოს სტვენა კი შემოესმა. მაგრამ რა იცოდა ვინ უსტვენდა და ვის უსტვენდა.

ფედია ხომ უკვე არ იყო ამ ციხეში! კოწიამ თანდათან დაუწია ხმას და ბოლოს სულ ხმადავლა, ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ვერიკო!..

ლოყებზე თვალებიდან გადმონადენი ცრემლების სისველე იგრძნო.

ტიროდა კოწია დალაქი თავის სიცოცხლეში პირველად.

„ეჰ, ვერიკო, ვერიკო, გული არ გღებია მკერდში. შენს გამო დაიჭირეს

საწყალი დალაქი, შენ კი არ გაგხსენებია, არც მოგვონებია, რომ ის ამ გისოსებებს იქით ზის უპატრონოდ, ყველისგან დავიწყებული... "

ვერიკოს ყველაფრის ხალისი დაეკარგა.

ქუთაისელ ამხანაგებს მაინც უნდა შეხვედროდა.

ფედისას ხელწერილით განთავისუფლების ამბავი პარტიულმა ამხანაგებმა სხეანიარად ახსნეს: აგრე თავისუფლად ვინ გაუშვებდაო.

თვითონვე დატრიალდნენ და მალე გაიგეს: მართლაც, ფედია თავის ნებაზე როდი გაუშვიათ ციხიდან. ორ ზედამხედველს წაუყვანია მატარებლით თბილისში, იქიდანაც სხვა ზედამხედველები წაიყვანდნენ ბაქოში...

ათასნაირი სააღურსო და საიმედო სიტყვები უთხრეს ვერიკოს მეგობრებმა, მერე ერთად ისადილეს, ცოტა ღვინოც შესვეს, წაილიდინეს კიდეც, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გააღიმეს ვერიკო...

კარგად რომ შებინდდა, საიდუმლო სტამბა ანახეს აბაშელ სტუმარს.

"ნეტავ აბაშაშიც მოგვცა ასეთი სტამბა!" — ინატრა ვერიკომ.

შუშანიკას სახლში რომ მივიდნენ, ვერიკოს უკვე ცოტათი განათებოდა გუნება.

მეორე თუ მესამე დღეს საკმაოდ მოზრდილ კალათაში ბროშურები და პროკლამაციები ჩააწყვეს, ზემოდან კიტრები დააყარეს...

ვერიკო რიონამდე გამოაცილეს სპარტაკელმა შუშანიკა კუპრაშვილმა და პარტიულმა რაედენ კუხიანიძემ.

მატარებელში ჩასვეს და დაემშვიდობნენ „კიტრების გასაყიდად“ აბაშაში მიმავალ „ივლიტას"...

ვაგონში ტყვა არ იყო. ვერიკომ კალათა მარტომ ვერ ასწია და ერთ მგზავრს დახმარება სთხოვა; სულ მალე თაროზე სურდა კალათის დაბინა-

ვება. უცნობმა ვოგონას ურჩია, სჯობს აქვე, დაბლა იდოსო.

ვერიკომ თავისი დაიჩქარა, მაგრამ იმ უცნობმა ბოლოს მაინც დაარწმუნა, რომ კალათის ხელმისაწვდენზე დატოვება აჯობებდა, რადგანაც მგზავრები სხვა სადგურებზეც ამოვიდოდნენ და მერე მისი ჩამოღება გაჭირდებოდა. თანაც: თუ მილიცია ჩამოივლიდა, უფრო მეტად მიმალულ ბარგს გაჩხრეკდა.

ამ გვიან შემოდგომაზე ასეთი ქორფა კიტრები დაგიკრეფთა და რად გინდა გადმოგიყარონ და გაიფუტკონო...

ეს კაცი ვერიკომ რიონშიც შენიშნა, ვაგონის ფანჯარასთან მდგარი.

ქალებმა მიიწამოიწიეს, ვოგონა ძლივს-ძლივობით ჩაისვეს შუაში.

ვერიკო ფიქრებს მიეცა. ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ ფედიაზე. კარგა ხნის შემდეგ შემთხვევით გვერდზე გაიხედა და ისევ იმ მამაკაცის მწერას შეეფეთა. თბილი და ალერსიანი თვალები ჰქონდა მამაკაცს, თითქოს ნაცნობი. საფეთქლიდან ლოყამდე ძველი ნაჭრილობევი აჩნდა, მერე ეს ნაჭრილობევი ოდნავ შექალაქავებულ წვერში იკარგებოდა, როგორც ბილიყი ტყეში.

უცნობმა გაუღიმა ვოგონას.

ვერიკოსთვის ეს გასაკვირი არ იყო, რადგანაც მის სილამაზეს ასე ბევრი უღიშოდა შორიდან სხვა დროსაც...

ვაგონის მეორე მხარეს ხალხი შეჩოჩქოლდა. მილიციელები მოდიოდნენ, ალბათ ეძებდნენ ვინმეს, საბუთებს სინჯავდნენ, ჩემოდნებს და კალათებს ჩხრეკდნენ...

ეს არეულობა ქურდებისთვის ზემო იყო...

მოხუცმა გლეხკაცმა შუბლში შემორტყა ხელი, — ხურჯინი მოეპარათ მისთვის.

ვერიკოს მხარის დამჭერი იქ არავინ ჰყავდა და ისევ იმ სახენაჭრილობევი უცნობისაკენ გააპარა თვალი, მაგრამ ის არსად ჩანდა.

შეწუხდა ვერიკო, თავის კალათისაკენ გაიხედა, კალათაც გამჭრალიყო.

ვინმემ გვერდზე თუ გასწიაო და სხვა კუთხეს დაიწყო თვალების ფათური. მილიციელებმა ვერიკოს კუბემდე მოატანეს.

— საბუთები წარმოგვიდგინეთ! — იყვირა ერთმა.

ბეგრს სულაც არ აღმოაჩნდა საბუთი.

ვერიკოს სიკვდილი ჰქონდა გათაყებული, ათასწილად ერჩია იმ კალათიანად დაეკირათ, ოღონდაც არ დაჰკარგოდა.

რა პირით შეხვდეს ამხანაგებს აბაშაში? ერთ კალათს ვერ მოუარა!..

მილიციელები საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ ბარჯს. ვერიკოს მახლობლად მისივე თანატოლი რამდენიმე გოგონაც იჯდა. მილიციელებმა მათ სათითაოდ გამოჰკითხეს ვინაობა, ჩემოდნები თუ კალათები სულ თავდაყირა გადმოუბერტყეს.

ერთი ალბათ სტუდენტი იყო, მის ჩემოდანში წიგნებს და რვეულებს რომ წააწყდნენ, ფურცელ-ფურცელ გასინჯეს...

ვერიკოს ჯერი რომ დადგა, მილიციელებისთვის არც შეუხებდავს გოგონას, ისე უპასუხა: ივლიტა რუხაძე ვარ, კიტრი მიმქონდა გასაყიდად და მომპარესო...

იმ ღია კუბეში, ზევით თუ ქვევით, რაც გაისინჯებოდა, ყველაფერი არიდარიეს და მომდევნო კუბეში შევიდნენ.

— ქურდები, მამაძაღლები! — სიმწრით ჩაილაპარაკა ვერიკომ და, რატომღაც ეგონა, რომ მისი კალათა სადღაც აქ იყო.

ერთმა მილიციელმა ვერიკოს ნათქვამში გაიგონა და მოიხედა:

— რა თქვი?

— მომპარეს, ბიძია, კალათა, — ლამის გული ამოუჯდა ვერიკოს.

ვაგონს იქით-იქით გაჰყვებოდა მილიციელების შეძახილები: „გადმოიღე!“ „ვისია?“, „გადმოყარე!“ და ქალების: „ა, არ დამიმიტვრიო!“ „არაფერი არაა

შიგ!...“ წიოკი, ბუზლუნი, ყვირილი, ტირილი...

— ქურდები, მამაძაღლები! — რილამდე ცოტა აკლდა ვერიკოს...

ნეტა დაეჯახოს ეს მატარებელი რამეს და გადაბრუნდესო, — ნატრობდა.

ადრე თუ თვითონ ეჩქარებოდა და მატარებელი კი ძლივს მიითრგვდა წელს, ახლა, თითქოს ვერიკოს ჯიბრზე, მოუჩქარა მატარებელმა სელას და სულ მალე აბაშის სადგურში ქშენით შევიდა.

აქ წუთიანი გაჩერება იყო და ჩამსვლენები ერთბაშად მიიწყდნენ კარებს. ერთმანეთს ხელს უშლიდნენ ჩასვლაში. ვერიკო არ ჩქარობდა. ან რისთვის უნდა ეჩქარა?! იცოდა, — სადგურზე დავითი და ბიქტორი დახვდებოდნენ.

დათქმული ჰქონდათ, რომ ვერიკო მატარებლიდან გადმოვიდოდა სადგურის მოპირდაპირე მხარეს.

ფანჯრიდანვე შენიშნა ვერიკომ მეგობრები, ვაგონების გადასამბელებზე ფრთხილად გადავიდა და მიწაზე დაადგა ფეხი...

...ეწყინათ, მაგრამ მეორეს მხრივ განგების წყალობით ჩასთვალეს მეგობრებმა კალათის დაკარგვა.

ასე რომ არ მოხდარიყო, ვერიკოს დაპატიმრება არ ასცდებოდაო.

კიტრების მოპარვა არ გაჰკვირვებოდათ, რადგანაც იმდროინდელი მაწანწალები კიტრს კი არა, კიტრის ნაფცქვენსაც მოგპარავდნენ.

დავითმა ვერიკო ძლიერ შეწუხებულად რომ ნახა, იხუმრა: არაფერია, ჩემო ვერიკო, ის, შენი კიტრის ქურდი იმდენ ბროშურას და პროკლამაციას რომ წაიკითხავს, უდაოდ ბოლშევიკი გახდება და ეგვეც ხომ საქმეაო.

კალათის დაკარგვაზე უფრო მეტად ფედიას ამბავმა შეაწუხა დავითი და ბიქტორი...

* * *

ლონგინოზ ქუთელიას სახლში უნდა შეკრებილიყვნენ იმ ღამეს კომიტეტის წევრები და ბროშურები თუ პროკლამაციები ვაენაწილებინათ ხალხში გასატანად. ლონგინოზის სახლ-კარზე ჯერ არ ჰქონდათ ექვი აღებული მილიციელებს.

ვერიკო ღამესაც აქ ატარებდა ზოგჯერ. ხან საშხადში, ხანაც ნალიაში იძინებდა. მისთვის, კარგა ხანი იყო, არ არსებობდა საკუთარი, გაქათქათებული ლოგინი.

შესალამოვდა.

ლონგინოზს ღვინო ამოჰქონდა ლაგვანოდან. იფიქრა: ეს უკვე მესამედ იკრიბებიან ჩემს სახლში, მოდი, ერთი მეც მოვეუსმენ რაზე ლაპარაკობენ და ღვინითაც გავუმასპინძლებიო.

ნალია ჰქვევით შემოფიქრული ჰქონდა ლონგინოზს და აქ ემარბა სამი ლაგვანიც, ტაბაკიც ედგა და ჭოჩოვებიც; მესხვეზე სიმინდს და ღომს აბინავებდა.

დავითი, ბიქტორი და ვერიკო რომ მოვიდნენ, ლონგინოზმა ჭრაქი აანთო, წელში მოხრილ, მოხუც მეთლღესოდში შესვლა და დამინება ურჩია: შენ გაწვალდები, სჯობია მოისვენოო...

სამ სპარტაკელს მალე სამიც მოემატა.

...იმხანად ერთი სპარტაკელი ყმაწვილი ჭიჭიკო გოლუა ფოსტალიონად მოაწყვეს უფროსმა ამხანაგებმა. ჭიჭიკოს ევალებოდა, გაზეთებთან ერთად, პოლიტიკური ფურცლებიც ჩამოერიგებინა სოფელ-სოფელ; მიიტანდა გაზეთს ოჯახში და თავის გზას ვაგარქმელებდა. ოჯახის პატრონი გაზეთს რომ გაშლიდა, შიგ პროკლამაციის ფურცელს წააწყდებოდა...

ამ ხერხმა კარგი შედეგი გამოიღო.

და ჭიჭიკო ახლაც ვერიკოს მიერ ჩამოტანილი ფურცლების წასაღებად იყო დაბარებული ლონგინოზის სახლში, რომ ხვალ დილით ხალხში, მენშევიკურ

გაზეთებთან ერთად, ბოლშევიკური სიტყვაც გაეტანა.

მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავარდნილი დახვდა...

რას ვიფიქრებდი, თუ ის სახენაჭრილობევი კაცი კიტრების ქურდი იქნებოდაო, — ისევე წუხდა ვერიკო.

— ზოგი ქურდი ახლა ექიმივით გამოწყობილი დადის, — ამშვიდებდა ბიქტორი.

გარეთ ძაღლმა დაიყეფა.

მეტს არავის ელოდნენ.

— ვინ უნდა იყოს ამ უდროოდროს? — ჩიბუზღუნა ლონგინოზმა და ეზოში გავიდა.

ძაღლი კუტიკარს აწყდებოდა.

— ვაღი, ძაღლო, იქით, — დაუცაცხანა პატრონმა და ღობიდან გზაზე გადაიხედა...

მალე შემობრუნდა ლონგინოზი და ის სახენაჭრილობევი კაცი შემოიყვანა. უცნობს ხელში ვერიკოს კალათა ეჭირა.

— ვერ მიცანით, ბიჭებო, ფეღია ვარ.

ფეღია ვარო?!

ახალგაზრდები წამოიშალნენ და კონითა და ხევენით ღამის დაახრჩვენს კაცი.

ვერიკო განზე დადგა, ლოყები შეუწითლდა, თვალებზე ცრემლი მოადგა. ფეღიამ ბიჭებისგან თავი დაიხსნა, ვერიკოსთან მივიდა და შუბლზე აკოცა, როგორც ბავშვებს კონიან ხოლმე.

— აი შენი კალათი!

ვერიკოს გული აუფანცქალდა...
...ქუთისის ციხის ორ ზედამხედველს ფეღია ხაშურში გაპარვია.

იქ ერთი მეგობარი ჰყავდა — ჰამლეტ სარალიძე, დახვეტილი ძმების სარალიძეების ბიძაშვილი. მისი დახმარებით სახე შეუცვლია და მეგობრებთან გამოსამშვიდობებლად წამოსულა აბაშისკენ. რიონში მატარებლიდან თვალი მოუკრავს ვერიკოსათვის; მიშველებია, მაგრამ არ გამოსცნაურებია...

ლონგინოზმა ნიორი და ხახვი მოუმატა სუფრას, ნახევრამდე დაცლილი

ლოქიც შეავსო... ფედია ვერიკოს გვერდით ჩამოჯდა და ზემოთის ხასიათზე დადგა:

— აბა, იმ მატარებელში რომ გამოვცნაურებოდი ჩვენს ვერიკოს, ხომ ატეხდა კივილს სიხარულით და ორივენი მახეში გავებმებოდიოთ...

ივინეს, გულით გაიხარეს ფედია ბერი რამ ახალი გააცნო ამხანაგებს.

— ძმაო, შენ ციხეში იჯექი, თუ მთავრობის თათბირებს ესწრებოდი? ამდენი რამ საიდან ვაიგე, რაც ჩვენ, თავისუფლებს, არ ვაგვიგია?..

კიდევ კარგა ხანს ესაუბრა ფედია სპარტაკელებს და, როგორც მოვიდა, ისევე წავიდა; მართლა ვაღწვეტილი ჰქონდა ბაქოში გამგზავრება, ცოტა ხნით მიინც. საქართველოში მისი გამოჩენა სახიფათო იყო. ჰიშკრამდე მიაცილეს მეგობრებმა. წასვლის წინ ფედია ვერიკოს მხარზე ხელი მოხვია და საოცრად თბილად, შინაურულად მიესაუბრა; თქმით მისთვის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ბიჭები ვაფრთხილა: ეს, რაც არ უნდა იყოს, გოგოა და, აბა თქვენ იცით, როგორ მოუხდეთო...

ვერიკოს ახლაც მოუხდა ტირილი...

აბაშის ბაზარი პარასკევს დილიდანვე აზუზუნდა და აზიზიზიდა.

შესასვლელთან პირველად ბოშა ქალები აეკიდებოდნენ მიმსვლელს: გინდა თუ არა, უნდა გიმკითხოთო... უმრავლესობას ბავშვი ჰყავდა ჩახუტებული ცალი ხელით, მეორეთი სარკეს ან კარტს თვალებში სჩრიდა ჩამვლელს და წურბელასავით არ ეშვებოდა...

ბოშების მერე იწყებოდა მთავარი: ხილისა და კვების გორები, სიმინდი, ღობი, ფქვილი, ყველი, ღობიო, მუხუდო... ხარგამოშვებული ურმების რიგი, იქვე — ხმელ ჩალას მიტანებული ხარები, მესერზე მიბმული გაძვალტყავებული ცხენები... ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და ათქვეფილი.

ყველას გამყიდველებს და მყიდველებს ერთი მწონავი ემსახურებოდა — თომას ქლენტი — და ყველაზე მეტი წილი აქ იყო გულის გამაწვრილებლად ტკარტკარებდნენ დედაკაცები. თომას მათი ჰაი-ჰულით ყურები ჰქონდა გამოქვდილი.

— ეს ყველი რაა, ქალო, — აბეჩავებდა მყიდველი გამყიდველს, — ასე პატარა, თხისაა ხომ?..

— დაუეცი ცოტა, სამ შურს მოგცემ გირვანქაში...

— ახლა ჩემი რიგია, მე ამიწონე...

— შენ სად მიგაქვს მაგ ნაწველი ქურდო!..

— აქეთ გამოიწი...

— იქით გაიწი, დაჭედებული ხომ არ ხარ...

და ათასი სხვა სიტყვა, ერთმანეთში იზილებოდა.

და ამ გაუთავებელ ზუზუნს, გუგუნს, ალიაქოს — მოძახილივით ერთვოდა გოჭების ჰყვირილი.

გოჭების ჰყვირილი იყო მთავარი ხმა და მთავარი კრიმანჭული აბაშის ბაზრისა, აქედან ვავზლამდე ატანდა. ამ ბაზრის მნახველი ვერაფრის დიდებით ვერ წარმოიღვანდა, აბაშაშიც და მის სოფლებშიც ხალხი შიმშილით სულს თუ ღაფავდა. ყველაფერს შვილის ფასი ელო, ყველაფერი მამასისხლად იყიდებოდა... მერე და მერე მეფართლების და მეწვრილმანეების, მეწულეების და თერძების რიგი ვასდევდა ბაზარს. მაგრამ გლგობას ჯერ თავისი საქონელი არ ჰქონდა გაყიდული და საყიდელს ვერაფერს იყიდდა.

ბოშა მამაკაცები თავიანთ ნახელავს სთავაზობდნენ აბაშელებს: სამფეხებს, ტყეცებს, ჯაქვს, შამფურებს... მათი ბავშვები, სამათხოვროდ ხელგაწვდილი, ზევით-ქვევით დატანტალებდნენ ბაზარში და ხალხს მოსვენებას არ აძლევდნენ...

დახლები საკმარი რომ არ იყო, გლგობის ნაწილს ჩალა გაეშალა მიწაზე და ზედ დაეყარა მსხალი, ვაშლი, ნაირნაირი ჩირი...

ერთგან ვილაც თაღლითი ლატარიით იხვეჭდა ფულს. მას თავისი მუშტრები ჰყავდა...

ზეზეულად მოვაჭრენი, მკლავზე ძველტანსამცელგადაკიდებულნი, აქეთ-იქით მიმოდრიოდნენ და თავისებურად უხმობდნენ მყიდველს.

მებონიას ბიჭს ჯაჭვებზემული დათვი გამოეყვანა ბაზარში, აცეკვებდა და ფულს შოულობდა. თუმცა მის გადმობრუნებულ ქუღში კანტიკუნტად თუ გაიჭახუნებდა შავი ხურდა...

ბიჭტორის მოხარშული წაბლი გამოეტანა გასაყიდად, რომ სწავლის ქირის გადასახდელი ფული მოეგროვებინა. ძაფზე ასხმული წაბლი ზოგი კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებულნი, ზოგიც — მკლავზე. დადიოდა და ხმას კი არ იღებდა, — რცხვენოდა თითქმის საცოლვე ბიჭს. არა და სწავლაც სწყუროდა...

უსაქმური მილიციელები ყოველ ნაბიჯზე იდგნენ, აფშვიტინებდნენ თავიანთ სასტვენს და ამით ვითომ წესრიგს იცავდნენ.

ბიჭტორმა თავის მასწავლებელს მოჰტრა თვალი და დამალვა ვერ მოასწრო.

— რატომ არ დადიხარ სასწავლებელში ყმაწვილო? — მზრუნველად მიმართა მასწავლებელმა მოსწავლეს.

— სწავლის ქირა მაქვს შესატანი... ფულს ვაგროვებ... — გაწითლდა ბიჭტორი.

მასწავლებელმა თავზე ხელი გადაუსვა და საღამოსთვის შინ დაიბარა: სწავლის ქირას მე გადაგიხდით. ბიჭტორს გული გაუნათა ტკბილმა, ალერსიანმა სიტყვებმა; თან უკვირდა: ნათესავი არ იყო ეს კაცი მისი და მოგვარე. რატომ იხარჯებოდა? იფიქრა ბიჭტორმა, იფიქრა და ბოლშევიკად მიიჩნია თავისი მასწავლებელიც. თუმცა ის არასოდეს ენახა ბოლშევიკების შეგებაზე. ბიჭტორს უკვე არ ეჩქარებოდა წაბლის გაყიდვა, ზეალიდან კვლავ ივლიდა სასწავლებელში და ეს იყო მისი სიხარული.

ნავაჭრი ფულით ხუთვაპიკიანი ნამცხვარი იყიდა....

სპარტაკელები პარასკევს თავისებურად იყენებდნენ.

აბაშის ყველა სოფელში ჰქონდათ შექმნილი ჯგუფი. მთლიანი შემადგენლობით ყოველთვის თავმოყრა შეუძლებელი იყო. ამიტომ პარასკეობით სოფლებიდან მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელები ჩამოდრიოდნენ. მათ გასაყიდად ჩამოჰქონდათ კვერცხები. კალათიდან ამოიღებდნენ და დახლზე ცალკე დააწყობდნენ იმდენ ცალკვერცხს, რამდენი წვევრიც იყო შემომატებული მათს რიგებში. ჩამოივლიდა რომელიმე აქაური სპარტაკელი, დაითვლიდა გადაწყობილ კვერცხებს და ცნობა მიღებული იყო.

თვეში ორ-სამჯერ აბაშის იქით, სოფლებში, ჩადრიოდნენ ხელმძღვანელი ამხანაგები და სათანადო დავალებებს აძლევდნენ სოფელს თანამებრძოლებს. დავითი, ბიჭტორი და ქუჩუჩია ერთ დღეში რამდენიმე სოფელს შემოივლიდნენ ხოლმე...

ნელინელ, მაგრამ საგრძნობლად იზრდებოდა სპარტაკელთა რიცხვი. უკვე სამასამდე იყვნენ.

ის პარასკევი სხვა, უფრო დიდი საქმისთვის ჰქონდათ გამიზნული სპარტაკელებს.

ორი კვირის წინ ითათბირეს აბაშაში ყველა სოფლის ჯგუფის მეთაურებთან. დაახუსტეს, თუ რამდენი მებრძოლის გამოყვანა შეეძლო თითოეულ ჯგუფს აჭანყებისათვის. რვა წვევრზე მეტი არცერთს არ ჰყავდა. იყო სამკაციანი ჯგუფიც. დავით კაჭარაყამ მობილიზაცია უყო ყველა კომკავშირელს, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ან, თუნდაც, რაიმე საბრძოლო დავალებას შესრულება, და შექმნა პატარა, მაგრამ მუშტივით ღონიერი რაზმი. ასეთი რაზმები მთელ საქართველოში ყველა მებრძოლსა თუ დაბაში იყო შექმნილი, მიღებული ჰქონდათ სამხედრო წერტნა. ეს კომკავშირული რაზმები იბრძოლებდნენ ბოლშევიკების მხარდამხარ. აჭანყება

ყველა ერთდროულად დაიწყებოდა წინასწარი შეთანხმებით, ყველა თავის საბრძოლო უბანს დაიპყრობდა, გასწვნიდა მენშევიკებისაგან, მერე შეერთდებოდნენ, შეიკრიბებოდნენ და მთელ საქართველოში ააფრიალებდნენ გამარჯვების დროშას. აბაშის რევოლუციონერები, გამარჯვების შემთხვევაში (გამარჯვება კი მტკიცედ სწამდათ), ერთ ხელს ჩაჰკიდებდნენ სამტრედიელ რევოლუციონერებს, მეორეს — სენაკელებს და დადგებოდნენ მტკიცედ — ცენტრიდან ახალი ბრძანების მიღებამდე.

ვერიკოს ამ დღისთვის, ამ ბედნიერი წუთისთვის სულ უბით დაჰქონდა თავისი დროშა. აბაშის სპარტაკელთა რაზმი ორმოცდათორმეტი მებრძოლისაგან შესდგებოდა. ეს ზუსტად იყო დათვლილი. განსაზღვრული ჰქონდათ ისიც, თუ ვინ სად მიიღებდა იარაღს (იარაღი და ტყვია-წამალი სხვადასხვა ადგილას ინახებოდა).

მაგალითად:

ორი ონტოფოელი — იროდი ქვილითაია და ლულუნი ტორჩინავა, სამი ძველბაშელი — მალაქია შალამბერიძე, ლუკა ნოდია და ნაზო გვილაევა, ორი სუჭუნელი — სამუელ იზრაელაშვილი და ევგენი ჯანჭღავა, ორი სამიქაოელი — დომენტი შუბლაძე და გერონტი მიქაევა — აჯანყების წინა დღეს ჩამოვიდოდნენ აბაშაში (ღამეს საღ ათევიდნენ, ეს არ იყო განსაზღვრული, კომიტეტი ამ საკითხს თავის თავზე ვერ აიღებდა), მამლის პირველ ყოვილზე საყანეების მხრიდან მიადგებოდნენ მილიციის უფროსის — აღილარ გვახავას ეზოს, იქ მათ დახვდებოდა იარაღის გამწვანებული კაცი. საზამთროდ დაწყობილი შეშის ქვემოდან გამოიღებდნენ იარაღს, აღიპურებოდნენ და შეთენებამდევე მიაშურებდნენ ქარის შეკრების ადგილს (ძალღს იმ ღამით ნინო სამზადში ჩაქეტავდა).

შეკრების ადგილი იყო ცხენისწყლის პლა — ქაცვითა და ჯაგებით მოფენი-

ლი, ცივი და მუდამ ქარიანი, უქატი-ელი ადგილი.

ასევე ჰქონდა მიჩენილი თავისი იარაღების პუნქტი ყველა სოფელს თუ აბაშელ მებრძოლს.

კომკავშირელთა ეს პატარა გვარდია შეუერთდებოდა ბოლშევიკების დიდ რაზმს...

და სიტყვა მიეცემოდა იარაღს...

ცენტრიდან ელოდებოდნენ მხოლოდ ერთ ცნობას — ოქტომბრის რომელიცეში უნდა აჯანყებულიყვნენ. ახლა ჰპართებდათ დიდი სიფრთხილე, ვინაიდან, თუ მთავრობისთვის ცნობილი გახდებოდა აჯანყების დღე, ბოლშევიკებს ყველაფერი წყალში ვადაეყრებოდათ.

იმ ორი კვირის წინათ კომიტეტმა ჯგუფების ხელმძღვანელებს დაავალა: არ გაეცდინათ არცერთი პარასკევი ბაზარში მოუსვლელად.

სულ იყო ათი ჯგუფი: სამიქაოს, ონტოფოს, გეზათის, გულმხეთის, ეწერის, კოდორის, ძველბაშის, მაცხოვრისკარის, საჰილაოს და სუჭუნის.

ესე იგი, ათი ხელმძღვანელი უნდა მოსულიყო აბაშის ბაზრობაზე ყოველ პარასკევს „კვერცხების გასაყიდად“. ეს იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ სპარტაკელთა რიცხვი თითქმის ყოველ დღე თითო-ორი კაცით მანც იზრდებოდა. ამ პარასკევებიდან ერთ-ერთ რომელიმე პარასკევს, როცა უკვე თბილისიდან მიიღებდნენ ზუსტ ცნობას აჯანყების დაწყების დღის შესახებ ვერიკო (ვერიკოსი და არა სხვა ვინმე) ჩამოვილიდა ბაზარს და უჭრედების ყველა ხელმძღვანელს დაანახებდა ქალაქზე დაწერილ ციფრს.

ეს იქნებოდა აჯანყების დღე.

იმ შეკრებაზე ვერიკომ უჭრედების მეთაურები საგულდაგულოდ გააფრთხილა:

— ძმებო, მე შეიძლება ასევე არ მეცვას, ან ჩემს თავს არც ვგავედეთქვენ მანც უნდა მიცნოთ იმით, რომ მე გიჩვენებთ მუყაოს ნაქერზე დაწე-

რილ ციფრს. გასაუბრება შეუძლებელი იქნება...

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით აჯანყება მთელ საქართველოში დაიწყებოდა რუსეთის რევოლუციის მეორე წლის თავზე, აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი იყო სამხედრო რევოლუციური შტაბი.

საქართველოს ყველა მაზრის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ზედმიწევნით საიდუმლოდ ეცნობა აჯანყების დაწყების დღე — 24 ოქტომბერი (ძველი სტილით. თუმცა ამ დროისათვის, ლენინის 1918 წლის 26 იანვრის დეკრეტის თანახმად, 1918 წლის თებერვლიდან შემოდებული იყო ახალი კალენდარი. ამ წლის 1 თებერვალი გამოცხადდა 14 თებერვლად).

სწორედ ეს ცნობა, — რომ აჯანყება დაიწყებოდა ოცდაოთხში, — უნდა ვადეცა ვერიკოს იმ პარასკევ დღეს სოფლებიდან ჩამოსული ამხანაგებისათვის.

სპარტაკელთა მეთაური დავით კაჭარავა ორ ცეცხლში იწვოდა: ვერიკოს გამოჩენა მაშინ არ შეიძლებოდა, ვინაიდან იგი გარდაცვლილად ჰყავდა მიჩნეული აბაშის მილიციას, არადა საქმის ჩაშლა ყელის გამოჭრას ნიშნავდა.

დავითმა ერთი გზობა თვითონ დააპირა ამ დავალების შესრულება, — ჩამოველო მუყაოს ქაღალდით ბაზარში და ეცნობებინა სოფლებიდან ჩამოსულთათვის აჯანყების დაწყების დღე. მაგრამ ვერიკომაც და სხვა ამხანაგებმაც არ მოუწონეს ნაფიქრი. გჯუფების მეთაურები ხომ მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, — ერწმუნებინათ მხოლოდ და მხოლოდ ვერიკოს მიერ ნაჩვენები რიცხვი. ახლა მათ დავითი სათითაოდ ვერ გამოესაუბრებოდა და ვერ აუხსნიდა მდგომარეობის არსს.

— მოვახერხებ როგორმე, — იმედინად განუცხადა ვერიკომ მეგობრებს.

ეს იყო ხუთშაბათს, ბაზრობის წინა დღეს. მაშინვე შეუდგა ვერიკო სამზა-

დის. რას მოიფიქრებდა, არაეინ ეცოდა.

დავითმა მაინც, ყოველ შემთხვევისათვის, მუყაო გამოსჭრა, ზედ „24“ დააწერა, ჯიბეში ჩაიდო და ბაზარში გავიდა.

...ბაზრის ერთ მხარეს უცებ ყვირილი გაისმა. ამ ყვირილს მილიციელთა სასტვენის გაბმული ხმა მოჰყვა. ხალხი შეჩოჩოლდა, ყველა იმ ხმაურის ადგილისკენ მიიწეოდა. დავითმა გზა ძლივს გაიკვლია და შემზარავი სურათი იხილა: მეგობრის დათვი ბიკს გაქცეოდა და კაცი დაეტორა... დავითმა ხალხში ბიქტორი შენიშნა, გვერდზე გაიყვანა და ჩუმად ჰკითხა:

— ივლიტა?..

ამ სიტყვისთვის ვინმეს ყურებიც რომ მოეკრა, მაინც ვერაფერს მიხედებოდა.

ბიქტორმა მხოლოდ თავი გაიქნია: ვერიკო ჯერ არ გამოჩენილაო...

ბაზარში ადილარ გვაზავა შემობრძანდა თავისი ჯინჯილებით და ღეზეებით. მას ახლდნენ საელე და ნიკა ბოკუჩავები. ორ ინგლისელს — ქალსა და მამაკაცს — მოაცილებდნენ. ბაზრის დათვალიერება ენებებიანთ უცხოელებს.

ინგლისური ნიკამაც მშვენიერად იცოდა და ამ შემთხვევაში საელე თავისუფალი იყო მთარგმნელის მოვალეობისაგან. მათ უკან ფეხაწყობით მოდიოდა ორი მილიციელი. თავმოყრილი ხალხი შენიშნეს და ადილარმა მილიციელებს უბრძანა:

— დაშალეთ ახლავე!..

მილიციელებმა თავიანთ სასტვენს სული ჩაბერეს და ცოტა მუშტებიც მოიშველიეს უფროსის ბრძანების შესასრულებლად. უცხოელებს თვალწინ უჩვეულო სურათი გადაეშალათ: გაქვობმული დათვი პატრონს არ ემორჩილებოდა, ბრდღენავდა და, უკანა ფეხებზე შემდგარი, თათებს ჰაერში იქნევდა. მვერდზე სამოსჩამოფლეთილი და სახედარისხლიანებული მამაკაცი ფეხზე წამოყენებინათ და ჭრილობას რაღაც ძონძით უწმენდნენ. დათვის სა-

ლაფაეიანი, უზარმაზარი ჯამი წაქცეულიყო და სალაფაეი მიწაზე დაქცეულიყო.

უცხოელმა მამაცაცმა სათვალე შეისწორა, ჯიბის წიგნაკი ამოიღო და თავისუფალ ფურცელში ჩასწერა: „ველური ტომია. მხეცები და აღამიანები ერთი ჯამიდან იკვებებიან. სალაფაეის ჭამისას ვერ მორიდდნენ და წაიჩხუბნენ...“

სახელდახელოდ ასე მონათლა უცხოელმა აბაშის ბაზარში ნინახი.

ადილარ გვაზავამ სტუმარს შეხედა და ამყად წარმოსთქვა:

— შინაური დათვია, აღამიანს არ ერჩის.

მერე ნიკას ნიდაყვი ჰკრა: უთარგმნენიკამ ასე უთარგმნა სტუმარს:

— გარეული დათვია, მოშინაურებული. აღამიანს ერჩის, თუ კი ის გააბრაზებს.

უცხოელმა ამის საპასუხოდ ჩინური ანდაზა მოიშველია:

— ვეფხვზე შეჭდომა ადვილია, ჩამოსვლაა ძნელი...

ბოშა ქალები თავიანთ საქმიანობას განაგრძობდნენ. ერთი — უცხოელთან მივიდა, ცხვირწინ კარტი აუტყაყუნა და მკითხაობა შესთავაზა.

— წაიდ აქედან ახლავე, — კბილები დაახრჭილა ადილარმა.

ბოშა ქალმა, წასვლის ნაცვლად, ახლა თვითონ ადილარსაც შესთავაზა თავისი „სამსახური“. ადილარმა ძლივს ჩამოიცილა აბეზარი. ძალიან უნდოდა ერთი კვი წიხლი ჩაეცხო მისთვის, მაგრამ კარგად ახსოვდა, რაც უყვეს ბოშა ქალებმა გასულ პარასკევს ერთ მილიციელს, რომელმაც ხელი ჰკრა მკითხავს: სულ ნაკუწ-ნაკუწ დააგლიჯეს სამხრეები, გაპუტეს და მასხარად აიგდეს კაცი.

ორმა ლამაზმა ბოშა გოგონამ ლერწამივით ტანის რხევით ჩაუარა ადილარის ამაღას.

ერთი მათგანი ვერიკო იყო (ვანგებ ეჩვენა ადილარს, იცოდა ვერ იცნობდა).

კოჭებამდე ჩამოშვებული, ნაოჭებინი, გაფარფაშებული კაბა ეცვა. ჰრეული თავილაბანდი წაეკრა თავზე, მთვარისხელა ოქროს საყურეები ეკეთა, მძივებად ასხმული ვერცხლის ფულეზა ექვსფად ჰქონდა შემოხვეული ყელზე, ლოყაზე ორი თუ სამი შავი ხალი აქდა, სახე და ხელები ხორბლისფრად უზზინავდა.

ნამდვილ ბოშათა დედოფალს ჰგავდა.

მეორე — ნამდვილი ბოშაც — ასევე იყო გამოწყობილი და ასევე მშვენიერი.

ვერიკოს ხელში კარტი ეჭირა და იმ კარტში კარტისავე ზომის ქალაღლიც ერია წარწერით — 24.

გოგოებმა გაღიმებული დატოვეს ადილარიც და მისი თანმხლებნიც, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და სიცილკისკისით გაიქცნენ...

— ლამაზები კი არიან ეს ოხრები! — ჩილაბარაკა საელემ. ნიკამ ინსტიქტურად მაშინვე უთარგმნა ინგლისელებს ეს სიტყვები და მათაც „აბა, აბაო!“ დაუდასტურეს.

ეს იყო აჯანყების დაწყებიდან ექვსი დღით ადრე — 18 ოქტომბერს.

ვერიკომ დავალება იმ დღესაც უნაკლოდ შეასრულა...

სპარტაკელებს კომუნისტებისაგან მიღებული კიდევ ორი დავალების შესრულება უნდა მოესწროთ ოცდაოთხამდე: პროკლამაციები შეეტანათ მტრის ჯარის ნაწილში (იმჟამად აბაშაში იდგა რუსეთიდან გამოქცეული დენიკინის ჯარის ერთი ბატარა ნაწილი სულის მოსაბრუნებლად და შემდეგ ფოთიდან ყირიმს გასამგზავრებლად. ჯარისკაცები მეტწილად ინგლისელები იყვნენ).

და —

აბაშის მენშევიკური მთავრობისათვის და თეთრი გვარდიის მეთაურებისათვის როგორმე გადაეცათ მათთვის საგანგებოდ შედგენილი გამაფრთხილებელი ფურცლები...

* * *

მეორე დღეს, ვერიკო, შუშანიკა კუპრაშვილის ნაჩუქარი ტანსაცმელით მოიხრო.

არ სჭირდებოდა მარგალიტს შავი ხავერდი უკეთ გამოსაჩენად, მაგრამ ესეც გააკეთა ვერიკომ და ინგლისელთა ბანაკს აუარ-ჩაუარა.

მათი ყაზარმები ეწერის ვზაზე იყო ჩამწკრივებული, ეკლიანი მათულები ჰქონდა შემოვლებული გარშემო. მთავრობის განკარგულებით, ინგლისელებთან დალაპარაკებაც კი ეკრძალებოდა ყველა არაოფიციალურ პირს. სინამდვილეში სულ სხვა რამ ზღებოდა: მეწისქვილე მარკოზას ეცვა ჯარისკაცის ინგლისური მაზარა — ერთ ტომარა თხილში და ერთ ბოთლ არაყში გაუცვლა ინგლისელმა; აბაშაში და ახლო სოფლებში სხვადასხვა ბევრს ჰქონდა ასეთი მაზარა, ან ინგლისური ჩექმები, ხალათი, თუ ნიფხავ-პერანჯი...

ერთ ინგლისელს რუსული გვარიანად ესწავლა; ამ ჯარისკაცს გამოელაპარაკა ვერიკო. ახალგაზრდა, ლამაზი კაცი იყო. თვითონაც წუხდა, რომ სამშობლოსათვის მოეშორებინათ. იქ შენსავით ლამაზი საცოლე მელიოდებოა, — გაუმხილა ვერიკოს გულდაწყვეტილიმ. ...მგონი გითხარი, ჩემო თოვლისა, ვერიკომ რუსული კარგად იცოდა. კოდორში ერთი რუსის ოჯახი სახლობდა მამინ. იმათ ბავშვებთან თამაშობდა ვერიკო. რუსმა გოგონამ და ბიჭმა მეგრული ისწავლეს ვერიკოსგან, ვერიკომ მათგან რუსული ისწავლა. წერაკითხვაშიც გაიწადინენ. მას მერე ვერიკო ისევე თავისუფლად კითხულობდა რუსულ წიგნებს, როგორც — ქართულს...

...ვერიკო და ინგლისელი ჯარისკაცი ლაპარაკის ეშხში შევიდნენ.

ეკლიანი მათულების შიგნითა მხარეს ის მიდიოდა, აქეთა მხარეს ვერიკო მიყვანწალბდა.

— ინგლისელო, — უთხრა ვერიკომ, — სანამდე აპირებ აქ დარჩენას? სა-

ნამდე უნდა იარო შენთვის უცხო მიწა-წყალზე?

— აქ ლამაზი გოგონები არიან, უბასუხა ჯარისკაცმა და მერე დაიჩემა და დაიჩემა ლამაზი ხარო.

ვერიკომ განზრახ ამოიხზრა:

— სილამაზე რაში მარგია! რამე სამუშაოს ვეძებ და ვერ მიშოვნია...

ინგლისელი გამხიარულდა:

— ჩვენთან სამრეცხაოში სჭირდებათ ქალები... შემიძლია მოგაწყო, თუ იკადრებ.

ეს იყო 19 ნოემბერს.

ოც ნოემბერს ვერიკო უკვე თეთრ ხალათში გამოწყობილი ინგლისელთა ბანაკის სამრეცხაოში დაფუსფუსებდა... მრეცხავი ქალები უმეტესად რუსები იყვნენ. ქართველი მარტო ვერიკო ერია. მან ერთი რუსის ქალი დაიმარტოვა და მეგობრულად გაესაუბრა: ესენი შენს ქვეყანას ანგრევენ, შენ კი მათ პერანგს რად ურეცხავო?

— შენ კი რად ურეცხავ, მზეთუნახავო? — დაცინვით უბასუხა რუსის ქალმა. — მე მიჭირს, ფული მინდა და იმიტომ ვმსახურობ.

ამ გასაუბრებით ჟერიკო დარწმუნდა, რომ ეს ქალი სანდო არ იყო.

ვერიკოს ევალბოდა დარეცხილი და გამშრალი თეთრეულის დაუთოება, მერე მათი ჩამორიგება ბარაკებში. უკეთ რომ ეთქვათ: ამ საქმის შესრულება თვითონ მოიხერხა თავისთვის.

პერანგს რომ გააუთოებდა, კეცავდა და შიგ სათითაოდ პროკლამაციას დებდა, თანაც, პროკლამაციიან პერანგს სანიშნოდ ცალ სახელს განსხვავებულად გადმოუკეცავდა. სულ ათი ფურცელი ჰქონდა ბაჭოში ინგლისურად დაბეჭდილი პროკლამაცია, დავითმა ჩამოიტანა თბილისიდან.

ყაზარმაში შორი-შორ უნდა გაენაწილებინა, რათა ყველა ინგლისელს გაეგო მისი შინაარსი.

ვახშმობის ზარი დაირეკა და ჯარისკაცები სასადილოსკენ წავიდნენ.

ორ ყაზარმაში იყო შესაპარებელი პროკლამაციები. ყაზარმებში ორსა-

თულიანი საწოლები იდგა. ექვსი ქალი წავიდა ყაზარმებისკენ: გამზურებულნი საბნებო, ბალიშები და თევით გატენილი ლებები დააწყვეს ნარებზე. ახლათეთრეული უნდა ჩამოერიგებინათ. ვაწყოებით თვითონ ჭარისკაცები ვაწყობდნენ საწოლს. ვერიკომ ჭარისკაცთა რაოდენობა თითქმის ზუსტად გაიგო, გაიგო იარაღებისა და ბომბების საწყობების ადგილსამყოფელიც. აჯანყების დღეს წითელ მებრძოლთა ერთი ნაწილი ამ საწყობებს უნდა დასცემოდა და საქურველი ხელთ ეგდო.

პროკლამაციანი თეთრეული ხუთი თვითონ ვერიკომ წაიღო, ხუთი მეორე ყაზარმაში წამსვლელ ქალს შეაპარა... ვერიკოს ერთი, მაინცდამაინც პროკლამაციანი თეთრეული შერჩა ხელთ და განგებ შეყოვნდა. ქალები რომ გაიკრიფდნენ, სხვა თეთრეულში შეეკალა და... უცებ ის ნაცნობი ინგლისელი ჭარისკაცი წამოადგა თავზე.

შეკრთა.
— რად შეკრთი, ლამაზო, — დაუყვავა ინგლისელმა, — აქ არავინ დაგვიჩნახავს.

ვერიკო გვერდზე გადაგა. უცხოელმა მაქაში ჩაავლო ხელი და საყოცნელად მიიზიდა.

— შენ ღორი ყოფილხარ, — აბრიალდა ვერიკო, — ახლავე გაეთრიე აქედან.

ინგლისელი იცინოდა და ხელს არ უშვებდა. ვერიკო არ დაბნეულა, წივილ-კივილი არ აუტეხავს: მიშველეთო; თავისუფალი მარცხენა ხელის მტევანი უკან გადაზნეჭა და ხელის გული ნიკაპზე ისე სწრაფად და მოხერხებულად აპკრა მოძალადეს, რომ იგი ზურვით საწოლს დაეჭახა, თვალეზიდან ნაპერწყლები წასცვივდა, პირი სისხლით აევსო...

ის უკვე მებრძოლად არ ვარგოდა... დარტყმის ეს წესი ვერიკოს ასწავლა რუსის ჭარის ყოფილმა მშვერავმა, სპარტაკელ ჭარისკაცთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა რომანოზა ნაღარეიშვილმა.

ამ დარტყმისთვის აუცილებელი არაა დიდი ღონე, საჭიროა მხოლოდ სისწრაფე.

სწორი უთქვამს რომანოზას: თუ სწრაფი და უეცარი იქნება ასეთი დარტყმა, დეჭკაცსაც წახდენსო.

ინგლისელს მუხლები თავისთავად მოედრია, იატაკზე ჩაჯდა, მერე გადმოაფურთხა და რამდენიმე კბილიც გადმოაყოლა.

— სადმე კრინტი არ დაგცდეს, ღორის ნაშიერო, თორემ სულს გააფრთხოვინებ, — დაუბარა გალახულს ვერიკომ და ყაზარმიდან გავიდა.

მას უკვე აღარაფერი ესაქმებოდა აქ, დავალება შესრულებული იყო. კიშკრის სამორიგეოში — ხვალ დილაშდისო — რევერანსით დაემშვიდობა მორიგეს და წავიდა. მრეცხავი ქალები საღამოობით ზონიდან გადიოდნენ. საერთოდ და ამიტომ ვერიკოს წასვლაც არავის გააკვირვებია.

(იმ კბილებჩამტვრეულ ინგლისელს ვერიკო შემდეგაც შეხვდება.)

ღამე ვერიკომ თავისი ნათლის ნაყანეზე გაატარა ჩაღის ზეინში. ნათლია თავს იკლავდა: ამას რას შერები, ზეინში რა გაგაძლებინებს, გაიყინებიო!.. მაგრამ ვერიკოს ასე ერჩია...

დაპკრას გაწვალება ამჯობინა, — აბაშის მილიცია და აგენტურა ღამე ისე არ გაივლიდა ოთხი-ხუთი მოსახლე რომ არ აეწიოკებინათ ბოლშევიკების ძებნაში; ტანი თუ უგრძობდათ მოახლოებულ საშიშროებას! შემოდგომის ბუზებივით მწარედ იკბინებოდნენ.

ბოლშევიკები ერთს თქპრობდნენ, საქმე კი სხვანაირად წავიდა:

აჯანყების დაწყებიდან ორი დღით ადრე — 22 ოქტომბერს — თბილისში დააპატიმრეს სამხედრო რევოლუციური შტაბი, აჯანყების ყველა მეთაური. დააპატიმრებულნი მოითხოვდნენ, სასწრაფოდ გაზეთში გამოეცხადებინათ მათი დაპატიმრების ამბავი, უშედეგო

სისხლისღვრა არ მომხდარიყო. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ეს განგებ არ გააკეთა, რადგანაც იცოდა: აჯანყება გამოააშკარავებდა ბოლშევიკების საბრძოლო შეიარაღების მთელ ძალებს, მთელ კონსპირაციას... და ამით ერთხელ და სამუდამოდ ფესვები დაეთხრებოდა ბოლშევიზმს.

თბილისში ბოლშევიკებმა სასწრაფოდ და საიდუმლოდ მოიწვიეს კავკასიის სამხარეო კომიტეტი. ცირკის შენობაში მოიყარეს თავი. გამოტანილ იქნა დადგენილება აჯანყების გადაღების შესახებ. არ მიუთითებიათ მხოლოდ: რამდენი ხნით და როდისთვის გადაიდო იგი. ახლა მთავარი საზრუნავი იყო: აჯანყების გადაღება ეცნობებინათ საქართველოს ყველა ბოლშევიკური და კომკავშირული ორგანიზაციისათვის.

ღრო არ ითმენდა. დანა და ყელი ერთად ჰქონდათ. მაზრებში, დაბებსა თუ სოფლებში გასაგზავნი ამხანაგებიც კომიტეტმა აირჩია. ისინი ახლავე, ამავე წუთს, რითაც შესძლებდნენ, როგორც შესძლებდნენ — უნდა გამგზავრებულიყვნენ მათვის განკუთვნილ ადგილებში. თბილისში დარჩენილები ტელეფონებს მოიშველიებდნენ...

მეორე დღეს — 23 ოქტომბერს — უკვე უნდა სცოდნოდა ყველა უბანს აჯანყების გადაღების ამბავი, არა და იფეთქებდა წინასწარ დასალუბავად განწირული აჯანყება და იქნებოდა „სვაეთა ნადიმი“...

განუწყვეტლივ წკრიალებდა ტელეფონის ზარი...

23 ოქტომბრის საღამოს რვა საათისთვის უკვე მიაწვდინეს ხმა გორს, ხაშურს, ოზურგეთს, ქუთაისს... იქით და იქით კი, უფრო დასავლეთისკენ, ვერა და ვერ გააღწიეს. ახლა, თავის მხრივ, თბილისიდან ინფორმირებული ქალაქებიც ჩაებნენ საქმეში, მათაც აახშიანეს ტელეფონები, რომ უფრო შორს გაეტანათ გადაუდებელი ცნობა. წკრიალებდნენ ტელეფონები... ზუზუნებდნენ ქარში მავთულები... გზებზე ძლიერძლივობით მიხრიგინებდნენ დილიე-

ნები, რომელთაც ცნობის წამლები ბოლშევიკები მიჰყვებოდნენ...
ადგილებისკენ...

მიიზღანებოდნენ მატარებლები...

მიხა ცხაკაიას სამეგრელოსკენ წინ წინ უსწრებდა სული, მაგრამ მისი მატარებლის ორთქლმავალს ეს არ ენადვლებოდა.

— ჩქარა! ჩქარა! ჩქარა! — გუგუნებდა მიხას გული.

ფანჯარას არ შორდებოდა გამწარებული ადამიანი, სუსხიანი ქარი სცემდა სახეში და ყინავდა, მაგრამ სიცივეს ვერ გრძნობდა. ზანტად გარბოდნენ უკან ელექტრო ბოძები, ხეები, სახლები... მერე მავთულებს გაადევნა მიხამ თვალი: იქნებ გვეშველოს და ამ მავთულებმა ჩამასწრონ აბაშამდე, სენაკამდე, ზუგდიდამდეო...

მატარებელი სულ დაიბორკა, თითქოს განზრახ...

მენშევიკების გვარდიელებს ჩახმახი უკვე ფეხზე ჰქონდათ შეყენებული.

მათ არ იცოდნენ, ზუსტად რომელ დღეს, რომელ საათს დაიწყებოდა ბოლშევიკების აჯანყება და ამიტომ ყოველი წუთისთვის იყვნენ მოხაზირებული.

სენაკის მაზრის გვარდიელთა შტაბის მეთაურმა მირონ ცანავამ დამშვიდებულად, დაუბრკოლებლად და ფრიად საიდუმლოდ აცნობა აბაშის, მარტვილის და ხობის რაიონებში დაბანაკებულ თავის ნაწილებს, — თოფისთვის ტყვია პირში მიეცათ და დალოდებოდნენ, როდის გამოვიდოდა „ნადირი“ ბუჩქებიდან.

აბაშაში გვარდიელთა ნაწილები იდგა სამგან: მაცხოვრისკარში, ეწერის გზაზე და, მთავარი, შიგა აბაშაში, რუინიგზის სადგურს გადაღმა, შლაგბაუმთან. გვარდიელები საბრძოლო მზადყოფნაში ჩააყენეს, მაგრამ რიგითებისათვის არ უთქვამთ, თუ ვისკენ, რისთვის და როდის უნდა გაეხსნათ ცეცხლი, შეადგინეს სამ-სამ კაციანი სამხედრო-სავე-

ლე სასამართლოები — სულ ოთხი სამეული. აბაშას მეტი არ დასჭირდებოდა ეს სასამართლოები უფლებამოსილნი იყვნენ შეპყრობილი აჯანყებულებისათვის ბრძოლას ველზევე, სწრაფად გამოეტანათ დახვრეტის განაჩენი და სისრულეში იქვე მოეყვანათ. გარდა ამისა, ეს უკვე სხვა ხაზით, საბრძოლო მზადყოფნაში ჩადგა ანტანტის ჯარების აბაშაში მყოფი ნაწილიც. ინგლისელ მეთაურებს მენშევიკური მთავრობისათვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, გაჭირვების ყამს დახმარებოდნენ, და ასრულებდნენ კიდევაც დანაბირებს. თითქმის ყველა ინგლისელმა ჯარისკაცმა წაიციტხა ვერიკოს მიერ მათს ყაზარმებში შეტანილი ფურცელი და, ცოტა არ იყოს, ცალგულად სწმენდნენ დიდი ხნის უხმარ თოფს...

ქამარშემოჭერილნი იყვნენ ადილარ გვაზავას მილიციონერებიც.

ვერიკოს ზვინში რომ ეძინა, იმ დამეს ადილარ გვაზავამ დააბატირა სამს საეჭვო, მთავრობისთვის არასაიმედო კაცი... ვერიკომ ეს ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა, რადგანაც ბოლშევიკების წარამარა დაბატომრებას უკვე შეჩვეული იყო.

ოცდასამი ოქტომბრის დღე შებინდებისკენ მიიჩქაროდა.

ადილარ გვაზავა კარგ გუნებაზე დადგა და პატარა წაჭეიფება მოუნდა. დამქაშები ყელამდე ჰყავდა, თითის ერთი აქნევალა იყო საჭირო... ხვალ თუ ზეგ „ბეგერი საქმე“ ელოდა ადილარს — აჯანყებულთა ხოცვა-ჟლეტა, მათთვის სულის ამოხდა... იქნებ მართლა ხვალ დილით დამდგარიყო ეს ვამი!..

მებონიას დუქანში ოთხნი ჩავიდნენ. პირველი ლუკმის გატეხვის და პირველი ჰიქის დაცლის შემდეგ, ადილარმა ხელში შესაწმენდი ქალაღი აიღო და რალაც წარწერას წააწყდა:

„ადილარ გვაზავა! გიჯობს ხელი აიღო ბოლშევიკებთან ბრძოლაზე, თორემ სიკვდილი არ აგცდებათ არც შენ და არც შენს დოყლაპია ბიჭს“.

ხელს აწერდა „უჩინმაჩინი“. ადილარს

ვერ გაეგო, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „უჩინმაჩინი“ წელან, დუქანში რომ შევიდნენ, მებონიას ბიჭი აწეოდა ქალაღებს მაგიდაზე, ნამდვილად მებონიას ბიჭი იყო, თავისი უცვლელი, წითელრგოლებიანი პერანგით.

— ლადი, — მოიხმო ადილარმა მედუქნე, — დაუძახე შენს ბიჭს.

— ბურდლუ, ადილარ ბატონო, გუშინ გაუღევი სვირში ღვინოზე. ზეგამდე ვერ ჩამოვა... რა იყო?

— ვინ დადო ეს ქალაღები აქ?

ეს თქვა ადილარმა და გარეთ გაიქრა, ეგონა იმ ბიჭს წააწყდებოდა; ორჯერ დასცალა რევილვერი სიბნელეში; გუნებაწამხდარი დაუბრუნდა მაგიდას.

— „უჩინმაჩინს“ მგონი იმ კიზირიას გოგოს ეძახდნენ, — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ის მიიბარა უკვე უფალმა, — ადილარს თავისი ნათქვამი ისე მოესმა, თითქოს სხვა ვინმე ლაპარაკობდა.

თითო ჰიქაც შესვეს და ადილარს ეჭვის ჰია შეუძვრა სულში: „...იქნებ სხვა მიცვალებული ესევენათ კუბოში, ან... იარაღები ეწყოთ!..“

თვითონვე გააკვირვა საკუთარმა აზრმა და ხმამალა გადაიხარხარა. მაგიდასთან მსხდომებმა გაკვირვებით შემოხედეს:

— რა გაცინებს, კაცო?.. ხომ არ გიჯღი!..

* * *

ქიონია ნადარეიშვილის პატარა, ერთთვალთან სახლში შევიდა ვერიკო. ქალს არ ეძინა.

— რა იყო, ვერიკო, რალაცა სროლა გავიგონე.

— ადილარ გვაზავა თავს ირობდა ალბათ, ქიო ბებია.

ვერიკომ ბიჭური ქული, წითელრგოლებიანი პერანგი და შარვალი მოიშორა, თავისი სამოსელით მოირთო, ქურქამოკერებული ტყავის კურტაკი ჩაიცვა გარედან. ეს კურტაკები შტაბში დაურიგეს დღეს — აჯანყების მონაწილე გოგონებს. ვერას გარდა კიდევ ორი

ქალი იბრძოლებდა ხვალ: — ერთი — ფედია ფრანგიშვილის მკვიდრი და — მარიამ ფრანგიშვილი და, მეორე — ანია მამულია.

ვერიკო ასევე ჩაცმული წამოწვა ქილოზგადაფარებულ ტახტზე, თავი მუთაქაზე მისდო, მაგრამ ძილში ვერ შეიტყუა თავი...

ქიონია ნადარეიშვილი მთელს აბაშაში განთქმული იყო თავისი მალამოთი და საყმაწვილო წამლით.

ვერიკოს მალამო უკვე გამორთმეული ჰქონდა მისთვის, ახლა კიდევ რაღაც-რაღაცეების გაგება აინტერესებდა.

— ქო ბებია!

— რა, შვილო!

— სიკვდილი რომ დააბიროს ნატყვიარმა კაცმა, რა უნდა იღონო?

— წყალს მოგთხოვს, ნანა, მაგრამ არ მოტყუვდე და წვეთი არ დააღვეინო. მარტო სველი ბაშმა წაუსვი ტუჩებზე და, ავერ ბოთლში რომ წამალია, ის აყნოსე...

— მერე?

— თუ სააქეთო სული ექნება შერჩენილი, მოიხედავს...

დედაბერი ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე ისევ ალაპარაკდა სევდიანად:

— მაინც რად გინდათ ეს ერთმანეთის ზოცვა... ღმერთს რად არ შეხედავთ...

— საჭიროა, ბებია, აუცილებელია.

ეს სიტყვები გულშიც ბევრჯერ გაიმეორა ვერიკომ.

დედაბერი დუმდა, ეტყობოდა, ჩაედინა.

„საჭიროა, აუცილებელია!“ — აეკვიტა და არ გაეცალა ეს სიტყვები გოგონას ბრძოლის წინ...

დიდხანს ვერ მოისვენა ტახტზე, ფეხებზე შესცივდა თანაც; წამოდგა, მიწველებულ ცეცხლზე ხელები ვითომ მოითბო, წამლებით სავსე ჩანთა აიღო და ფრთხილად გაიხურა კარი. ალიონამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო და ნელა გაუყვა უკაცრიელ, ჩაძინებულ გზას. ცხენისწყლის ჰალისკენ — მებ-

რძოლთა თავმოყრის ადგილამდე აიღო გეზი. კურტაყის ჯიბეში ხელი ჩაიყო და, შაშხანის ციფ ვაზნებს რომ შეეხებო, შეერთა. თვითონ არ ჰქონდა შაშხანა, მხოლოდ ფედიას ნაჩუქარი პატარა რევოლვერი ედო გულისჯიბეში და ახლაც ვერ მიმხვდარიყო, რატომ ჩაიყარა გუშინ ეს ვაზნები. სიცივეს თანდათან შეაჩვია ხელი და ვაზნებს თვლად დაუწყო ჯიბეშივე. ითვლიდა და არაფერზე არ ფიქრობდა. არ ფიქრობდა კი არა, ვერ ფიქრობდა... სასაფლაოს ისე ჩაუარა, იქით მხარეს არც გაუხედავს...

ძველი აბაშის გზიდან მომავალ ლანდს მოჰკრა თვალი.

რევოლვერი სწრაფად ამოიღო გულისჯიბიდან და კურტაყის ვარეთა ჯიბეში ჩაიკურა, რევოლვერის ტარს ჩაკიდებული ხელიც ჯიბეშივე გააჩერა.

ლანდი რომ მოუახლოვდა, რომელი ხარო, ჰკითხა ვერიკოს. ვერიკოს პასუხი არ გაუცია. უცნობი დააკვირდა და ხელი გამოუწოდა:

— ვერიკო... გამარჯობა...

ვერიკომაც იცნო თანამებრძოლი — ძველბაშელი მანჩა კუბრავა.

— მარტო რატომ წამოსულხარ, მანჩა?

— სხვები წუხელვე წამოვიდნენ.

მანჩას იარაღის მისაღებად უნდა გადაეხვია, მაგრამ ჯერჯერობით ერთად გასავლელი მანძილიც ჰქონდათ.

წავიდნენ.

— დაჭრილი კაცი გინახავს, მანჩა?

— შარშან აბრაგებმა დაჭრეს ჩემი მეზობელი...

— რა უნდა ჰქნა, სიკვდილს რომ გააპირებს დაჭრილი?

— წყალს მოგთხოვს, მაგრამ არ უნდა ასვა. ღვინო უნდა მისცე ორიოდ ყლუბი, ღვინო მოუბრუნებს სულს...

თუთუნის ფარდულთან ჩაიარეს და სულაც არ შეუტყვიათ, რომ იქ გვარდიელები იყვნენ ჩასაფრებულნი. ჩასაფრებულებს თოფის სამიზნეზე ეჯდათ ეს გზა. ერთმა გვარდიელმა საჩვენებელი თითი გზისკენ გაიშვირა, ცერი —

ჩახმაზივით მოდრიკა და თავის გვერდით მოკალათებულ ჯარისკაცს ანიშნა: ვესროლოთო. იმ მეორემ ხელი აუქნია ცხვირწინ: მოითმინე, მოესწრებო.

გვარდიელები ჩასაფრებულნი იყვნენ აგრეთვე თავიანთი ბანაკების მავთულხლართებს იქით, აბაშის მთავრობის შენობაში... რკინიგზის სადგური ალყაში ჰქონდათ მოქცეული. გამოთოფილი იყო აბაშის ცენტრში შემომაველი ყველა გზა — ეწერიდან, სუჯუნდინიდან, ძველიაბაშიდან, საჭილაოდან, სენაკიდან...

ინგლისელ ჯარისკაცებს ფნიზლად და ტანჯაუხდელად ეძინათ, ყოველ წუთს ელოდნენ საბრძოლო განგაშს. აჯანყების გადადების ცნობამ სამტრედიაში მოატანა.

შეჩერდა თუ არა აქ მატარებელი, რკინიგზის მილიცია შეესია ვაგონებს. ყველას უსინჯავდნენ საბუთს, საეჭვო მგზავრებს აბატიმრებდნენ და გადმოკყავდათ მატარებლიდან. დაბატიმრებულთა შორის იყო მიხა ცხაკაიაც. ბოლშევიკებში მოაწვა მიხას, ორი ნაბიჯი და დარჩა ცნობის მისატანად ადგილამდე, აგერ, რიონსა და ცხენისწყალს გადმა იყო საჭირო გასვლა და ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

უნდოდა მთელი ზმით ეყვირა აქედან: ძმებო, ახხანაგებო, დაიშალეთ, აჯანყება გადადებულიათ! მაგრამ უმწეო იყო თვით ეს ფიქრიც...

• • •

ცხენისწყლის პირას აჯანყებულთა მთელი არმია მოგროვდა.

მეთაურებმა თავთავიანთი ნაწილები მწკრივში ჩააყენეს და სიის კითხვას შეუდგნენ. ყველა ნაწილს თავისი კონკრეტული დავალება ჰქონდა. გვარდიელთა ბანაკზე, მთავრობის სახლზე, მილიციაზე, რკინიგზის სადგურზე, ფოსტა-ტელეგრაფსა და ინგლისელთა ჯარების ბანაკზე თავდასხმა მოხდებოდა ერთსა და იმავე დროს.

აბაშის მთავრობის კაცებს შინ, თავიანთსავე სახლებში დაესხმებოდნენ და

პირვერის გადაწერას არ დაულოდნენ, ისე გაყოქავდნენ...

ასეთი იყო აჯანყებულთა საბრძოლო გეგმები. უიარალოდ დარჩენილებიც ერივნენ აქა-იქ. შეტევაზე ისინიც წავიდოდნენ და ან დაცემული მეგობრის თოფით იბრძოდნენ, ან მტრის საწყობებზე თავდასხმისას შეიარაღდებოდნენ.

დავით კაჭარავას პატარა რაზმს ევალებოდა რკინიგზის სადგურზე თავდასხმა პარტიული ამხანაგების მებრძოლ რაზმთან ერთად...

ამდენ ხალხში არცერთს არ შეიძლებოდა აზრადაც მოსვლოდა, რომ მათი ყოველგვარი წინასწარი ჩანაფიქრი განწირული იყო ჩასაფრებამდე; რომ აჯანყების მეთაურები თბილისის საპრობილეებში იხსდნენ და აჯანყება გადადებული იყო. ორი ნაბიჯი და ჰქონდა აქამდე დარჩენილი ამ ცნობას და აგერ, ზედ ყურის ძირთან, რიონს გადმა გაწყდა...

უთოფოდ სტოვებდნენ უფრო ჯანმავარ ბიჭებს, მგარამ ყველა მათგანს დანა მაინც ედო ჯიბეში.

მაცხოვრისკარგელმა უთოფო დუტუქანტურამ ცხენისწყლის მოტანილი აკაციის სარი იპოვა ლაფში ამოსერილი; კარგად გარეცხა და თოფივით გაიდო მხარზე. სარს რომ რეცხავდა, ჩექმებში წყალი ჩაუვიდა და უთოფობას ახლად ფეხების გაყინვაც დაემატა...

ერთი უთოფო ჰაბუკი თოფიანს ეჩინებოდა:

— ეგ თოფი მომეცი და მაზარას მოგცემ...

— უფლება არა მაქვს, ძმაო, თოფი მე მაწერია, თორემ მაზარა კი მართლაც გამათობდაო, — პასუხობდა თოფიანი.

ამ საუბარს დავითმა მოკრა ყური და მამანტი ხაბუკივით მივიდა:

— ერთი თოფი გამიხერხე კიდევ და მეტი არ მინდა.

მამანტიმ თავი გადააქნია, შეწუხდა და ბოლოს როგორღაც მაინც გამოსძებნა ერთი თოფი...

სიხარულით ცას ეწია უთოფო კაბუკი, წედან რომ მზად იყო მახარა გაებადა და ბუზისამარა წასულიყო ამ სუსხში, ოღონდაც თოფი ჰქონოდა. ვაზნები ბევრი ჰქონდათ.

ალიონი ახლოვდებოდა. მებრძოლები დაირაზმნენ და ოდნავ გაკრეცილ სიბნელეში სხვა და სხვა მხრიდან დაიძრნენ შუაგულ აბაშისკენ.

დავით კაჭარავას თავის უტუხია ბიჭებით ვაგზლის აღდა იოლ საქმედ მიანდა, რადგანაც იქ იმ დილაუთენია მხოლოდ ვაგზლის მორიგე და ორიოდ მილიციელი ეგულეებოდა... მათს დასამორჩილებლად ეგება ტყვიის დახარჯვა არც დასჭირებოდათ. მთავარი იყო მერე გამაგრება შიგ ვაგზლის შენობაში...

მიჰყვებოდა ვერცო რაზმს და თითებით ისევ ტყვიებს ითვლიდა ჯიბეში.

ახლა არ წვიმდა, მაგრამ ტალახს მაინც იყრავდა ფესხაცემელი.

რაზმში ყველაზე უმცროსი ქუჩუჩია იყო. მისთვის თოფი გრძელი იქნებოდა და ამიტომ მოკლე კარაბინი მიეცათ. იარაღი მხარზე გაედო და ნაცადი მებრძოლივით მიიბიჯებდა; დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ხის თოფით უთამაშნია ომობანა თანატოლებთან; ახლა ნამდვილი თოფი ჰქონდა და ნამდვილ ბრძოლაში მიდიოდა; გულში მღეროდა რომელიდაც საბრძოლო სიმღერას...

„ეს კი თამაშობა არაა, ჩემო ქუჩუჩია“, — თითქოს მოსძახოდა ვიღაცა...

ადილარ გვაზავამ რომ გამოიღვიძა, ნაღინეგს, თავი გასკდომანზე ჰქონდა; მოეჩვენა, თითქოს გაზრდოდა თავი;

სროლის ხმა მოესმა და საწოლიდან წამოხტა; პერანგისამარა მივიდა ფანჯარასთან და გარეთ გაიხედა.

სულ პირველად ეზოში მიყრილ-მოყრილ შეშას მოჰკრა თვალი (რა იყო და ადილარმა, რომ მის ეზოში ჰქონდათ ბოლშევიკებს თოფები დამალული).

— ცხენი ჩქარაო, — იუვირა ინსტიქტურად. ჩექმები ფართი-ფურთით ჩაიცივა და, ეს ჩექმიანი ფეხები ვალიფეს რომ გაუყარა, მაშინდა გაახსენდა, რომ ჯერ შარვალი უნდა ჩაეცვა. ისევ გაიძრო ჩექმები...

ცხენს აქ ვინ მოჰგვრიდა, შინ მეჯინებეც თვითონ იყო და შემკაზმველიც. ადილარი ჰიშკრიდან რომ გავიდა, აბაშის ქუჩებში უკვე გაცხარებული ბრძოლა იყო... აბაშის მეკიდრნი კარფანჯრებს აწყდებოდნენ და ერთმანეთს გასძახოდნენ: რა მოხდა, რა ამბავიაო!...

აბაშის მენშევიკებს ჩახმამშეპართული იარაღი ბალიშქვეშ ედოთ და ცალი თვალით ეძინათ. ამიტომ აჯანყებულებმა ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ მოიხელთეს.

მამანტი ხაბეიშვილმა თავისი ოცეული — პატიმართა გასანთავისუფლებლად წაიყვანა...

— ვაშა!.. გაუმარჯოს რევოლუციას!.. — ყვიროდნენ პატიმრები მილიციის ვიწრო სარკმლებიდან.

დავით კაჭარავას რაზმი რკინიგზის მეორე მხარეს ვადავიდა. ხოხებით გაემართნენ სადგურისკენ... ტყვიები წივილით ვადადოდნენ რკინიგზაზე, თავის წამოწევა სიკვდილს ნიშნავდა.

მიწა სველი და ცივი იყო.

ძილდამფრთხალი ოდა-სახლების რიგი ხელმარცხნივ ვასდევდა რკინიგზას.

ქარი ყინავდა სივრცეს და ხეებს ფოთლები სიბნელეში სცივოდათ.

ჰაერში მოფარფატე ფოთოლი რაზმელთა თავზევით გამოჩნდებოდა ზოგჯერ და შუმ წყალში თევზის გაღვებას მიავადდა.

ერთი სახლიდან ეზოში გამოვიდა ვილაც, ოდნავ მბუტუბავი ჭრაქით, ქარის მხრიდან ხელი აეფარებინა...

დავითმა იცნო ჰეხუს სახლი, ის ჭრაქიანი მამაცავი ჰეხუდ მიიჩნია და — რას დაბორილობს ამ ნაშუაღამევესო — ვაიფიქრა. პატარა ბოგა ვადაიარა დავითმა და კიდევ რამდენიმე მებრძოლმა, დანარჩენები ამომშრალ თხრილზე უბოგოდ ვადავიდნენ. ცოტა ხანიც

და სადგურის ანთებული ფარნებიც გამოჩნდა.

არცერთ ჯარისკაცს არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა უნდა მომხდარიყო. დავითმა მეგობრებს ხმადაბლა გასძახა:

— ახლა გავიშალოთ!

მებრძოლები ნახევარწრედ გაიშალნენ და თოფმომარჯვებულებმა ვანაგრძეს სვლა ვაგზლისაკენ... სროლის ხმა მხოლოდ შორიდან მოისმოდა, ვაგზლის მიდამოებში სიჩუმე სუფევდა.

სპარტაკელთა რაზმი სინათლეში რომ გავიდა, სადგურის გარშემო ჩასაფრებულმა თეთრგვარდიელებმა შენიშნეს, მაგრამ მშვიდობიანად გაატარეს.

— ცოტაც ვადროოთ, — ბრძანა თეთრგვარდიელთა მეთაურმა და აჯანყებულთა სახეებს დააკვირდა. მოწინავეებში მომავალი ბიქტორ კაჭარავა იცნო.

— ეჰ, ბიქტორ, ბიქტორ!... — გულში კი არ გაუვლია ეს სიტყვები, ხმამალა წარმოსთქვა.

იგი ბიქტორის შენობელი იყო, ბიქტორის დაბადებაც ახსოვდა და წამოზრდაც...

ახლა რომ ცეცხლის გახსნის განკარგულება გაეცა, ბიქტორი უმკველად დაიცხრილებოდა...

— ვაცალოთ! — წელანდელი გაიმეორა მეთაურმა.

(მას წინა დღით ჰქონდა წაყითხული ბოლშევიკების პროკლამაცია.)

სპარტაკელთა მარცხენა ფრთა სადგურის გვერდით დაბერებულ ჰადრებს მოშორდა და პირდაპირ სადგურის კარებისაკენ გაიჭრა. დაწინაურებულებს მთელი რაზმი მიჰყვა. ახლა ისინი წინ იყვნენ, გვარდიელთა საფარველი კი მათს ზურგსუკან დარჩა.

თვითონვე შევიდნენ სპარტაკელები მოწინააღმდეგის ალყაში.

— არ დავიწყეთ? — მხარი გაკრა დავით კაჭარავას ბასა თელიამ და... უცებ სროლის ხმის გაგონება და ბასას წაქცევა ერთი იყო.

— იცხლი! — იყვირა დავითმა და

ვაგზლის შენობისკენ გაიქცა. სხვებიც მიჰყვნენ...

თეთრგვარდიელებმა ყოველი მხრიდან ასტეხეს ბათქა-ბუთქი...

სპარტაკელები ვერ გაერკვნენ, რომელ მხარეს მიეშვირა თოფის ლულა და ვისთვის ესროლათ, — მოწინააღმდეგე არსად ჩანდა, მხოლოდ ტყვიები მოწიოდნენ ვაგზლისკენ.

— ეეე!...

— ოოო!...

უციინებდნენ დაბნეული სპარტაკელები და შენობისკენ მიბრუნდნენ თავის შესაფარებლად. მათი ეს უციინა არც „ვამას“ ჰგავდა, არც — „ურას“.

ახლა ბოლშევიკთა რაზმმაც აუტეხა სროლა მოწინააღმდეგეს და მანაც ვაგზლისკენ აიღო მიმართულება.

ტყვიები ზურგიდან აცივოდათ. დავითა ერთი... მეორეც...

— მომკლეს!...

— ჰაი, რჯულადალი!...

— მიშველეთ!... — კანტი-კენტად მოისმოდა სროლის ხმაში ჩართული შეძახილები.

უმეტესმა ნაწილმა დაუზიანებლად შეაღწია შენობაში. სპარტაკელებიც უკვე აქ იყვნენ. კონდახებით ფანჯრები ჩაღწეეს და თოფის ლულები გარეთ გაიშვირეს... ნახევრად ინათა.

თავიანთი წელანდელი თავშესაფარი — ჰადრიანი — ახლა სამიზნედ აიღეს, რადგანაც გვარდიელებმა სწორედ იქ მიირბინეს, ხეებს აეფარნენ და სადგური მიზანში აიყვანეს... ტყვიები ქვის კედლებს ხედებოდა, ფანჯრის მინებს ამსხვრევდა...

— დავით, სადა ხარ! იძახდა ვილაც.

— აგერ ვარ, ბიჭო! დასტეხეთ! — მოისმოდა პასუხი, მაგრამ დავითი იყო ეს მოპასუხე თუ სხვა ვინმე, ვერავინ გაარჩევდა.

ერთი ფანჯრიდან ოთხნი ისროდნენ: ქუჩუჩია, ლულუნი, სევე და მურხა.

ვერ ეტეოდნენ და ერთმანეთს უშლიდნენ ხელს.

— გადით იქით რომელიმე, — მხა-

რზე უბიძგა მურხამ მეზობელს.

— ვაი, დედა! — აღმოხდა იმ ოთხ-თაგან ერთერთს და იატაკზე ზურვით გადავარდა.

შენობაში ბნელოდა, მაგრამ ვერიკოს არ გამოპარვია მებრძოლის წაქცევა. ჩოჩვით მივიდა მასთან, ორივე ხელი ჩაავლო და კედლისკენ გააცურა:

იცნო მეგობარი.

ყბაში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. ვერიკომ ცალი ხელი კრილობაზე დააფარა, მეორე ჩანთისკენ წაიღო...

ავთანდილი მოხერხებულად მოკალათებულიყო ბილეთების სალაროში და ვიწრო სარკმელს ციხის ნამდვილ სათოფურივით იყენებდა; წელან რომ ტყვიით ფარანი ჩააქრო, იმ ადგილას ახლა რამდენიმე გვარდიელმა გამოიჩინა. ერთი თავის დეიდაშვილს მიამსგავსა მოძრაობაში და სასხლეტგამოშლილი თოფის ლულა ელვის უმაღლა ასწია; ნასროლი ძმას არ მომიხვდესო...

რკინიგზაზე, სამტრედიის მხრიდან, საბარგო მატარებელი გამოჩნდა.

მემანქანემ აბაშაში შემოსვლისთანავე გაბმულად ააკივლა ორთქლმავალი. გულის გამაწვრილებლად ისმოდა ეს ხმა. იქაურობა შეზარა და უარესი საშინელების გრძნობით გათანგა ისეოც შეძრწუნებული დაბა-სოფელი.

მემანქანე დრო და დრო გააჩუმებდა საყვირს და თვითონ აყვირდებოდა სარკმლიდან ხელეზგამოწვდილი:

— შეჩერდით, ხალხნო! აჯანყება გადადებულა!..

ბიქტორმა გაიგონა ეს სიტყვები და — წადი, შენო... — დედ-მამის სული გადაუტრიალა მემანქანეს; მისი სიტყვები პროვოკაციად ჩათვალა.

— რაშია საქმე, ძმებო! — დაიძახა ლულუნიმ.

არეულად იწყეს სპარტაკელებმა უკან დახვევა. ტოვებდნენ ვაგზლის შენობას. ბიქტორი რკინიგზის მიწაყრილიდან ბუჩქებში გადახტა და მუხლი ქვაზე დაარტყა; ტყვიელი კი იგრძნო, მაგრამ ახლა საამისოდ არ ეცალა.

გაწითლდა ცა-სამზეური, გათენდა.

აბაშის მილიციაც ჩაჩრეულყვით-საქმეში ამბოხებულთა წინააღმდეგობა და წესრიგს ტყვიების ზუზუნით -მყარებდა ბიქტორმა კოკლობით გაირბინა ათი-ოდე ნაბიჯი და ბუჩქებში წაწვა; უცაბედად, სათოფე მანძილზე ადილარ გვაზავს მოჰკრა თვალი; მიზანში ამოიღო, პირდაპირ შუბლში დაუმიზნა სულმოუთქმელად, ესროლა და თვალნათლივ დაინახა, — როგორ წასდგრა ქუდი. თვითონ ადილარი არც შერხეულა. ასცდა ტყვია.

მოკლე გადარბენით ადგილი გადაინაცვლა ბიქტორმა და ამ დროს ცალი ფეხი თავისთავად წაერთვა. ტყვიის მოხვედრა მაშინათვე არ უგრძენია.

ბარძაყში იყო დაჭრილი.

თხრილში გადაეშვა. მკერდთანაც იგრძნო სითბო. მეორე ტყვიაც მოხვედროდა. სველი და ცივი მიწა ახლა ეთბილა.

— ჰაი, რა დროს ვკვდები!.. — ამოიგმინა.

თოფი მაინც არ გაუგდია. მოწინააღმდეგენი უახლოვდებოდნენ. ბიქტორი ტყვიას ტყვიაზე ისროდა მათკენ, მაგრამ ახვედრებდა თუ არა მიზანში, ამას ვერ ხედავდა; სისხლისგან იცლებოდა; თანდათან გონება დაჰკარგა...

უკან გაქცეულ სპარტაკელებს დავით კაჭარავამ თვალი დაადევნა და ფიქრმა გულში ტყვიასავით გაუარა: ცოტანი დაერჩით!..

თვითონ მარჯვენა მხარში იყო დაჭრილი და ცალ მკლავს ვერ ხმარობდა, ცალით ისროდა თოფს...

მენშევიკებმა მარტაფა ჯარიც გამოიყვანეს.

ბრძოლა გაცხარდა.

ავთანდილმა, ქუჩუჩიამ და ლულუნიმ რკინიგზელის მიტოვებულ ძველ სახლს შეაფარეს თავი. ეს ის სახლი იყო, კრება რომ ჩაატარეს ერთხელ სპარტაკელებმა. ავთანდილმა ფეხი რაღაცას გამოსდო და ზედ წაიქცა.

ძროხა იყო.

პირუტყვს ერთი შეუკუროთხა, უფან-

ჯრო სარკმელთან ჩაიჩოქა, თოფის ლულა გარეთ ვაჰყო და ჩახმახი შემართა. ისროდნენ სამნი სამ მხარეს...

ვერიკო ახლა სხვა დაჭრილს უხვევდა ნატყვიარს, თან გულისყური შენობაში შემალული სამი მეგობრისაყენ ჰქონდა მიპყრობილი.

ორთქლმავალი ისევ კიოდა გაბმულად... და ვერიკოს ეჩვენებოდა, რომ კიოდა არა ორთქლმავალი, — აბაშის დედათა გული გამოსცემდა ამ საზარელ ხმას, აჭანყებული, ამბოხებული, ტყვიაგაყრული გული...

ინგლისელთა ბანაკს მამანტი ხაბეიშვილის რაზმი დაესხა.

აჭანყებულებს ეგონათ, ინგლისელებს ჯერ სძინავთ და იმათ თოფი-იარაღს ხელში ადვილად ჩაეიგდებთო. მაგრამ ანგარიშში მოსტყუდნენ, — ინგლისელებმა ტყვიების სეტყვა შემოაგებეს თავდამსხმელთ და სანახევროდ ამოუყუდეს.

გადარჩენილნი გზას გაყოლებულ თხრილში გამაგრდნენ.

თხრილში წყალი იდგა და მამანტის ჩექმები ყელამდე აევსო.

ახლა რაღა დროის სხვა რამის ვახსენება იყო, მაგრამ მამანტის ერთ წაშში გაუელვა თვალწინ ორიოდ წლის წინანდელმა შემთხვევამ სწორედ ამ თხრილთან. ცოლი შეირთო მამანტიმ და მთვრალი მაყრების თანხლებით შინ მოჰყავდა. ერთ მაყარს — ჯუნი დანელიას თხრილში ჩაუცურდა ფეხი („სადაა დღეს ნეტავი ჯუნი!“). ჩაუცურდა, შიგ ჩავარდა და იმავე წამს ხერინვა ამოუშვა. მაშინ წყალი არ იდგა თხრილში. სხვა მაყრებმა და ნეფემაც სიცილით კარგა ხანს ვერ მოითქვეს სული. მზიარულებაში გაატარეს ის დღე.

ახლა მამანტის ჩვილი ბავშვი ჰყავს შინ.

„მამაძალი!“ — გაიფიქრა მამანტიმ თავის ბავშვზე და ეგონა გავილიმეო, მაგრამ სინამდვილეში მის სახეს ღიმილის ნატამალიც არ დანტყობია. გულს სულაც არ უგრძობინებია მამანტისთვის, რომ აგერ რაღაც ნახევარი საათის

შემდეგ სიყვდილი მოაკითხავდა და სმულდამოდ დააშორებდა საშუეს...

ათიოდე ინგლისელი შეტევაზე გამოვიდა... რუსებთან ომში პანლუტ-ამოტყმული ინგლისელი ჯარბეაკები ახლა ქართველ ბოლშევიკებზე იყრიდნენ იქაურ ჯავრს.

თხრილში ჩამალულებმა სროლა აუტეხეს და ორი ინგლისელი ჯარისკაცი, ორივე ერთდროულად თავებირით დაეცნენ მიწაზე.

დარჩენილებმა თხრილში ჩამალულ აჭანყებულებს შემოუტყეს.

ერთი ინგლისელი თავზე გადაახტა მათ, მეორე მობრუნდა და კონდახი ჩასცხო თავში სევეს.

თავბრუდახვეული სევე თხრილიდან ამოათრეეს... შეიპყრეს დანარჩენი ოთხი ბოლშევიკიც...

ინგლისელებს რამდენიმე გვარდიელიც შემოუერთდა.

მარცხენა მხრიდან გაბმული სროლის ხმა მოისმოდა.

ტრიალ მინდორზე სამი ცხენოსანი გამოჩნდა. გვარდიელმა ოფიცერმა, ეტყობოდა, იცნო საველე-სამხედრო სასამართლოს სამეული და პირში თითების ჩაუდებლად, ტუჩების დაძაბვით დაუსტვინა.

სამეული მალე მათთან იყო. ცხენებიდან არ დაქვეთებულან.

— რაშია საქმე? — იკითხა სამთაგან შუაში მდგომმა, რომელსაც წვერი მოშვებული ჰქონდა, მაგრამ სახეზე მაინც ემჩნეოდა ორი თუ სამი ძველი ნაჭრილობევი.

გვარდიის ოფიცერმა შეპყრობილებისაყენ ხელი გაიშვირა და სამეულს უპატავა:

— ამათ მოჰკლეს ორი ინგლისელი ჯარისკაცი.

სახენაჭრილობევემა კაცმა მხარზე გადაკიდებული ტყავის საქაღალდე გახსნა, ფანქარი მოიმარჯვა და, თვალგაბოროტებულმა, სათითაოდ დაჰკითხა ტყვეები, ჩაიწერა მათი ვინაობა, პარტიულობა, წლოვანება; შემდეგ თანხლებ მსაჯულთ აქეთ-იქით რაღაც გა-

დაუჩორჩულა და სწრაფად გამოიტანა განაჩენი:

— ააა! — წამოიძახა სევემ და ვამილილი თითები სახეზე ხელუკულმა აიფარა. სახეებს კრინტი არ დასცდენიათ.

სასამართლოს თავმჯდომარემ გვარდიის ოფიცერს უბრძანა: მათსავე თვალწინ სასწრაფოდ სისრულეში მოეყვანათ განაჩენი:

დატყვევებულნი შორს არ წაუყვანიათ. ნაყანევეზე გადაატარეს მხოლოდ და ცუდღარის ახლოს ორმოსთან მიავლეს.

მინდორზე აქა-იქ დახოცილები ეყარნენ. ჩანდა, აქაც ჩამოველო ბრძოლის ღმერთს მიქელ გაბრიელის თანხლებით.

გვარდიელები ათიოდე ნაბიჯის დაშორებით გამწკრივდნენ და თოფები ტყვეებისაკენ მიმართეს.

ამ დროს გამოჩნდა ადილარ გვაზავა თავისი მილიციელებით. ადილარი აქ მოსვლის წინ აბაშის მთავრობის შენობას იცავდა; თავზე ეხურა ბიქტორის ტყვიით გახვრტილი ქუდი, რბილი საგარძელი ფანჯარასთან ჰქონდა მიღგმული, შიგ არხეინად იჯდა და აუცდენლად ისროდა თავის მაუხერს.

ადილარი ბოლოს შენობიდან გამოვიდა, თავის ბედაურს უნაგირზე მოველო და სწორედ ეს იყო, დასახვრეტად ორმოსთან გახვრებულ ბოლშევიკებს რომ წაადგა.

— აგერ, ხაბოსთან დაეხვრიტოთ, — ურჩია ადილარმა საველე სასამართლოს სამეულს. ეს მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ რამე ეთქვა, თორემ მისთვის სულ ერთი იყო სად დახვრეტდნენ ბოლშევიკებს, ოღონდ კი დაეხვრიტათ.

საველე-სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ მილიციის უფროსის რჩევა არ მიიღო: განაჩენით დახვრეტლები უნდა დაიპარხონო.

— ეს არ არის კანონიერი სასამართლო! — იუვირა მამანტი ხაბეიშვილმა.

ჟურთი არავის უთხოვებია მისთვის.

თოფმომარჯვებულ გვარდიელებს ჩახმახის შემართვა უბრძანეს და: ვიდრე მათი მეთაური მადლა აწეულ ხელს ჩამოიქნედა, მამანტი ხაბეიშვილმა მთელი სიცოცხლის მანძილზე დასახარჯავი ხმა ამ უკანასკნელ წუთში ერთბაშად დახარჯა:

— გაუმარჯოს რევოლუციას!..

ეს მთელი ქვეყნის გასაგონად დაიძახა მამანტიმ თავისი ვარაუდით, მაგრამ აქ მყოფთა გარდა არავის გაუგონია.

სევემ ცას მიამტერა თვალი. იქ შავი ღრუბლები, რატომღაც, უჩვეულოდ ჩქარა მიჭროდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, თითქმის გასწრებაზე იყვნენ. ამ ღრუბლებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაქუხება...

და თოფების დაქუხება სევეს სწორედ ამ ღრუბლების დაქუხებად მოესმა.

მერე ყველაფერი გაქრა მისთვის: ცაც, ხმაც, ფიქრიც, ტყვილიც; დარჩა მხოლოდ ამოთხრილი მიწის გული.

ტყვიით დაცხრილულნი უხმოდ, მორჩილად, უწესრიგოდ ჩაცვივდნენ ორმოში.

მხოლოდ ერთი რომელიღაც დაეცა ორმოს ნაპირთან და ასევე დარჩა.

საველე-სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ განაჩენის ფურცელი ჩააბოლოვა: „განაჩენი სისრულეშია მოყვანილი 1919 წლის ოქტომბრის 24-ს“.

ჯერ თვითონ მოაწერა ხელი, მერე მსაჯულებს მოაწერინა.

ჰკრეს თავთავიანთ ცხენებს ღეზი და წავიდნენ.

გვარდიელებმა, ოფიცერის განკარგულებით, ქამრიდან ბარი ჩამოიხსნეს და ხოცილთა საფლავის ამოსაცხებად.

ერთმა გვარდიელმა იქვე ახლოს, მინდორში ვილაციის პირაღმა დამხობილი გვამი შენიშნა და თქვა:

— ბარემ ესეც ჩავავდოთ.

— ჩავავდოთ, მადლი იქნება, — ჩაილაპარაკა მეორემ.

ორნი მივიდნენ უცნობ ცხედართან, ფეხებით მოათრეეს ორმომდე და შიგ

ისე ჩაადგეს, რომ სახეზე არც შეუხედ-
დავთ.

იქნებ ნათესავი იყო რომელიმე მათ-
განისა, ან მოგვარე, ან ნაცნობი!..

ადილარ გვაზავა წელან ორმოს ნა-
პირზე დარჩენილ მკვდარს მიუახლოვ-
და, ფეხით უბიძგა საფლავისკენ. მკვდა-
რი „გაჭიუტდა“, თითქოს არ უნდოდა
მიწაში ჩასვლა, აქ ერჩია, სინათლეზე.

მაშინ ხელებიც მოიხმარა ადილარ-
მა. ჭერ თავით წავიდა ადამიანის სხე-
ული საფლავისკენ, მერე გადმობრუნ-
და... და ადილარმა იცნო მამანტი ხაბე-
იშვილი.

სული ჭერ კიდევ შერჩენოდა ხორცს.
მამანტიმ თვალები გაახილა. პირიდან
სისხლი გადმოსდიოდა...

ბარიანები მუშაობდნენ...

საფლავში ჩადგებულ მამანტის სა-
ხეზე მიწა დააცვივდა.

გრძნობაც შეიპოჩენოდა ჭერ კიდევ,
საიმქვეყნოდ განწირულს.

მოეჩვენა: თითქოს საფლავში კი არ
იწვა, არამედ ციხის ვიწრო საკანის ჭე-
რზე იყო მიწებებული თუ მილურსმუ-
ლი ზურგიით, პირდაღმა.

მის გვერდითაც იყო ვიღაც მიწებე-
ბული თუ მილურსმული ჭერზე, მაგ-
რამ იმას ეძინა.

ღრმად ეძინა.

მათს გარშემო, ოთხსავე მხარეს ოთ-
ხი კედელი ეშვებოდა ძირს.

საკანს იატაკი არ ჰქონდა.

იატაკის ნაცვლად ჩანდა ძალიან
ღრმა, ნათელი და უძირო ქვესკნელი,
ქვესკნელი თუ ზღვა.

ამ ქვესკნელში თუ ზღვაში ღრუბ-
ლები ირეოდნენ და ჩიტები დანავარ-
დობდნენ...

თუ კი მამანტი საკანის ჭერზე იყო მი-
კრული და საკანს იატაკი არ ჰქონდა,
მაშინ, იატაკის ნაცვლად უნდა ყოფი-
ლიყო მიწა.

მაგრამ მიწა არ ჩანდა, არ იყო ძირს
მიწა.

ქვესკნელი თუ ზღვა ლივლივებდა
მიწის ნაცვლად.

მამანტის ახლა ძლიერ უნდოდა მო-

წყდომოდა ჭერს და ჩავარდნილიყო ამ
ძალიან ღრმა და უძირო ქვესკნელში...
თუ ზღვაში, სადაც აუარებელი ფრინვე-
ლები დანავარდობდა.

მაგრამ მამანტი საოცრად მაგრად,
მკვიდრად იყო მიკრული ჭერზე.

„საკანის“ ოთხი კედლიდან, ერთერთი
კედლის ბოლოზე ადილარ გვაზავა იყო
ფეხებით ძირს ჩაქიდებულია.

ადილარი ახლა ჩექმინი ფეხებით იწ-
ყებოდა, მერე ჩანდა მისი მუხლები,
მოკლე მაზარა, მერე — ჭინჭილებიანი
მკერდი, ნიკაპი, უღვაში, ცხვირი და
წვრილი, ცივი, თევზის თვლები, ყვე-
ლაფერს ამას ახოლოებდა ჭილიანი
ქუდი.

და უკვირდა მამანტის, რომ ამ თაე-
დაღმა დაკიდებულ კაცს ქუდი არ
სძვრებოდა და არ უვარდებოდა იმ
ქვესკნელსა თუ ზღვაში, სადაც აუ-
რებელი ფრინველი დანავარდობდა.

საკანის ჭერზე ზურგიით მიკრულმა
კაცმა ტუჩები ამოძრავა...

და ადილარმა გაიგონა საფლავიდან
ძლივს ამოზობღებული, უხმო სიტყვე-
ბი:

— ადილარ, მესროლე და მომკალი
კი მაინც! დედ-მამის სულს გაფიცებ,
ცოცხლად ნუ დამმარხავ!

როგორ საოცრად გარკვევით სცოდ-
ნოათ ლაპარაკი განწირული ადამიანის
თვალეზს!

ადილარმა რევოლვერი ამოიღო და
საფლავში ჩაადირა, ოღონდ მოსახვედ-
რებლად არ უსვრია მომავედავისათვის.

არ ისმინა მისი ვედრება.

ტყვია კი ესროლა. მაგრამ მხოლოდ
ყურთან გაუხვრიტა მიწა.

რევოლვერი რომ დასცალა; გიჟივით
გადაიხარხარა და ტყვიას თან სიტყვაც
დაადევნა:

— ძალღი მიგაკვდა სულში. მამანტი
ხაბეიშვილიო!..

ზურგიით ჭერზე მილურსმულმა კაცმა
ნახა: ქვემოთ, ის ქვესკნელი თუ ზღვა,
თუ ცა — ბელტებით აივსო.

და საკვირველება ხდებოდა, — ქვე-

ვიდან ზევით მოცვივოდა ეს ბელტები, ქვევიდან ზევით.

არსად იყო მიწა და არც მიწის მიზიდულობა!

ქვევიდან ზევით მოცვივოდა ყველაფერი.

— მიშველე, ადილარ, ნუ დამმარხავ ცოცხლად, ბარემ მესროლე, იმ შენი კარგი დედ-მამის სული ნუ წავიწყდება!..

რა საოცარი, რა ხმამაღალი ლაპარაკი სცოდნია განწირულის თვალებს!..

ადილარს შეაძაგდა, სისხლის ნაცვლად სიცივემ დაუარა ძარღვებში.

უნდოდა გასცლოდა ამ შემზარავ ორმოს, მაგრამ ვერ ააგლიჯა მიწას ფეხი, თითქოს დასობილი იყო აქ.

გარკვევით დაინახა, რომ მამანტიმ სულ ბოლოს სისხლიანი მიწა ამოაფურთხა.

ეს — ადილარ გვაზავას შეაფურთხა მიწაყრილმა ადამიანმა სულის ამოხდომის უკანასკნელ წამს...

საფლავი უკვე მიწით ამოივსო.

და ადილარს მოეჩვენა, რომ მიწა მოძრაობდა მომაკვდავი ადამიანივით, ცახცახებდა...

ბოლოს გაჩერდა, გაირინდა და გაიყინა...

ადილარმა როგორღაც ძლივს ძლივობით ამოძრავა სხეული, რევოლვერი ბუდეში ჩაიღო, თანდათან დაიბრუნა ადრინდელი სახე და ილაჯი; საფლავს ზურგი შეაქცია და მძიმე ნაბიჯებით წავიდა.

აღვირაკრფელი ცხენიც შემობრუნდა და ერთგულად მიჰყვა პატრონს.

გრძელ კისერს ლამაზად მიარხევდა ცხენი.

მხახველი უდაოდ იფიქრებდა: ეს ის ველური ცხენი ხომ არ არის, ადამიანმა პირველად რომ გახედნაო...

დავით კაჭარავას რაზმი სულ მიმოიფანტა. თვითონ დავითი გვარდიელებმა შეიპყრეს და ტყვეებისათვის წინასწარ მომზადებულ ყაზარმაში შეაგდეს.

იქ ყველა ტყვე ნაცნობი იყო. ბევრი სპარტაკელიც ნახა დავითმა.

დაჭრილს ნატყვიარი შეუხვევს მეგობრებმა.

გარკვეული

აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ აქა-იქ ბრძოლა ისევ გრძელდებოდა.

რკინიგზის უპატრონო სახლს შეფარებული სამი სპარტაკელი — ავთანდილი, ქუჩუ და დუღუნი — თავდაცვას განაგრძობდნენ.

როგორ ყირხმალა შეტრიალდა ყველაფერი!

შეტევისათვის აღმდგარნი — ახლა, ქვის კედელს აფარებულნი, სულის შესანარჩუნებლად ხარჯავდნენ უკანასკნელ ვაზნებს.

ვერიკო თავის მალამოს ხელმომჭირნედ ხმარობდა: ნატყვიარს რომ შეუხვევდა რომელიმე დაჭრილს, სადმე მიფარებულ ადგილზე გადაიყვანდა და იქვე ტოვებდა.

ასევე ზრუნვით მოექცა დაჭრილ სამუელსაც, მას მხარზე ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. გრილი მალამო ეამცხელ ნატყვიარზე, თითქოს ცეცხლი ეკიდა და ჩაუქრა. მარცხენა ხელს ვერ ხმარობდა.

— ვერიკო, — ძლივს ამოიღო ხმა სამუელმა და თოფი მისკენ გამოსწია.

— რა სამუელ!

— დამიტენე და წადი.

ვერიკომ თოფი დაუტენა და გასასროლდაც მოუშადა, ლულა მიუშვირა გზისკენ, საიდანაც მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის გამოჩენა.

— ერთი ვაზნით რას გახდები, სამუელ!

— ერთსაც წავიმძღვარებ და ეგ იქნება...

ვერიკომ ფიჩხით და გაყვითლებული ფოთლებით კარგად შენიღბა მეგობარი და რკინიგზელის სახლისკენ გაჩოჩდა, რადგანაც ახლა იმ კედაროდან, სამის ნაცვლად, მხოლოდ ორი ისროდა.

მესამე ან დაჭრილი იქნებოდა, ან ვაზნები შემოლეოდა...

ორსავე შემთხვევაში მიშველება იყო საჭირო.

შორიდან მებრძოლთა შეძახილებისა და სროლის ხმა მოდიოდა.

ვერიკო ღობიდან ეზოში გაძვრა. ირგვლივ ადამიანის ჰაქანება არ იყო.

ძალდი ყუფით გამოენთო ვერიკოსაკენ. ინდაურები დაფრთხნენ და ყრანტალით აქეთ-იქით გაიფანტნენ. ძირს გაწოლილმა ვერიკომ ქვა თუ ბელტის ნატეხი მოიხელთა და ძალს ესროლა.

ის მაინც არ დაცხრა, უკან გაქცეული, ისევ მობრუნდა და წამუტუნე მორთო, თითქოს რაღაცის შესახებოდა ადამიანს. ვერიკომ ყური არ უგდო ძალს, ხოხვით გასწია ეზოს მეორე მხარეს.

იქ კვლავ გადაძვრებოდა ღობეზე და რკინიგზელის სახლსაც მიადგებოდა.

ზურგს უკანიდან, სულ ახლოს გაისმა თოფის ხმა. მიხვდა: ეს იყო სამუელის ბოლო ტყვიის გასროლა.

სროლას ბომბის აფეთქება მოჰყვა.

ვერიკომ წამოიწია და ეზოს გაღმა კვამლში გახვეული სამუელა დალანდა. ჯერ გამართული იდგა სამუელი, პირს აღებდა, ალბათ დამახტება უნდოდა...

მერე მოცელილივით დაეცა.

— მოკლეს!... არ უნდა მიმეტოვებინა!.. — მწარე ფიქრმა შეაწრიალა ვერიკო.

ძალდი კვლავ ვერიკოსთან წრიალებდა, კალთაში კბილები ჩასჭიდა და კოინდრისაკენ გაქაჩა, იქიდან ადამიანის კენესა მოესმა ვერიკოს.

მიწაზე გაწოლილ ვერიკოსთვის მალაღი ჩანდა კოინდარი.

მიჰყვა ძალლის ნებას, კოინდარში შეცურდა და მიწაზე უგონოდ მოკუნტულ თეთრგვარდიელს წააწყდა. მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა დაჭრილი, ალბათ წყალს ითხოვდა. მუცელში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი.

ძალდი თვალეზში შეჰყურებდა ვერიკოს, ხელებს ულკავდა, გონიერვით ევეღრებოდა, — ეშველნა რამე მომაკვდებისათვის.

თეთრგვარდიელს დააკვირდა ვერიკო და ეცნაურა: ამავე ეზოში მოუკრავს მისთვის თვალი სხვა დროს.

— შენსავე ეზოში კედები, ბედშავო? — გაურკვეველი გულსიტყველით აღმოხდა ვერიკოს.

დაჭრილს ეს სიტყვები არ გაუგონია. მან თვალი ოდნავ მხოლოდ მაშინ გამოახილა, როცა ვერიკომ ჰრილობაზე მალამოიანი ბანდი დააფარა და ბალახიდან თითებით აღებული ცვარი ტუჩებზე წაუსვა.

ცვარმა მოახედა მომაკვდავი.

(ის თეთრგვარდიელი მერე განიკურნა და ჩინიც მოემატა, მაგრამ ფარულად ბოლშევიკებს ეხმარებოდა; პროკლმაციებიც კი შეჰქონდა ყაზარმებში; ოცდაერთი წლის მარტის პირველსავე დღეებში მთელი თავისი ასეული გადმოიყვანა წითლების მხარეს. ახლა უკვე მოხუცია და ხშირად იგონებს: ცხრამეტში, ჩემსავე ეზოში კვლავბოდი დაჭრილი, ვერიასავით მომევილია თეთრი გოგონა და ამოსახდომად შეფრთხილებული სული სხეულში ჩამიბრუნაო).

ვერიკომ დაჭრილი იქვე დასტოვა და ისევ ჩოჩვა-ჩოჩვით გასწია მეგობრების თავშესაფარისკენ. რკინიგზის სახლის ფანჯრებში მესამე თოფიც ალაპარაკდა და ვერიკომ გაიხარა: სამივე ცოცხალი ყოფილაო! კანტიკუნტად ისროდნენ, ალბათ ვაზნებს უფრთხილდებოდნენ. მათკენ საპასუხო სროლაც გაიშვიათდა.

ვერიკო ეზოდან გავიდა, კედელ-კედელ გაჰყვა ქვის სახლს უკვე წელგამართულად; მზერაც კედელს გააყოლა და მისი თოფის ლულა დაინახა ფანჯრებში გამოსვერილი.

ერთი თოფი უცებ ძირს დაეშვა, დაცურდა და ფანჯრის აქეთ ჰქვებზე დაეარდა. მოჰკლეს სამთაგან ერთ-ერთი.. ან, შესაძლოა, დასჭირეს!.. გული შეუქანდა ვერიკოს: რომელს დაუვარდა თოფი?!

აქეთკენ გამოსროლილ ტყვიებს ქვის კედელზე ტაკანი გაჰქონდა. ვერიკომ ჩაიჩოქა და უფრო საიმედოდ აეფარა კედელს. გარკვევით მოჰკრა თვალი: სახლის გვერდითა ფანჯრიდან ჯერ დუღუნი გადმოხტა, მერე — ქუჩე...

ავთანდილი არ ჩანდა.

ლულუნნი და ქუჩუმი ცოტა მანძილი გაირბინეს და მიწას გაეკრუნა.

მათკენ მოულოდნელად აწივლდა ტყვიები.

რკინიგზის მიწაყრილს მიღმა ათამდე გვარდიელმა წამოჰყო თავი. მერე წელში მოხრილებმა გადმოირბინეს ღია-ნდაგებზე და ორს შეუტყეს...

ახლა მეორე მხრიდან მოესმა ვერიკოს გახშირებული სროლა.

ოდის აივანს სხვა აჯანყებულები შეფარებოდნენ (ერთ-ერთ მათგანს მოჰყრა ვერიკომ თვალი) და გვარდიელებს სულის მოთქმას არ აცლიდნენ...

ოდის უკან კარებიდან ქალი გამოვარდა წივილ-კივილით და გაიქცა.

ქუჩუსა და ლულუნისაკენ წამოსულმა გვარდიელებმა ახლა აივნისაკენ მიაბრუნეს თოფები..

ვერიკო ისევ გაცურდა ქვიან მიწაზე, კედლის გასწვრივ, ფანჯრიდან გადმოვარდნილი თოფი აიღო და აივნისაკენ მზერადაძაბულ გვარდიელებს ზურგიდან დააყარა ტყვია.

ახლა მოაგონდა წინა დღით ჯიბეში ჩაყრილი ვაზნები..

რკინიგზელის უკარ-ფანჯრებო სახლიდან ძროხა გამოვიდა ზღაპრით და ბალახს მშვიდად დაუწყო წიწყა.

ვერიკომ სახლში შეირბინა და თავდაღმა დამხობილი ავთანდილი დაინახა. გადმოაბრუნა, სახეზე ხელი ჩამოუსვა და ცივად შეჰვივლა.

შუბლზე შავ წერტილად აჩნდა ჰაბუკს ნატყვიარი. პირიდან გადმოჩაყონის სისხლი ნიკაპზე შეყვინოდა.

ვერიკომ მარტოდ-მარტო პირველად ნახა ასე ახლოს მკვდარი ადამიანი და შეეშინდა. მერე ხელები ააფათურა, თითქოს რაიმე ისეთ წამალს ეძებდა, ავთანდილს რომ ვააცოცხლებდა. მაგრამ ასეთი წამლები მხოლოდ ზღაპრებშია.

მომავრდა და გააყდა ვერიკო; ხელები გულზე დაუკრიფა ჰაბუკს, სისხლი მოსწმინდა პირიდან, ვაპატიოსნა.. კრემლის კურცხალი თავისთავად გადმოსცივდა თვალებიდან...

იწვა ავთანდილი გულხელდაკრეფილი და საუკუნოდ დაღუპებული...!

სროლის ხმა არ წყდებოდას! ვერიკოს ახლა იმის იმედილა დაარჩენოდა, — სენაკელები მოგვეშველებიან, ან სამტრედიელი აჯანყებულები შემოგვიერთდებიანო...

მაგრამ ყოველივე ამას იყო.

— დაემარცხდით, ძმებო, ამხანაგებო!... — მოესმა ვერიკოს საიდანღაც.

აქეთა ფანჯრებიდან ვერიკო ვერ ხედავდა ამ სიტყვების დამძახებულს, ისე კი მიხვდა, მათიანი იქნებოდა.

— დაემარცხდით, — თვითონაც წამოიჩურჩულა. მთელი სხეული ერთ-თავად მოუდუნდა: სარკმლისკენ ოდნავ აიწია და თვალი მოჰყრა ტყვედ ჩაყარდნილ ამხანაგებს, რომელთაც კონდახების ცემით მიერეკებოდნენ თეთრგვარდიელები.

— დაემარცხდით, — ქვითინებდა ვერიკოს გული და ვერ გავგო, რატომ დამარცხდნენ?

თავიანთი დროშა გაუშლელი ედო უბეში.

დატყვევებულებს მზერა მოაცილა და ქუჩუსა და ლულუნისაკენ გაიხედა. ალბათ გადაინაცვლეს ან დაიხოცნენ.

თეთრგვარდიელთა ჯგუფს ახლა მხოლოდ ქუჩუსა და ლულუნისთვის მოეცალათ.

ბიჭები არ ნებდებოდნენ.

ვერიკოს ერჩია, დანებებოდნენ ისინი მტერს, ტყვედ ჩაყარდნოდნენ, თორემ, ჰა და ჰა, სადაც იყო, მოჰკლავდნენ ორივეს. მათი ბედი ბეწვზე ეკიდა.

ვერიკო ნათლად ხედავდა ყოველივეს.

ქუჩუ და ლულუნი წელში მოხრილნი გაიქცნენ და იმ დაჭრილი თეთრგვარდიელის (ვერიკომ რომ ჰრილობა შეუხვია) ეზოში შემოფიცრულ ნაღიას შეეფარნენ.

დაბნეულები თვითონვე შევიდნენ ხაფანგში.

თეთრგვარდიელები ნახევარ რკალად გაიშალნენ, შეტევაზე გადავიდნენ და ნაღიას კედლები ტყვიებით დაცხრი-

ლეს. ნალიიდანაც მოისმა საპასუხო სროლა, ჯერ ერთი თეთრგვარდიელი დაეცა, მერე მეორემაც ჩაიშუსლა.

ვერიკოს სულ ორი ცალი ვაზნა უჩხრიალებდა ჯიბეში და უკანასკნელი, გადამწყვეტი წამისთვის ინახავდა.

უცებ ზედიზედ სამი გასროლა მოისმა და ნალიისკენ იარაღაწეული სამი თეთრგვარდიელი ჯარისკაცი ზედიზედ დაეცა.

ეს არ იყო ქუჩუსა და ლულუნის ნამოქმედარი.

სამი გასროლის ხმა უტყუარად რევოლვერისას ჰგავდა.

ვერიკოს გაახსენდა ფედისას ოსტატობა, — ბეჭედში აძვრენდა ტყვიას.

ერთხელ, გაფრენილი ჩიტე ჩამოავდო რევოლვერით.

კიდევ გვარდა რევოლვერი აქედან, ნალიიდანაც გამოტყვერა ორი ტყვია..

თეთრგვარდიელები გაიფანტნენ და ზურგი უჩვენეს ნალიაში შეფარებულით.

ვერიკომ ერთ ინგლისურფარაჯიანს შეასწრო თვალი..

ისინი რომ გაიქცნენ, ნალიის გასწვრივ გაყოლებულ ტრიფოლიატს ფრთიანივით გადმოვევლო ვიღაც, ხელში რევოლვერ-მომარჯვებული.

ვერიკომ მაშინვე იცნო ფედია და, რატომღაც, სრულებითაც არ გავეირვებია გადასახლებული კაცის აქ გამოჩენა. თითქოს აქამდეც სულ მათთან იყო ფედია ფრანგიშვილი...

წვერი ბუჯგად წამოზრდოდა, შუბლი შეხვეული ჰქონდა სისხლიანი ნაჭრით, მარცხენა მკლავს უნიათოდ მოიქნევდა.

ადვილი მისახვედრი იყო: ორგან ჰქონდა ტყვია მოხვედრილი — თავში და მკლავში.

— გამოდით, ძმებო! — გასძახა ფედია ნალიაში შემალულთ და ორი გასროლით გაფანტულ მოწინააღმდეგეთაგან კიდევ ორი წააქცია: ერთი ოფიცერი და ერთი რიგითი.

ეს მოხდა თვალისდახამხამებაში.

ვერიკოსთვის ყველაფერი ხელისგუ-

ლივით ჩანდა ამ გაპარტახებული ქუჩის სახლიდან.

ის ინგლისურ-ფარაჯიანი ჯარისკაცი უკან-უკან წამოვიდა, ფეხებით გვარდიის ოფიცრის გვამს წამოედო, წაიქცა, სწრაფად წამოდგა, მობრუნდა და გამოიქცა, მერე ისევ ბრძოლის ადგილს გახედა და ზურგით შემოვიდა ვერიკოს თავშესაფარში...

იქით — ფედია, ლულუნი და ქუჩუ შეერთდნენ და მალე თვალს მიეფარნენ...

ვერიკომ ზურგით შემოსულ ინგლისელ ჯარისკაცს თოფის ლულა კეფაზე მიადო, ხელები მაღლაო, — ასე შეპყვირა, რომ ინგლისელს კინაღამ გული გაუსკდა; ერთდროულად მოასწრო ხელების აწვევაც, შემობრუნებაც და ჩაქცევაც.

ვერიკომ პირდაპირ შეხედა.

„უფალო, დაილოცა შენი სახელი საიდან, როგორ?!“

ვერიკოს წინაშე, ორიოდე დღის წინ კბილებჩამტვრეული ინგლისელი ჯარისკაცი კანკალებდა სიკვდილის მოლოდინში.

— აა!... ეს თქვენ ბრძანდებით, მოგწონთ აქაურობა, არა?... აქ ლამაზი გოგოები არიან!... — დამცინავად მიმართა მას ვერიკომ რუსულად.

თოფი დატენილი არ ჰქონდა, მაგრამ ეს ინგლისელმა არ იცოდა, თვითონ ალბათ აღრევე გადაეგდო თავისი იარაღი და ახლა გრძელი დანაღა ეკიდა ჯამარზე.

ვერიკოს შეხედა და შესაბრალისად დაიმანჭა...

— არ მოგკლავ... წადი... ოღონდ შენს სახლში წადი, აქ არაფერი გესაქმება, გლახაკო...

გარედან კიდევ ერთი გასროლა მოისმა და უცებ ყველაფერი მიჩუმდა.

უტყბოვა სიჩუმე ვერიკოს ყურებს. დამოქილი ინგლისელის თავს ზევიდან, კარს იქით გაიხედა. უმხედროდ დარჩენილი რამდენიმე ცხენი ზედ ამ კართან მომდგარიყო და თვალსაწიერს უფარავდა.

თავის ტყვეს გვერდი აუარა ვერიკომ და სამზერო სივრცე გაიფართოვა.

ინგლისელს ამ წუთში თავისუფლად შეეძლო დანა ჩაეცა მისთვის ზურგში. ეს არ მომხდარა...

ოდნავ მოშორებით, გზის გადაღმა, თეთრგვარდიელებს შეპყრობილი მებრძოლები მიჰყავდათ.

ვერიკომ მათში ამოიციხა: ფედია, დულუნი, ქუჩუ, დურუ და მანჩა.

მეექვსეც ერია ტყვეებში, მაგრამ ვერ გაარჩია, ვინ იყო.

თეთრგვარდიელებს ისინი აბაშისაკენ, საპყრობილეში ჩასაკეტად როდი მიჰყავდათ, აბაშისწყლისკენ ჰქონდათ გეზი აღებული.

ეს ცუდად ენიშნა ვერიკოს: ვაი, თუ დასახერხებდათ მიჰყავთო!..

ექვი დაადასტურა სამი ცხენოსნის გამოჩენამ.

ეს იყო სამხედრო საველე სასამართლო, რომელმაც სულ რაღაც ერთ საათში თორმეტ აჩანყებულს ხელდახელ გამოუტანა დახვრეტის ვანანენი და უმალვე სისრულეშიც მოაყვანინა..

შეპყრობილები თავდაციდულნი, მძიმედ მიაბიჯებდნენ სიკვდილის ბილიკზე და ერთმანეთში საუბრობდნენ.

— შენ საიდან გაჩნდი, ფედია? დაჭრილხარ, — უფროს ძმას შეხედა ქუჩუ.

ფედიამ შემოხედა მას და გული აუფორიაქდა.

ყველაზე პატარა იყო ქუჩუჩია მათ შორის.. ფედიამ არ იცოდა, რა ელონა: წინ გაიხედა და ბარდები შენიშნა მოშორებით, რაღაც განსჭვრიტა გონების თვალით და ძმას გადაუჩურჩულა:

— მე რომ გეტყვი, გაიქეცი... დასახვრეტად მივეყვართ...

— ყველანი გავიქეცი, — იყო ძმის პასუხი.

— მე რომ გეტყვი, გაიქეცი, — ახლა უკვე უბრძანა ძმას ფედიამ. — ჩვენ ამათ მოვევლით, — თოფიანებზე ანიშნა, — მერე ენახოთ..

ფედიას ჩანადიქრმა ჩურჩულით ჩამოუარა დანარჩენებსაც.

ბარდნარს უახლოვდებოდნენ...

ტყვეებში მეექვსეც, ვერიკომ წელან რომ ვერ გამოიციხა, ბიქტორი ყოფილა.

ბიქტორი ფეხში იყო დაჭრილი და კოჭლობით მიდიოდა (ეს ფეხი ბიქტორს კაჭარავს მერე სავსებით მოურჩა, მაგრამ 1924 წელს სულ მთლად დაკარგა ფეხში, ორწყალთან, ქაქუცა ხოლოცაშვილის რაზმთან ბრძოლის დროს).

უცებ ზურგს უკან, ცხენთა ფლოქვების თქარუნე მოისმა.

თეთრგვარდიელებმა გაიხედეს.. ნანატრი შემთხვევა იყო გასაქცევად. ფედიამ იღაყვი გაჭრა ძმას: აბა მიდიო!..

მერე სხვებსაც ჩაუკრა თვალი: ქუჩუ რომ გაიქეციოდა, ესენი მცველებს უნდა სცემოდნენ...

ბარდებამდე ათიოდე ნაბიჯი იყო დაჩენილი... იცოდნენ: ეს გაბრძოლება რომელიმე მათგანს იმსხვერპლებდა, მაგრამ ყველას დახვრეტას, თუნდაც ერთის გადაჩენა ამჯობინეს. თანაც: სად საფლავის პირას დგომა და ტყვიისთვის მკერდის მიშვერა და სად ბრძოლასა და ჭიდილში დაცემა!..

ის იყო, ქუჩუმ პაერი ღრმად ჩაისუნთქა და კუნთები გასაქცევად დაძაბა, რომ უკანიდან ძახილი მოისმა:

— შეჩერდით!

თეთრგვარდიელმა მალაჩინიანმა ოფიცერმა სასამართლოს სამეულთან მოაგდო ცხენი; ბრძოლის ველიდან ახალ გამოსულს ჰგავდა, სახეზე და მახარაზე ტალახი ეცბო, ოფიცრის ქუდს ქვემოთ, შუბლზე შემოხვეულ ბანდიდან სისხლს გამოეყოფა. სასამართლოს თავმჯდომარეს მიესალმა და სხვებისათვის სმენამოუწვეველად მოახსენა:

— თბილისიდან ჩამოვიდნენ... ბრძანებაა, დაუყოვნებლოვ შეწყვიტოთ ყოველგვარი მოქმედება და გამოცხადდეთ შტაბში!

ამას რომ ლაპარაკობდა მხედარი, ცხენს, თითქოს განზრახ, ადგილზე არაკებდა.

— რა მოხდა; — უნებლიედ წამოსცა და კითხვა სამეულის თავმჯდომარეს, თუმცა კარგად იცოდა: რაც უნდა მომ-

ხდარყო, ბრძანებას გვერდს ვერ აუვლიდა.

მან, თავის მხრივ, ტყვეთა დაცვის მეთაურს უბრძანა, ტყვეები მოეპრუნებინა და სატუსალოში წაესხა, თვითონ კი მსაჯულებიანად შტაბისკენ გაეშურა...

მიანც ქართველი კაცი იყო და, ვინ იცის, იქნებ გაეხარა კიდევ, ამდენი სისხლისღვრა რომ შეაწყვეტინეს. ისედაც უკვე საკმაოდ მძიმედ აწვა ცოდვები.

სამეფულს აქ მყოფ ტყვეთა მიმართ დახვრეტის განაჩენი წინასწარ დაწერილი და დადასტურებულიც ჰქონდა: განაჩენი სისრულეშია მოყვანილიო. ამაში საეჭვოს არაფერს ხედავდნენ, ფიქრადაც არ მოსვლიათ, თუ წინ რამე აღუდგებოდათ. ახლა მხოლოდ საფლავისათვის შესაფერ ადგილს ეძებდნენ, ან ეგებ სადმე თხრილსაც წაწყდომდნენ და საქმეც გაუადვილდებოდათ.

(განაჩენის ეს ფურცელი დღეს არქივის მასალებშია და შეცდება ის მკვლევარი, რომელიც მას სარწმუნოდ მიიღებს. ფედია ფრანგიშვილი და მისი ხუთი თანამებრძოლი, 1919 წლის 24 ოქტომბერს არ დაუხვრეტიათ. ისინი იხსნა ვერა კიხირამი).

ტყვეები გამოცოცხლდნენ, დახვრეტას გადაარჩინილებმა, საპყრობილისაკენ უკვე ხალისიანად და ყოჩაღად გამოადგეს ფეხი, თითქოს ჯოჯოხეთიდან სალხინობელში მიდიოდნენ.

ვერიკომ ისევ რკინიგზელის სახლისკენ დაძრა ცხენი; თეთრგვარდიელი ოფიცრის ფორმა ჩქარა უნდა მოეშორებინა, თორემ სულ ადვილად შეიძლებოდა რომელიმე თავისიანს მტრად ჩეთვალა და თოფის სამიზნეზე დაესვა.

ტყვეების ზუზუნი არ წყდებოდა: ამბოხებულნი არ ნებდებოდნენ, დამსჯელი რაზმელები — გულზე სკდებოდნენ; რომ ეგონათ, ესაა, გათავდა ბოლშევიკების საქმეო, უცებ გამოტყვევდებოდა ტყვია და რომელიმე მათგანს ამოკვნიასაც არ დააცილიდა.

ისროდნენ ყოველი მხრიდან: თხრი-

ლებიდან, ბუჩქებიდან, ფანჯრებიდან. თეთრგვარდიელებმა განუყოფელად დაუშინეს ცეცხლი ოდასახლებს.

წინ არ იყურებდნენ, ისე ისროდნენ.

ალექსი ქოთიავს ეზოში ძროხა წააქცია ტყვიამ.

დასახლისი თებრო წივილ-კივილით გამოვიდა ეზოში და ბავშვების მარჩენალ ფურს ჰირისუფლად დაადგა.

თვითონ ბავშვებიც აქ გაჩნდნენ: ვენერა, თათუშა და მირიანი.

ვაჭართან დაბინავებული ინგლისელების ოთახის მინები ჩაილეწა. იწყინეს ინგლისელებმა: ჩვენ სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ვართ და ვისა აქვს უფლება გვესროლოსო... ინგლისელმა მამაკაცმა თავის ცოლშვილს ხელი ჩააჭიდა და საჩიველად წამოვიდა.

(ვისთან უნდა ეჩივლა? რა უნდა ეჩივლა?)

მთავარი ქუჩა ტყვეებით იცხრილებოდა და უფრო მყუდრო მოსახვევებს მიეტანნენ.

ვერიკოს ნაცნობ ინგლისელ გოგონას თბილად ეცვა, ყელზე ყვავილებდაქარგული შარფი ეხვია, მამისთვის ხელი ჩაეკიდებინა და, მამა რომ ერთ ნაბიჯს გადადგამდა, თვითონ ხუთი-ექვსი ნაბიჯის გარბენა უწყევდა.

რკინიგზაზე გავიდნენ.

ვერიკომ შორიდან მოჰკრა თვალი მათ; ნაცნობ ინგლისელ გოგონას შეხედა და შეწუხდა: სად გამოუყვანიათ ბავშვი ამ ალიაქოთში...

ფიქრის დამთავრებაც ვერ მოასწრო ვერიკომ, რომ ინგლისელი გოგონა შეტოვდა, ჩაიკეცა და მამამისს მკლავზე დაეკიდა.

ვერიკომ ცივად შეკვილა და მისკენ გამოიქცა, ჩაიჩოქა და გოგონა ჩაიხუტა, მკერდი გადაუღვლა.

გულში ჰქონდა მოხვედრილი ტყვია. სხივივით ნელა და ჩუმად ჩაქრა პატარა გოგონას სიცოცხლე, ისავით ჩუმად, უხმოდ ჩააკვდა ხელში ვერიკოს. გოგონას მამა შებარბაცდა, ძირს დაემხო და შუბლი დაუშინა ქვიან მიწას.

მოკლულის დედას ხმა არ ამოუვიდა ყელიდან, გონდაკარგული ნელინელ დაეშვა და თითქოს გულზე დააკვდა თავის ქალიშვილს...

მომხედავი არავინ იყო, მხოლოდ ადილარ გვაზავა გამოჩნდა საიდანღაც, მიწიდან ამომძვარალივით, ცხენი მოშორებით შეაყენა და მოეჩვენა, რომ ინგლისელებში ვერაიოც იყო.

ვერიკო?!

ვერიკო ხომ მკვდარია!...

არა, ეს ვერიკო არ იყო, ალბათ ნამდვილად მოეჩვენა ადილარს!..

ის, ადილარის მიერ ვერიკოს მიმსგავსებული გოგონა, ადგილს მოსწყდა და რკინიგზის გასწვრივ გაიქცა.

ცხენდაცხენ მიჰყვა ადილარი.

ვერიკომ მარცხენა მხარზე მარჯვენა ხელით რევოლვერი გადაიღო და უკან მოუხედავად, დაუმინებლად ესროლა მდეგრას.

ადილარის ცხენმა შემზარავად დაიქიხვინა და ყალყზე შედგა.

მარცხენა თვალში გაუარა ტყვიამ პირუტყვის.

ადილარი წინ წამოიხარა, ცხენს თვალზე ხელი მოუსვა და სისხლის დანახვაზე გადაიხრია: ნეტავ მე მომხვედროდა ტყვიით...

გაქცეული გოგო მართლა ვერიკო იყო თუ სხვა ვინმე, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა ახლა ადილარისთვის.

ის მისდევდა ცხენის დამაბრმავებელს რევოლვერმომარჯვებულს.

ვერიკო ცხენისთვის გაუვალ ადგილებს მიეტანა და ადილარს გაუჭირდა დაწევა..

გზაზე ვიღაც ჰაბუკი ტანმორჩილ ცხენს მოათხოხარიკებდა და თავისთვის დარდიანად მოიმღეროდა, აფხაზურ სამიჯნუროს.

ჩემს გოგონას კლდეებში სიძინავს,

აპაპირარა გუშამა,

მე ვარ მისი სიზმარიო

აპაპირარა გუშამა,

დილათ მზე რომ გაბრწყინდებდა,

აპაპირარა გუშამა,

განა მზეა? ის არიო,

აპაპირარა გუშამა,

ვინაც იმას შიწყენინებს,

აპაპირარა გუშამა,

დაფლუთს ჩემი ისარიო,

აპაპირარა გუშამა,

თვალებს ამოტყორტნიან,

აპაპირარა გუშამა,

გულნი სეავებნანიო,

აპაპირარა გუშამა,

აპაპირარა გუშამა,

— რა გამღერებს. ჯიბა აჯამი, ქვეყანა იქცევა, — მოძახხა ვილაცამ, ბუჩქებში ჩასაფრებულმა.

აფხაზი ცხენოსანი მიესალმა უჩინარ ჭკუისდამრიგებელს და თავისი სიმღერა მიინც გააგრძელა...

— რა ვაგჭირვებია, გოგო — შეაყენა ცხენი მგზავრმა და უცებ მათკენ კვალდაკვალ მომჭროლავ მხედარს ჰკიდა თვალი.

ადილარმა ხეს ჩახუტებული ვერიკო მიზანში ამოიღო (თუმცა არც ახლა იცოდა, რომ გოგონა ვერიკო იყო) და ამ დროს მოესმა აფხაზური შეყილეება:

ჰაიტ, ლაჩარო! გოგონე იარალის აღმართვა რა ვაფუციის წესია!...

დამბაჩა იძრო მგზავრმა, მაგრამ სისხლისღვრას მოერიდა, ჰაერში გაისროლა... ვერიკომ დრო ინელთა და გაუჩინარდა... ადილარმა ახლა უცნობი ცხენოსანი ამოიღო მიზანში...

მკედელ მოსეს შეილი დიანოზა სამკედლოდან ხედავდა ყოველივე ამას; მილიციის უფროსი და უცნობი მხედარი პირისპირ რომ დარჩნენ, მათკენ გაიქცა.

(რაც მართალია, მართალია, ჩემო თოვლისა, დიანოზა მკედელს—ფუთულას მამას — მაშინ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია.)

ვაიქცა მათკენ, ხეს აეფარა და შეცვლილი, დაბოხებული ხმით ადილარს შეუძახა:

— უცხო მგზავრია! რას ემართლები!...

მილიციის უფროსს უკვე დაწეებული ჰქონდა სასხლეტის გამოწევა, შეძახებაზე (არ იცოდა ვინ იძახდა) უნებლიედ დაბლა დასწია იარალი...

ტყვიამ უმიზნოდ დაიწივლა და შუბ-

ლის ნაცვლად მარცხენა ფეხის კანჭი დაუმსხვრია ყმაწვილს.

— ჰაიტი!... — დასწყვილა ჭაბუკმა და სატევარი იშისვლა...

ადილარმა რევოლვერი ისევ დაუმიზნა: შეჩერდი, თორემ ვაგათავეო!..

მაგრამ რევოლვერში ტყვია აღარ დარჩენოდა.

აფხაზისათვის სულ ერთი იყო, დატენილი ჰქონდა მოწინააღმდეგეს იარაღი თუ არა.

ის პირდაპირ მიდიოდა..

ამიტომ ადილარმა გაქცევა არჩია; იგრძნო, — სატევარზე აგება არ ასცდებოდა. ფრთები შეისხა და გაიმინდვრა ცალთვალდაესებულმა ადილარის ცხენმა...

დაქრილ აფხაზთან დიანოზა მივიდა, ცხენიდან გადმოიყვანა, მხარქვეშ შეუდგა, ნელა დასძრა ადგილიდან და თავისას დამალა.

— დიდაშ მავილარ, წარამარა იძახდა აფხაზი ჭაბუკი ადილარის მისამართით.

მეგობრულად იძახდა, რადგანაც მალე გაიგო, რომ მისმა მშველელმა აფხაზური არ იცოდა.

* * *

ფედია და მისი ხუთი თანამებრძოლი თეთრგვარდიელთა ყაზარმაში შეტყუარეს. ყაზარმაში ტყვეების ტევა არ იყო.

ახლანან მიხედნენ ბოლშევიკები, თუ რატომ გაუკეთეს ამ ერთი ყაზარმის ფანჯრებს რკინის სამაგრები ორიოდ დღის წინ; მაშინ ეგონათ; ჯარისკაცებს დამით ვასაქციეს უზშობენო, რადგანაც დამშეული ჯარისკაცები ზოგჯერ დამლობით გადმოძვრებოდნენ ხოლმე ფანჯრიდან და სოფელ-სოფელ ხილს, კომბოსტოს და ზოგჯერ ქათმებსაც იპარავდნენ...

იმ დღეს ცაზე მზე არ გამოჩენილა. შოდრუბლული, მოყამული ამინდი იყო.

სროლა თანდათან მინელდა, საზოლოოდ აქა-იქლა გაისმა კიდევ ერთ-ორჯერ და ირგვლივ სრული სინთემე გაშეფდა. ეს ყველაფერი — პირველი გას-

როლიდან ბოლო გასროლამდე — გაგრძელდა დიდი, დიდი სული თოხ საათს, არც კი.

აბაშაში ბოლშევიკებიდან: დაიხვრიტა ან ბრძოლაში მოკლულ იქნა ჩვიდმეტი კაცი, დიჭრა — თექვსმეტი, დააპატიმრეს ოცდაორი.

მენშევიკებიდან: მოკლეს — ცხრა გვარდიელი და ოფიცერი, დაჭრეს — თერთმეტი. აჯანყებულთა მიერ თავდაცვის მიზნით მოკლულ იქნა ორი ინგლისელი ჯარისკაცი, ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ინგლისელი გოგონა.

ეს იყო და ეს.

სენაკშიც დიდი უბედურება დატრიალებულა იმ დღეს. იქაურ სპარტაკეულთა მეთაურიც მოუტკლავთ...

ივანია მესაფლავე, თუ ვინმე დასამარხი არ იყო, დროვით ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაჰქონდა შეშა, ჩალა ან სხვა ტვირთი.

მისი გაჯანჩაკებული, ბებური ცხენი გამოშვებული რომ იყო, მაშინაც, შებმულივით მიდიოდა (კვიციობიდანვე იყო მიჩვეული), კისერი წინ ჰქონდა წაგრძელებული, წინა ფეხს ჯერ მალა ასწევდა, გადადგამდა და მთელი ძალით დააქერდა მიწას, მკრე მეორე ფეხსაც ასევე დაძაბულად გადადგამდა...

საცოდავს, ეგონა, ტვირთს ეწეოდა.

ივანია ახლა მინდორში გამოეყვანათ თეთრგვარდიელებს და დროვს მოკლულთა გვამებით უტვირთავდნენ.

ამდენი მკვდარი ერთად ივანიას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ დაემარხათ თვითონაც ეხმარებოდა ჯარისკაცებს მკვდრების აკრეფა-მოგროვებაში.

ერთს რომ დააგდებდნენ დროვზე, ივანე ცხენს ლაგაშში ჩაავლებდა ხელს და წინ გაქაჩავდა...

ქული მოხდილი ჰქონდა და უცრემლად ტიროდა მედროვეც; მკვდარს რომ ნახავდა, ზედ შიაყენებდა დროვს, ცდილობდა, ვინმე არ დარჩენოდა მიწის ზევით, თეთრგვარდიელი იქნებოდა თუ ბოლშევიკი.

ორი საერთო საფლავი ცალცალკე უნდა ამოედო სადმე: ერთი — მთავრობის მებრძოლებისათვის, მეორე — აჯანყებულთათვის.

თითო მკვდარში თითო შაურს ჰპირდებოდნენ. მაგრამ ივანია თავის დაკონკილ პერანგსაც გაყიდა ახლავე და იქით მისცემდა შაურიანებს, ოღონდ ასეთი საცოდაობა არ ენახა.

მკვდრებით გავეხებული დროგი ივანია გზაზე რომ გაიყვანა, ვიღაც ბავშვიანი ქალი აედევნა.

— მანახე.. დამახედე, ვინ არიან, — სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა ქალს და ეტყობოდა მკვდრებთან ახლო მისვლისა ეშინოდა; ალბათ: ვაი თუ რომელიმე ჩემიანს წაეაწყდო!..

კანკალებდა, სახეზე ადამიანის ფერი არ ედო.

დროგზე დაყრილ მკვდრებში ვიღაცის ერთი ხელი ზევით ესვენა და თითებს ამოძრავებდა.

რკინიგზელის უპატრონო სახლს შეუხედავად ჩაუარა ივანია, — იქ არც მკვდარი ეგულებოდა ვინმე, არც — დაჭრილი...

...აეთანდილი შებინდებისას, ნაბაღში გახვეული, ჩუმად ჩაასვენეს ვადაჩრჩინილმა მეგობრებმა ცუდღარის ნაპირსაკენ.

!ერკოს გარდა კიდევ ხუთი იყვნენ. აეთანდილს რომ ასაფლავებდნენ, იქვე მინდორში სხვა მოკლულიც ნახეს. გვარდიელი აღმოჩნდა.

აეთანდილთან ერთად ჩააწვენეს მიწაში მენშევიკების მიერ მოტყუებული თანასოფლელები.

ერთად მიყარეს მიწა.

თითზე ჩამოსათვლელად გადარჩენილმა სპარტაკელებმა ახალ მიწაყრილ საფლავთან ცოტა მოთათბირებაც მოასწრეს: სოფლებიდან ჩამოსული ამხანაგები ადგილებზე უნდა დაბრუნებულიყვნენ დაუყოვნებლივ და იქ ჭგუფი შეეკრიბნათ.

მუშაობა უნდა განეგრძოთ ჩვეულგვარად, ოღონდ მეტი კონსპირაციულობით, ეზრუნათ გაფანტული რიგე-

ბის განმტკიცებისა და გაზრდისათვის...

სწორედ ახლა არ უნდა ეგრძნოდნენ შევიკებს, რომ ბოლშევიკები! თითქოს საბოლოოდ განადგურდნენ.

აბაშის მენშევიკებს კი მართლაც ეგონათ: მოვისვენეთ ბოლშევიკებისაგან და ეგ არიო. ქვიფის გუნებაზე იდგნენ გამარჯვებულნი.

ვერიკოს გულმა უაზრა, რომ ეს სისხლისმწოველები ამ საღამოს წასაქეიფებლად უსათუოდ თავს მოიყრიდნენ.

ფიქრი არავისთვის გაუზიარებია.

მეგობრებს დაემშვიდობა, ბიცოლასთან, ბიჭტორის დედასთან, მივიდა, დედაცაცის შავ ტანსაცმელში გამოეწყო, უბეში პროკლამაციები ჩაიღო, გზაზე გავიდა და სიბნელეში გაუჩინარდა..

ადილარ გვაზავას თავისი დაჭრილი ცხენის დარდი აწუხებდა. არაფერი, მოურჩებო, — გული დაუამა მეჭინიბემ, მაგრამ ადილარს დარდი მაინც დარდად გამოჰყვა: თავის კაბინეტში შევიდა, ლამპას აუწია და სამკლიტიან საიდუმლო სეფიდან ბოლშევიკების სია ამოიღო. ფედია ფრანგიშვილი თავში ეწერა. ადილარმა მისი გვარის გასწვრივ მიაწერა: „ბაქაში ვადასახლებიდან გამოქცეული, დაპატიმრებულია მთავრობის წინააღმდეგ აბაშაში აჯანყების თაოსნობისათვის“.

შემდეგ ჩაჰყვა დანარჩენთა გვარებს.

დიდი უმრავლესობა დაპატიმრებული ჰყავდა და ასევე აღნიშნა სიაშიც.

საშიში ბოლშევიკი არცერთი არ იყო თავისუფლად დარჩენილი და თითო-ოროლა სპარტაკელი რას დააკლებდა!..

ადილარს თავი ქუდში ჰქონდა.

მას სიაში ყველაზე მეტად მოსწონდა ვერიკოს გასწვრივ მინაწერი:

„გარდაიცვალა“.

„განათლოს უფალმა ვერიკოს სული, თავისით რომ წავიდა მოუსაგლეთს!“ — ეს სიტყვები თითქოს ხმამაღლა წარმოთქვა ადილარმა.

გაახსენდა, დღეს ვერიკოს რომ მიამსგავსა ვიღაც ქალი, და გაეცინა: რამ გამაბრუა, ვერიკო რამ მომალანდაო!..

მკვდრის გაცოცხლება სად გაგონი-
ლაო!...

კარგ გუნებაზე დადგა ადილარი და
კარგად გამობრუნდა და მერე შვიდად
დაძინება მოუწდა.

კარგა ხანია არ დაუძინია მშვიდად.
ახლა ვერც მკვდრები შეაშფოთებენ
და ვერ დატყვევებულნი...

მებონიას ღუქნიცენ ვასწია. ღუქან-
ში ნატერის სუფრა იყო გაშლილი. აბა-
შის მთელ მაღალ საზოგადოებას აქ
მოეყარა თავი.

საელე ბოკუჩავამ ცოტა წინდაუხე-
დაობა გამოიჩინა და მეგობრებს ასე
მიმართა:

— ბატონებო და ქალბატონებო,
გთხოვთ მობრძანდეთ სუფრასთან.
ჩვენ უფლებამოსილნი ვართ მოვილხი-
ნოთ. ოღონდ ძალიან ნუ ვინძაურებთ..
რაც არ უნდა იყოს, დღეს ბევრი სის-
ხლი დაიღვარა, და გადამეტებულ სიმ-
ღერა-გართობას ღმერთიც გვიწყენს
და სოფელიც...

ქუთაისელ მეარღნე პავლეს შეხედა
ადილარ გვაზავამ და ანიშნა: შენ ჯან-
ზე იყავ, ჩემო პავლია, სავლეს რა ყურს
უჯდებო...

ადილარ გვაზავამ ის კი არ იცოდა,
რომ ამ მეარღნესთან და მეღუქნესთან
ვერცო უკვე მოლაპარაკებული იყო:
არღანი რომ „სულიკოს“ დააკვეთებ-
და, მაშინ დატრიალდებოდა ადილარის
თვალწინ ქარბორბალა...

სუფრას ათიოდე მამაკაცე და სამი
თუ ოთხი მანდილოსანი უჯდა. პავლე
ჯერ ნელინელ უსინჯავდა არღანს ხმას,
ემსში შესვლას არ ჩქარობდა...

გაზეთ „ერთობაში“ რამდენიმე დღის
წინათ პორტრეტით წარმოდგენილ და
მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთ და-
მსახურებულ მუშაკად აღიარებულ
ადილარ გვაზავას, ცოტა არ იყოს, თა-
ვი მალა ეჭირა და თამადობაც სხვე-
ბისთვის დაუკითხავად თვითონვე აიღო,
თუმცა სუფრას უჯდა უცვლელი თამა-
და და მაგარი მსმელი სამსონ თოფურია.

პირველი სადღეგრძელო ადილარმა
ფეხზე აღგომით წარმოთქვა:

— ბატონებო და ქალბატონებო. გო-
რჩა და გათავდა, ძირი გამოეთხარა ბო-
ლშევიკების თარეშს. ამ წმინდა სამს-
მისით შემომითავაზებია ჩვენი საქა-
რთველოს, ჩვენი თავისუფალი საქარ-
თველოს, ჩვენი მრავალტანჯული და
აწ ბედნიერი ერის სადღეგრძელო...

ისეთი ღრმა გრძნობით წარმოთქვა
ეს სიტყვები ადილარმა, რომ კინალამ
ცრემლები გადმოსცვივდა. სამშვიკიანი
კვანჩხა გამოსცალა, ძირში აკოცა და
თანამესუფრეთ მიმართა:

— გთხოვთ!...

ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

ჩიქოვანის ქვრივმა ლალისფერ ღვი-
ნით სავეს თხელი ჭიქიდან გამოხედა
ადილარს და გაუღვიმა.

ეს დიდი ჯილდო იყო ადილარისა-
თვის.. რიბი შეემატა იცაც; ერთ წამში
მოაგონდა, თუ როგორ გააწვალა ეს
მშვენიერი ქალბატონი ერთხელ ვერა
კიზირიამ, და, თავისი განსჯით, მარტო
ქვრივის საყურადღებოდ და საამებლად
წარმოსთქვა:

— ამიერიდან ჩვეს მყუდროებას
ვერ შეაშფოთებენ ბოლშევიკები. ყვე-
ლა დამწყვედული მყავს... ზოგ-ზოგნი
თავისივე ფეხით გაუყვენენ საიქიოს
გზას (აქ ვერიკოს გულისხმობდა).

— მოსალოცია! — ნაზად ჩაეწნა
ქვრივის ხმა ღვინიან ჯამთა ჯახუნს...
შეპყვენენ და შეუტკბნენ სმას.

მერე და მერე ადილარმა ლამაზი მან-
დილოსნების სადღეგრძელო შესთავა-
ზა სუფრას. წარმოთქვა სადღეგრძელო,
მაგრამ არც თასი აუღია, არც ყანწი.
მეინახენი ვერ გაერკვენენ, რა სასმური
შეევსოთ.

— ერთი წუთით, ბატონებო, — ხმა
დაითავლა ადილარმა, — ლამაზების
სადღეგრძელო ლამაზად უნდა შესისვას.

სუფრას შემოუარა, და თავისი მოად-
გილის ახალშერთულ ცოლს მიუახლო-
ვდა და მოწიწებით თავი დაუკრა, მე-
რე მუხლი ჩახარა, ქალს ცალი ფეხსაც-
მელი ფრთხილად წააძრო და მალა
ასწია:

— ნება მიბოძეთ, ამ სასმისით შევეს-

ვა შშვენიერების სადღეგრძელო!..

აქეთ-იქიდან მოწონების შეძახილები მოისმა. ახალგაზრდა პატარძალს ტუჩები ვარდის კოკორივით გაეფურჩქნა.. მის შეუღლესაც სიამოვნების ამაყმა ღიმილმა გადაუარა სახეზე..

სამაგიეროდ, ჩიტკოვანის ქვრივს მოედრებლა გული; ეწყინა, მამაკაცმა გვერდი რომ აუარა მას და სხვა ქალი ჩასთვალა სუფრის დედოფლად. არ იყო მიჩვეული ასეთ უყურადღებობას, თავის კოპწილა ლამაზ ტუფლებში თითები თავისთავად აუთამაშდა...

ახალგაზრდაწერილი გოგონა სულ ბავშვი ჩანდა და თავისი მორთულობით თოჯინასაც ჰგავდა. შაქრისფერი ღაწვები შეეფაკლა.

ადილარმა თვითონ ჩაარაკრავა ღვინო ამ ძვირფას „სასმისში“, ქუსლის მხრიდან მიიყუდა და ბოლო წვეთამდე დასცალა; ტუჩები სიამოვნებით დააწყლახუნა, კვლავ ჩახარა შუბლი და პატარძალს თვითონვე მოარგო ფეხსაცმელი.

სუფრის რაინდი ტაშით დააჯილდოვეს. მეარღანემ საცეკვაო დაუქრა. „(სულიკოს“ დაკვრამდე დრო კიდევ იყო დარჩენილი).

სუფრის იქითა მხრიდან სამსონი წამოდგა, სკამს ფეხი დაჰკრა და თეთრი ჩოხის კალთებით ისე გადმოფრინდა სუფრაზე, რომ ჭიქაც არ შერხეულა; გადმოფრინდა და საცეკვაოდ გაშალა მკლავები. მესუფრეებმა ტაშით დაქუხეს.

საფლე ბოკუჩავამაც ეშხიანად და მძლავრად დაჰკრა ხელი ხელს, თან თავი მედუქნესაყენ გადახარა და გადასძახა:

— კარები ზომა ჩაეკეტილი, ბიჭო!..

— გახლავთ, ბატონო, — კამათლივით გამოუფორა ლადიმ პასუხი.

სამსონი იატაკს თითქოს არც აკარებდა ცერებს, მიცურავდა; ერთი წრე რომ შემოუარა, სუფრის დედოფალს თავი დაუქრა გულზე ხელმიდებულმა. ქალი წრეში გამოსრიალდა...

და დამშვენდა ყველაფერი...

თვალეზმინაბული მეარღნე სანთელივით ღნებოდა მუსიკის ხმაში...

ადილარმა მაგიდის ქვეშ ააცეკვა ფეხები, ერთი-ორჯერ გაუსვ-გამოუსვა იატაკს.

ცეკვის დამთავრებას ტაშის გრიალი მოჰყვა.

სამსონი სუფრის თავში დადგა და, ყანწებიო, გასძახა მედუქნეს.

მედუქნეს ლიტრიანი ყანწი დახლს-ქვევით ეჭირა, შიგ ერთი ჩაის ჭიქა არაყი ჰქონდა ჩასხმული. ეს ადილარისთვის მოამზადა წინასწარ; როგორც კი მოითხოვდა ადილარი ყანწს, ამ არყიანს თვითონვე შეუესებდა ღვინით და მიართმევდა...

მეგრამ ახლა სამსონმა მოითხოვა ყანწი.

ლადიმ თვალი უქნა მას და არყიანი ყანწი ისე ოსტატურად გადაუგდო, რომ შიგ ჩასხმულ სითხეს წვეთაც არ გადმოვარდნია. სამსონმაც ოსტატურად დაიჭირა და მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა სწრაფად, რომ უკვე გამოტყორცნილი მეორე ყანწიც დაეჭირა.

მეორე ყანწი კი გადმოყირავდა ჰაერში.

ეს ვანგებ გააკეთა მედუქნემ, რომ მაკცერალათ რაიმე ეჭვი არ აეღოთ.

— აჰა, შენ კი გენაცვალე! — მიაყოლა ლადიმ ყანწებს.

სამსონმა არყიანი ყანწში დოქს მთლიანად ჩააყოფინა პირი და ისე მოაპიპინა, სატუჩიც არ დაუტოვა. ის ფიქრობდა, ლადი ამ არყით მე მეხმარება, რომ ადილარი აღრე დავათროს, ლადი კი, სინამდვილეში, ვერცხოს საჭმეს უწყობდა ხელს.

— ეს ჩემს ადილარს, — გადაულოცა სამსონმა არაყგარეული პირველი ყანწი ადილარს, მეორე თავისთვის აივსო.

ადილარი უკვე ისე იყო შემთვრალი, არაყი კი არა, შხამი რომ გაერიოთ მისთვის ღვინოში, ალბათ იმასაც ვერ მიხვდებოდა.

ითქვა ძვირფასი სადღეგრძელო საქართველოს ხვალისდელი, უფრო ჯანიანი დღისა.

და ადილარსაც საბოლოოდ მოეგრიბა კისერი; სამჯერ შეისვენა ყანწის გამოცლისას.

სამსონმა თავისი ყანწი ფრჩხილზე რომ დაიბერტყა, მაშინ გახელდა ადილარი და გრამიც არ ჩასტოვა სასმისში.

მეარღნემ თავის საათს დახედა და „სულიკო“ ააღერა.

ადილარმა გულისჯიბიდან ბოლშევიკების სია ამოიღო, ჭაღალდი მადლა აიქნია დაარხია და სიმღერასავით შემოსძახა:

— მიდით, იმღერეთ, თქვენ შემოგვევლეთ!... ყველა დამწყვედული მყავს, ყველა მოგუდულია...

სწორედ ამ დროს აფარფატდა რამდენიმე ფურცელი სუფრის მაღლა. ისე ჩანდა, თითქოს ადილარის ჯიბიდან ამოფრიალდნენ. მდღუქნემ ჭერიდან ჩამოშვებული ლამბა ჩააჭრო... ქალეზმა შეჰკვივლეს...

მამაკაცებმა ასანთს გაჰკრეს და ადილარმა მკრთალ შუქზე თვალი მოჰკრა შოსან დედაკაცს, რომელიც ღუქნის კარებში იდგა და მათკენ ფანტაგდა იმ თეთრ ფურცლებს — პროკლამაციებს.

მორჩა თავის საჭმეს შოსანი და მოჩვენებასავით გაჭრა.

მეარღნეს არღანი არ გაუჩერებია. კვლავ უმღერდა სიყვარულით დამწვარ გულს...

ლამბა ხელახლა რომ ანთეს, მთელი მაგიდა და იატაკი პროკლამაციებით იყო მოფენილი.

ადილარმა რევოლვერი ამოიღო და კარისკენ გაიჭრა.

გარედან ცივი ქარი და უკუნი ღამე მოაწვა. ზედიზედ რამდენჯერმე გაისროლა სიბნელეში... „დედაბერი“ უკვე სამშვიდობოს იყო გასული...

ჭუჩაში, ღუქნის კედელთან მიყუყუებული და ჩათვლემილი მეფაიტონეები სროლის ხმაზე შეკრთნენ. მათ თავიანთი საჭმე და მოლოდინი ჰქონდათ: მოქვიფენი ალბათ შინ წაყვანას ინებებდნენ და ცოტა მეტ ფულსაც არ დაიშურებდნენ მათთვის.

7. „მნათობი“ № 6.

თითქოს წვიმდა და არც წვიმდა, პერი იყო სველი და მძიმე.

მებონიას ღუქანში ქეიფი თავისუფლად ვერ დაუბრუნდა. მალე დაიშალნენ.

ჩიქოვანის ქერივე მილიციის უფროსის მოადგილემ და მისმა ახალგაზრდა მეუღლემ ჩაისვეს თავიანთ ეტლში... ადილარი განმარტოვდა და ფეხით წავიდა ჭერ ყაზარმისაკენ, სადაც ახალდატყვევებული აჯანყებულები ეგულებოდა, და მერე — მილიციისაკენ.

რევოლვერიანი ხელი მაზარის უბეში ჰქონდა შემალული.

ყველა საშიში ბოლშევიკი ადგილზე იყო, არავინ გაქცევიათ გუშაგებს...

ვის უნდა გადმოეყარა ღუქანში პროკლამაციები?

ადილარმა კაბინეტში ლამბას აუწია და ფიქრი განაგრძო.

მამანტი ხაბეიშვილი დამარხულია. მაგრამ, იქნებ, ცოცხლად მიწაყრილს მოუსწრო ვინმემ, ამოთხარა და ამოიყვანას...

მამანტის გახსენებაზე გუნება სულ წაუხდა. ნათლად წარმოუდგა საფლავიდან ამობრიალებული მამანტის თვალები, იმ თვალებით ნათქვამი სიტყვა ახლა ხმამაღლა ჩაესმა ყურში: მესროლე, ადილარ, დედ-მამის სულს გაფიცებო!

ახლა ისიც ნათლად წარმოუდგა თვალწინ თუ როგორ ამოაფურთხა საფლავიდან მამანტიმ, სისხლიანი მიწა ამოაფურთხა...

არა, ადილარს არ მოუკლავს მამანტი... იგი სხვებმა დახვრიტეს... მესროლეო, ეხვეწებოდა სულშერჩენილი კაცი საფლავიდან, ცოცხლად ნუ დამმარხავო, მაგრამ ადილარმა ვანა პირდაპირ ესროლა?! ყურთან გაუზუზუნა ტყვია მხოლოდ.

ადილარს არ მოუკლავს მამანტი. მაშ, რატომ ეძახის იგი ახლაც: ადილარ გეაწავა, ფუი შენს ადამიანობას, რა უღმერთოდ მომკალიო!... რად ეძახის მკვლარი კაცი საფლავიდან, რად არ ასვენებეს!...

ადილარი წამოდგა და ოთახში გაიარა-

გამოიარა ზურგს უკან ხელუბნეწყო-ბილმა.

— მამანტი რომ ამოვიდოდა იმ საფლავიდან, ისე ამოსულიყოს ადილარის ყველა შტერი!..“

აბა ვინ გადმოყარა პროკლამაციები დუქანში? ვინ იყო შაოსანი ქალი? ვერიკო?

ერთხელაც უნახავს ადილარს ვერიკო დედამხრულად გამოწყობილი, მაშინაც ვერ ჩაიგდო ხელში, უჩინმართ-ვით გაუსტლტა... მამ ეს დედაბერიც ვერიკო ყოფილა!...

დღეს აჯანყებულებთან შებრძოლებისას ვერიკოს რომ მიამსგავსა, ის ქალიც ვერიკო ყოფილა!...

თავისი თვალით მიინც არ ენახა ვერიკოს დასაფლავება!...

მართლა ვერიკო ესევეა კუბოში?

ცოტა მიძიმედ კი ეწეოდნენ ჯანიანი ბიჭები. მუხლები ეკეცებოდათ. დიდი სიმძიმის აწევამ იცის ასე.

იქნებ თოფ-იარაღი ეწყო კუბოში!..

გაოფლილი შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა ადილარმა და ეს რაღაც მოსაზრებები თუ მოლანდებები თავის სიმთვრალეს მიაწერა; ფანჯარა გამო-აღო ეზოში გაიხედა. საკნების გუშაგებს ცეცხლი დაენთოთ და ზედ ზელებს აფიცებდნენ. ღამის შორიგე ორი მილიციელიც მათ შეერთებოდა.

ფშინავდა მიძინებული ქვეყანა.

მხოლოდ ერთი რომელიღაც ტუსალი ზედმიწევნით სევდიანად, ხმადებლა მღეროდა; მღეროდა თავისთვის, ალბათ თავის ძილგატეხილობას უმღეროდა... საოცრად შვენოდა და უხდებოდა ეს სიმღერა იმდამინდელ ღამეს. უამსიღეროდ მკვდარი იქნებოდა ქვეყნიერება..

ემა ადილარსაც და ერთხანს უსმინა... მერე შორიგე მილიციელებს მოუხმო, ერთს ივანია მესაფლავის მოყვანა უბრძანა, მეორეს — ღუმელში ცეცხლის დანთება. მილიციელები მიხედნენ, მათი უფროსი ამაღამ შინ წასულას არ აპირებდა და თვალის ოდნავ მოტყუებასაც ვერ მოახერხებდნენ.

ეს პირველი არ იყო მათთვის. ეს კი

გაუკვირდათ: ივანია ამ შუალამისას რალად დასკირვებიაო!...

მაზარის საყელო იწოა წამსვლულმა, შიგ ყურებიანად ჩაიმალა და ფეხების თრევით გავიდა გზაზე...

ივანია ადილარის კაბინეტში რომ შემოდგა ფეხი, ერთი სიკვდილი უკვე გათავებული ჰქონდა; არ იცოდა რაზე იყო დაბარებული, დახოცილების დამარხვაში არაფერი შესლია ცრემლით რომ ეცხებოდა თვალი და გული რომ უტიროდა, ეს თუ იგუშანა სულძაღლმა!

ათასი ეჭვი უწევდა სულს ივანიას. ადილარ გვაზავა მთელს აბაშას ახანაზარებდა მაშინ. შავი ჭირივით ეშინოდათ მისი. ჭირვეულ ბავშვებს ადილარის ხსენებით აჩუმებდნენ!

და ივანია რა ლომ-ტარიელი იყო, არ შეშინებოდა!

თუნუქის ღუმელი საამოდ გუგუნებდა. ადილარმა ორივე მილიციელი დაითხოვა, კარადიდან არაყი გადმოიღო..

არაყის გამოჩენა კარგად ენიშნა ივანიას: ალბათ რამე საქმე უნდა დამაველოს და წინასწარ გაბრუებას მიპირებდნენ...

...ერთი საწყალი კაცი იყო ივანია, ჩემო თოვლისა ხუთი შვილი შეტყუებდა და ერთი დღის გასათხონი ყანაც არ ებადა. ცოლი ავადმყოფი ჰყავდა, მკვადს თუ გამოაცხობდა და ლობიოს თუ ამოლესავდა, თორემ სხვა რამის გაკეთების ძალა არ შესწევდა.

ივანია კი არა, ივანე ერჭვა, მაგრამ ასე არავის, არასდროს არ მიუშართავს მისთვის. „ივანიას“ „ივა-ცხვირას“, ან მარტო „ცხვირას“ დაძახებაც საკმარისი იყო, რომ მოეხედებინათ.

ახლა უკვე წასული ამბავია, შემომდურებელიც არავინაა ცოცხლებში და ბარემ ერთსაც ვიტყვი: ივანიაზე ნახუშარსაც ამბობდნენ. მამის მხრიდან, მენშევიკ სავლე ბოკუჩიავას ნახევარძმავაო. ეს თურმე სავლემაც იცოდა და ივანიამაც, მაგრამ გულში ჩამარხული საიდუმლო გაუმხელი ჩაიტანეს მიწაში..

ძირითადი ხელობა ივანიასი იყო მესაფლავეობა, მაგრამ ფულის გულისთ-

ვის არაფერს თაკილობდა... მის გულუბრყვილობას და გაჭირვებას ზოგ-ზოგნი გასართობადაც იყენებდნენ.

რაჭველი მეპურეები დაენიშლავნენ ერთხელ: ამ ფქვილით სავსე ტომარებს სამს თუ ვაუქლებ ერთ ფუთს მოგცემთ. „ოთხს ვაუქლებ და ორი ფუთი ჩემი იყოსო.“

ივანია თუ წააგებდა, არაფერს ჰკარგავდა. რა ებადა და რა უნდა გაეცა

მეპურეები თვალისსერიისათვის და თანაც იმ იმედით, რომ ივანია მეორეზე თუ არა, მესამე ტომარაზე მაინც ჩაიჩოქებდა, გაჰყენენ სანაძლეოში.

ივანიამ ტომარების შესაწყობა, ერთ არ-შეიამდე ამაღლებულ ფიცრების ბოგირს დაბლიდან მიადგა, ისედაც დაბეკნილ მიწას, ფეხებით კარგად მოუსინჯა სიმადრე, შარვლის ტოტები მუხლებსზემოთ აიკარწახა, ხელებზე დაიფურთხა, ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა და შიშველ მუხლისთავეებზე მკერძივად დაიდო: დაიძაბა და დაიძაგრა, დაიწყეთო, დაუძახა რაჭველებს და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

სეირის მოყვარულნი ბევრნი მოგროვდნენ.

ძმებმა რაჭველებმა პირველი ტომარა კისერზე და ბეჭებზე გადაუწვინეს სივანით, უღელივით. და ივანიაც გერჯერობით კაი უღლადი კამეჩივით იდგა.

მეორე ტომარა წელზე დაადეს...

ივანიას თვალწინ ედგა, როგორ ჩაიხუტებდნენ მისი ბარტყები ცხელ-ცხელ პურს...

დედამაგათი თუ ვერ აუვიდოდა ცხობას (ვაუჭირდებოდა საცოდავს დიღხანს, დიღხანს ცეცხლთან ტრიალი), თვითონ ივანია იხაზაზებდა...

ორი ტომარა რომ დაწვა ორი ბავშვის სახელი გაიმეორა გულში: ეს ჩემი კოკის და ძაბას სახელზეო (უმცროსებიდან დაიწყო).

დათქმული იყო: მეპურეებს ტომარები უნდა დაეწყეთ ორ-ორად და გადაჯარუდინებულად, რომ არეულ სიმძიმეს რომელიმე მხარეს არ გადაუხარა და არ გადმოცვენლიყო.

ამ ორ ტომარაზე არც შერხეულა

ივანია, თითქოს ორი ბუზი დაჯდომოდეს.

ორს მესამე გადაეჯარუდინა: „ეს ჩემი ტაგულს სახელზეო“.

ივანია იდგა ლოდვიით, მხოლოდ მიწა ჩაეზნექა ოდნავ ფეხებქვეშ.

მიწამ რომ ჩაიწია, ცალ ფეხისგულს ამოაწვა რაღაც გოროხი თუ ქვა.

„რაღა მაინც და მაინც აქ დამხვდა რჯულძალი!“ — მწარედ ვაიფიქრა ივანიამ.

მაყურებლებმა სული განაბეს. ოთხი თუ ხუთი მაგარი ბიჭი მიეშველა მეპურეებს, ივანიას ზურგზე დაწყობილ ტომარებს აქეთ-იქიდან შებიჯებოდნენ, რომ ტვირთი განზე არ გადაზარბილიყო.

ივანე ჰაერს ცხვირით სწრაფად ისრუტავდა, ამოსუნთქვას კი ბევრად მეტ ღროს ანდომებდა. საფეთქლის, ყელის და შუბლის ძარღვები გასკდომაზე დაეებრა და დაეჭიმა.

ის — მიწიდან მოწოლილი ქვა უმტკრევედა ცალ ფეხს, მაგრამ მაინც მაგრად იდგა...

მეოთხე ტომარა მყვალას სახელზე იყო და ივანიას კიდევ ერთი ბავშვი ჰყავდა.

— მიდი, — თითქოს მიწის ქვემოდან მოისმა მისი ხმა, ესე იგი, დაუმატეთ კიდევ შეხუთო.

სანაძლეო ოთხზე იყო და ხალხმა იყვირა: შაბაშ! გამარჯვებულია! შეჩერდითო!

მეპურეებმა ოფლი მოიწმინდეს. და ტომარების რიცხვი ხუთამდე რომ შესრულდა, „ოოშ!“ — ო ამოხეთქა ქვესკნელიდან ივანიას ხმამ.

ახლა ტომარების გადმოღებას დაეშურნენ ყველანი. სიცილით აღარავინ იცინოდა, ყველას ეგონა, ჰა და ჰა, ჩაიჩოქებს ძარღვდამსკლარი კაცი და გაისრისებო.

გადმოიღეს ერთი... ორი... ივანესთან ერთად ჩაზნექილი მიწაც ამოდიოდა ზევით-ზევით.

ბოლო, მეხუთე ტომარაც რომ ააცილეს, ივანია მაინც არ განძრეულა კარგახანს; ნელ-ნელა, ნელ-ნელა ააგლიჯა

მუხლებს ხელები და მოწყვეტილივით დაჰკიდა.

ძარღვებში მოწოლილი სისხლი თანდათან დაეწრიტა.

ძლივს გამართა წელი.

გამართა წელი და ხალხს გაეღიმა. ეს თვით ივაჩიას ეგონა, რომ გაუღიმა, თორემ მისი ქანგისფერი კბილების გამოჩენა არაფრით ჰგავდა გაღიმებას.

ღოჭით წყალი მოუბრუნინეს.

ღოჭი ემძიმა ივაჩიას, გაჭირვებით ასწია; მლოცველივით ცად აღაპყრო თავი და დაღებულ პირში ჩაირაკრაკა მაცოცხლებელი წყაროს წყალი.

ცოტა ხანში ივაჩიაც ჩამოკდა და ლაპარაკიც შესძლო.

— ჩამდენია, მიდა, თითო ტომარაში, ა? — ახლა იკითხა გამარჯვებულმა.

— ერთი შენი იყოს, ძმაო. წაიღე ღმერთმა სიკეთეში მოგამაროს.

ივაჩიამ სიხარულისაგან თითქოს ერთი მტკაველი მოიმატა, ორი ფუთის ნაცვლად მთელ ტომარას სთავაზობდნენ.

და ახლა უფრო დაინტერესდა, რამდენი იღო თითოში.

ოთხმოცილოიანი ყოფილა, ოთხასი კილოსთვის გაუძლია.

ის ზამთარი ივაჩიამ თავის ცოლშვილს დალოცვილი პურის სურნელებაში გაატარებინა. ნამცეცი რომ დავარდებოდა, ივაჩია აიღებდა, აკოცებდა და მაგიდაზე ოქროს ნატეხივით დადებდა.

ივაჩიას თხა არ ჰყავდა და შრომით ნაშრონი ფულით თხაც იყიდა და იყოლია.

ახლა მილიციის უფროსის წინაშე იჯდა ივაჩია ჩაფიქრებული; ვერ მიმხვდარიყო, რა საქმე უნდა ჰქონოდა მასთან ადილარს.

ადილარს საარყე თლაშოები უკვე შეეგვსო, თავისთვის ერთი აიღო და მეორეს მიუჯახუნა.

რამდენ ხანს სძლებს მიწაში მკვდარი? — ეს იყო ადილარის პირველი შეკითხვა.

ივაჩია დაიბნა.

— რა ბრძანეთ, ბატონო?

— მკვდარი თუ ამოგიტხრია თდესმე?..

ივაჩიას სპეციალობა, საერთოდ, იყო მკვდრების დამარხვა. მოკვდებოდა ვინმე აბაშაში, ივაჩიას უნდა გაეჭრა საფლავი. ამ საქმისთვის საჭირო იარაღები მას ეკლესიის ერთ ბნელ სათავსოში ჰქონდა შენახული. მკვდრის დამარხვის საფასურში წინასწარ არ ურაცდებოდა არავის, რასაც აჩუქებდნენ, იმას სჯერდებოდა. ყველას ერთნაირად არ უთოვდა ფული, ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენს აძლევდა.

მუშაობის დროს რომელიმე ახლო საფლავის ქვაზე პურს, ლობიოს და ღვინოს დაუდგამდნენ...

მიწისქვეშეთის ამბავი მთელ აბაშაში არავინ იცოდა ივაჩიაზე უკეთესად.

ივაჩიამ იცოდა, რომელ საფლავს როგორი ფსკერი ჰქონდა, რომელში მიუღონავდა მეტი წყალი, რომელ მიცვალებულს შეხვდა მშრალი და ქვიანი ადგილი...

უმეტეს შემთხვევაში ივაჩიასთვის უცნობი იყო მიცვალებულის ვინაობა, ზოგჯერ ისიც კი არ იცოდა, ქალს მარხავდა თუ კაცს.

მან იცოდა მხოლოდ მიცვალებულის სიგრძე და არა სიმაღლე.

ადამიანი რომ გარდაიცვლება, მისი სიმაღლე უკვე აღარ არსებობს, მას მხოლოდ სიგრძე აქვსო, — ამბობდა.

საფლავის შემკვეთი გადაზომილ კანაფს მოუტანდა, ამ სიგრძის გათხარეო.

ივაჩია მტკაველით გადაზომავდა იმ კანაფს და გადააგდებდა.

თავის სიცოცხლეში ერთხელ შეხვდა ყველაზე გრძელი — თორმეტმტკაველიანი მკვდარი, დანარჩენებისთვის საკმარისი იყო შეიდი, რვა მტკაველი... ზოგჯერ ჩაფიქრება იცოდა ივაჩიამ, მიჯდებოდა სადმე თავისთვის და, არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა..

— ა? — თავისი წელანდელი შეკითხვის პასუხი მოითხოვა ადილარმა: — თდესმე მკვდარი თუ ამოგიტხრიაო.

— დანელიას მკვდარი ამოვთხარე ერთხელ...

ადილარი დააინტერესა ივანის ნათქვამმა და წააქეზა: წერილად ეამბნა ყოველივე დანელიას მკვდრის თაობაზე.

არაყი გადაჰკრეს. მისატანებელი არაფერი ჰქონდათ და თავთავიანთი მუშტი დაყნოსეს.

ივანია ალაპარაკდა:

— ოქროს საათი და პლატინის რგოლებგარეული ძეწკვი ჩაუყოლებით. ბატონო, შეცდომით და... ამომათხრევის.

— რამდენი ხნის მერე?

— შგონი ორმოცი გადახდილი ჰქონდათ უკვე... უპ, ნამეტანი მაგარი ყოფილა, — გამოცლილი ჰქონდა დაღა ივანია.

მიხვდა მესაფლავე, ეს კაცი ვიღაცას ამოთხარას რომ უპირებდა, მაგრამ სახელდობრ — ვის, ვერ ვაგეო. ადილარის დედ-მამა ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ დასაფლავა ივანია და ახლა მათი ძვალილა თუ იქნებოდა მიწაში.

იქნებ რამე სიმდიდრე ჩააყოლა მამინ შობლებს და ახლა მოაგონდაო, — გაივლო გულში.

— მერე? — დანელიების მიცვალებულისაკენ მოაბრუნა ადილარმა ივანცვირა.

— მერე, ჩემო ბატონო და, საათი და ძეწკვი არ დავგვხდა საფლავში, მკვდარი კი გვერდზე გადაბრუნებული იყო.

ამ სიტყვებს ივანია სიცილისმაგვარი რალაც ხმა მიიყოლა და, რაკი მასპინძელი არ ასხამდა არაყს, თვითონ დაასხა.

ადილარმა რომ გაიკვირვა, მკვდარი რაფერ გადაბრუნდებოდაო, ივანია ამ უხსნა:

— დაიღალა ალბათ სულ პირადმა წოლით და მხარი შეინაცვლა...

ადილარისათვის დღესავით ნათელი იყო: იმ დანელიების მკვდარს თვითონ ივანიას მერე არავინ ამოთხარდა.

ადილარს ადრეც ჰქონდა ყური მოკრული: ივანია მდიდარ მკვდარს რომ დამარხავს, იმავე დამესამოთხარეს, დედამშობილა ჩატოვებს კუბოში და ისევ მიწას მიიყრისო.

ამ დანაშაულზე ივანიასათვის არავის წაუსწრია და ხელსაც ვერავინ დაადებდა.

ეს ამბები ფეხზე ეკიდა ახლა ადილარს; ჰქეები მესამედ შეაჯტო და დაუმათვრებელ საუბარს დაუბრუნდა:

— თუ იცნობოდა მკვდარი?

— როგორ არა, ბატონო. ცოცხალივით იყო მთლად. რაც ძვირფასეულობა ებარა, იმისთვის ვერ მოუვლია და თქმით რა ეთქმოდა. თორემ ისე მთლად ცოცხალს ჰგავდა. თმა და ფრჩხილები ჰქონდა მარტო წამოზრდილი უზომოდ...

ადილარმა არყიანი ჰქეა ივანიასაკენ გააჩოჩა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— აბა ამდამ შენ ამომითხრი ერთ მკვდარს.

ივანიას შეჩვეული საქმე უნდა გაეკეთებინა და უკან რატომ დაიხვედა, დარწმუნებული იყო, ადილარი ერთ ბაზიანს მაინც ვადმოუგდებდა...

საფლავის ამოთხრა ადვილია, რადგანაც საფლავის მიწას არ ტკეპნიან. გაჭრაა ძნელი, ვინ იცის, რა ნიადავი შეგხვდება: ალიზი, ქვიანი თუ მთლად კლდის ძირი...

საქმის განგებ გართულება სცადა მაინც ივანია და, რამდენი კაცი ვიქნებითო, იკითხა.

მარტო ჩვენ ორნი უნდა ვიყვნეთო, რომ გაიგო, დაკორძებული ხელისგული აიფარა ადილარისაკენ შეიცხადა:

— აჰ.. ორს მარტო შეგვეშინდება, ბატონო... ორ კაცს ყოველთვის ეშინია ასეთ დროს. სამი მაინც უნდა ვიყვნეთ...

— ორნი ვიქნებით, სამი არ შეიძლება! — გადაჭრით თქვა ადილარმა.

• • •

დამემ უღელტეხილზე რომ გადაბიჯა, სწორედ წყლისა და ძაღლის მიძი-

ნების ეამს, აბაშის სასაფლაოზე ორი ადამიანის აჩრდილი შეიპარა.

ივანია თავისი „საწყობი“ გახსნა და ბარ-ნიჩაბი აიღო...

ადილარს მუქი ფერის ქულაჯა ეცვა, თავზე და სახეზე შავი ყაბალახი ჰქონდა მოხვეული, ქამარში გაჩრილი მაუზერის ტარი ჩაებლუჯა.

სასაფლაოზე ხის ეკლესია იდგა. ეკლესიას ღამის ყარაული არ ჰყავდა, მღვდელი კი დილდობით წირავდა და მის გამოჩენამდე დიდი დრო იყო დარჩენილი.

ასე უპატრონოდ იყვნენ მიცვალებულები ღამით, გუმბათის კუშტულზე აზიდული ჯვარი იყო მათი მფარველი და პატრონი.

ერთ მხარეს ცუდღარი ჩაუდრიოდა სასაფლაოს და მისი ბუტბუტილა აკრთობდა ღამეულ მყუდროებას.

იმ წლებში ურწმუნოებისა და, კიდევ, თავნება, სოფელ-სოფელ დაუკითხავად მოწინააღმდეგეების შესაშინებლად აბაშაში ხმა იყო გავრცელებული: ეკლესიის იატაკქვეშ გრძელფრჩხილებიანი და ბანჯგვლიანი ავსულობა დაბინავებული, ეკლესიასთან მიახლოვებისას ვინც სამჯერ პირჯვარს არ გადაიწერს, ავსული მას ღამით შეიტყუებს ამ ვიწრო სარკმლის ჭურბმულში და სამუდამოდ იქ დაამწყვდევსო.

პირჯვრის გადაწერა ვითომ ძალას უკარგავდა ავსულის ჯადო-თილისმას.

მაშინ შემშინობა იყო და ბეშეები უმაღლე იმას კითხულობდნენ: იმ იატაკქვეშ ავსული რას ქამსო... ამაზე სოფლის ქორი პასუხსაც ამბობდა: ერთი მქადის კვერი აქვს, რამდენიც მოუნდება, ჩამოტეხავს და კვერი ისევ მთელდებაო. ბევრჯერ უნატრიათ მაშინდელ ბეშეებს ასეთი კვერი და სიზმრადაც ჩაჰყოლიათ ძილში...

ეკლესიას რომ მიუახლოვდნენ, პირველად ადილარმა გადაიწერა პირჯვარი სამჯერ და რაღაც ჩაიბუტუნა. ივანია მაც გადაიწერა პირჯვარი და ვერიკოს საფლავისაკენ წავიდა.

საფლაოს ადგილი ადილარმაც კარ-

გად იცოდა, დასაფლავების დღეს, სამსონთან ერთად ბოლომდე მოჰყავა პროცესიას და რამდენიმე მუჭა მიწაც მიყარა მიცვალებულს...

მივიდნენ.

საფლაოს ხის ჯვარი თვითონ ადილარმა ამოაძრო და გვერდზე გადასდო, მერე ივანიას გადაუტურჩულა გათხარე, ეკლესიას შეხედა ადილარმა ამ ღამეში არც სარკმელები ეტყობოდა შენობას და არც კარები, შავად იყო ატყორცნილი ცის ოდნავ გაბაცებულ ფონზე.

ნერვიულობდა ადილარი, ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, მაგრამ თვითონ ფიქრი არ ეშვებოდა.

გრძელფრჩხილებიანი და ბანჯგვლიანი ავსულის თვალები მუგუშლებივით ანათებდა ეკლესიის საძირკვლის ვიწრო ქრილიდან, თეთრ ღოჯებს აჩენდა ავსული და თითოთ თავისკენ უხმობდა ადილარს...

საფლავისაკენ შემობრუნდა ადილარი. ივანია უკვე წელამდე ჩასულიყო. ადილარს მოეჩვენა, რომ საფლავიდან თმაგამლილი ქალი ამოიღრუბლა, ეს ვერიკო იყო, იმ ეკლესიასავით შავად მილანდული ცის ოდნავ გაბაცებულ ფონზე.

ადილარმა ნელა ჩაახველა, გულში რაღაც ჩაიმღერა, მერე: მოდი, მარტო ცუდღარის ბუტბუტს მოვუსმენო... აქაც არაფერი გამოუვიდა. ვერ ჩამოიშორა მოჩვენებები...

გზაზე გავალ და იქ დავიცდიოი...

მარტო წასვლისაც შეეშინდა...

ბავშვობაში არ იცოდა ასეთი შიში. სასაფლაოზე ღამით ისე გაუვლია, ვითომ ბალში გაეგლოს...

ივანია საფლაოს ნაპირზე ჩამომჯდარიყო შესასვენებლად.

— ჩახვედი?

— სახურავი უკვე გამოჩნდა...

ჩაბნელებულ ქადრებას მხარეს რაღაც გაფიქუნდა... ადილარმა მაუზერი შემართა...

— პირუტყვი იქნება, შე კაცო, — დაამშვიდა ივანია შემკრთალი ადილარი.

ცხენი ყოფილიყო, ზეზეურად ექინა და ფრუტუნებდა.

— რა დროს შესვენება, — ააჩქარა ადილარმა მესაფლავე, — თენდება.

ივაჩიამ მალე შემოაცალა კუბოს მიწა, ბარის პირი შესჩარა სახურავის ღარში და ასწია. გახრწნილი ცხედრის სუნი რომ არ ეცა, ცოტათი გაუკვირდა. მიცვალბულთან ივაჩია ისე გრძობდა თავს, როგორც კარგ ძმაკაცთან.

ადილარმა დაიჩოქა და საფლავეში ჩაიხედა. იქ უფრო ბნელოდა და ის სიბნელეც მიწასავით ამოსაყრელი ეგონა ადილარს. მაგრამ ეს ივაჩიას ღონეს აღემატებოდა. მან კუბოს სახურავს ახდა დაუწყყო...

ახლა სულ მთლად კანკალმა აიტანა ადილარი; თითქოს საიჭიოში მოხვდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, სამოთხეში იმყოფებოდა თუ ჯოჯოხეთში...

უკვე არ შეიძლებოდა, თორემ გაქცევა უნდოდა.

გაქცეოდა აქაურობას ყვირილით.

ღრიალით, თვალდახუჭული. და სადმე გადავარდებოდა, გადაიჩეხებოდა.

— აუუუ! — კიოდა ადილარის სხეულში სისხლი...

— აუუუ! — იმეორებდნენ მის ექოს სამურხაყანოს, ვურის, შონეთის მთებში...

ასანთი ამოიღო ჭიბიდან და, ივაჩიას რომ ჩააწოდა, იგრძნო, როგორ უკანკალებდა ხელი...

როგორ ცივა, ეს ოხერიო, — სიცივეს გადააბრალა თავისი კანკალი.

ივაჩიამ ადილარის ხელი ძლივს დაიჭირა და ასანთი გამოაცალა.

სახურავი უკვე ახილი ჰქონდა კუბოს და, შიგ ასანთის შუქი რომ ჩაეთინა, ცარიელი აღმოჩნდა...

შორს, გზაზე ვიღაც მგზავრი თავისთვის მიიმდგროდა:

— ადილა, ადილა, დილა ვოდელა და...

ცხენე ვზივარ, ჩემს შვე ცხენე,

უნავირზე, და, ამოესულვარ...

მეოთხე-ნაწილი

აჯანყების დამარცხების მესამე დღეს ბორის ძნელაძე არალეგალურად ჩამოვიდა სამეგრელოში.

ბორისს გამოველო ხაშურში, ხონში, ქუთაისში, სამტრედიამში... ახლა სენაკის და აბაშის სპარტაკელთა თავმოყრა ჰქონდა გამიზნული.

შეკრება მოეწყო სოფელ ძივირში, საღამოხანს, მეტყვევის ქოხში. ესწრებოდა ოცამდე კომკავშირელი. კომკავშირის თბილისის კომიტეტის სახელით ბორის ძნელაძემ სპარტაკის სენაკის ორგანიზაციის დაღუპული მეთაურის ბაჭუფე თოდუას ადგილზე აბამიდან გადაიყვანა დავით კაჭარავა, ხოლო სპარტაკის აბაშის უჯრედის მეთაურად აირჩიეს ბიქტორ კაჭარავა.

დავითი და ბიქტორი დაპატიმრებული იყვნენ, მათი დანიშვნა მოხდა დაუსწრებლად. მათს განთავისუფლებამდე კომკავშირელებს უმეთაურებდნენ

მოადგილეები: სენაკში — დომენტი ჭილაია, აბაშაში — ლულუნი ტორჩინავა.

კვლავინდებურად, პარტიული ამხანაგების ხელმძღვანელობით და მათ მხარდამხარ, მეტი მონდომებითა და თავგანწირვით, მეტი კონსპირაციულობით უნდა ებრძოლათ კომკავშირელთა რიგების გაზრდისა და ახალი აჯანყების მომზადებისათვის.

დაპატიმრებულ ამხანაგთა განთავისუფლებისათვის ზრუნვა ერთ-ერთ მთავარ მიზნად იქნა დასახული. ეს კველადფერზე უფრო საჩქარო საქმე იყო მთელს საჩქაროველოში, რადგანაც მენშევიკური მთავრობის დილეგებში დაშვებულ პარტიისათვის საველე-სამხედრო სასამართლოს მეტწილად დახვრეტის განაჩენი გამოჰქონდა. საუკეთესო მებრძოლები ეცლებოდათ ხელიდან ბოლშევიკებს.

ახლა სჭირდებოდათ მეტი შემართება...

ბორის ძნელაძე სამეგრელოდან ოზურგეთში გადავიდა ასეთივე ღონისძიების ჩასატარებლად (ოზურგეთში ბორისი დაუპატიმრებიათ, მაგრამ მალე მოუხერხებია დასხლტომა, ვითომ იგი, ბორის ძნელაძე კი არა, სულ სხვა ვინმე იყო... ოზურგეთიდან ბათუმს გამგზავრებულა საქართველოს კომკავშირთა მეთაური).

აბაშის სატუსაღო პატიმრებით იყო გაჭედილი.

ერთ საკანში რვათი ისხდნენ.

ფედიამ სათითაოდ შეათვალიერა ყველანი, სანდონი იყვნენ. დათქვეს და ერთი პირი შეკრეს: არ მიეცათ არავითარი ჩვენება...

რკინის გისოსებიან სარკმელში ნოემბრის სუსხიანი ჰაერი შემოსვლას ვერ ასწრებდა აქედან მიწოდოლი ორთქლი, კვამლი და ბუდი უკანვე აბრუნებდა. საკანში დახუთული სითბო იდგა, სუნთქვა ჭირდა.

უკვე მესამე დღე იყო, დაკითხვა გრძელდებოდა, მაგრამ ტუსაღებისაგან ვერაფერი გაიგეს გამომძიებლებმა. აღილარ გვაზავას გაცოფებამდე ცოტა უკლდა, სადაც იყო, ყეფას დაიწყებდა, — მთავრობამ მას მიანდო მთავარ ბოლშევიკთა დაკითხვა და ნებაც დართო, თუ ვაჭიუტდებოდნენ, თვითონვე მიეღო ნებისმიერი ზომებიც მათ ასაღმარაკებლად.

აღილარმა, სხვა რამე კი არა, თავის თანასოფელს და ნაცნობს — ფედია ფრანგიშვილს ისიც ვერ ათქმევინა: ფედია ვარო.

შე ფედია არა ვარ, შენ გეჩვენებო, — პასუხობდა პატიმარი მილიციის უფროსს და გულზე ხეთქავდა.

შუალამით გამოიძახა აღილარმა ფედია. კაბინეტში თბილოდა. ღუმელის კვამლსადენი მილი მინაჩამტვრეულ სანათში იყო გაშვერილი, გარედან ქარი რომ ჩაუბერავდა, მთელი კვამლი ოთახში გამოდიოდა.

ორმა მილიციელმა შემოიყვანა ფე-

დია. ხელები ზურგსუკან ჰქონდა შეკრული.

...ბევრ რამეს კი არ მოითხოვდა აღილარი პატიმრებისაგან. მათ უნდა ჩამოეთვალათ გარეთ დარჩენილ ბოლშევიკთა გვარები, ეთქვათ, სად ინახებოდა კომკავშირელთა ბეჭედი და დროშა, საიდან და ვისგან იღებდნენ პროკლამაციებს და პოლიტიკურ ლიტერატურას...

ყველაფერს ამას თუ ჩიურაკრაკებდნენ აღილარს პატიმრები, განთავისუფლებას პირდებოდა ყველას. მაგრამ სმარტაკელები ბრიყვები არ იყვნენ. მათ ეცოდინებოდათ აღილარის ჭკუამოკლეობაზე. ესაო და, მოდით, გაყავით თავი ამ გასანთლულ მარყუქში და მერე ყველას გაგანთავისუფლებთო...

კაბინეტის სითბო ეამა ფედიას.

— რად გამომიძახე?.. შენ დაკითხვის უფლება არა გაქვს, — შესვლისთანავე აგდებულად მიჩაღა ფედია.

— განახებ, რისი უფლებაც მაქვს, თუ არ აღაპარაკდები...

ფედიას მომყვანი მილიციელებიც იქვე იდგნენ.

— აღაპარაკდება, — წაელაქუცა ერთი მათგანი თავის უფროსს.

ფედია დაძინებულ შეხედა მას:

— წადი, შე ლაწირაკო!..

ის მაინც აჭარტალებდა ენას დედაკაცივით.

ფედია ორატულივით იყო აღილარისათვის სხვა დატყვევებულთა შორის, რადგანაც მისი სახით ხელთა ჰყავდა გადასახლებიდან გამოქცეული პოლიტიკური მტერი.

ფედიას უფლება არ ჰქონდა, ერთი დღითაც, თუნდაც ცალი ფეხით, მდგარიყო საქართველოს მიწაზე; კარგად იცოდა, — თუ სასამართლომდე მივიდოდა მისი საქმე, დახვრეტა არ ასცდებოდა. ამიტომ უარყოფდა საკუთარ ვინაობას და მოითხოვდა განთავისუფლებას.

— აღილარ გვაზავა, — შეგონებასავით დაუწყო პატიმარმა მილიციის უფ-

როსს, — ხომ ხედავ, მენშევიკების დღეები დათვლილია, ყველა ხერხელთან რომ თავის შაქარს ჰყრი, სად შეძვრები მერე?..

ადილარ გვაზავა ზურგსუკან ხელბეშეწყობილი მიუახლოვდა პატიმარს (ფედლასაც ზურგსუკან ჰქონდა ხელბეშ, მხოლოდ მას თოკით ჰქონდა შეკრული), მარცხენა ხელი მოწყვეტით მოუქნია და სახეში გაარტყა.

ფედლა თავით კედელს მიენარცხა და გამსკდარი ტუჩი გაუსისხლიანდა...

— თფუ, ძაღლო!.. ძაღლიშვილო! შეიფურთხა მან ადილარ გვაზავას, უკან გავრული ხელბეშ: გაქაჩა, მაგრამ წვრილმა კანაფმა ლამის ჩაუტრა მაჯა.

ადილარი თავის მაგიდასთან მიბრუნდა, უკრა გამოაღო და მათრახს ჩააგლო ხელი. ეს მათრახი ხელით გააკეთა წინა დღით საგანგებოდ. სამფა წვრილი ჯაჭვის იყო, უტარო, ბოლოში სალანჩე ტყავის ენები ჰქონდა. გასწავლი ჰქუასო, — წამოიძახა...

ფედლას შემოფურთხებამ საფლავიდან ამოფურთხება გაახსენა და აჰან უფრო გაახელა.. დაავლო ხელი ჯაჭვის მათრახს და მოუქნია პატიმარს...

დაელალა ხელი ადილარ გვაზავას.

საქანში ფედლა ცოცხალ-მკვდარი მიბრუნეს, კართან ხელი ჰკრეს და შემოაგდეს. პატიმრებს არ ეძინათ მის მოლოდინში. კუთხესთან მხრჩოლავი ჭრახი საქანის კარის გაღებისას ორპირად დაძრულმა ჰაერმა ჩააქრო. სიბნელეში გაჭირდა ნაცემი კაცის დანახვა.

სანამ სევე კვეს-აბელს აჩაჯუნებდა, სხეებმა ფედლა ხელების ფათურიით ნარზე დააწვინეს. სიტყვას ვერ ამბობდა, გმინავდა მხოლოდ, პირშეკრული... გრიგოლმა პერანგის დილები შეუხსნა და, სხეულზე ხელი რომ მოუსვა, იგრძნო, სულ დასისხლიანებული იყო კაცი.

ხელის შეხებაზე ფედლამ გმინვას მოუხშირა...

— ძაღლები! — ჩაიბუხუნა გრიგოლმა თავისთვის.

შუქი ანთეს, როგორც იყო, — ძაღლები! — ახლა კი იყვირებს ტუსაღებმა, შვიდი კაცი ერთხმად ყვიროდა...

მეზობელი საქანის კედელზე გამოახების კაკუნი მოისმა. სევემ ჭიჭა აიღო და კაკუნითვე უპასუხა; მერე ჭურჭელი კედელს მიაშხო და ძირზე ყურით მიეყრდნო.

— რაშია საქმე? — ყრულ მოისმა კედლის მიღმა მხრიდან ჭურჭელში მომწყვედიული ხმა და ამ სიტყვებს კვლავ კაკუნი მოჰყვა, რაც ნიშნავდა, ახლა შენ ილაპარაკე.

სევემ ჭიჭა შეატრიალა, ძირი მიაცირა კედელს, პირი შიგ ჩაყო ხელები მჭიდროდ აიფარა და ზედიზედ სამჯერ ჩასძახა: ფედლა სცემესო.

ამ სამჯერ განმეორებულიდან მხოლოდ ერთმა ვააღწია იქითა საქანამდე. ფედლა სცემესო?! ახლა ის საქანიც აღრიალდა...

კედელზე კაკუნმა იქით გადაინაცვლა, მალე მესამე საქანამაც შემოუერთა ხმა... მიველი ახლო-მახლო უბნები გამოაღვიდა ამ ნაშუაღამევს პატიმართა საერთო ყვირილმა. ამ ყვირილში სიტყვები როდი მოისმოდა, ეს იყო გამოუცნობი ბგერების ჩამოზვავება, გუგუნე, გრილი, გრგვინვა...

დივანზე თვალის მოსატყუებლად მიწოლილმა ადილარ გვაზავამ მახარის კარგად გადაფარებაც ვერ მოასწრო, რომ მისი კაბინეტის ფანჯრები აზრი-აღდნენ.

— სადა ხართ!.. გაჩუმეთ!.. — უყვიროდა ადილარი მილიციელებს, მაგრამ მისმა ხმამ პატიმრებისას ვერ გადააძვრა ლომთა ბუხუნში ჩართულ კატის კნავილივით გაისმა.

მილიციელებმა კონდახები დაუშინეს საქანების შერკინულ კარებს; პატიმრებს გაჩუმებას უბრძანებდნენ; ხმაური კი უფრო მატულობდა.

გარეთ ახლო მოსახლეებში მარტო ერთმა გახედა გამოხედვა. ეს იყო მჭედლის შვილი დიანოზა.

დიანოზა საერთოდ აღრე ღგებოდა

დილით და სამკედლოში მამის გვერ-
დით თავის ადგილს იჭერდა...

მილიციიდან მოვარდნლი ხმაური
ცუდად ენიშნა და გზაზე გავიდა.

— რა ამბავია მანდ! — მიადხა აბო-
ბოქრებულ საპატიმროს.

აღიღარმა ფანჯრიდან გაიხედა. უკ-
ვე თენდებოდა.

მკვდლის შვილს ზედა სართულიდან
პასუხი რომ არავინ გასცა, საკანში დამ-
წყვედულთ გაეხმინა:

— რა მოხდა ბიჭებო!..

სარკმლებში თვალუბარიალებულმა
ტუსალებმა ამ ვილაც გულშემატკივ-
რის წილად ერთი სიტყვაღა გადმოის-
როლეს:

— გვხოცავენ!..

— ააუუ! — იკივლა დიანოზამ და
აქეთ-იქიდან დატრიალდა, ჯერ ერთი
ქიშკარი შეაღო, მერე — მეორე...

— გამოდიოთ, ხალხო! პატიმრებს
ხოცავენ!..

ერთ ოდაში შუქი აინთო და ჩოხაში
ცალმკლავგაყრილი კაცი აივანზე გა-
მოვიდა მერე ქალიც გამოპლაკუნდა
და მამაკაცი წააქეზა:

— ე, ბიჭო, გაუყარე მაგი მკლავი
და წადი! ხომ გესმის, ქვეყანა ინგრე-
ვა. ჰიქიკოცაა დაჭერილი...

პატიმრებს ხოცავენო! — ამ ცნობამ
ელვის სისწრაფით დაურა სხვა ოდა-
სახლებსაც.

ქუჩაში ხალხი მოგროვდა. პატიმრე-
ბის ყვირილს ახლა გარეთ მყოფთა
ყვირილიც შეუერთდა... და აღიღარ
გვაზავა საფანჯრო მომწყვედელივით
აწრიალდა თავის კაბინეტში.

— ბუნტია!.. მხოლოდ ჰაერში ის-
როლეთ! — გასცა განკარგულება და-
უყოვნებლივ.

ერთი მილიციელი თანამშრომელთა
მოსახმობად აფრინა...

რამდენიმე გასაროლა მოისმა. შესა-
შინებლად ისროდნენ. ქუჩაში შეგრო-
ვილ ხალხს ცხენდაცხენ შეუტრის
აღიღარის მილიციელებმა.

— დაიშალეთ, შინ წადით, თორემ
გესვრით, რალაცნაირი დამშვიდებუ-

ლი ტონით აფრთხილებდა შეჯგუფე-
ბულთ ერთი ცხენოსანი და ხელში
სპილოსძელისტარიან რევოლვერს ასე
ატრიალებდა, თითქოს ვილაცა ახარბე-
ბდა.

ექვსი-შვიდი წლის ბიჭუცკლა, სრო-
ლის ვაგონებზე, ლოგინიდან წამოხტა
და ფანჯარაში გაიხედა, აქედან ყვე-
ლაფერი კარგად მოჩანდა. თავისი „რა-
გატკა“ მუდამ სასათუმალქემ ედო და
ქებნა არ დასტრებია: სასაწრაფოდ
ჩაიცივა ტანთ, ფეხები კალშებში გა-
უყარა და შინიდან გავარდა.

ამ ბიჭს ყველა იცნობდა სამეზობ-
ლოში და ყველას უყვარდა. ქალანგა-
რივით მაგარი იყო; მამას ეზო ჰქონდა
გასათოხნი — ეხმარებოდა, შეშა იყო
დასაჩეხი — თვითონ ვერ დაჩეხავდა,
მაგრამ მამის მიერ დაჩეხილს დააწყო-
ბდა, წისქვილში საფქვევი მიჰქონდა...
კვარჩხობაც და უკულმართობაც იცო-
და: თავისუფალ დროს, დაუყვებოდა
თხრილებს და იმ „რაგატკით“ ბაყა-
ყებს ხოცავდა; არ უსმენდა დარიგე-
ბას: ნუ კლავ ბაყაყს, თორემ წვიმა იქ-
ნებაო...

ახლა თავისი „მარალი“ სხვა რამის-
თვის გამოადგა; მილიციასთან თავმოყ-
რილ ხალხში მამამისს ორივე თვალი
ერთად ჩაუბაჭუნა, მოზიდა თავისი
„რაგატკა“ და რკინიგზაზე შერჩეული
ჩიტის კვერცხის სიმსხო კენჭი აღი-
ღარ გვაზავას კაბინეტის მინას მოარ-
ტყა, მინა ჩამოხსრიალდა და მაშინ მი-
ხვდა აღიღარ გვაზავა, — საქმე სასი-
კეთოდ არ მიდიოდა; ტელეფონთან
მივიდა და ძლივსძლივობით, როგორც
იქნა მიაწვდინა ხმა დამსჯელი რაზმის
ბანაკს (აჯანყების დამარცხებისთანავე
მენშევიკების მთავრობის მიერ თბილი-
სიდან საქართველოს თითქმის ყველა
მხარასა თუ დაბაში საგანგებოდ დაი-
გზავნა დამსჯელი რაზმები. ერთი ასე-
თი რაზმი აბაშაშიც იმყოფებოდა).

დამსჯელი რაზმის ჯარისკაცები, აღ-
ბათ ტანგაუხდელი იწვნენ, სულ რა-
ღაც ხუთიოდე წუთში ათი შეიარაღე-
ბული ცხენოსანი მოიჭრა სატუსალოს-

თან. მათრახების ცემით, სროლითა და მუქარით დაერივნენ ხალხს და, ვინც გაქცევა არ იკადრა, დააპატიმრეს...

საქნებში ყვირილი არ წყდებოდა. პატიმრებმა დალლა რომ ივრძნეს, თავსებური ხერხი გამოიხატეს: ნახევარი რომ ყვიროდა, ნახევარი ისვენებდა... ქუჩაში გაფანტულ ხალხს ადილარის ცხენოსნებიც დაერივნენ.

მკედლის შეილს დიანოზას თვით ადილარმა მიაბჯინა ტუჩზე რევოლვერი. დიანოზამ ხელი აუკრა იარაღზე:

— იქით გასწია.. ვინც დასაჭერია, ისინი დაიჭირე და ეგ ხალხი გაუშვი— ბრძანების კილოთი თქვა დიანოზამ.

ადილარი და დიანოზას მამა ბავშვობაში ერთმანეთს შეზრდილნი იყვნენ. მერე გაითიშა მათი გზები: დიანოზას მამა წინაპართა კვალს გაჰყვა და მკედლობა გააგრძელა, ადილარმა მილიციის ფორმის უფასო ტანსაცმელი და იარაღი აიბრია... ის ძველი მეგობრობაც რომ არ ჰქონოდა მკედელთან, მაინც ვერ აწყენინებდა, რადგანაც თვალში ტყვიადაკრულ მის ცხენს, უკვე მესამე დღე იყო, სწორედ მკედელი მკურნალობდა.

ადილარმა ახლა ხმადაბლა უჩრია მკედლის შეილს:

— წადი სახლში, თორემ დაგიჭერენ...

დიანოზა გაეცალა იჭაურობას. თხუთმეტი კაცი დააკავეს და ადილარს მიჰგვარეს კაბინეტში.

კიდეც ერთი რომ მიემატებინათ, მაშინ თვითონ ადილარი უნდა გასულიყო ოთახიდან. — მეტი ადგილი არ რჩებოდა.

— რაშია, ხალხო, საქმე! ბუნტს მიტეხთ, ა?

მილიციის უფროსისათვის პასუხის გაცემა პირველმა მესაფლავემ ივანიაშვილმა:

— ყვირილი მოგვესმა პატიმრებს ზოცავენო, ბატონო, და გამოვედით საყურებლად, მეტი არაფერი...

ადილარი შეზარა ივანიაშვილს ნახვამ, — უცხედრო საფლავი მოაღანდა წაიხი.

დაპატიმრებულებში გარეულ მასწავლებელს მოკლე ხელწერილი შეადგენია, რომ დღეიდან მსგავს რამეს არ ჩაიღუნდნენ, ყველას ხელი მოაწერიან და ყველა გაუშვა (ვინც წერა არ იცოდა, სამ-სამი ჭვარი დასვა ფურცელზე).

პატიმრების ყვირილი არ წყდებოდა. დამსჯელი რაზმის მეთაურმა მეხანძრეები გამოიძახა.

მეხანძრეებმა წყლის სატუმბავი მოათრიეს, ბრეზენტის მილის ბოლო ქვილითაიების ქაში ჩაუშვეს, სატუმბავის სახელურები აქეთ-იქიდან დაქაჩეს და, კარგა ხნის შემდეგ, წყალმა ქვიდან რომ სული ამოატანა, მილს პირდაპირ საქნების ვიწრო სარკმელში შეაყოფინეს თავი...

პატიმრები ჩაჩუმდნენ.

ადილარმა გუნებაში გადაწყვიტა, პატიმრების მთავარი ნაწილი ქუთაისის ციხეში გადაეგზავნა, მაგრამ ხელს ის უშლიდა, რომ ვერც ერთს საქმე ვერ შეუდგინა, ვერც ერთს ვერ ამოაღებინა ხმა თავის სასარგებლოდ...

საქმის გარეშე კი პატიმარს ციხე არ მიიღებდა.

მკედლის შეილს ფეხში დაჭრილი აფხაზი ჰყავდა შინ დამალული. ვერ უჭირდა სიარული აფხაზ ქაბუჯს. მალამო ვერიკოს მოჰქონდა თავის გადაპრჩენთან. ვერიკო რომ ჭრილობას უხვევდა, ის ჩუმად ღიღინებდა გულის დამწველ სიმღერას, ისევე უიღბლო სიყვარულისას მღეროდა...

მკედლის ჰიშკართან მილიციელი შედგა და მასპინძელს უხმო. დიანოზას გულმა ცუდი რაღაც უგრძნო; იფიჭრა; ალბათ გაიგეს, უცხო კაცს რომ ვმალავო... ვერიკოც მათთან იყო იმ წუთას და ამან უფრო შეაწუხა მკედლის შეილი: დაპატიმრების შემთხვევაში ვერიკოსაც და აფხაზსაც დაზერება არ ასცდებოდა, სამხედრო-საველე სასამართლოს ამის საფუძველი საძებარი არ გაუხდებოდა.

მილიციელს მკედელი გაეპასუხა. მამა-შვილს, ორივეს იბარებდა ადილარ გვაზავა. მილიციელმა ეს სიტყვა

მოიტანა და გაბრუნდა.

დიანოზამ და ვერიკომ დაჭრილი აფხაზი ბოსელში გადაიყვანეს. ამ აფხაზის მუდამ ყურებდაცქვეტილი ცხენიც აქ იყო დაბინავებული, ერთ ფურ-კამერთან ერთად.

ცხენმა იცნო პატრონი და წინა ფეხი მიწას დაჰკრა, სანავარდოდ მოუხმომო მხედარს... (ამ დღის შემდეგ აფხაზმა ქაბუქმა მალე ცხენზე შეჭდომა შესძლო. ერთ ბნელ ღამით ზობაიდე მიაცილა დიანოზამ იგი და შინისკენ გზა დაულოცა. მას მერე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. მხოლოდ დიდი, დიდი ხნის მერე მიცვალებული დიანოზა დაიტერა აფხაზმა ისე გულდათუთქულად და რაინდულად, კარგი ძმა რომ დაიტერებს კარგ ძმას).

დიანოზა და მამამისი მილიციაში რომ მივიდნენ, უთხრეს: ჩვენი უფროსი აქ კი არა, შინ ვიბარებთო.

ადილარ გვაზავას თავლიდან გამოეყვანა თავისი ბედაური და მზეში აურავებდა. ისე ბავშვს თუ მოეფერებიან, როგორც ის ცხენს ეფერებოდა.

მკედელს მოეჩვენა, რომ ადილარი ტიროდა...

მამა-შვილი დამშვიდნენ, რაკი მიხვდნენ, რომ დასაქურ საქმეზე არ ყოფილან დაძახებულნი.

— რამ წაგახდინა, ბიჭო! — შეაგულიანა მკედელმა ცხენის პატრონი. — თუ მაინცა და მაინც გაწყრა ღმერთი, ცხენი ცალი თვალითაც ცხენია...

თავლასთან ჩამოსხდნენ.

— მეორეშიც უკლო მგონი სინათლემ, — ნაღვლიანად წარმოსთქვა ადილარმა, — სენაკიდან მოვდიოდი გუშინ, ცოტა ნაღვინევი ვიყავი და უნაგირზე ჩამთვლიმა... ხეს დაეტყა შუბლით...

მკედლები მკურნალის თვალით დააკვირდნენ ცხენს დიანოზას მამა მიხვდა ტყეისაგან ცხენს მეორე თვალის ძარღვიც ჰქონდა დაზიანებული, და განკურნება გაჭირდებოდა.

— გამატანე ეგ ცხენი მე, ადილარ ბატონო. შინ მეყოლება და უფრო მო-

ხერხებულად ვუმკურნალებ...

ადილარმა ცხენი მკედელს რომ გაატანა, იმ დღეს მილიციაში გააგებულნი მივიდა... კარგად ვერ მიუდიოდა საგამომძიებლო საქმეც... პატიმართა ცემა-ტყეპას ისე შეეჩვია, რომ უამისოდ დღეს ვერ გამოსტოვებდა.

ამით თავის გულისჯავრს იყრიდა თითქოს. ფედია ფრანგიშვილს მეორეჯერაც შეახსენა თავისი ჯაჭვის მართახის ვემო, მაგრამ სიტყვა მაინც ვერ დააცდენინა...

ნაცემი ადგილები დაუჩირქდა ფედიას, სიცხემ აუწია... თანამუსაკნეებს რაც რამ ჰინკვეული გააჩნდათ, სულ მას დაუგეს, მაგრამ ფედიას არცერთ მხარეზე არ შეეძლო დაწოლა, სხეულის ყველა ნაწილი დაბეჭილი ჰქონდა და ტყიოდა; ეჩვენებოდა, რომ ძვლები დაფშვნილი ჰქონდა...

— ფედია! — მიუჯდა მეგობარს სევე — რა ვიღონოთ, გვიჩიე. ეს ძალი სულს ამოგვხდის ყველას.

ფედია ძლივს ამოიღო ხმა:

— ქუთაისში გადაყვანა თუ გვიშველის. იქ მეტი წესრიგია.

— მე თუ მკითხავ, შენი განთავისუფლება უნდა მოვითხოვოთ, ავადა ხარ, სამკურნალო...

— ვინ გამოიშვეს, სევე... ჰაი ვიდი, რა დროს დაეძღურდი!.. ჩვენებმაც მგონი სულ დაგვივიწყეს!..

სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა ფედია, გულგატეხილობა იგრძნობოდა მის ნათქვამში...

საკანის კარი გარახუნდა. გუშაგმა ზორაგით საესე კალანჩხა გადასცა ტუსალებს.

დიდი ფურჩის პური და ერთი წველა ყველი დაეტებათ ჩხრეკის დროს. მხოლოდ ჭადის ერთი კვერი ერია ხელუხლებელი და მასში პატარა წერილი იყო.

ეტყობოდა, ეს კვერი მჩხრეკელებს არ უნახავთ, მერე ჩაამატა ალბათ რომელიღაც მილიციელმა (მილიციელებშიც ერთიგნენ „ქრისტიანი“ ადამიანები).

ფედიამ წერილს დახედა და ვერიკოს ხელი იცნო.

ფარატინა ფურცლიდან მოესმა ფედის ვერიკოს ხავერდოვანი, რბილი და თითქოს სურნელოვანი ხმა: „გამაგრდი, ფედი! შენი სიცოცხლე ახლა ყველაზე უფრო სჭირდება საქართველოს...“

დაუძღვრებულ ტუსალს წამლად შეერგო ეს ბარათი. გაიღიმა კიდევ ფედიამ. რამდენი სიტბო ერია თითოეულ სიტყვაში:

— გამაგრდი, ფედი! შენი სიცოცხლე ახლა ყველაზე უფრო სჭირდება საქართველოს!..

იმ დამეს სიტყვამ უფრო აუწია ფედისას...

თანამესაკენი ჩედავდნენ, თვალ და ხელშუა რომ ეცლებოდათ თანამებრძოლი.

აქ ისხდნენ აბაშის რჩეული ბოლშევიკები: პეტრე ნადარეიშვილი და ვანო კვანტალიანი. მათ გულზე ხელების დაქრეფის უფლება არ ჰქონდათ; დამით შოილაპარაკეს სხვებთან ერთად და დილით ზედამხედველს ულუფა-პურის მიღებაზე უარი უთხრეს: მოახსენე შენს უფროსს, შიმშილს ვაცხადებთო!

ფედიას ისედაც ვერაფერს ჰქადა, ლუკმა ვერ გადაჰქონდა ყელში. მისთვის ერთი კვნიტი შაქარი მაინც გადამალეს მეგობრებმა...

ადილარ გვაზავამ მხოლოდ მეორე დღეს ინება საკანში შემოხედვა. ვიღაც უცნობი, მაღალჩინიანი კაცი ახლდა. დამსჯელი რაზმის ოფიცერი ყოფილიყო.

პატიმრებს უბრძანეს, კედელთან მიმდგარიყვნენ. ფედიას ვერც ადგებოდა და არც არაფერი უთქვამს მისთვის.

— რატომ არ ჰქამთ, ძაღლიშვილებო! — ეს იყო ადილარ გვაზავას პირველი „საალერსო“ გამოლაპარაკება პატიმრებთან.

პეტრე ნადარეიშვილმა ხელი გაუბარსავ პირზე ჩამოსხვა და მუშტად შეკ-

რული გააჩერა ნიკაბთან; ხმა არ აუშლილვებია:

— ავადმყოფია, მკურნალობა სჭირდება. ექიმის მოყვანას მოვითხოვთ.

ადილარმა ირონიულად ჩაიციხა და დამსჯელი რაზმის მეთაურს შეხედა: ერთი ამათ დამიხედეთო!..

— ასე უნდა ჩაძაღლდეთ! — დაავირგვინა ოფიცერმა ადილარის დამოკიდებულება პატიმრებთან.

— ექიმს მოვითხოვთ! — ცოტათი უფრო ხმამალა გაიმეორა პეტრეს ნათქვამი ვანო კვანტალიანმა.

კარებთან მდგარ ნაცრისფერხალათიან კაცს ზონჩით ეჭირა ორი დღის კუთვნილი პური პატიმრებისათვის და ელოდებოდა, როდის გაინთავისუფლებდა ხელს.

— მიიღეთ! — ზონჩისაყენ თავი გადაიქინა ადილარმა.

— ადამიანი ხელში გვკავდება... თქვენ პასუხს აგებთ ამაზე, — უკან არ დაიხია ვანომ, — არ მივიღებთ...

ოფიცერი და ადილარი მიხვდნენ, — არაფერი გამოუვიდოდათ ამ უტეხ ადამიანებთან; ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და ნაშუადღევს მოიყვანეს ექიმი. პალტოს შიგნით ეცვა თეთრი ხალათი ვანო ფალავას; ავადმყოფს სინჯავდა და თან ხმადებლა ელაპარაკებოდა... კარსიქით მდგარ მილიციელამდე ვერ აღწევდა მისი ლაპარაკი.

— გულის გატეხა არ შეფერის მამაკაცს...

— რა ამბავია გარეთ ვანიჩკა, — ჩურჩულითვე დაეკითხა ფედიას ნაცნობ მკურნალს.

— თბილისიდან ყოფილა ვიღაც კაცი ჩამოსული (ალბათ ბორის ძნელაძეზე ლაპარაკობდა). ახალი აჯანყებისათვის მზადება დაუვალებია ახალგაზრდებისათვის... ესაა, რაც ყურმოკრულად ვიცი.

რალაც მალამო წაუსვა დაწყლულვებულ სხეულზე, ტყვიელები ოდნავ გაუყუჩა, საავადმყოფოში გადაყვანა აღუთქვა...

* * *

საავადმყოფოს პალატა სადაც ფედია მოათავსეს, კედლების ფერითა განსხვავდებოდა სატუსაღოსაგან. ფანჯრები აქაც ამორკინული იყო.

საკაცით მოიყვანეს ფედია ღამით. გზაში სულოერისთვის თვალი არ მოუკრავს მილიციელებით გარშემორტყმულ ტუსადს.

პალატაში მეორე საწოლიც იდგა, რომელშიც ფედიას აზრით, ვიღაც იწვია, მაგრამ არ ინძრეოდა რატომღაც...

თავი უჭყოდა ფედიას, საოცრად დამბინებოდა თავი, ყურები უწყვეტლივ უშიშინებდა, თითქოს ქარი ჩადგომოდა შიგ, საკუთარი კენესა შორიდან ესმოდა, სხვა ვინმე კენესოდა თითქოს... თვალს დიდხანს გახელილს ვერ აჩერებდა, — ეწოდა და ტკიოდა...

გაახსენდა, სულ ბოლოს როგორ არტყმევივინებდა ადილარ გვაზავა თავს იატაკზე და ფერღებში ჩექმებიან ფეხს უშენდა... მერე და მერე წყდებოდა მენსიერების ძაფი. გრძნობდა სიცოცხლეს და ჯანმრთლობაც განახევრებულს რომ ჰქონდა.

საავადმყოფოს მომვლელი ქალი იარებზე საფენებს რომ ადებდა, თითქოს ეფერებოდა... და ფედიას ეგონა, რომ ეს ვერიკო იყო...

შუბლზე ოფლს რომ უძმრალეზდა, ისიც ვერიკოს ხელების იყო სიცხიანი ავადმყოფისათვის...

და საუბრობდა ფედია ვერიკოსთან უხმოდ.

პასუხსაც უხმოდ ისმენდა.

— ვერიკო!

— რა ფედია?

— რას აკეთებენ ჩვენები?..

— დაიძინე, ახლა, ფედია. ყველაფერი კარგად იქნება...

— არ მინდა დაძინება, ვერიკო. მეშინია დაძინების. იქნებ არ გათენდეს მერე.

— ხვალ კარგი დილა გათენდება, ფედია!..

— ბევრი დავიბოცენით, არა?

— არა, ფედია! ყველანი ცოცხლები ვართ... მაშანტიც ცოცხალია, ვერა მოუკლავს ადილარს...

— მე ხომ მომკლა ადილარმა, ვერიკო?..

— რას ამბობ, ფედია! სიცოცხლე წინაა!..

— როგორი ყოფილა ეს ცხოვრება მაინც! თითქოს ბაქანზე ვართ და მატარებელს ველოდებით...

— ჰო, ფედია! ასეთი ყოფილა ეს ცხოვრება. თითქოს ბაქანზე ვდგავართ და მატარებელს ველოდებით... დაიძინე ახლა, ხვალ კარგი დილა გათენდება...

შრიალებდა, შმშინებდა წყალში ჩაშვებულ გახურებულ ზოდვიით, ფაჩუნობდა ფედიას თავში რალაც...

და ვილაცის საოცრად თბილი, თბილი ხელი ეფერებოდა ავადმყოფს...

ფედიამ იცოდა, რომ ეს ვერიკო არ იყო, მაგრამ უნდოდა, რომ ვერიკო ყოფილიყო. და ამიტომაც ასე ჰქონდა მიჩნეული...

თეთრად იყო შემოსილი ვერიკო. სახეც თეთრი ჰქონდა, თეთრი იყო პალატის ჰერიც, მხოლოდ ერთგან წვიმას გამოეყონა აღრე და ხმელი ფოთლის ფერი ლაქა დამწნივდა.

ოთახში ვილაყები შემოვიდნენ. ლანდებად მოეჩვენა ისინი ფედიას, მათი საუბარიც სულ შორიდან მოსდიოდა, ძლივს გასაგონად... ერთს — თეთრი ხალათი ეცვა, ისეთივე, როგორიც ექიმის ტანზე ნახა ფედიამ მოყვანისას. მეორეს — ნაცრისფერი, ისეთივე, როგორიც იმ კაცს ეცვა, გუშინ მეორე საწოლიდან მიცვალებული რომ გაიტანა...

— მორჩება! — იმედიანი იყო თეთრხალათიანის ხმა.

— არა მგონია, — პასუხობდა ნაცრისფერხალათიანი კაცი, რომელმაც ამ პალატიდან მიცვალებული გაიტანა გუშინ.

მათს საუბარში ფედიაც ჩაერია, ოღონდ ფედია ხმამაღლა კი არ ამბობდა სათქმელს, გულში ჩურჩულებდა.

იმ ორს კი მინც ესმოდა ფედიას ნა-

თქვამი... და საუბრობდნენ ერთმანეთში სამნი.

— ნაცემია. მოუშუშდება და გაუვლის, — თავის აზრს არ იცვლიდა თეთრხალათიანი.

— ტვინის შერყევია — ამტკიცებდა ნაცრისფერხალათიანი.

— ტვინი შენ გაქვს შერყეული, — ბრაზობდა ფედია.

— მორჩება!..

— ისე მორჩა შენი მტერი..

— თუ მოვრჩი, გაზით ამოგაძრობ მეგ ენას, ძაღლთაპირო!..

— გავიდეთ მგონი ესმის...

— ბარემ დავიცადოთ და გავიტან ამსაც...

— მე გავიტან შენ აქედან!..

უცებ ბურუსი გაიფანტა, თვალები ფართოდ გაახილა ფედია და ვარკვევით დაინახა კედელზე დაკიდული ლამა.

იქვე — ცარიელი საწოლი იდგა.

ოთახში არც თეთრხალათიანი ექიმი ჩანდა, არც — ნაცრისფერხალათიანი კაცი.

— ფედია! ეს მე ვარ, ვერიკო! — ეს კი ნამდვილად ვერიკოს ხმა იყო. ფედია მშობელმა სცადა.

— როგორ მოხვედი აქ, ვერიკო?

— ხომ ხედავ, თეთრი ხალათი მაცვია. შემოვიპარე...

ლოყაზე მოუსვა ვერიკომ ხელები, თითებით ქოჩორი დაუვარცხნა მერე ლოყა ლოყაზე მიადო; ეამა წამოზრდილი წვერის ჩხვლეტა... ვერიკოს ლოყა ცივი იყო, სასიამოვნოდ ცივი. მოუხდა სიციხიან კაცს.

არაფერს ამბობდა ფედია, ვერიკოს სიახლოვეც ჰყოფნიდა ყველაფერამდე..

არც ვერიკო იღებდა ხმას, იღიმებოდა და თან ცრემლები ჩამოსდიოდა... თავსასთუმალი აუმაღლა ავადმყოფს.

— ყველაფერი კარგად იქნება, ფედია. ოღონდ შენ იყავი კარგად.

— რატომ ტირი, ვერიკო?.. წინასწარ დამტირი?..

— აბა სად ვტირი!.. ცივი ქარია გა-

რეთ და თვალები ამიკრემლდა... ოღონდ შენ იყავი კარგად და ყველაფერი მოგვიარდება...

— ამაღამ სად წახვალ, ვერიკო? სად გაათევ დამეხს?..

— მე რა მიშავს, ფედია ოღონდ შენ იყავი კარგად...

ვერიკოს ახლა გაახსენდა, ვაშლი რომ ჰქონდა ფედიასათვის, ამოიღო და თითებით წმენდა დაუწყო...

— მე რად მინდა ვაშლი, ვერიკო, შენ გქონდეს...

ვერიკომ კოვზით მოაცილა ვაშლს კანი, გული ამოუფხვია ცოტათი და ფედიას ცხელ, დამსკდარ ტუჩებთან მიუტანა.

ავადმყოფს ეამა, ტუჩები ამოძრავა და ნერწყვივით გადაყლაპა ვაშლის წვენი; რაღაც გემო იგრძნო, ნაცნობი გემო...

— ამაღამ სად წახვალ, ვერიკო?.. დედაჩემთან მიდი. მე უკვე საქმენი არ კვაყარ მილიციას და არავინ ავაწიოკებთ...

— კარგი, ფედია დედაშენთან წავალ... ოღონდ შენ იყავი კარგად.

საოცრად დიდხანს, ძალიან დიდხანს ვაგრძელდა ვერიკოსა და ფედიას ცხოვრების ეს ბედნიერი სამიოდ წუთი.

ეს წუთები ჰგავდა მდინარის მერჩეზე ამოსულ იებს...

ვერიკო საავადმყოფოდან რომ წამოვიდა და ლამის სიბნელეში მიიშალა, მაშინ ამოუქდა გული, გზა იპოვა წვეთ-წვეთად დაგუბებულმა ცრემლმა და მწუხარებამ...

ტიროდა ვერიკო, ტიროდა ხმამაღლა. და იმ — ნოემბრის, ქარიან, უკუნ ლამის იქით არავის ესმოდა მისი ტირილი.

მე დღეს მომესმა ვერიკოს ტირილი იმ სიშორიდან და გული მტკიცა, ჩემო თოვლისა.

* * *

აქანყების დამარცხების ოცდამეთოთხმეტე დღეს — 1919 წლის 27 ნოე-

მბერს — საქართველოში არალეგალურად დაისტამბა რევოლუციური ფურცელი.

მე არ ვიცი გავრცელდა თუ არა ის ამასში.

ერთი ასეთი ფურცელი ჩემო თოვლისა, ცხონებული ბებიაშენის სკივრში აღმოჩნდა.

ნაბეჭდი ქაღალდის ცალ მხარესაა, ალბათ კედელზედაც აკრავდნენ.

ვნახოთ, ჩაუხედოთ:

რუსეთის კომუნისტური პარტია
(ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!

საქართველოს ყველა მუშებს, გლეხებს და ჯარსიკაცებს.

ყველას, ყველას, ყველას!

ამ ხ ა ნ ა გ ე ბ ო! ავაზაკების და ხალხის სისხლის მსმელ მენშევიკების გაზეთები („ერთობა“, „ბორბა“) საესეა ცნობებით ჩვენი ამხანაგების წამებაზე და დახვრეტა-ჩამოხრჩობაზე ჩონატურში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ფოთში, სამტრედიასში, ხაშურში, სურამში, გორში, ახალქალაქში, თბილისში, დუშეთში, სოხუმში და სხვ. და. სხვა. ურცხვად და ურიდებლად სწერენ: ამდენი და ამდენი კაცი ავაზაკ-მენშევიკების რაზმებმა აწამეს და დახვრიტეს; ამდენი და ამდენი კიდეც უნდა აწამონ და დახვრიტონო. დახვრეტის და წამების საქმე ავაზაკ-მენშევიკებმა მეტის მეტად გაამართივეს. რამდენიმე ჯალათი აფიცერი მიდიან დატყვევებულ ბოლშევიკებთან და ორიოდე კითხვის მიცემის შემდეგ გამოაქვთ იქავე სიკვდილით დასჯის განაჩენი

ამ დღეებში, სხვათა შორის, თბილისის საგუბერნიო ციხეში შეიჭრნენ ხუთი ჯალათი აფიცერი, გამოუძახეს ამხანაგ დ. ჯორბენაძეს, რომელიც ორ თვეზე მეტია, რაც დატყვევებულია მენშევიკ-ავაზაკების მიერ. ჯალათებმა

ორი კითხვა მისცეს თავის მსხვერპლს:

1) ბოლშევიკია იგი თუ არა 2) მიიღო მონაწილეობა თუ არა გლეხების აჯანყებაში. ამხანაგმა ჯორბენაძემ პირველ კითხვზე დადებითი პასუხი მისცა, ხოლო მეორეზე უარყოფითი, ვინაიდან აჯანყებები დაიწყო ერთი თვის შემდეგ მისი შეპყრობისა, და მას ფიზიკურად არ შეეძლო მათში მონაწილეობის მიღება. მაგრამ მენშევიკების ჯალათებმა ეს იგმარეს, საქმის გარჩევა დასრულებულად ჩასთვალეს და ჯორბენაძეს იქვე დახვრეტა მოუსაჯეს. შემდეგ თვითონვე მისცეს წინადადება შებრალება ეთხოვა თავის ჯალათებისთვის. ამხანაგმა ჯორბენაძემ მისცა მათ პასუხი, ღირსი ნამდვილი ხალხის მებრძოლისა და სოციალისტების:

მან უარი განაცხადა პატიებაზე და შებრალებაზე. ან რა უნდა ეპატიეხათ მისთვის? რისთვის უნდა ეთხოვა მას შებრალება? ხალხის ერთგული სამსახურისთვის? მუშების და გლეხების საქმის დაცვისათვის? ან. ჯორბენაძემ წამება და სიკვდილი ამჯობინა ხალხის სისხლის მსმელების და ჯალათების წინაშე შებრალების თხოვნას. ასე გმირულად კვდებიან ჩვენი ამხანაგები. ჯალათ მენშევიკებს გონიათ, რომ ასეთი მკვლელობებით ისინი აღმოფხვრიან საქართველოში რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობას. მაგრამ ერთი მოკლეული ამხანაგის ადვილას გაჩნდებიან ათეულები და ასეულები, რომლებიც მედგრად განაგრძობენ დახოცილ და წამებულ ამხანაგების საქმეს.

დახოცილ და წამებულ ამხანაგების მუშების და გლეხების უმანკო სისხლი ყელში დაადგებათ ნოე ქორდანისს, სილიბისტრო ჯიბლაძეს და ნოე რამიშვილს, როგორც ამ მკვლელობათა და წამებათა მეთაურებს. ჩვენ არ წამოვეგებით იმათ პროკავაციას. ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგებს განაგრძონ მუშაობა, ორგანიზაცია ძალების შესაჯავშირებლად. უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ მენშევიკების დღევანდელი

გამარჯვება ხალხზე და მუშების და გლეხების სისხლით დათრობა ეს მათი სამუდამო დასამარცხება და სიკვდილია.

სწავლა-განათლებამ თანდთან გაზარდა ინგილოთა სულიერი მოზოხენილება, ვინცა პირველი კულტურული თამეყურის კერები — კლუბები, სლავ ეწეობოდა საღამო-წარმოდგენები, მათში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოწეეები. 1872 წელს ქ. ზაქაიალიში გიმიოროა პირველი საციკო სანახაობა. „ეს თოფის გაეარდნის მსგავსი მოვლენა იყო“, წერს დ. ჯანაშვილი. ზალხს ძალიან მოსწონებია ჯამაზის ნომრები. ამ მხარელებას ორივე სარწმუნოების წარმომადგენლებმა დასწრებაიან („დროება“, 1872, № 112). მალე უკრადდება მიქცია სასკოლო თუ საზოგადოებრივად. საშხედრო პირი სტრუქტურა კახში სკოლაში გზავნიდა ქართულ წიგნებს („დრო

ება», 1876, № 14). 1894 წლის 219-ე ნომერში გამოქვეყნდა „ესთონის“ (ესთონი ესეველინიშია მ. ჟანაველისა) წერილი, რომელშიც საუბარია ი. ზეიციშვილის ოჯახში დაეცა სამეფოებზე. აქ ყოფილა „სახარება“ ვახტანგ მეფის დროსა, „პირველი ლოცვა“, „ქონდავი“, „ვერთხვენი“ და სხვა წიგნები.

1895 წლის 11 თებერვალს ზაქათალაში გაუშარავთ პირველი ქართული კონცერტი (ივერია, 1895, № 37).

საინგილოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიატაძრების აღწერალოხი და ისტორია იბეჭდება „ივერიაში“. 1895 წლის № 214-ში და ქანაშვილი იძლევა სრულ და დაწერილებით საუბარს ზენდების, წახარისა და ყუმის ეკლესიებზე. ზახთალას ძველი ეკლესიას ეგება ტ. ივანიცი. იაკობ ვოგუშაშვილის პატრიოტულ თაოსნობას ხაზგასმით აღნიშნავს ვაზეთი „ივერიაში“ (1897, № 209). იაკობმა და ქანაშვილს თავისი წიგნის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალაქი“ 20 ცალი გაუგზავნა. ამ წიგნებიდან „20 ცალი ვადალი ქრისტიანთა მამისაბლის ასეოთარაშვილს ინგილოელთა სოფელში დასარიგებულ და 10 ცალი კი ვაგრცლდაქაშვიც“.

1886 წელს აღიბეგლოში არსებობდა მშვენიერი ბიბლიოთეკა, კლები, სადაც სტეიდასხვა წარმოდგენებში იბეჭდნენ მონაწილეობას ოფიცრები. ქართველებსაც განუზრახავთ „გაყრის“ დადგმა, მაგრამ საბოლოოდ საქმე წამოდიდა („ივერია“, № 44).

1903 წლის 13 ივლისს ზაქათალაში ახალგაზრდებმა გაშარათეს საქველმოქმედო ქართული წარმოდგენა, წარმოადგინეს გ. ერისთავის „გაყრის“, ი. მამბლას „ანჯოკატი მელაჟე“ და ბოლოს ბავშვების გუნდმა ჩამდენივე სიმღერა შესარულა ქართულად და რუსულად („ივერია“, 1903, № 170).

„ივერიაში“ ანტიკიარული ნივთების აღმოჩენის შეზღუდვებისად ანუქებს. 1902 წლის 191-ე ნომერში არის ცნობა, რომ სოფ. კახში ზენის დროს აბოვეს ძველებური ანაწები; ისინი შეუძენია მღვდელ ნიკო ყულოშვილს, რომლის სიყვლილის შემდეგ მისმა მეუღლემ შესწირა წერაყობის გამავარცხლებელი საზოგადოების მუზეუმს.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება საინგილოში, მისი შედგომი სრულყოფი და გაძლიერება ყოველთვის აღელვებდათ განუყოფლად მესვეურთ, ამ კუთხის ინტელიგენციას. ისინი ცდილობდნენ მთელ საქართველოს ინტელიგენტულურ ძალებს გაეწია დახმარება ამ კუთხისათვის, საინგილოს მშრომელთათვის ხაზილეუბა მიეცათ შეეწყობათ მშობლიური ენა, კულტურა, ისტორია და თანამედროვე ცხოვრების ღერხელში საქართველოსთან ერთად ჩაბმულიყვნენ.

• • •

„ღრობმა“ და „ივერია“ ნაქმარე უფრადღობას აქევეენ ინგილოთა ჟანმარტოლოში დაუვის საყობიხებს. ამ ეუბნის ტორა და ფრინე მდიდარია მისი დაბერული ტყეები სიჯანსაღის მედმიფე წყაროთა. კამემა წყაროები და სუფთა მდინარეები ჰაეის ზომიერს ხდეს, მაგრამ საინგილოში ცალკეულ დაეადეგებეს მკეილად ჰქონდა გადგმული ფესვი და მათი მყურანალობა ხალხური მედიციის საშეაღებით ხდებოდა, რადგან არსად იყო საავადმყოფო, სოფლებში ექიმბაშები და მკითხავეები პარამაშობდნენ. 1877 წელს აქ განსაკუთრებით ვახშირდა სიკვდილოანობა. ამის გამო ზაქათალის მართის მურანაღმა ეიტოესკიმ „შოამბეში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღწერა ინგილოთა მიერ „თბილის“ სახელით ცნობილი დაავადება („ღრობმა“, № 37). თბილისთან ერთად საინგილოს გამოეცხადნენ „შხნელები“ — 5 კაცი ჟარაბილიდან და 3 სპარსელი, ვითომ ექიმები ვართო და ავადმყოფთა განკურნევა შეგვიძლიათ. მათმა წამლებმა ბევრი გლეხის ბავშვი იმსხვერპლა.

ზაქათალაში იმ დროს იყო ექიმი, მაგრამ ხალხს ჟერ კიდევ ძველი ექიმბაშების უფრო სჯეროდა. ვ. როსტომშვილი იწონებს იმ ინგილოთა საქციელს, რომელთაც ფული შეუფაროებივით ექიმის ზამოსაყენად („ღრობმა“, 1878, № 171).

„ღრობმა“ დაბეკდა ინფორმაცია საინგილოში საქონლის ჰირის შესახებ, რომელშიც დიდი ზიანი მოუტანა სოფლის მურერნობას. ჰირის მიზნად კი იქმარა ჰაეა დასახლებული (1878, № 205).

ამგვარად, ვაზეთები საედიციონო კომუტაციის ეწეოდნენ, ამავე დროს დაწერალებით აღწერდნენ საინგილოში ვაგრცლებულ რთულეში სენს. ცდილობდნენ წახალისებინათ გამოცდილი ექიმები, ბოლო ისინი, ვინც ახლები იყვნენ, დაეყუებინა მათთვის სწორ გზაზე, შეეყვარებინა თავისი პროფესია.

• • •

ქართული ენის ინგილოური დააღვტო ქართული ლექსისა და სინტაქსის ძირითად ბაზაზე განვიითარდა. მისი განსტავება ქართული საგან მხოლოდ ფონეტიკურ საფუძვლზე ემყარება. ეს განსტავებები არ შეიძლება არ შეემაწნათ მე-19 საუკუნის იმ მოღვაწეებს, რომლებმაც ბედმა საინგილოში საქმიანობა არგუნა და მართლაც. მათ პირველდ შეძლებისდაგვარად აღწერეს კიდევაც ეს თავისებურება ვაზ „ღრობისა“ და „ივერიაში“ უფრადღობაზე.

საინგილოს ტერიტორიაზე მრავალი ტომის წარმომადგენელი ცხოვრობდა მე-19 საუკუნეში, რასაც მოსდევდა ამ დილაქტის ლექსისათვის თავისებურებათა მრავალფეროვნება და ლიტერატურული ენიდან სულ უფრო და უფრო

გამიჯნა. მაგრამ ეს დასწრება ურთიერთ გავებას ზღვს არ უშლიდა. ინგილოური დიალექტის ენობრივი ნორმები მუდამ იყო გასაგები და ახლაც გასაგებია ქართული კაცისათვის.

ინგილოურის სხვადასხვა კილოვანის თავისებურების აღწერას პირველად ვხვდებით „დროების“ 1866 წლის 44-ე ნომერში: „ალიბეგლოლები ლაპარაკობდნენ უფრო წმინდად აქარებთ. სიტყვებს შემოკლებით წარმოსთქვენ. ძიას ნაცლად ზიას ამბობენ“. ამ დაკვირვებაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ დეზაფრიატიზაციის პროცესის ურთიერი ტენდენცია შენიშნული. აფრიატების გამარტივების ედა დღესაც მიმდინარეობს ალიბეგლოლა მეტყველებაში. შესაძლოა ეს პროცესი ლექური ენისა და ვიარემოს გავლენის შედეგია, რადგან ლექებს ძ არა აქვთ და წ-ის ხმარობენ.

კორესპონდენტები გამოყოფდნენ ზემო და ქვემო საინგილოს მეტყველებას: „ქვემო საინგილოში ისე არ არის დამახინჯებული ქართული ენა, როგორც ზემოში“ — წერს მ. ჯანაშვილი („დროება“, 1880, № 146). და აქვე უმატებს: „სიტყვების ბოლოს უმატებენ „ეე“ ნაწილას, როგორც ზემო რაჭულში“. „ეე“ ნაწილას კვლევა დღესდღეობით თითქმის მთლიანად დასრულებულია, მაგრამ საგულისხმოა, რომ მისი პირველი შემნიშვნელი მ. ჯანაშვილი იყო.

საინტერესოა ვინმე „წიწას“ შესწავლა ინგილოური დიალექტის ირგვლივ. იგი ამტკიცებს, რომ კაკია სწორი და არა კახი. კაკს — კახი რუგებმა უწოდესთ, თორემ ისტორიულად ამ ადგილს კაკი ეწოდებოდათ. „წიწა“ შენიშნავს სხვა თავისებურებებსაც: „ინგილოურ გრამატიკას არა აქვს ასოები ძ და ჯ. ამიტომაც ბიძის, ძიძის, ჯოჯოს, ქონის, ვარის მაგიერ ხმარობენ: ბიზის, ზიზის, ჯოჯოს, ქონის, ვარის, ხს მაგიერ ხმარობენ მაგარ ხს. ვე კომპლექსი ინგილოურში გვამღვეს ეი-სო: ყველი-ყეილი, გველი — ვეილა, კვერცი — კვერციხი. წმირია სიტყვათა ბოლოს დ დედა, მამა და ა. შ.

„წიწას“ ეს შენიშვნები ენათმეცნიერულ განყოფილებისა და ანალიზის ნიმუშად ვერ გამოყენება, მაგრამ დიალექტის აღწერით დახასიათება აქ უთუოდ არის მოყვებული („დროება“, 1883, 136).

საინტერესოა მ. ჯანაშვილის წერილის ზოგიერთი ფრაგმენტი, სადაც ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში განხილულია ინგილოურში არსებული სიტყვები და ტომონიშები („ივერია“, 1894 № 71, № 168). ავტორის შესწავლის საგანია საინგილოს მცხოვრებთა ორი სლაპარაკო ენა — აზერბაიჯანული და ქართული. მთურდელს წერილში ვკითხულობთ, საჭიროა საინგილოში ვეშველოთ ქართულ ენას, რადგან სოფლების — ყანდაბის, ვერხვიანისა და სხვა სოფლის მცხოვრებელი ნელნელა ავიწყდებოდათ „ივერია“ 1895, № 50). ენის ორთენტიციის საკითხს ეტება ნხოვეთის წერილი. ეს ავტორი მოითხოვს: „დროსა სამღველოებამ ისევე ისე მოავგაროს საქმე, რომ გასათხოვარის შხითვის სიაში, სხვათა სამკეთლთა შორის, თავდაპირველად პატრონები სწერდნენ ქართულს სახარებას და უკვდავს ვეფხისტყაოსანს“ („ივერია“, 1891, № 249).

„ივერიამ“ 1889 წლის 191, ნომერში გამოაქვეყნა ინგილოური იაენანა:

და, და, შეილო, და,
და, და, არილი, და,
კობტა, შეილო, და,
ზემო გულო და.

ამ ნაწყვეტშიც აშკარად თვალშესახებია ინგილოური დიალექტის სპეციფიკა.

„ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილი მცირე დიალექტური ნიმუშები მეცნიერული თვალსაზრისით არ არის ვანალიზებული, მაგრამ ჩვენს ყურადღებას იქცევს, როგორც საინგილოს მეტყველებებზე დაკვირვებისა და მისი გამოშვებების პირველი ცდები.

თეირანის ლიტერატურული შთაბეჭდილება

დღევანდელ ირანში თეირანს კვლავ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და იგი ტონის მიხედვით ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ამ უზარმაზარ, ევროპულ ყადაღე გაშენებულ აზიურ ქალაქში, რომლის მოსახლეობამაც უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ოთხ მილიონს მიაღწია, ძალუმაღლე ჩქვს დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი სიხლსავე ცხოვრება. თეირანში თითქმის მთელი მსოფლიოა წარმოდგენილი თავისი პოლიტიკური, კულტურული და სპორტული ცენტრებით.

ჩვენ შორს ვართ იმ განზრახვისაგან, რომ დღევანდელი თეირანის მრავალმხრივი ცხოვრება განვიხილოთ. ამის გაცემა ერთ წერილში შეუძლებელიც არის. ეს არის მხოლოდ ფრაგმენტული ვახსენება იმ ამბებისა, რომლის მომსწრეც ვახლდით ირანში უოფის დროს; შეითხველს მინდა ვაუზიარო ჩემი შთაბეჭდილებები თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრების ზოგიერთი თავისებურების შესახებ.

სპარსული ლექსი, ჩვეულებრივ, აღძრავს ხოლმე სინატიფება და დახვეწილობასთან დაკავშირებულ ასოციაციებს.

ახლანდელ უსებ ფერდღუსში, ჭაღალ ედ დინ რუმში, ახლ ორ რამზან ქამიშ — მესხეში, მათეში და საადიმ — ყაზალში, ომარ ხაიმამა — რამბაში, ონორიმ და ფარობიმ — ყაბა; დაშო სრულქმინდების მწვერტალებს მიაღწევს. მთი წყაღობით ირანს საყვედღითაოდ იქნა აღიარებული პოეზიისა და ლირიკის ქვეყანად. სპარსული სიტყვის ჭადოქრებმა სპარსული და მუღღივი ბინა დაიდეს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში და სპარსული ლექსი ყველა ღროის და ყველა ქვეყნის პოეტთა შთაგონების წყაროდ აქცეეს.

ირანელ კლასიკოს პოეტთა უკვდავი ქმნილებები თავისი დიდებითა და ელვარებით აჭაღოებენ შეთხვეულს და დღესაც განცვიფრებას და აღტაცებას იწვევენ მასში.

შესანიშნავ ტრადიციებზე აღზრდილი და ასეთი მდიდარი შემკვიდრების შქონე თანამედროვე ირანის მწერლობა რთული და პასუხსაგები ამოცანის წინაშე დადგა — ღირსეულად ეტარებინა თავისი სახელგანთქმული წინაპრის, კლასიკურის სპარსული პოეზიის შემკვიდრის საბატო სახელი და ასალი სხვი შეგებატრინა მშობლიური ლიტერატურისათვის.

ესე დრო, როცა სპარსელი შეთხვეულებისა და შეცნიერების ნაწილს ვერც კი წარმოედგინა, რომ კლასიკურის სპარსული ლიტერატურის გარდა, მათ რაიმე ააღლევებდა და დაინტერესებდა. ვითარება შეიცვალა. ახლა თანამედროვე სპარსულმა ლიტერატურამ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და მას მრავალი შეთხვეული და თაყვანისმცემელი მუყავს, როგორც ირანში, ისე მის უარგლებს გარეოაც და ეს შეიძლება ითქვას არა მარტო თანამედროვე მხატვრული პროზის, განსაკუთრებით ნოველის, არამედ თანამედროვე სპარსული ლექსის შესახებაც.

თანამედროვე სპარსულმა პოეზიამ მოგვცა გამოჩენილი პოეტების მთელი პლეადა, რომლებმაც შექმნეს დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებები; მათ შემოქმედებთაოდ ათვისეს კლასიკოსი პოეტების უმდიდრესი შემკვიდრება და, რაც მთავარია, შექმლეს ახალი თავისებური დამოკიდებულება მოცნაბთ ტრადიციული ფორმების მიმართ.

ამასთან დეკავშირებით უნდა გავიხსენოთ მოგამედ თავი ბამარი, მადლი ამ შორა, რომელიც ერთგული დარჩა სპარსული კლასიკური

ახალი ამოცანების გადაჭრას ცდილობს არა მარტო ნიკოდი ხერხებით, ტრადიციული ლიტერატურული ტანრების მომარჩევნით, არამედ ახალი გზების ძიებითაც.

სიახლეს სპარსული ლიტერატურისათვის წარმოადგენდა ისეთი ტანრების გაჩენა, როგორცაა რომანი და ნოველა.

ახლებური წერენ და ცდილობენ დაუბლოლონ თავისი პირობული ქმნილებების ენა უკეთესად აღიქვამაღად, სადღეუ ჰედაიათი, ბოლოჯ ალავი, სადღეუ ჩუბაქი, ჯალად აღი ამბადი, სახად ბეგრანჯი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისეთ მწერლებზე, როგორცაა მოჰამად ვეჯანი და აღი დაშთა, რომლებიც წერენ კლასიკური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მწერით.

თანამედროვე სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელია გახედული ძიებანი, სწრაფვა მონახოს პოეტურ მტკველებას ახალი ფორმები განახლების გზაზე შეხვედარი ახალგაზრდა სპარსული პოეზია ცდილობს უარი თქვას არწეს გაქვევებულ ნორმებზე და დანერგოს ლექსოწყობის ახალი კანონები, პოეტის ახალი პრინციპები.

სპარსულ პოეზიაში ახალი მიმდინარეობის, ე. წ. „შერე ნოუს“ ფუძემდებელია უდიდესი პოეტი და არანული ლიტერატურის თეორეტიკოსი ნიმა იუშიჯი. თავის ავტობიოგრაფიაში პოეტი წერს, რომ იგი წარმოშობით ქართველია და მისი წინაპრები რამდენიმე საუკუნის წინ ჩასულან ირანში I.

ნიმა იუშიჯის თეორიული შეხედულებები გადმოცემულია მის შრომებში „ორი წერელი“ და „გრძნობათა ფახეულობა“.

წიგნში „ორი წერელი“ არა მარტო გადმოცემულია ნიმა იუშიჯის ესთეტიკური შეხედულებანი, არამედ მას პრაქტიკული მიზანდასახულობაც გააჩნია, იგი არის „შერე ნოუს“ სკოლის მანიფესტი. ნიმა იუშიჯს მიაჩნია, რომ მსატყაობ-შემოქმედი თავის იდეებს უნდა გადმოსცემდეს გმირთა სახეების შექმნის საშუალებით და ნაკლებ ყურადღებას უნდა უთმობდეს ლექსტიკას.

ნიმას აზრით, პოეზიაში ვადამწვეტები მნიშვნელობა აქვს რიტმს, ამასთან, რიტმისა და არწესის ზომის თანადამხვევა აუცილებელი არ არის. რიტმი შინაარსს უნდა შეესატყვებოდეს. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლექსიკურ მასალას შერჩევის საქმეს. ნიმა იუშიჯს მიაჩნია, რომ ლექსის რიტმი უნდა უახლოვდებოდეს ჩვეულებრივი სასაუბრო მტკველების რიტმს.

თავის თეორიულ ნაშრომში ნიმა იუშიჯი

იხრძვის პოეტური ფორმის განახლებასათვის, თუმცა ეს მას ხელს არ უშლის დიდი პატრი-სცივიზმა და სუფარული მოვბროს კლასიკური შემოქმედებებისა.

განსაკუთრებით სინტერესოა ნიმა იუშიჯის გახსნარებული პოემა „ახსანე“, მისი პირველი პოეტური ნაწარმოები, რომლის შექმნის შემდეგაც სიცოცხლის ბოლომდე ნიმა იუშიჯი წერდა ნოვატორული სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებს.

არანულ სიახლეს წარმოადგენდა სპარსული პოეზიისათვის „ახსანეს“ ზოგერთი სტროფის ზომითა სხვადასხვაობა, თავისუფალი რითმითა და ლალოვებთ. პოემაში იგრძნობა ატორის მისწრაფება დაუბლოგოს პოეტური მტკველება უკეთესად აღიქვამაღად საღამაჩაკო ენის უკველივე ამან შემდგომი განვითარება პოვა თანამედროვე სპარსულ პოეზიაში და ამ ქმნით ნიმა იუშიჯს გამოუჩინდნენ მიმდევრები. თანამედროვე პროგრესული პოეტი, ირანის სასახლხო პარტიის „ოუდეს“ წევრი, მოჰამად აღი აფრამთე იცავს კლასიკური არწესის ნორმებს, მაგრამ ამასთანავე ორგანულად ჩართავს სოღმე თავის პოეტური ქმნილებების ლექსიკურ ქსოვილში პოლიტიკურ-საჯანთო ტერმინოლოკიას, გამოთქმებს, შოწოდებებს, ანდაზებს, ფრთიან სიტყვებს, ხატოვან თქმებს აფრამთის პოეტური სტილის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ოცტატურად ახერხებს გამოიყენოს ცოცხალი საღამაჩაკო ენის თავისებურებები და შესანიშნო თანამედროვე პოეზიის აქტუალობა, სასაუბრო მტკველებების ემოციური ტონლობის უშუალოება. ნიმა იუშიჯმა ახალი გზა გაუხსნა სპარსულ პოეზიას „შერე ნოუს“ ფუძემდებლისა და მამამთავრის ნიმა იუშიჯის შემოქმედებაზე და ესთეტიკურ შეხედულებებზე მნიშვნელოვანი წეგავლენა მოახდინა ცხოპულნიმ თავისუფალმა ლექსმა, მაგრამ ნიმას „შერე ნოუს“ და ვერლობის შორის ტოლობის ნიშნის დასმა შეეცდომა იქნება. ნიმა იუშიჯის „შერე ნოუს“ (ახალი ლექსი) დაფუძნებულია არწესზე და პრინციპულად განსხვავდება ვერლობისაგან. თითონ პოეტი აღნიშნავდა, რომ სპარსული ლექსი წარმოუდგენელია ზომის გარეშე, ამასთან, ნიმასა და მის მიმდევრებს აუცილებელია შინაით სპარსული პოეზიისათვის არწესის სისტემის სმარება, მაგრამ, მათი აზრით, ლექსიკურობის ეს სისტემა გამოყენებულ უნდა იქნეს შემოქმედებოად, ამიტომაც უწოდდა მტკად მოხდენილად თეოიანის უნივერსიტეტის პროფესორმა ფარვან ნათელ ხანლოარამ ნიმა იუშიჯის „შერე ნოუს“ (ახალი ლექსი) „არწესე ახად“ — „თავისუფალი არწესი“.

მართალია, ნიმა იუშიჯს არ შეუცვლია არწესი სხვა პოეტური სისტემით, მაგრამ მან უარი თქვა არწესის ძირითად მოახოვნაზე, კერძოდ, იზოსილაბიზმის პრინციპზე, ე. ი. დასა-

1. ირანის მწერალთა პირველი კონგრესის მასალები, თეირანი 1947, გვ. 52.

შეგებად მიიჩნევა სხვადასხვა წომის გამოყენების წესი. ლექსს რიტმულ საფუძვლად ნიმი უდებს არსულს გათვალისწინებულ რომელიმე წომის ტრეფს, მაგრამ ნიმი არ იცავს ლექსის სხვადასხვა სტრუქტურებში ტრეფების თანხარა რაოდენობის კანონს, პოეტი გადამწყვეტ მნიშვნელობას რიტმს ანიჭებს, რასაც ვერ ვიტყვიით რითმის შესახებ.

ნიმი იუშვება მკაფიოდ ჩამოყალიბდა თავისი მიზანი, სპარსულ პოეზიაში ახალი სტილის შემოტანის საქმეობა. იგი წერდა: „თავისუფალი ლექსის დანიშნულებია დაეკავოდეს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებთან. მე მესმის, რომ იგი არ გამოდგება ღვინის, პურისა-დარბაზობისა და სიმღედრის სადღეობად. მე ავიტ ვტყუბოდ დელო ლექსიწყობით, მისი მდლოდოურობით და ჩემთვის კლასიკური წომის გამოყენებით არა ურთი ლექსი შემოსწავს.

მაგრამ ამ მიზნით, რომ საღეს სადა, უბრალო, ბუნებრივი ენით გრძნობები გაუღვიძო, გადაწყვეტე ახალი სტილი გამოიყენებადნიდა. ეს ხომ იმად პოეზიის ერთ-ერთი სახეა, მისი ლექსით წომები იმად არუბს პარმეციებზე დაფუძნებული. მაგრამ მე მსურს, რომ არუბის მტრად კი არ ხელმწიფობდეს ჩვენზე, არამედ ჩვენ ჩვენი ვაწყობისა და გრძნობების შესაბამისად ვბატონობდეთ მასზე.

...ახალ პოეზიაში შეიცვალა მეთოდი, მან აიძულა ლექსი შეიცვალა თავისი წომა, რათა წომი დამორჩილებოდა აზრს და არა პირუკუ — აზრი წომას“.

ესი დრო, როცა ირანელი პოეტები და ლიტერატურათმცოდნეები ცდილობდნენ ეს ახალი იდეა დაეყვანათ ლექსის წმინდა ფორმალურ რეფორმას და ესე წარმოდგინათ საქმის ვითარება, თითქმის ეს ეჭვბოლეს მხოლოდ წომისა და რითმის თავისუფლად გამოყენების საკითხს.

უფრო მეტიც: ესი ცდები, რომ სახელი გავტეხათ „შერე ნოუს“ მიმდევრებისათვის, ამის მიღწევას ლამობდნენ სეთი გზით: უნდადლო უაზრობამდე დაეყვანათ ტრადიციული ლექსიწყობის დარღვევის არსი. ამ მიზნით უარყოფილ იქნა ლექსში ნებისმიერი სისტემის დაცვის აუცილებლობა; უფიქრად ეს მოწოდებულ იყო შემდეგი დოქტრინით: „არავითარი წომი, არავითარი რითმი“.

ამჟამად „შერე ნოუს“ მისი საუკეთესო წარმომადგენლების წყალობით ფესვი გაიღვა და თავისი ჰეივლი ადგილი დაიკავა თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ირანის ლიტერატურულ წრეებში თანდათანობით განმტკიცდა აზრი, რომ „შერე ნოუს“ (ახალი ლექსი) შემთხვევითი მოვლენა არ არის, არც მხოლოდ აყალიბდ ლიტერატურათმცოდნეობის

ფაქტობობია, არამედ უფრადსადები ფაქტია, ნოვოტრობია, ვარდელი ინტერესის შესაბამისად „შერე ნოუს“ მეტ უფრადლებას, უმომბენ და ცდლობენ შეიცონ მისი ბუნება, მისი ხასიათი.

ირანელ პოეტებს შორის, რომლებიც წერენ, „შერე ნოუს“ სტილში, გამოირჩევიან ახმად შამლუ, ქესრაი, საიდ, ფორუდ ფაროხზადი, ნადერ ნადერფურდი, მონარმანდი, მოშირა და სხვები. მათმა ნაწარმოებებმა აღიარება მოიპოვეს ირანში; განსაკუთრებით უფრადსადებია ეს ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული პოეტების წვლილს თანამედროვე სპარსული პოეზიის განვითარების საქმეში ხაზი გაუსვა თვალანონო პოეტმა, ტრადიციული სტილის მომხრემ, შაჰარამა თავის საუბარში ვაზეთ „ეთელაასი“ კორესპონდენტთან.

უკანასკნელ წლებში ირანში მეტი უფრადლება ეთობა „შერე ნოუს“. დანისამა წერს: „ღვინი, წიგნები, რომლებშიც ირანელი მკვლევარები ცდლობენ მეცნიერულად გაიზრონ თანამედროვე სპარსული პოეზიის ეს ახალი მიმართულება, რომელიც თანდათანობით მომავრდა და მოიპოვა უფლები ტრადიციული ლექსის ვერლით. ვანუხრედად იზრდება სპარსულ პოეტთა რიცხვი, რომლებიც თავის ნაწარმოებებს ახალი სტილით ქმნიან. გამოდის ლექსებიც, სადაც ცალკეულ პოეტთა შემოქმედებამა წარმოადგენილი და სპეციალური კრებულებიც, როგორცაა, მაგალითად „ახალი ლექსის ნიმუშები“. დღითიდღე იზრდება „შერე ნოუს“ პოპულარობა ირანში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულების პოეტებს მშვიდი, უზრუნველი ცხოვრების დეობა დაუდვათ. მათ კიდევ დიდი მძიმეობები აქვთ გადახატანი. „შერე ნოუს“ ირანში ახლაც ბევრა მოწინააღმდეგე ბუავს, რომლებიც მის კანონგარეშე გამოცხადებს მოთხოვერ.

ღუაწლომისობმა ირანელმა ლიტერატურათმცოდნემ, თიერანის ნაციონალური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, დოქტორ რადი დერახშიმ, 1988 წლის ნოემბერში ირანის პოეზიის კონგრესზე წაიკითხა მოხატუნება „თანამედროვე ირანის პოეზია“, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლში ვაატარა „შერე ნოუს“, ეს ახალი მიმდინარეობა სპარსული პოეზიისა.

რასაკვირველია, „შერე ნოუსა“ და მის ფუძემდებელს, ნიმი იუშეხს, არ აჯლია არც მომხრეობი და არც თავანისციემლები ირანში. პოეტმა ომიდმა გამოატყუენა წერლიი სათაურობით: „ნამა კაცური კაცი იყო“. ამ წერლის ავტორს ნიმი იუშეხი ცამდე აჰყავს და მის მეოცე საუკუნის სპარსული ლიტერატურის კლასიკოსად მიიჩნევს.

„შერე ნოუს“ აკრიტიკებენ თანამედროვე სპარსული პოეზიის კიდევ ერთი მიმართული-

ბის, სახელდობრ, „მოუქე ნოუს“ (ახალი ტალღის) წარმომადგენლები — ჰუმანგ ირანი, რენა ახმადი და სხვები.

სიურრეალიზმის პლატფორმაზე მდგომი „ახალი ტალღის“ წარმომადგენლები ხელაღებით უარყოფენ არსულის სისტემას და ირწმუნებიან, რომ „შერე ნოუს“, ისევე, როგორც კლასიკურ სპარსულ პოეტებს, არ ძალუჭს თანამედროვე ცხოვრების მარტყვისას ახსვა.

ირანში ჭრე კიდევ არ განვლულა და კვლავ ვრძელდება კამათი და დისკუსიები „შერე ნოუს“, მისი პრისი, ამ მიმდინარეობის მომხრე პოეტების შემოქმედების განხილვა. აღნიშნული პრობლემებისადმი მიძღვნილი პრეტო სეროიზული გამოკვლევა და ნაშრომი, რომლებიც ეყუთვნის სხეთ გამოწველი ირანულ ლიტერატურათმცოდნეებს, როგორცია უარვან სათელ ზანლიარი, აბულფაჰმე ჭანათი ათაი, რენა ბარაჰანი, აბდოლ აღლი დახათეები და სხვ.

უოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა, რომ „შერე ნოუს“, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში თავისი ადგილი დამკვიდარა.

პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს კვლავ დაუდაგათ მძიმე დღეები, ზოგი მათგანი კვლავ ემიგრაციაშია. ახალგაზრდა მწერალმა ფერიდუნ თანეკობანიმ სცადა გაეკრიტიკებინა შაჰი და ე. წ. „თერთი რეკლუციის“ სახით წარმოდგენილი მისი რეფორმები. ამის გამო მწერალი თანეკობანი დააპატიმრეს. 1974 წელს სიკვდილით დასაჯეს პოეტ ვალეზორხი, ხამხედრო ტრინფუნალის საზრალმდებელი დასკენაში ეწერა, რომ პოეტს ზრალდ ედებოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდა. პოეტი ვალეზორხი არ იყო ირანის სახალხო პარტიის „თუდეს“ წევრი, მაგრამ იმერაილიზმისა და რეპრესიის უღლისაგან მშობლიური ერის განთავისუფლებისათვის ზრქოლის დოგვამ იგი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის აღიარებამდე მიიყვანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ირანელი ლიტერატურათმცოდნეების კვლევის არეში იშვიათად ხვდება შემოქმედება იმ მწერლებისა და პოეტებისა, რომლებიც პროგრესული და დემოკრატიული იდეებისათვის ზრქოლის გზას დაადგენ.

ირანში გამოცემული სპარსული ლიტერატურის ისტორიებისა და ანთოლოგიების ავტორებს დემოკრატი პოეტების, მწერლების, მათი შემოქმედების მიმართ ტენდენციურობას აშედავენები. ისეთი ლექსები ან მოთხრობები, რომლებიც გამოირჩევიან პოლიტიკური სიმახვილით, ანთოლოგიებში არ შეაქეთ და ამ ნაწა-

რმოებების ავტორებს, როგორც წესი, არც ახსენებენ: უყრეთეს შემთხვევაში კმაყოფილდებიან ძღწეი, არაფრის მოქმელო ცნობების, რომელთა მისედელი თოქმის შემუშვების მქონხველს ნათელი წარმოდგენა შეეჭმანს ზემოხსენებულ ლიტერატურთა შემოქმედებით გზასა და მხატვრულ თავისებურებებზე.

თერანში ადგილობრივ მწერლებს და პოეტებს აქეთ თავისი ასოციაცია „ანქონანე უალიში“, სადაც იკრიბებიან ირანელი ავტორები, კისხულობენ თავის ნაწარმოებებს, ხდება აზროთა გაკვლა-გამოკვლა, ეწყობა დისკუსიები. ერთუზონაში დიდაა, მაგრამ მატერიალური ბაზის უქონლობის გამო ხშირად ხელმოკლეობას განიცდიან.

ეს არის „ფენქლანის“ ტიპის გაერთიანება. იგი შეიქმნა 1962 წელს და მისი პირველი პრეზიდენტი იყო თერანის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი მოსტეფე მამორუდი.

ამჟამად თერანში თორმეტამდე ლიტერატურული საზოგადოებაა, მათ შორის: ზაფუნის სახელობისა, რომელსაც სათავეში უდგას ზაბიხოლა მალეფურტი, საადის სახელობის (თავმჯდომარე აღნან მანარაი), ნინაზის სახელობისა (თავმჯდომარე ვაჰიდზადე დასთერქლი), „ირანულ ჭალით ასოციაცია“ (მეთაურობს ჭინი აღამთაჰ ზამარა), „მოუღლის ლიტერატურული ასოციაცია“, რომელიც დაფუძნებული იყო ირან-თურქეთის კულტურული საზოგადოების მიერ.

უველაზე დიდი ლიტერატურული საზოგადოებაა „ირანი“, რომელიც დაარსდა 1946 წელს. მისი პრეზიდენტი იყო მალეჰ ამ შოარა ბაჰარი, ზოლო ამჟამად ამ საზოგადოებას სათავეში უდგას მოამად აღლი ნანესი და მასში გაერთიანებულიან აირან ირანის შეცნეირებაა ავადმეის „ფარმანგებთანის“ წევრები, გამოჩენილი ლიტერატორები.

მხატვრული ნაწარმოებები, კრიტიკული წერილები, მიმოხილვები, ესეები იბეჭდება სხეთ ცნობად ლიტერატურულ-მხატვრულ და სამეცნიერო გამოცემებში, როგორცია „სოხან“, „იაღმა“, „ირანშაჰეი ქეობა“, აგრეთვე ახალ ეურნალებში „ჟაჰად“, „თალიში“ და სხვ. ზოლო რაც შეეხება სხეთ პოპულარულ, ილუსტრირებულ ეურნალებს, როგორცია „თეშარა შე მოსავარ“, „როლან ფეჰრ“, „სეფიდლისაჰ“, „ბანუჟანე ირანი“, აქ წარმოდგენილია როგორც სპარსული, ასევე უცხო ენებიდან ნათარგმნი ნაწარმოებები. ხშირად ზემოხსენებული ეურნალების ფურცლებზე გავხდება რუბრიკა „მრგვალე მაგილა“ — საუბრები შეცნეირებთან, პოეტებთან, მწერლებთან.

ადვილი წარმოსადგენია, რა სიამოვნებასა და სიხარულს განიცდის ადამიანი, როცა იგი უცხო ქალაქში მოულოდნელად ნაცნობს შეხე-

დება. ასეთი ვარსკვლავი დაშვებულია, როცა თერმანის უნივერსიტეტის კვარტალში შაბრეზაზე წიგნების თვალყურისმდევნიანების შემაჯავებელი წიგნები დასრულდა გამოცემული დიდი რაოდენობის წიგნები ჩამოსხმულ ნივთიერებაში დასრულების „რეზიდიუმი“ და ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მეს“.

იქნებოდა წიგნის დიდი სიყვარულითა და პატრიოტული ნივთიერებით. ამ კვლევაში წიგნების მარჯობის საქმეზე ფართო კვლევა. ასევე მერტა წიგნის მარჯობა მარტო თერმანში.

საბჭოთა ლიტერატურის გავრცელების საქმის ირანში ემსახურება წიგნით მოვლული რამდენიმე ფორმა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია „გვრდები“. იგი არა მარტო საკვარო ორგანიზაციაა, არამედ წიგნების გამოცემითაც არის დასაქმებული.

ირანში გამოცემის რუხი და საბჭოთა მწერლებს არა ერთი ნაწარმოები. მთავალით, გოგოლის „ტარას ბუღა“, ჩეხოვის „ქალი ძაღლი“, კოროლენკოს „ბრმა მუსიკოსი“, ტოლსტოის, პუშკინის, გოგოლის, ტურგენევის ნაწარმოებები, ჩ. აიტმატოვის „ქაშილი“, ვ. შარვაშის „სტაროივა“ და სხვ.

თერმანის უმაღლესი სასწავლებლებში რამდენჯერმე მოეწყო საბჭოთა ტექნიკური ლიტერატურის გამოფენები.

ირანი წელიწადში ოთხი ათასი სახელწოდების წიგნს უშვებს, მაგრამ წიგნის სიძვირის გამო ირანელი მკითხველი ფართო საზოგადოებისათვის ხელშეწყობილი არ არის. თუმცა უკანასკნელ ხანებში გამოცემულია მრავალი „ამირე ქაბირი“, „ქეიხანე“ და „დრანკლინი“ დაიწყეს ე. წ. „ქაბირი წიგნების“ გამოცემა, რომლებიც შედარებით ახალი ღირს.

ირანის გამოცემის მთავარი დასაქმებული წიგნების პროდუქცია წელიწადში ორი მილიონი ექვსმლარია (სახელმძღვანელობის გარდა). მცირე ტირაჟით იბეჭდება საბჭოთა ლიტერატურა, იგი არ აღემატება ათას ეკვემლარს, ხანმოკლე, დიდი ტირაჟით გამოდის პუბლიკური ლიტერატურა. ირანის გამოცემის მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რელიგიური ლიტერატურას, რომელსაც ხელახლა გამოცემენ ათქრ და უფრო მეტად კლასიკური ხასისული ლიტერატურის ნიმუშები გამოდის ათასი ექვსმლარის ტირაჟით. განსაკუთრებით მშობრად გამოდის ხაიამის, შატრუპისა და საადის ნაწარმოებები.

რაც შეეხება თარგმნით ლიტერატურას, იგი გამოდის ძალიან მცირე ტირაჟით (ორი ან ომეოთხედი სამი ათასი ექვსმლარის).

ირანში ამჟამად ას ორმოცამდე საგამომცემლო ფირმაა, ამათგან უმრავლესობა ძალიან პატარა გამოცემისაა, რომლებიც წელიწადში მხოლოდ ხუთი დასახელების წიგნს უშვებენ.

1968 წლის ბოლოს თერმანში ჩატარდა სე-

მინარი, რომელიც მიეძღვნა ირანის საგამომცემლო საქმიანობის განვითარების პრობლემებს. ერთ-ერთი სოლიდური გამოცემის მუშაობის ამირე ქაბირის“ დირექტორმა ილაჰბაგმა იმ სამინისტრზე, რომელიც სვდება წიგნის გავრცელების საქმის ირანში, სახელდობრ, მან აღნიშნა, რომ ამჟამად ირანშია ტირაჟით გამოცემული წიგნების სამ წელიწადში გასაღები ნაწარმები დიდ წარმატებად ითვლება.

ირანის საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას აფერხებს პროდუქციის ბაზის სუსტად და დაქსაქსულობა, მკითხველი საზოგადოების სიმცირე, რაც თავისთავად განაპირობებულობს ადგილობრივი მისაღებობის დაბალი მატრიცალური და კულტურული დონით, მიუხედავად იმისა, რომ ირანში უწინველობის ბრძოლა გამოუცხადეს და ამ მიმართულებით ფართოდ გაიშალა მუშაობა. ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ცხოვრებაში გეტარებისა დიდი როლი დაეკისრა ამ მიზნით შექმნილ ე. წ. „განათლების კორპუსს“.

როგორც თვით ირანელები აღნიშნავენ, წერა-კითხვის უცოდინანობის დივიდაცია წარმოშობს მკითხველთა ახალ ფენებს, რომელთათვის უნდა შეიქმნას ახალი წიგნები. ამ მიზნით ირანის განათლების სამინისტრომ ამასწინათ ორმოცდაათი ათასიანი ტირაჟით გამოუშვა ამდგვარი წიგნების თორმეტი ტომი, კერძოდ, „არქეოლოგიური მუზეუმი“, „თერმან რევოლუციის ათი წლისთავი“, „ირანის მეტალურგიული მრეწველობა“, „ირანის ობორობა და უკუღრება“ და ა. შ. ე. წ. წიგნები-დაწერისა უბრალო, გასაგებ ენით და მათი ძირითადი დანიშნულებაა დაწვრილებითი და ღრმა ასწავლანობის გზით ვაგვრცელონ „თერთა რევოლუციის“ იდეები იმ ადამიანებში, ვინც წერა-კითხვა ახლანაღს იწყებდა.

უკანასკნელ ხანებში ირანელი ბიბლიოგრაფიის საქმეში გაკვეთული წარმატებები მიღწეული ასე, მთავალით, ირანელ მკითხველს ცალკე გამოცემების სახით აწვდიან „ერთეულ კეთილს“ (წიგნების მიმოხილვას), რომელშიც ახლად გამოცემული მატერიალი ნაწარმოებების მიმოხილვა მოცემული. 1958 წლიდან რეგულარულად გამოდის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ეურნალი „რამაშივე ქეთაბ“ (წიგნების საშეაროში), მაგრამ, მიუხედავად იმისა, ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაქმებული, რასაც გულისტყვილით აღნიშნავენ თვით ირანელები.

ირანში დღემდე არ არსებობს ე. წ. პუბლიკური ექვსმლარის წესი და ამიტომაც ამ კვლევაში გამოცემული ლიტერატურული პროდუქცია მთლიანად არ ხდება ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში, რის გამოც შეუძლებელი ხდება შედგენილ იქნეს სრული, ამოწმ-

რავი ანგარიში გამოხუთი ნაბეჭდი პროდუქცი-
ისა.

აღმათ აშინ განაპირობა, რომ ირანში სის-
ტემატური ხანიათი არა აქვს წიგნის შატიანის
გამოშვების საქმეს. ამას ისიც ეშატება, რომ
ერთადერთი კრიტაკულ-მინლიოგრაფიული ჟუ-
რნალის „რამნამედი ქუთაბ“-ის ფურცლებზე,
რომელიც მცირე ფორმატისაა, ზედება ლიტე-
რატურული პროდუქციის მხოლოდ ნაწილი და
ისიც შერჩევით.

აღვილი წარმოსადგენია, რა სირთულეების
წინაშე დგება მკითხველი, განსაკუთრებით კი
უცხოელი. ამ დროს იგი თავისი ინტუიციის

ანაბარა რჩება ან, თუ ბედმა გაუღიმა, შეიძ-
ლება შეხედეს საქმეში ჩაზედულ განმარტებს,
რომლებთანაც პირად საუბარში უკუნიტყვიან
ქვედა:

თერანიდან საქართველოში ჩამოტანილ
პარსულ წიგნებს შორის რამდენიმე განსაკუ-
თრებით ძვირფასია ჩემთვის. ერთ-ერთ მათ-
განზე ავტორის ხელით გაუღიბილი წარწერაა
გაერთებული, რომელიც მასხენებს ხოლმე ჩემს
შეხვედრებს თერანში გამოჩენილ მეცნიერ-
თან, სენატორთან, პოეტთან, ფირდოუსის
პრემიის ლაურეატთან, საბჭოთა ლიტერატურის
დიდ მეგობართან ფარვიზ ნათელ ხანლიარის-
თან.



ნაშრომი ქართულ დიპლომატია

ახლანდელ გამოცემულმა „მეცნიერებათა“ გამოსცა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. აკოფაშვილის მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია თვალსაჩინო ქართველი პოლტიკოს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკოფორე ირბახის) ცხოვრება და საქმიანობა.

ნიკოლოზ ირბახიძე-ჩოლოყაშვილი კარგად ცნობილი პირი იქნება XVII საუკუნის საქართველოს ისტორიაში. სტეფანო პაოლინისთან ერთად მან შეადგინა ქართული-იტალიური ლექსიკონი, რომელიც 1629 წელს დაისტამბა რომში და პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნად ითვლება. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი საქმარისი იქნებოდა მისი სახელის უცვლადსაყოფად მშობელი ერის ისტორიაში, მაგრამ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს სამხატვრო და დამაფასებელი სხვა წილიც ჰქონდა მიუძღვის.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა მიზნად დაისახა სრულად შეესწავლა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა და პოპულარული ენით მოეთხრო იგი ფართო მკითხველისათვის. მან თავი მოუყარა ნიკოლოზის შესახებ არსებულ ყველა ცნობას, ისტორიული წყაროებისა და საეკლესიო ლიტერატურის კრიტიკული განხილვის საფუძველზე, გარკვეულ შემთხვევებში მათი ახლებური ინტერპრეტაციით, ავტორმა წარმოადგინა მონოგრაფია, რომელიც ისტორიულ-მეოგრაფიული ენის ნაწარმოების კარგ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა, მისი სხვადასხვა მხარე კარგადაა მკვლევართა უზრაღებლად იქცეეს. სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა საგანგებოდ ვანილობა ა. ცაგარლის, მ. თამარაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ე. თაყაიშვილის, გ. წერეთლის, დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის, გ. კეკელიძის; ე. შატერველიას და ა. ჩიქოვას ნაშრომები, რომლებიც ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს შეეხებოდა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ქართველ ფეოდალთა კარგად ცნობილ ვეფხისტყაოსნისა და თავისი დროისათვის მიწინავე და განათლებულ ოჯახის შვილი იყო. საგანგებო პარაგრაფში ავტორი შეეხება ჩოლოყაშვილის ვეფხისტყაოსნის დროსა და პირობებს, ნიკოლოზ

ზის შრომებს, მათ საქმიანობას კახეთის საეფუო კარზე, თვით ნიკოლოზის ცხოვრების აღრეულ წლებს. ნიკოლოზმა განათლება რომში მიიღო, მართლმადიდებლურ ბერძნულ სკოლაში. აქვე შეისწავლა ენები, რომლებიც აღმშენებელი ნიკოლოზი ბერად და წესისამებრ ერისკაცობის სახელი ნიკოფორედ შეუცვლია. 1608 წლის ახლო ხანებში ნიკოლოზი საქართველოში დაბრუნებულა და კახეთის სამეფო კარზე დაუწყია მოღვაწეობა.

საქართველოს ამ დროისათვის მეტად უკირდა. ირან-ოსმალეთის აგრესია, განსაკუთრებით კი შამ აბას პირველის გამანადგურებელი შემოსევები უღიდეს ზიანს აყენებდნენ ფეოდალურ ეკონომიკას, ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს. მოკავშირის ანდა თუნდაც შინაურად მხარდამჭერი ძლიერი სახელმწიფოს ძიებაში თემურაზ მეფემ გადაწყვიტა ფეოდალთა კლასებისათვის შეემართა* (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 30). 1626 წელს თემურაზ I ფეოდალთა კლასებში ელზად გაგზავნა ნიკოლოზ-ნიკოფორე ჩოლოყაშვილი. სარეცენზიო ნაშრომის ავტორს გამოკვლეული აქვს ამ ელზობის მიზნები და ამოცანები, რომლებიც საქართველოს კონკრეტული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდნენ. შესწავლილია თვით რომის კათოლიკური ეკლესიის მიზანდასახულებაც საქართველოს მიმართ. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ვრცლად ეხება თვით ელზობის მიმდინარეობას, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის საქმიანობას რომში, ესპანეთში, ფერობის სხვა ქვეყნებში, სადაც მას უფროდ მოუხდა, ამავე პერიოდს განეკუთვნება ნიკოლოზის შემოქმედება ქართული-იტალიური ლექსიკონზე (სტეფანო პაოლინისთან ერთად).

საქართველოში დაბრუნების შემდგომაც (1629 წ.) ნიკოლოზი აქტიურად მოღვაწეობდა პოლიტიკურ ასპარეზზე. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისიონერებს, მიმწერას აწარმოებს ეკლესიასთან. ქართლში რისტომის გაქვების შემდგომ ნიკოლოზი კარგანთს იღიშა მკვიდრდება ლევან II დადიანის კარზე და აქ საქმით გაეღწია და პოლიტიკური ავტორიტეტით სარგებლობდა. ნიკოლოზის უშუალოდ ჩაბრუნებით ქართლში კათოლიკური მისიონერიზმი გადაიტანეს, სადაც მისიონერება საკმაოდ დიდხანს და ნაყოფიერად მოღვაწეობდა. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი კარგად შენიშნავს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის პოლი-

გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკოფორე ირბახი, სამეცნიერო-პოპულარული ნაკრები, თბილისი, 1972.

ტიკორ პრინციპს: „ვერობა თავის კათოლიკურ სარწმუნოებით წინააღმდეგობაში არ არის ქართველობასთან... და თუ რამ სარგებლობა შეუძლია მის მოუტანოს ქვეყანას, ამდენად არ უნდა იქნეს მისი დახმარება ევლუციურ-ყოფილი; სამიში საქართველოსათვის მსოლოდ მაკამდიანერო ავტობია“ (გვ. 56).

1642 წლის მიწურულს თუ 1643 წლის დასაწყისში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იდიმიდან იერუსალიმს გაემგზავრა. აქ მან 1649 წლამდე დასკო ჯვარის მამად, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვრად. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი მიმოიხილავს ჯვარის მონასტრის, ქართული ეკლტერის ამ მნიშვნელოვანი კერის ისტორიას. განსაკუთრებული ყურადღება, ბუნებრივია ეძლევა ნიკოლოზ-ნიოფორის მოღვაწეობას იერუსალიმში, კერძოდ კი მის საღმრთებლო-სარეცენზიო მუშაობას. იერუსალიმში ნიკოლოზს დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭვს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მისი კანდიდატურა იერუსალიმის პატრიარქის ბოსტზე იყო წამოყენებული.

1650 წლისათვის ნიკოლოზი საქართველოში დაბრუნდა და კვლავ ენერგიულად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში, იგი მონაწილეა თითქმის ყველა მოლაპარაკებისა, რომელსაც აწარმოებენ თემურაზ I, იმერეთის მეფე ალექსანდრე II, ლევან II დადიანი. საქართველოს დამუცამებელთა პერიოდში ნიკოლოზი კუმარითად ზოგად-ქართული მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწედ გვევლინება, რომლისთვისაც თანაბრად მახლობელია სხვადასხვა ქართულ სახელმწიფოებრაც ერთეულთა ინტერესები.

ყვე მოხუცებული მოღვაწე ლევან II დადიანს დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად დაუდგენია. ამ პოსტზე ნიკოლოზი დიდახსნ არ ყოფილა. ლევანის გარდაცვალების შემდგომ, ვამეყ დადიანს იგი გადაუყენებია. ნიკოლოზი გარდაიცვალა დაახლოებით 1658 წელს, როგორც ჩანს საკურობილში.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ლეწლი კარგად ესმოდათ როგორც მის თანამდროევება, ისე შემდგენთ თათბებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზს გულთბილად ისვენებენ არაქართველებიც, იტალიელი მისიონერები, რომელთათვისაც „პატრი ნიკოლო“ აღლობელი და მეტად პატივსაცემი ადამიანი იყო. „განაოლებული, ფართოდ განსწავლული ადამიანი, კვიანი და გამოცდილი დიპლომატი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და ამასთანავე მხურვალე მამულიშვილი... ასეთად წარმოვიდგება ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, მისი მრავალმხრივი და შინაარსიანი მოღვაწეობა და ამ მოღვაწეობის ძირითადი მამოძრავებელი მიზანი“ (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 78). სარეცენზიო ნაშრომის ამ მეტად მოკლე მი-

მოხილვადანაც ჩანს, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის რა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება ავტორი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობასთან კავშირში. ცხადია, ამ ნაშრომს სათანადო პერიოდის საქართველოს ისტორიის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუღვს.

სარეცენზიო ნაშრომი, საწმუბაროდ არაა დაზღვეული ცალკეული ფაქტობრივი უზუსტობებისა და სხვა სახის ხარვეზებისაგან.

მე-11 გვ. აღნიშნულია, რომ მ. თამარაშვილის ნაშრომი „საქართველოს ეკლესია დასამიდან დღემდე“ (ფრანგულ ენაზე გამოიცა რომში) გამოქვეყნდა 1907 წ. უნდა იყოს 1910 წ.

მე-19 გვ. ავტორი მუხრანბატონ ბერატს, ქსნის ერისთავსა და ამილახვარს, რომლებიც დიდი რაზმით კახეთს ჩავიდნენ ტახტის შემკვიდრე ლევანის შესაყრობად, „მსტოვებებს“ უწოდებს. ცხადია, დასახელებული პირების ამგვარი კვალიფიკაცია არაა სწორია.

მე-20-21 გვ. ავტორი უკრიტიკოდ იმეორებს კათოლიკე მისიონერის ცნობას, თითქმის ნიკოლოზის შამას, ომან ჩოლოყაშვილს 90.000 ირანული ჯარისკაცი გაეწყვიტოს.

34-ე გვ. აღნიშნულია, რომ 1622 წ. პაპმა გრაგოლ XV ვატიკანთან დააარსა კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაცია. აღნიშნული კონგრეგაცია („პროპაგანდა ლე“) დააარსა პაპმა პიუს V 1568 წელს, იფუიტების ორდენის გენერლის ფრანცისკო ბორჯაას რჩევით (იხ. ი. ლაერეკი, ვატიკანი, მოსკოვი, 1957, გვ. 63, რუსულ ენაზე).

46-ე გვ. აღნიშნულია: „22 აგვისტოს ერთ-ერთი მოხელე, ფრანჩესკო ინგოლი, წერატობით მიმართავს მისიონერ შამპოლის — მისწეროს ნეაპოლის ვიცე-მეფეს ნენციოს, რათა იგი სათანადოდ მოემზადოს ნიოფორე ირბანის მისაღებად“. წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით ექმნება „შთაბეჭდილება, თითქმის „ნენციო“ ნეაპოლის ვიცე-მეფის სხელია ცხადია, „ნენციო“ (უფრო სწორად „ნენციუსი“) ნეაპოლის ვიცე-მეფე კი არაა, არამედ რომის პაპის ნენციუსია (ელნი) ნეაპოლის ვიცე-მეფის კარზე. ამგვარი ნენციუსები პაპს ეცრობის ყველა კათოლიკურ სახელმწიფოს კარზე ჰყავდა.

48-ე გვ. აღნიშნულია: „ნიკოლოზი ეწვია ტოსკანის ჰერცოგს, ფლორენციის დუკს, ბოლონის, ფერარის და მანტუის სამთავროთა მეთაურებს“. ჰერცოგი და დუკა როგორც ცნობილია, ერთსა და იგივე ღირსებას აღნიშნავენ უმჯობესი იქნებოდა ერთ-ერთი ფორმა აერწია ავტორის. ბოლონიც, ფერარაც და მანტუაც საქართველები იყო და მათი ქართული ნომენკლატურით („სამთავრო“, „სამთავროთა მეთაური“) მოხსენიება საეჭვოა გამართლებული იყოს. ჰერცოგისა და „სამერცოგოს“ აღ-

სანიშნავად, ერთ წინადადებაში სამი სხვადასხვა ტერმინია ნახვარი. ამასთან, როგორც ჩანს, ავტორს ტოსკანის პერსოვი და ფლორენციის დედა სხვადასხვა პიროვნებად მიაჩნია. ფლორენცია ტოსკანის დიდი საეროკოვანს დედაქალაქი იყო და ცხადია ტოსკანის დიდი პერსოვი იგივე „ფლორენციის დედაა“. 59-ე გვ. ავტორი მიმოხილავს ლევან II დადიანის ევროპასთან ვაჭრობის პროექტს და სტალინში უთითებს ჩვენს წიგნს, რომელიც მისი შენიშვნით, ლევან დადიანის ამ გეგმის განხილვისადგამა მიძღვნილი, სამწუხაროდ, სარეცენზიო ნაშრომში დამოწმებული ჩვენი წერილი არ ეხება ლევან II დადიანის საეპროპროექტს. იგი რამდენიმე წინააღმდეგობას შეეხება. აღნიშნულ საკითხს ჩვენ სხვა წიგნებში ვიხილავთ.

ლევან II დადიანის საეპროპროექტის მოკლე განხილვის შემდეგ, 60-61 გვ. ავტორი აღნიშნავს: „ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა შემდეგი: სრულიად ცხადია, ჩვენი აზრით, რომ ეს გეგმა ლევან დადიანისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგი იყო; რომ ამ გეგმის შემუშავებაში თავისი არცაღ მცირედი წვლილი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა შეიტანა“ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი რომ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლევან დადიანის პროექტის შემუშავებაში, ეს ავტორის აღნიშვნისა არ იყოს „სრულიად ცხადია“. მას ჩანს როგორღაც გამოჩნდა, რომ ეს აზრი უცვლელად გამოთქმული იყო. ჩვენს ერთ მცირე ნაშრომში, რომელიც ლევან II დადიანის საეპროპროექტისადგამა მიძღვნილი, პარდაიზო აღნიშნული, რომ ეს პროექტი ირანის შაჰთან შეიმუშავა „ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან და მისი ინტერესებთან ერთად“ (ტურნ. „ბუდი ქართლისა“, ტ. XXXIII, პარიზი, 1975, გვ. 226, ფრანგულ ენაზე). უფრო ვრცლად ვეხებით ამ საკითხს ჩვენს სადისტრიბუციო ნაშრომში, რაც აისახა კიდევ ავტორეფერატშიც.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის კანდიდატურა, როგორც ცნობილია, წამოყენებული იყო იურუსალიმის პატრიარქის თანამდებობაზე, მაგრამ იგი ვერ გახდა პატრიარქი. ავტორი 71-ე გვ. აღნიშნავს: „იურუსალიმის პატრიარქის შალაო თანამდებობის დასაყვედულად იდგილობრივ სასტიკო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ჭიბის მამა ნიკოლოზის შანსები ამ მწვერულ ბრძოლაში სუსტი აღმოჩნდა. ადგილობრივ დიდკაცობის („გოსპოდარებს“) თავისი კანდიდატი შეადგა. ამ დიდკაცობის ხელისშეწყობითა და მეშვეობით იურუსალიმის პატრიარქად პალესტინის წინააღმდეგობის მამულუბის გამგე პაისიოსი იქნა გაყვანილი“. „ადგილობრივ“ დიდკაცობაში ავტორი ცხადია იურუსალიმელ, პალესტინელ დიდკაცობის გულის-

ხმობს. ვასაოცარია, რომ მათთვის ავტორს „გოსპოდარები“ უწოდებია. ტერმინი „გოსპოდარი“ არასოდეს არ აღნიშნავდა „საქართველო“ მელ დიდკაცობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი იმომწმებს „პარტოლაზიანის დიდკაცობის მემკვიდრეებს“ ენციკლოპედიაში, როგორც ჩანს, კ. კეკელიძის მიხედვით, კ. კეკელიძის კი საკითხის არსი საესვებით ვასაგებად აქვს ჩამოყალიბებული. ცხადია, სუბარია არა „იურუსალიმელ გოსპოდარებს“, არამედ მოღალატეობა და ვლახეთის გოსპოდარებს. აი, რას წერს კ. კეკელიძე: „... მოღალატეობის ავითრებებში იქნური „გოსპოდარების“ დასპარებობი, პატრიარქად გაიყვანეს ამ ქვეყანაში ქმ. იდგომის გამგე პაისი“ (ტრეტიკები, ტ. II, გვ. 304). ნათელია ისიც, თუ რა კავშირია აქვთ „გოსპოდარებს“ პაისიოსთან. მოშავალი პატრიარქი პაისიოსი იურუსალიმის წინააღმდეგობის გამგე ყოფილა არა პალესტინაში, როგორც სასრეცენზიო ნაშრომის ავტორი ფიქრობს, არამედ მოღალატეობის ვლახეთში, რა ფქმა უნდა გოსპოდარებმა ამ შემთხვევაში გამოიყენეს გავლენა სულთანის კარზე, რომელიც აქტიურად ერგოდა პატრიარქის არჩევებაში. თუთ ტერმინი „გოსპოდარი“ მოღალატეობისა და ვლახეთის სახელმწიფოთა მეთაურების ტიტული იყო და ზოგადად „დიდკაცობას“ არ აღნიშნავდა.

ნაშრომის მიმართ გვაქვს სხვა, შედარებით ნაკლებნიშნულადანი შენიშვნებიც. სოფ. კორცხელი ორჯერ იხსენიება ნაშრომში და ორჯერვე არასწორად. ერთგან როგორც „კოსტური“ (გვ. 9), მეორეგან როგორც „კაცხური“ (გვ. 66).

27-ე გვ. აღნიშნულია, რომ „მამადიანი მეფის ტახტზე ასვლას კახელმა ხალხმა აწინააღმდეგობით უპასუხა“. უნდა იყოს „კახეთის მოსახლეობამ“, ან „ქართველმა ხალხმა“.

სასურველი იქნებოდა ნაშრომში დაცული ყოფილიყო ერთგვაროვნება გეოგრაფიული სახელების გამოყენებისას. ერთმანეთს პარალელურად იხმარება ტერმინები ოსმალეთი — თურქეთი, აღმოსავლეთი, ირანი-სპარსეთი და სავაზოდ სპირად ერანაიცი.

რუსის ელჩი ფელდტ ელჩისი ხან „ფედტოდ“ იხსენიება, ხან კი „ფოდტოდ“.

ვერ არის მარჯვე ასეთი გამოთქმები: „თეიმურაზის ხელისუფლება განსტყვევების განიცდიდა“ (გვ. 53); „თანდათან თავისი გავლენის დატეხის განიცდის“ (გვ. 34); „ქრისტიანული ხელმწიფები“ (გვ. 47) და ზოგი სხვა.

წარმოდგენილი შენიშვნები არსებით ზიანს ვერ მიაყენებენ სარეცენზიო ნაშრომის უდავო ღირსებას. საქართველოს წარსულთან დაინტერესებული მეომრული საამოყენებით გაცნობა წიგნს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე.

674/98

№ 610 80 333.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ